

DEutsch-Georgische Zeitschrift für Rechtsvergleichung

2/2026

შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი

სტატიები

პირადი პასუხისმგებლობის სახიფათო გაფართოება საქართველოს სამოქალაქო და სამეწარმეო სამართალში
პაინ ბილინგი / გიორგი ჯუღელი

მზღვეველზე ზიანის ანაზღაურების უფლების გადასვლა (სუბროგაცია) საქართველოსა და გერმანიაში
გიორგი რუსიაშვილი / ულრიხ პაგენლოხი

გამოსაცდელი ვადის შეწყვეტის მართლზომიერების დასაბუთება: დამსაქმებლის მტკიცების პროცესი და
საქართველოს სასამართლო პრაქტიკის დინამიკა
ლიანა ზაგაშვილი

ნიღბის უკან აღარავინ დგას: როცა სამართალი ცდილობს რეალობის დადგენას
ტექნოლოგიებით მოპარული იდენტობის პირისპირ
მაგდანა ბაქრაძე

საჯარო წესრიგის ცნება და მისი ფუნქციური დიფერენციაცია სახელშეკრულებო სამართალში: ქართული და
ფრანგული დოქტრინის შედარებითი ანალიზი
ანა გვენცაძე

ფულის გათვთრების დანაშაულში განზრახვისა და გაუფრთხილებლობის დოგმატური ანალიზი ქართული და
გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით
ქრისტინე ცერცვაძე

პაციენტის ავტონომიასა და სიცოცხლის დაცვის ვალდებულებას შორის კონფლიქტი თვითმკვლელობის
მცდელობის შემთხვევაში
მარიამ ბერიძე

უახლოესი სტატია

Judgment of the Grand Chamber of the European Court of Human Rights in the case of Pindo
Mulla v. Spain in the context of judicial decisions from various countries
Ekaterine kardava

სასამართლო პრაქტიკა


„სასამართლო იცის კანონი“ ?!
უმენაესი სასამართლოს 2022 წლის 5 აპრილის განჩინება, № ას-369-2021
(ზარანდია)

2/2026

შვედრაგბიტი საგარტინს

გარტი-გარგანული ჟურნალი

Deutsch-Georgische
ZEITSCHRIFT FÜR
RECHTSVERGLEICHUNG



ISSN 2587-5191 (ბეჭდვითი)
ISSN 2667-9817 (ელექტრონული)
© ავტორები, 2026
www.lawjournal.ge

მთავარი რედაქტორები

დავით მაისურაძე
ასოც. პროფ. დოქ. გიორგი რუსიაშვილი
პროფ. დოქ. ოლაფ მუთჰორსტი

გამომცემლები

მოსამართლე ულრიხ ჰაგენლოხი
ასოც. პროფ. დოქ. გიორგი ჟორჟოლიანი
სულხან გველესიანი
ხათუნა დიასამიძე
პროფ. დოქ. ზვიად გაბისონია
მოსამართლე ვოლფრამ ებერჰარდი
პროფ. დოქ. არკადიუშ ვუდარსკი †
მოსამართლე დოქ. ტიმო უტერმარკი
ადვოკატი დოქ. მაქს გუთბროდი
ნოტარიუსი რიხარდ ბოკი
ასისტ. პროფ. დოქ. თემურ ცქიტიშვილი
პროფ. დოქ. ნუნუ კვანტალიანი
ადვოკატი გოჩა ოყრეშიძე
ნატალი გოგიაშვილი
ადვოკატი თემურ ბიგვავა
ადვოკატი ზვიად ბატიაშვილი
ადვოკატი ქეთევან ბუაძე
ადვოკატი ნიკოლოზ შეყილაძე

სამუშაო ჯგუფი

სოფო ზარანდია

სტატიები

პირადი პასუხისმგებლობის სახიფათო გაფართოება საქართველოს სამოქალაქო და სამეწარმეო სამართალში <i>ჰაინ ბიოლინგი / გიორგი ჯუღელი</i>	7
მზღვეველზე ზიანის ანაზღაურების უფლების გადასვლა (სუბროგაცია) საქართველოსა და გერმანიაში <i>გიორგი რუსიაშვილი / ულრიხ ჰაგენლოხი</i>	16
გამოსაცდელი ვადის შეწყვეტის მართლზომიერების დასაბუთება: დამსაქმებლის მტკიცების პროცესი და საქართველოს სასამართლო პრაქტიკის დინამიკა <i>ლიანა ზაგაშვილი</i>	45
ნიღბის უკან აღარავინ დგას: როცა სამართალი ცდილობს რეალობის დადგენას ტექნოლოგიებით მოპარული იდენტობის პირისპირ <i>მაგდანა ბაქრაძე</i>	57
საჯარო წესრიგის ცნება და მისი ფუნქციური დიფერენციაცია სახელშეკრულებო სამართალში: ქართული და ფრანგული დოქტრინის შედარებითი ანალიზი <i>ანა გვენცაძე</i>	73
ფულის გათეთრების დანაშაულში განზრახვისა და გაუფრთხილებლობის დოგმატური ანალიზი ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით <i>ქრისტინე ცერცვაძე</i>	82
პაციენტის ავტონომიასა და სიცოცხლის დაცვის ვალდებულებას შორის კონფლიქტი თვითმკვლელობის მცდელობის შემთხვევაში <i>მარიამ ბერიძე</i>	95

Judgment of the Grand Chamber of the European Court of Human Rights in the case of Pindo Mulla v. Spain in the context of judicial decisions from various countries

Mikheili Kochorashvili

107

პარლამენტის წევრისთვის სამეწარმეო საქმიანობის შეუთავსებლობა ამ საქმიანობის ფაქტობრივი განხორციელებას (ზარანდია)

62

პიროვნების პირადი ცხოვრების უფლება და პრესის თავისუფლება (ზარანდია)

65

პირადი პასუხისმგებლობის სახიფათო გაფართოება საქართველოს სამოქალაქო და სამეწარმეო სამართალში

დოქტორი ჰაინ ბილინგი

ბრემენში ფედერალური მიწის ჰანზეატური უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე მოსამართლე, ემერიტუსი

პროფ. დოქტორი გიორგი ჯუღელი

კორპორაციული სამართლის პროფესორი, თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი

აღნიშნულია სტატია უმთავრესად წარმოადგენს გერმანულ სამართლებრივ ჟურნალში „ეკონომიკა და სამართალი აღმოსავლეთ ევროპაში“ (*Wirtschaft und Recht in Osteuropa (WiRO)*) გამოქვეყნებული სტატიის (*H. Bölling/G. Jugeli, Gefährliche Haftungserweiterung im georgischen Zivil- und Gesellschaftsrecht, 4-6, 2026, WiRO, 65-72,*) ქართულ თარგმანს.

სტატიაში შეფასებულია საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და ქვედა ინსტანციის სასამართლოთა გადანაცვლებები საქმეზე, რომელიც ჰიდროელექტროსადგურების პროექტს ეხება. სასამართლოებმა პირადი პასუხისმგებლობა დააკისრეს იურიდიულ და ფიზიკურ პირებს, რომლებიც შესაბამისი ხელშეკრულების მხარეები არ ყოფილან. ამგვარი პასუხისმგებლობა სასამართლოებმა ერთიანი გარიგების, სოლიდარული ვალდებულებისა და გამჭოლი პასუხისმგებლობის ინსტიტუტებზე დააფუძნეს. თუმცა, ისინი დამახასიათებელი დოგმატური კონტექსტისგან მოწყვეტით გამოიყენეს. არც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 62-ე მუხლი, არც სოლიდარული ვალდებულების მარეგულირებელი ნორმები და არც გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინა არ იძლევა პასუხისმგებლობის ამგვარი გაფართოების საფუძველს. ავტორთა აზრით, აღნიშნული გადანაცვლებები ძირს უთხრის შეზღუდული პასუხისმგებლობის პრინციპს. იგი ვერც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილ სასამართლო გადანაცვლებების დასაბუთების მოთხოვნებს პასუხობს.

I. შესავალი

საქართველოს სამოქალაქო და საკორპორაციო სამართალი წლებია გერმანულ სამართალთან მჭიდრო კავშირში ვითარდება. ქართული კანონმდებლობა და სამართლის მეცნიერება ხშირად იშველიებს გერმანიის სამოქალაქო კოდექსს (BGB) და გერმანულ სასამართლოთა მნიშვნელოვან გადანაცვლებებს საკორპორა-

ციო და სამოქალაქო სამართლის მრავალ ინსტიტუტთან დაკავშირებით. არაერთი გერმანული საკანონმდებლო დებულებაა გაზიარებული თითქმის სიტყვასიტყვით. განსაკუთრებით, ვალდებულებით და სახელშეკრულებო სამართალში, დღემდე არსებობს თანხვედრის მაღალი ხარისხი, რაც მიდგომების მსგავსებაზეც მეტყველებს.

სამწესწაროდ, სტატიაში განხილული გადან-
ყვეტილება, რომელიც ჰიდროელექტროსადგუ-
რების კომპლექსურ პროექტს ეხება, არსებულ
სურათს საგრძნობლად ცვლის. ქართული სასა-
მართლოები (თბილისის საქალაქო და სააპელა-
ციო სასამართლოები, ბოლოს კი, საქართვე-
ლოს უზენაესი სასამართლოც¹) მართალია, ეყ-
რდნობიან გერმანულ „ერთიანი გარიგების“
(„*einheitliches Rechtsgeschäft*“) ინსტიტუტს,
მაგრამ მას დოგმატური შინაარსს სრულად აც-
ლიან და პირადი პასუხისმგებლობის გაფართო-
ების იარაღად აქცევენ. სასამართლოები ასევე
უდგებიან სოლიდარულ ვალდებულებასა და სა-
წარმოს პარტნიორის გამჭოლ პასუხისმგებლო-
ბას. ამით, არამარტო ქართული სამართლის
განმარტების დასაშვები ფარგლები ირღვევა,
არამედ გერმანული „პირველწყაროც“ მისი სის-
ტემური წინაპირობების საწინააღმდეგოდ გა-
მოიყენება.

შედეგად ვიღებთ შეზღუდული პასუხისმგებ-
ლობის არსებით გაუქმებას, ქართული საკორ-
პორაციო სამართლის ფუძემდებლური პრინცი-
პის დარღვევას და ევროპის ადამიანის უფლება-
თა კონვენციით დაცული სიკეთის უგულვებელ-
ყოფას.

ნაშრომი კონკრეტულ საქმეზე სასამართლო
გადაწყვეტილებათა კრიტიკას წარმოადგენს,
რომლებშიც პასუხისმგებლობის ცენტრალური
ინსტიტუტები, მათი ფუნქციის გაუცნობიერებ-
ლად, სისტემური ადგილის, დოგმატური წინაპი-
რობებისა და სამართლებრივი შედეგების საწი-
ნააღმდეგოდ არის გამოყენებული. გარდა ამი-
სა, სტატია ცხადყოფს, თუ რამდენად სწრაფად
შეიძლება აქამდე უმეტესად თანმიმდევრული
მოდელი, ამ შემთხვევაში „გერმანული“, ტერმი-
ნების დაუდევარი გამოყენებით, გაურკვევლო-
ბის წყაროდ იქცეს. საკითხი არ ეხება ქართულ
სამართალში ერთიანი გარიგების, სოლიდარუ-
ლი ვალდებულებისა თუ კორპორაციული სა-
ფარველის დარღვევის ინსტიტუტთა გამოყენე-
ბის დასაშვებობას. პასუხი აქ, ცხადია, დადები-
თია. საყურადღებო ისაა, თუ რამდენად არის

დაცული მათი მოშველიებისას აუცილებელი მე-
თოდოლოგიური დისციპლინა და ნორმატიული
ამოცანისადმი ერთგულება.

ნაშრომი შემდეგნაირად არის აგებული: თავ-
დაპირველად გადმოცემულია კომპლექსური
ფაქტობრივი გარემოებები. მიზანი ფაქტობრი-
ვი და სამართლებრივი საწყისის მკაფიო გამოკ-
ვეთაა. სწორედ იგი განსაზღვრავს შემდგომი
დოგმატური ანალიზის ჩარჩოს.

მეორე ნაწილში შეჯამებულია გადაწყვეტი-
ლების სამართლებრივი საფუძვლები, რამდენა-
დაც შესაძლებელია მათი ამოკითხვა გადაწყვე-
ტილებათა დასაბუთებიდან. ნაშრომი ძირითა-
დად თბილისის საქალაქო სასამართლოს
გადაწყვეტილებას² ეყრდნობა. სააპელაციო და
უზენაესი სასამართლოების გადაწყვეტილებე-
ბი ნაკლებად შეიცავს ახალ სამართლებრივ არ-
გუმენტებს.

უმთავრესი საკითხია, თუ რომელ სამარ-
თლებრივ საფუძვლებზე ამყარებენ სასამარ-
თლოები სხვადასხვა მოპასუხის პასუხისმგებ-
ლობას და რა ფუნქცია ენიჭება „ერთიან
გარიგებას“ და სხვა სამართლებრივ ინსტიტუ-
ტებს. განხილვისას ცხადი ხდება, რომ ერთიანი
გარიგება, სოლიდარული ვალდებულება და
კორპორაციული საფარველის დარღვევა უფრო
ასოციაციურად არის მოხმობილი, მათი დოგმა-
ტური წინაპირობების სრულყოფილი ანალიზის
გარეშე.

მესამე ნაწილი პასუხისმგებლობის ფაქტობ-
რივი გარემოებების სამართლებრივ ანალიზს
ექძენება.

ნაშრომი სრულდება დასკვნით. მასში გადან-
ყვეტილებათა დოგმატური შეცდომებია შეფა-
სებული, შეზღუდული პასუხისმგებლობისა და
სახელშეკრულებო ურთიერთობების რელატიუ-
რობის პრინციპების გათვალისწინებით. ასევე
განხილულია, რამდენად შეიძლება დასაბუთე-
ბის ხარვეზები და მათგან მომდინარე პასუხის-
მგებლობის გაფართოება შეფასდეს ადამიანის
უფლებათა ევროპული კონვენციის 6(1)-ე მუხ-

1 თბილისის საქალაქო სასამართლო, Nr. 2/13849-21,
12.2.2025წ.; თბილისის სააპელაციო სასამართლო,

N2b/1631-25, 19.6.2025წ.; საქართველოს უზენაესი სა-
სამართლო, Nr. ას-1143-2025, 19.11.2025წ.

2 Nr. 2/13849-21, 12.2.2025წ.

ლის დარღვევად. ასევე ვიმსჯელებთ, თუ რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს, განხილულ პრობლემურ ტენდენციებს, ქართული სასამართლო პრაქტიკის შემდგომი განვითარებისთვის საკორპორაციო და ვალდებულებით სამართალში.

II. საქმის ფაქტობრივი გარემოებები და სამართლებრივი შემოწმების საგანი

მოსარჩელე მხარე შედგება სამი სამშენებლო კომპანიისგან, რომლებიც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ფორმით საქმიანობენ. მათი მოთხოვნები უკავშირდება გადახდებისა და რესტიტუციებს საქართველოში განხორციელებული ჰიდროელექტროსადგურების პროექტიდან, რომელიც სამ ქვე-პროექტს მოიცავს. მოთხოვნა ასევე მოიცავს გარკვეულ სამენარმეო-სამართლებრივ ღონისძიებებს - მათ შორის პარტნიორთა გარიცხვას. მოპასუხე მხარე პროექტის დამკვეთი კომპანიის (მენარდე), მასთან დაკავშირებული რამდენიმე სანარმოსა და ფიზიკური პირისგან შედგება.

დამკვეთ კომპანიას უნდა აეშენებინა და ემართა ჰიდროელექტროსადგურები. სხვა მოპასუხეებად დასახელებულია მასთან ეკონომიკურად დაკავშირებული რამდენიმე იურიდიული პირი (მათ შორის, დომინანტი პარტნიორი - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება - და ჯგუფის სხვა სანარმოები). გარდა ამისა, მოპასუხეთა შორის არის ხელმძღვანელობითი და საკოორდინაციო ფუნქციით აღჭურვილი ორი ფიზიკური პირი: დამკვეთის მშობელი კომპანიის მფლობელი სანარმო (შემდგომში გამოვიყენებთ „მე-2 საფეხურის მშობელი კომპანია“) - უმრავლესობაში მყოფი პარტნიორი და, თავად დამკვეთის დირექტორი, რომელიც მე-2 საფეხურის მშობლის მინორიტარი პარტნიორიცაა.

- სახელშეკრულებო საწყისი წერტილია 2015 წლის 17 აგვისტოს დადებული **Memorandum of Understanding (MoU)**, რომლის საფუძველზეც შემდგომში დამკვეთმა მიიღო უფლება, აეშენებინა და ემართა სამი ჰიდროელექტროსადგური.
- 2018 წლის 30 ივლისს დამკვეთმა, მასთან დაკავშირებულმა კომპანიებმა და სამმა

სამშენებლო კომპანიამ (შემდგომში მოსარჩელებმა) გააფორმეს **Memorandum of Cooperation (MoC)**, რომელმაც თანამშრომლობის ძირითადი სტრუქტურა განსაზღვრა. გათვალისწინებულ იქნა სახელშეკრულებო ჯაჭვიც: დამკვეთი ნარდობის ხელშეკრულების მხარე უნდა ყოფილიყო, ხოლო ერთ-ერთი სამშენებლო კომპანია - მონარდე. მონარდეს, თავის მხრივ, მეორე სამშენებლო კომპანია უნდა დაექირავებინა ქვე-კონტრაქტორად, ხოლო მას კიდევ სხვა კომპანია. ნარდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ძირითადი და დამატებითი ვალდებულებები, შესაბამისად, მხოლოდ დამკვეთ და მონარდე სანარმოთა შორის არსებობს. გარდა ამისა, ერთ-ერთი სამშენებლო კომპანია (ქვე-კონტრაქტორი) უნდა გამხდარიყო დამკვეთის მინორიტარი პარტნიორი (20% წილის მფლობელი). შეთანხმების გათვალისწინებით, განხორციელდა აუცილებელი სამენარმეო-სამართლებრივი ქმედებები და დაიდო ნარდობის ხელშეკრულება და ხელშეკრულებები ქვე-კონტრაქტორებთან.

მოსარჩელეთა მტკიცებით: სამი პროექტიდან ორი დასრულებულია და ფუნქციონირებს. მესამე პროექტთან დაკავშირებული ვალდებულებების მნიშვნელოვანი მოცულობაც შესრულებულია. თუმცა დამკვეთმა და მასთან დაკავშირებულმა სანარმოებმა შესრულებული სამუშაოები არ აღიარეს, ან მხოლოდ ნაწილობრივ აღიარეს. თანხების გადახდა შეაჩერეს და 2020 წლის 12 ნოემბერს ხელშეკრულებები, სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, შეწყვიტეს. მოსარჩელეთა მოსაზრებით, ამისთვის ყველა მოპასუხემ უნდა აგოს პასუხი ერთიანი სამართლებრივი გარიგების პრინციპის საფუძველზე.

მოპასუხეებმა უარყვეს ვალდებულებების დარღვევა, არ დაეთანხმნენ ერთიანი გარიგების არსებობას და მიუთითეს, რომ მოსარჩელებმა 2020 წლის მარტში სამუშაოები უსაფუძვლოდ შეაჩერეს. ამის გამო, მოპასუხეთა მოსაზრებით, ხელშეკრულებების შეწყვეტა კანონზომიერი იყო. მათ მიაჩნიათ რომ დამკვეთის გარდა, სხვა

მოპასუხეთა პასუხისმგებლობისთვის სამართლებრივი საფუძველი ფორმალურადაც არ არსებობდა.

ფაქტების აღწერა განზრახ გამარტივებულია რეალურ პროცესუალურ მასალასთან შედარებით. იგი ფოკუსირებულია ელემენტებზე, რომლებიც გადაწყვეტილებისა და ნაშრომისთვის ცენტრალური საკითხის - „ერთიანი გარიგების“ - კვლევისთვისაა არსებითი: რამდენიმე იურიდიული პირი, რომლებიც ნაწილობრივ პერსონალურად და კორპორაციულად არიან გადაჯაჭვულნი, დებენ მრავალ ხელშეკრულებას, რომლებიც ყველა ერთად ერთ ეკონომიკურ პროექტს, სამი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობასა და ექსპლუატაციას, ემსახურება.

ქვემოთ მოცემული მსჯელობაც, უპირველესად, პასუხისმგებლობის სამართლებრივ მხარეს ეხება, ანუ პირთა პასუხისმგებლობას, რომლებიც არ მონაწილეობდნენ ნარდობის ხელშეკრულებაში ე.ი. პასიური ლეგიტიმაციის საკითხს. ცალკე კვლევას იმსახურებს აქტიური ლეგიტიმაცია, ანუ დადგენა იმისა თუ რაზე აფუძნდნენ თავიანთ მოთხოვნებს მოსარჩელეები (ქვე-კონტრაქტორები), რომლებიც არ იყვნენ ნარდობის ხელშეკრულების მხარეები. თუმცა, ეს საკითხი წინამდებარე სტატიის პრობლემატიკის ფარგლებს სცდება.

III. გადაწყვეტილების სამართლებრივი საფუძვლები

მოკლედ რომ ვთქვათ, სასამართლოებმა ყველა მოპასუხის პასუხისმგებლობა ძირითადად იმაზე დააფუძნეს, რომ MoC და მის საფუძველზე დადებული ხელშეკრულებები (ნარდობის ხელშეკრულება ქვე-კონტრაქტები და საწარმოში მონაწილეობის შეთანხმებები) ცალკეულ ხელშეკრულებათა თანმიმდევრობას კი არ წარმოადგენდა, არამედ - ერთიან გარიგებას. სასამართლოს აზრით, მხარეთა ნების შესაბამისი განმარტებიდან გამომდინარეობდა, რომ პროექტში მონაწილე ყველა პირს ურთიერთსაპირისპირო უფლებები და ვალდებულებები ჰქონდა მთლიან „პაკეტთან“ მიმართებით. გადაწყვე-

ტილები ეფუძნება იმას, რომ მხარეებმა შესაბამისი ვალდებულებები „პროექტის მასშტაბით“ გაავრცელეს: რადგან მონარდის მხარემ (ე.ი. სამმა მოსარჩელემ) მემორანდუმიდან და ქვეხელშეკრულებებიდან გამომდინარე ვალდებულებები იკისრა, შემკვეთის მხარეც (მოპასუხეები) ერთობლივად აგებს პასუხს მონარდე კომპანიების წინაშე. ამგვარი მიდგომის შედეგი კი რამდენიმე, საწარმოსა და ფიზიკური პირის სოლიდარული პასუხისმგებლობაა ხელშეკრულებიდან, რომლის მხარესაც ისინი არ წარმოადგენენ.

სამენარმეო-სამართლებრივი თემები (გარიცხვა, წილობრივი მონაწილეობის ცვლილება), გადაწყვეტილებებში მეორეხარისხოვან მოტივად რჩება: ისინი ნახსენებია, მაგრამ პასუხისმგებლობის საფუძველს არ ქმნის.

IV. გადაწყვეტილების სამართლებრივ-მეთოდოლოგიური შეფასება

გადაწყვეტილება პასუხისმგებლობის სხვადასხვა სამართლებრივ საფუძველს, უფრო ზუსტად კი პასუხისმგებლობის გამაფართოებელ ინსტიტუტებს იყენებს, რათა ყველა მოპასუხის პასუხისმგებლობა დაასაბუთოს. ქვემოთ სწორედ მათ განვიხილავთ.

1. მემორანდუმების (MoU და MoC) ხასიათი

იმისთვის, რომ მონაწილეთა სახელშეკრულებო ურთიერთობები ზუსტად იქნას გაანალიზებული, თავდაპირველად საჭიროა გაირკვეს MoU-სა და MoC-ის სამართლებრივი ბუნება. ორივე, მიუხედავად ტერმინოლოგიური ბუნდოვანებისა, უნდა შეფასდეს, როგორც თანამშრომლობის სავალდებულო შეთანხმება, რომელიც არსებითად განსაზღვრავს პროექტის განხორციელების ჩარჩოს და მის სახელშეკრულებო სტრუქტურას. დოგმატურად ისინი წინარე ან თანამშრომლობის ხელშეკრულებად განიხილება და წარმოშობენ თანამშრომლობის, ძირითადი ხელშეკრულების, დამკვეთსა და მონარდე კომპანიას შორის ნარდობის ხელშეკრულების,

დადებისა და ქვე-კონტრაქტორთა დაგეგმილი ჯაჭვის შექმნის ვალდებულებებს.³

მემორანდუმები, უმთავრესად, აწესრიგებს მონაწილეთა უფლებებს და ვალდებულებებს და უკავშირდება პროექტის განხორციელებაში მონაწილეობას ძირითადი (ნარდობის) ხელშეკრულების დადებით. უშუალოდ ნარდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დარღვევები - მონარდის მხრიდან არაჯეროვანი შესრულება, ვადის გადაცილება, ძირითადი და დამატებითი ვალდებულებების სხვა დარღვევები - ასევე შესაბამისი პასუხისმგებლობა მემორანდუმების საგანი არ არის და ნარდობის ხელშეკრულების მხარეთა კომპეტენციას განეკუთვნება. წინარე ხელშეკრულებების დონეზე ვალდებულების დარღვევები ვერ დგინდება. ამიტომაც, მოსარჩელეთა მოთხოვნები სასამართლოს, უშუალოდ MoU-სა და MoC-დან არ გამოუყვანია.

2. პასუხისმგებლობა ნარდობის ხელშეკრულებიდან

სახელშეკრულებო ვალდებულებები მხოლოდ ხელშეკრულების მხარეებს ეკისრებათ. მონარდეს სამშენებლო სამუშაოების შესრულება და მათი ხარისხის უზრუნველყოფა ევალება, მენარდეს - შეთანხმებული საზღაურის გადახდა და სამუშაოს სათანადო შესრულებაში თანამშრომლობა. განხილულ საქმეში ნარდობის ხელშეკრულება დამკვეთ კომპანიასა და ერთ-ერთ სამშენებლო კომპანიას შორის დაიდო. ამდენად, მხოლოდ ისინი არიან ნარდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნების მოვალეები და კრედიტორები. შესაძლო მოთხოვნები დარღვევების გამო, დაყოვნება, არაჯეროვანი შესრულება ან დამატებითი ვალდებულებების დარღვევა, მხოლოდ მათ ურთიერთობაში შეიძლება არსებობდეს. მართლაც არსებობდა თუ

არა ამ მხრივ დასაბუთებული მოთხოვნები, ჩვენი განხილვისთვის უმნიშვნელოა. მნიშვნელოვანია მხოლოდ ის, რომ არც მენარდის პარტნიორები, არც პროექტთან ეკონომიკურად დაკავშირებული სხვა კომპანიები თუ ფიზიკური პირები არ იქცევიან ნარდობის ხელშეკრულების მხარეებად მხოლოდ იმიტომ, რომ პროექტში მონაწილეობენ, მონაწილეობა წინარე ხელშეკრულებების ხელმოწერასაც რომ მოიცავდეს.

სასამართლო, რომელიც საწარმოთა და ფიზიკური პირების მიმართ „პროექტის მასშტაბით“ სახელშეკრულებო პასუხისმგებლობას აღიარებს, ტოვებს ვალდებულებითი ურთიერთობების რელატიურობის საზღვრებს.⁴ ასეთი გაფართოება ვერ დაეფუძნება ვერც ნარდობის ხელშეკრულებას და ვერც მემორანდუმებს. ამისთვის საჭირო იქნებოდა პასუხისმგებლობის დამოუკიდებელი საფუძველი - მაგალითად, კორპორაციული საფარველის დარღვევა, დელიქტური პასუხისმგებლობა ან საგანგებო წინარე-სახელშეკრულებო კავშირი. არცერთი მათგანი გადანყვეტილებაში სარწმუნოდ წარმოჩენილი არ არის.

3. „ერთიანი გარიგება“ და სოლიდარული მოვალეობა

თბილისის საქალაქო სასამართლო ადგენს ყველა მოპასუხის პასუხისმგებლობას. არადა, მოპასუხეთაგან, დამკვეთის (მენარდე) (ნარდობის ხელშეკრულების მხარე) გარდა არც ერთს ჰქონია უშუალო სახელშეკრულებო კავშირი მოსარჩელე მონარდესთან..

როგორც ჩანს, თბილისის საქალაქო სასამართლოც ამოდის პრინციპიდან, რომ სახელშეკრულებო შეთანხმებიდან მხოლოდ მხარეები

3 შდრ. მუხ. 327 ნან. 3, წინ. 1. სსკ „3. ხელშეკრულებით შეიძლება წარმოიშვას მომავალი ხელშეკრულების დადების ვალდებულება.“; ვაშაკიძე, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), წგ. III, თბილისი 2019, შესავალი, ვნ. 26 („წინარე ხელშეკრულების მიზანი სამომავლო, ძირითადი ხელშეკრულების დადების უზრუნველყოფაა.“).

4 შდრ. ვაშაკიძე, იქვე მუხ. 316, ვნ. 4 („ვალდებულებითი ურთიერთობის წარმოშობის წინაპირობაა განსაზღვრულობა. ეს წინაპირობა ვალდებულების რელატიურ ბუნებას უკავშირდება. განსაზღვრულობა გულისხმობს იმას, რომ ვალდებულებითი ურთიერთობიდან უნდა ირკვეოდეს, თუ ვის აკისრია ვალდებულება და ვინ ფლობს შესაბამისი მოთხოვნის უფლებას, ანუ ვინ არის მოვალე და ვინ კრედიტორი.“); იხ. ასევე Grüneberg, BGB, 85. Aufl. 2026, vor § 241, Rdn. 5.

აგებენ პასუხს. ეს ეხება შეთანხმების შესრულების მოთხოვნას (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლი) თუ ზიანის ანაზღაურებას ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 394-ე მუხლი)⁵. ამგვარი შედეგი ვალდებულებითი ურთიერთობების რელატიურობის პრინციპის სტანდარტული გამოხატულებაა. მიუხედავად ამისა, სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველ, კონკრეტულ შემთხვევაში შესაძლებელია ამ პრინციპიდან გადახვევა და ვალდებულ პირთა წრის გაფართოება.

რაზე აფუძნებს სასამართლო განსხვავებულ მიდგომას, მისეულ სამართლებრივ შეფასებაში ყოველთვის ცხადი არ არის.⁶ სასამართლო თავიდან მთავარ აქცენტს „ერთიანი გარიგების“, ასევე, შესაძლოა, „დაკავშირებული გარიგების“ ასპექტზე აკეთებს, შემდგომ მსჯელობებში უკვე სოლიდარული ვალდებულების ელემენტებიც შემოდის. სამწუხაროდ, გაურკვეველი რჩება, ეს ინსტიტუტები მოპასუხეთა პასუხისმგებლობის დამატებით საფუძველად გამოიყენება თუ - რაც ერთადერთი გონივრული ახსნა იქნებოდა - მხოლოდ სამართლებრივი შედეგად ე.ი. როცა თავად პასუხისმგებლობა მოთხოვნის სხვა საფუძვლით უკვე არსებობს.

ხელშეკრულების მხარის სტატუსის არმქონე პირების პასუხისმგებლობის დასაბუთებისას სასამართლო ყურადღებას მოპასუხე ფიზიკურ პირთა როლზეც ამახვილებს.⁷ სასამართლო სწორად აღნიშნავს, რომ ისინი ხელშეკრულების მხარეები არ არიან და მიუთითებს რომ ერთ-ერთი ფიზიკური პირი დამკვეთის (მენარდის) წარმომადგენლის სტატუსით მოქმედებდა. აქვე იკვეთება ე.წ. გამჭოლი პასუხისმგებლობის

ელემენტებიც, თუმცა, წინაპირობებისა და სამართლებრივი შედეგების ზუსტი ანალიზისა და მეთოდურად გამართული შემოწმების გარეშე.⁸ არადა, ამ ინსტიტუტისთვის არსებობს სასამართლო პრაქტიკისა და იურიდიული ლიტერატურის მიერ ჩამოყალიბებული მკაფიო პრინციპები (იხ. ქვემოთ 5 a)), რომელთა თაობაზეც განსახილველ გადანყვეტილებაში არაფერია ნახსენები.

ამდენად, თავდაპირველად განვიხილავთ ასპექტებს, რომელზეც გადანყვეტილება მოპასუხეთა პასუხისმგებლობას ამყარებს, კერძოდ: „ერთიან“ და „დაკავშირებულ“ გარიგებებს და სოლიდარული ვალდებულების წესებს.

a) ერთიანი გარიგება. ერთიანი გარიგების ინსტიტუტი გერმანულ სამართალში ნამდვილად აღიარებულია და, უწინარესად, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 139-ე პარაგრაფთან დაკავშირებით გამოიყენება. ნორმა დიდწილად შეესაბამება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 62-ე მუხლს.⁹ ნორმის დანაწესით, გარიგების ნაწილის ბათილობა იწვევს მთელი გარიგების ბათილობას, თუ არ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ გარიგება ბათილი ნაწილის გარეშეც დაიდებოდა.¹⁰

აქ მნიშვნელოვანია კითხვა, როდის არსებობს „ერთიანი გარიგება“ ამ ნორმის მნიშვნელობით.¹¹ ეს კი დამოკიდებულია მხარეთა, გარიგების ერთიანად აღქმისკენ მიმართულ, ნებაზე.¹² ასეთი ნება შეიძლება არსებობდეს მაშინაც, როდესაც მხარეები რამდენიმე სამართლებრივ გარიგებას ცალკე დოკუმენტებში

5 შდრ. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადანყვეტილების (Nr. 2/13849-21, 12.2.2025.) პუნქტი 6.3.

6 იქვე, პუნქტები 6.2, 6.3.

7 იქვე, პუნქტი 6.3.

8 შდრ. მხ. Ellenberger, in: Grüneberg, BGB, 85. Aufl. 2026, Einführung vor § 21, Rdn. 12 ff.; ზუბიტაშვილი, პარტნიორის პასუხისმგებლობა კორპორაციის ვალდებულებებისათვის საზოგადოების გადახდისუნარიანობის დროს, დისერტაცია, თბილისი 2016, გვ. 107 და შემდგომი.

9 კროპპოლერი, გერმანიის სკ-ის (BGB) კომენტარი, მე-11 გამოც., ქართული რედაქცია, 2014, გვ. 854

(საქართველოსა და გერმანიის სამოქალაქო კოდექსები, მუხლობრივი შედარება); ასევე ზუსტად სუსგ Nr. ას-1143-2025, 19.11.2025, პუნქტები 132,133.

10 ქართული ნორმა მტკიცების ტვირთს განსხვავებულად ანაწილებს. ივარაუდება რომ გარიგების უხარვეზო ნაწილი ნამდვილია (შდრ. დაწვრილებით ჭანტურია, სსკ-ის კომენტარი, წგ. I, 2017, მუხ. 62, ვნ. 5,6. ეს სხვაობა, ჩვენს შემთხვევაში, არაფერს ცვლის.

11 Ellenberger, in: Grüneberg, BGB, 85. Aufl. 2026, § 139 Rdn. 5.

12 იქვე.

აფორმებენ. ამასთან, ხელშეკრულების ტიპებიც შეიძლება განსხვავებული იყოს და მონაწილე მხარეებიც - არაიდენტური.¹³

თბილისის საქალაქო სასამართლოც სწორად აღწერს ერთიანი გარიგების კონცეფციას.¹⁴ იგი ასევე ზუსტად მოიხმობს გერმანიის ფედერალური უზენაესი სასამართლოს შესაბამის გადაწყვეტილებებს.¹⁵ სავსებით შესაძლებელია, რომ გადაწყვეტილებაში განხილული ხელშეკრულებები, ან მათი ნაწილი, მართლაც ერთიან გარიგებად ჩაითვალოს. ამის გამო, შეიძლება დაისვას კითხვა, იწვევს თუ არა ნაწილობრივი ბათილობა¹⁶ დანარჩენი ნაწილების ბათილობასაც. თუმცა ამ ყველაფერს არაფერი აქვს საერთო საკითხთან, არიან თუ არა ხელშეკრულებებიდან გამომდინარე პასუხისმგებელი ის ფიზიკური ან იურიდიული პირები, რომლებიც ხელშეკრულების მხარეებს არ წარმოადგენენ. სწორედ ეს საკითხია არსებითი. ქართული სასამართლოს მიერ მოხმობილ გერმანულ გადაწყვეტილებებში ამგვარ შედეგზე არსადაა საუბარი და მართებულადაც. სწორედ აქ უშვებს თბილისის საქალაქო სასამართლო გადამწყვეტ მეთოდოლოგიურ შეცდომას: სამართლებრივი ინსტიტუტის არსებობას და ნორმის ფაქტობრივ შემადგენლობას (იხ. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 139-ე პარაგრაფი ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 62-ე მუხლი) უკავშირებს სამართლებრივ შედეგებს, რასაც ნორმა საერთოდ არ იცნობს. პირდაპირ უნდა ითქვას: ახალი სამართლებრივი შედეგი სასამართლოს გამოგონილია.

აღნიშნული მცდარი მიდგომა საკასაციო სასამართლოს განჩინებაში კიდევ უფრო თვალში საცემია. უზენაესი სასამართლო განჩინების 132-133-ე პარაგრაფებში მართებულად გადმოსცემს გერმანიის სამოქალაქო კოდექსის §

139-სა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 62-ე მუხლზე დაყრდნობით ჩამოყალიბებულ ერთიანი გარიგების პრინციპს. მის სამართლებრივ შედეგსაც, ერთიანი გარიგების ნაწილობრივი ან მთლიანი ბათილობა, სწორად აყალიბებს. თუმცა, უკვე 134-ე პარაგრაფში სხვადასხვა შეთანხმებას, მჭიდრო ეკონომიკური ურთიერთკავშირის საფუძველზე მათ „ერთიან, კერძოდ, ნარდობის ხელშეკრულებად“ აღიქვამს. სწორედ ეს ნაბიჯი არ არის დამაჯერებელი: ერთიანი გარიგების არსებობაც კი არ ცვლის ცალკეულ ხელშეკრულებათა სამართლებრივ ბუნებას და ვალდებულ პირთა წრეს.

მოსამართლის მოწესრიგებულ მეთოდურ მუშაობასთან, განსაკუთრებით კი ზუსტ სუბსუმციასთან,¹⁷ ამგვარ მიდგომას საერთო აღარაფერი აქვს. იგი კიდევ უფრო გასაოცარია, როცა საქალაქო სასამართლოც, პრინციპის დონეზე, სწორად აღწერს სამართლებრივი სუბსუმციის ტექნიკას.¹⁸ თუმცა მისი თანმიმდევრული გამოყენების ნაცვლად, საბოლოოდ „ახალ“ სამართლებრივ წესს აყალიბებს: თუ არსებობს ერთიანი გარიგება შესაბამისი სამართლებრივი ნორმების მნიშვნელობით (რასაც ვერ გამოვრიცხავთ), მაშინ პირდაპირი პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროთ მესამე პირებსაც, რომლებიც განსახილველი კონკრეტული ხელშეკრულებების მხარეები არ არიან.

ასეთი სამართლებრივ შედეგს არ იცნობს არც გერმანული და არც ქართული სამართალი. იგი, მით უმეტეს, არ გამომდინარეობს ერთიანი გარიგების ნორმებიდან, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 139-ე პარაგრაფი იქნება ეს თუ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 62-ე მუხლი. იგი უბრალოდ მცდარია, უფრო მეტიც, როგორც ითქვა, უბრალოდ გამოგონილია.

13 იქვე, დამატებით წყაროებზე მითითებით.

14 თბილისის საქალაქო სასამართლო, Nr. 2/13849-21, 12.2.2025, პუნქტი 6.2. - გადაწყვეტილების საფუძველები.

15 BGH, Betr 1955, 508 = NJW 1955, 297 L; BGH, Urt. vom 13.10.1954 – II ZR 160/53; BGH, Betr 1970, 1591; BGH, Urt. v.15.1.1971 – VZR 92/68

16 ამასთან, ბათილობის ცნება ფართოდ უნდა იქნეს გაგებული. კლასიკური ბათილობის საფუძვლების გარდა,

იგი მოიცავს ხელშეკრულებიდან გასვლის, გამოთხოვის და ა.შ. საფუძველზე წარმოშობილ ნამდვილობის ხარვეზსაც; იხ. დანვრილებით: Ellenberger, in: Grüneberg, BGB, 85-ე გამოც., 2026, § 139, ვნ. 2.

17 შტრ. Bölling/Chanturia, Die Arbeitsmethode des Richters im Zivilprozess, გამოქვეყნებულია GTZ-ის გამომცემლობაში გერმანულ და ქართულ ენებზე, 2003, გვ. 49 და შემდგომი გერმანულ ვერსიაში.

18 საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, № 2/13849-21, 12.2.2025, პუნქტი 6.2.

მეთოდურად და სამართლებრივად მცდარი გადანყვეტილებისთვის ცენტრალური მნიშვნელობის საკითხი კიდევ ერთხელ კონკრეტულად ჩამოვაყალიბოთ: საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 62-ე მუხლი და გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 139-ე პარაგრაფი ანესრიგებს მხოლოდ ერთ საკითხს, რჩება თუ არა ერთიანი გარიგების ერთი ნაწილი ძალაში მაშინ, როდესაც მეორე ნაწილი ბათილია ან სხვაგვარად სამართლებრივად უშედეგოა, და არაფერს სხვას.¹⁹ სამართლებრივი წესი, რომლითაც ყველა, ვინც ფაქტობრივად, ეკონომიკურად ან სხვაგვარად არის დაკავშირებული ერთიან გარიგებასთან, ხელშეკრულების მხარედ გახდომის გარეშე, მაინც ასეთად უნდა იქნეს მიჩნეული, არ არსებობს. არადა, აშკარაა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლო საწინააღმდეგოს ფიქრობს, ისიც ნიშანდობლივია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლო თავის გადანყვეტილებაში არც კი განიხილავს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 62-ე მუხლს, როგორც გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 139-ე პარაგრაფის შესაბამის ნორმას.

ეს შედეგი უცვლელი რჩება სხვა შემთხვევებშიც, სადაც ერთიანი გარიგება გარკვეულ როლს თამაშობს. ასეთია, მაგალითად, ფორმის დაცვასთან დაკავშირებული წესები, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 125-ე პარაგრაფი და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 59-ე მუხლი. ამ ნორმების თანახმად, კანონით ან ხელშეკრულებით დადგენილი ფორმის დაუცველობა იწვევს გარიგების ბათილობას. ეს წესი მოქმედებს მაშინაც, როდესაც რამდენიმე გარიგება ცალკეა გაფორმებული, თუმცა, შინაარსობრივად, ერთიან გარიგებას ქმნის.²⁰ შესაბამისად, ფორმის მოთხოვნის დარღვევამ შეიძლება გამოიწვიოს გარიგების ნაწილობრივი ან, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 139-ე პარაგრაფისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 62-ე მუხლის მიხედვით, მთლიანი ბათილობა. მესამე პირების პასუხისმგებლობასთან, რომლებიც სა-

ხელშეკრულებო ურთიერთობაში არ მონაწილეობენ ერთიანი გარიგების ინსტიტუტს აქაც არაფერი აქვს საერთო.

b) დაკავშირებული გარიგებები. ერთიან გარიგების ცნებასთან სიახლოვის გამო, მოკლედ „დაკავშირებულ გარიგებებსაც“ შევხებით. გერმანიაში საკითხი მონესრიგებულია სამოქალაქო კოდექსის 358-ე და მომდევნო პარაგრაფებით:²¹ მომხმარებელს(!), რომელიც დებს შინაარსობრივად დაკავშირებულ, მაგრამ სამართლებრივად განცალკევებულ ხელშეკრულებებს, მაგალითად, ნასყიდობის ხელშეკრულებას და მისი დაფინანსებისთვის სესხის ხელშეკრულებას, ხელშეკრულებაზე უარის თქმის საგანგებო უფლება ენიჭება. თუმცა ამ უფლებას რომ მესამე პირთა პასუხისმგებლობასთან საერთო არაფერი აქვს, ცხადია და დამატებით ჩაღრმავებას არ საჭიროებს.

c) სოლიდარული ვალდებულება. თავისი გადანყვეტილების საფუძვლებში თბილისის საქალაქო სასამართლო, ყველა მოპასუხის პასუხისმგებლობისთვის, სოლიდარული ვალდებულების წესებსაც ეყრდნობა. ეს წესები გერმანულ და ქართულ სამართალში დიდწილად იდენტურია: იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 463-ე და მომდევნო მუხლები, აგრეთვე გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 421-ე პარაგრაფი. ეს ეხება შემთხვევას, როდესაც რამდენიმე მოვალეს ერთი და იგივე შესრულება ეკისრება, კრედიტორს კი მისი მოთხოვნა მხოლოდ ერთხელ შეუძლია.

ბუნებრივია, თავად მოთხოვნის შინაარსი სხვა სამართლებრივი საფუძვლიდან უნდა გამომდინარეობდეს. სოლიდარული ვალდებულების წესები მხოლოდ მოვალეთა სიმრავლის სამართლებრივ შედეგებს ეხება. იგი თავისთავად როდი აფართოებს მოვალეთა წრეს. ამიტომაც, სოლიდარულ ვალდებულებათა ნორმები არ გაზოგვება პირთა ვალდებულების დასადგენად,

19 Ellenberger, in: Grüneberg, BGB, 85. Aufl. 2026, § 139 Rdn. 2.

20 იქვე, § 125, ვ6. 9.

21 ქართულ სამართალთან დაკავშირებით შდრ. სსკ-ის 370-ე მუხლი.

რომელთა პასუხისმგებლობა სხვა სამართლებრივი საფუძვლიდან არ გამომდინარეობს.

მიუხედავად ამისა, თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისი პასაჟი (პუნქტი 6.2), მოპასუხეთა პასუხისმგებლობას ერთიანი გარიგების პრინციპებს უკავშირებს და კონკრეტული მოთხოვნის საფუძვლის გარეშე მიდის სოლიდარულ პასუხისმგებლობამდე - თუმცა, როგორც უკვე ითქვა, უსაფუძვლოდ:

„ამიტომ სასამართლო მიდის იმ დასკვნამდე, რომ თითოეული მოპასუხე მოქმედებდა, როგორც ერთმანეთთან დაკავშირებული მხარე, და სხვა პირებთან ერთად მოსარჩელების მიმართ იზიარებდა სოლიდარულ პასუხისმგებლობას იმ ვალდებულებების შესრულებაზე, რომლებიც წარმოიშვა თანამშრომლობის მემორანდუმიდან და მის ფარგლებში დადებული შეთანხმებებიდან. ამ სამართლებრივ შეფასებასთან თანხმობაში სასამართლო ადგენს, რომ თავდაპირველი მოპასუხეები მოსარჩელების წინაშე სოლიდარულად პასუხისმგებელნი არიან.“

თუ ამ გადაწყვეტილებას უკულოგიკით განვმარტავთ, გამოდის რომ სოლიდარული ვალდებულების წესები თავად აფართოებს ვალდებულ პირთა წრეს. ამას კი წრიულ მსჯელობამდე მივყავართ: თუ რამდენიმე პირი მათი პასუხისმგებლობის შემთხვევაში სოლიდარული მოვალე იქნებოდა, მაშინ მათგან ყველა პასუხისმგებელია იმიტომ, რომ სოლიდარული მოვალეები იქნებოდნენ. ამგვარად, ფაქტობრივი შემადგენლობისა და სამართლებრივი შედეგის ურთიერთობა თავდაყირა დგება.

სასამართლოს დასაბუთების სისუსტე საბოლოოდ იმაში მდგომარეობს, რომ ცხადად არ განმარტავს რომ სოლიდარული ვალდებულების შესახებ დებულებები, თავისთავად, არანაირ პასუხისმგებლობას არ ქმნის,²² არამედ მხოლოდ არსებული ვალდებულების პირობებში

ანესრიგებს კრედიტორის ურთიერთობას რამდენიმე მოვალესთან და მოვალეთა ურთიერთობას ერთმანეთთან.

4. შუალედური დასკვნა

შეჯამებისთვის უნდა ითქვას, რომ ქართული სასამართლოების მსჯელობა ერთიანი გარიგებისა თუ სოლიდარული ვალდებულების შესახებ ვერ გაამართლებს ხელშეკრულებაში არამონაწილე მესამე პირების კვაზი-სახელშეკრულებო პასუხისმგებლობას.

საერთო ეკონომიკური მიზანი არ ანაცვლებს ხელშეკრულებების სამართლებრივ დამოუკიდებლობას და არც მოვალეთა სიმრავლეს წარმოშობს. ეკონომიკური პროექტის ლოგიკისა და სამართლებრივი პასუხისმგებლობის სტრუქტურის ასეთი აღრევა სამართლისთვის სრულიად უცხო და დაუსაბუთებელია.

5. პასუხისმგებლობა კორპორაციული საფარველის დარღვევის გზით

თბილისის საქალაქო სასამართლოს გადანაცვტილება ყურადღებას ამახვილებს ფიზიკური პირების ფაქტობრივ, ეკონომიკურ და სამართლებრივ ზემოქმედებაზე მთლიან პროექტსა და მასში მონაწილე საწარმოებზე, განსაკუთრებით კი, შემკვეთზე (მენარდეზე). სასამართლო, არსებითად, გამჭოლი პასუხისმგებლობის გზით, პარტნიორთა პირადი პასუხისმგებლობის დასაბუთებას ცდილობს (შეხსენებისთვის, ფიზიკური პირი მოპასუხეები მენარდე საწარმოს მე-2 საფეხურის მშობელი კომპანიის პარტნიორები არიან). სამწუხაროდ, თავად ამ ინსტიტუტის წინაპირობები და სამართლებრივ შედეგები არ არის გაანალიზებული სასამართლოს მიერ. ქვემოთ ვეცდებით ეს ხარვეზი შევაგსოთ.

a) კორპორაციული საფარველის დარღვევის დოქტრინა. საკორპორაციო სამართალი მკაფიო ზღვარს ავლებს კაპიტალურ საზოგადოებაში

²² გარდა რეგრესის მარეგულირებელი წესებისა, მაგ., სსკ-ის 473-ე მუხლში, რომლებზეც აქ საუბარი არ არის.

დოებასა და მის პარტნიორებს შორის. სანარმოს ვალებისთვის პასუხს თავად სანარმო აგებს და არა მისი პარტნიორები.²³ შეზღუდული პასუხისმგებლობა ცენტრალური მნიშვნელობისაა სანარმოთა დაფინანსებისთვის, რადგან ხელს უწყობს ინვესტიციებს და ფასიანი ქაღალდების ბაზრების ლიკვიდურობას.²⁴

თუმცა ეს პრინციპი უსაზღვრო არ არის. თუ პარტნიორი ბოროტად იყენებს საზოგადოების ფორმას არაკეთილსინდისიერი ქცევის დასაფარად, სასამართლოებს შეუძლიათ „საფარველის დარღვევა“ და პარტნიორისთვის პირადი პასუხისმგებლობის დაკისრება. საქართველოში ეს გამონაკლისი კანონით არის დადგენილი. საქართველოს მენარმეთა შესახებ კანონის 26-ე მუხლის მე-2 პუნქტი ადგენს პარტნიორის პირად პასუხისმგებლობას „შეზღუდული პასუხისმგებლობის ბოროტად გამოყენების“ შემთხვევაში (იხ. ასევე 2022 წლამდე მოქმედი კანონის 3.6. მუხლი).

კორპორაციული საფარველის დარღვევა აუცილებელი დამცავი მექანიზმია არაკეთილსინდისიერი ქმედებების წინააღმდეგ, რომლებიც კრედიტორთა უფლებებს აზიანებს. კრედიტორის მოლოდინი სანარმოს მიმართ შედარებით მარტივია: მოთხოვნები სრულად და დროულად უნდა დაკმაყოფილდეს. სასამართლო მხოლოდ მაშინ უნდა ჩაერიოს, როდესაც პარტნიორის ქცევა ამ მოლოდინს უქმნის საფრთხეს. გადახდისუნარიან კომპანიებში პასუხისმგებლობის შეზღუდვის უგულებელყოფის საფუძველი არ არსებობს. მენარმეთა შესახებ კანონის ჩანა-

ფიქრით, გამჭოლი პასუხისმგებლობა კონკრეტულ შემთხვევაზე დამოკიდებული. შესაბამისი ნორმა, განზრახ, ზოგადად არის ჩამოყალიბებული, ბოროტად გამოყენების სხვადასხვა ფორმებს რომ მოერგოს.²⁵

მიუხედავად ამისა, კორპორაციული საფარველის დარღვევის აუცილებელი წინაპირობები აღიარებული და მკაფიოდ განსაზღვრულია: კონტროლი და მისი ბოროტად გამოყენება. მაშასადამე, პარტნიორი უნდა ახორციელებდეს ფაქტობრივ კონტროლს სანარმოზე და იგი კრედიტორთა საზიანოდ უნდა გამოიყენოს. მხოლოდ კონტროლი არ კმარა. სასამართლოები შეზღუდულ პასუხისმგებლობას არ უგულებელყოფენ მხოლოდ იმის გამო, რომ სანარმოს დომინანტი პარტნიორი უძღვება.²⁶

ზოგადად რომ ითქვას, არაკეთილსინდისიერი ქცევის მაგალითებია: სავალალო ფინანსური მდგომარეობის მიჩქმალვა, საზოგადოებისთვის ქონების გამოცლა ან კორპორაციული ფორმის მიზანმიმართული გამოყენება საკანონმდებლო ვალდებულების თავის არიდებისთვის.²⁷

ამიტომ, ყოველთვის უნდა შემოწმდეს, არსებობს თუ არა (i) პარტნიორის არსებითი ზეგავლენა საზოგადოებაზე და (ii) მოხდა თუ არა შეზღუდული პასუხისმგებლობის ბოროტად გამოყენება ისე, რომ საფრთხე შეექმნა კრედიტორთა დაკმაყოფილებას.²⁸ ამ მხრივ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაც ერთმნიშვნელოვანია:

23 მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონის 123-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები; ასევე შდრ. Beurskens, in: Noack/Servatius/Haas, GmbHG-Kommentar, 24. Aufl., 2025, § 13, Rn. 9 f.

24 იხ. Easterbrook/Fischel, Economic Structure of Corporate Law, Cambridge (Mass.), 1998, გვ. 42, 43.

25 იხ. ზუბიტაშვილი, პარტნიორის პასუხისმგებლობა კორპორაციის ვალდებულებებისათვის საზოგადოების გადახდისუნარიანობის დროს – გამონაკლისი შემთხვევები პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპიდან, დისერტაცია, თბილისი, 2016, გვ. 107.

26 შდრ. Jugeli, Shareholders' Liability for a Corporation's Obligations – Piercing the Corporate, South Caucasus Law Journal (SCLJ) 3/2012, გვ. 192, 193.

27 დაწვრილებით იხ. იქვე, გვ. 192, 193 და შემდგომი.

28 ასევე შდრ. ზუბიტაშვილი, პარტნიორის პასუხისმგებლობა კორპორაციის ვალდებულებებისათვის საზოგადოების გადახდისუნარიანობის დროს – გამონაკლისი შემთხვევები პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპიდან, დისერტაცია, თბილისი, 2016, გვ. 23 („პარტნიორის გამჭოლი პასუხისმგებლობა შეიძლება დადგეს, როგორც ერთი წევრისგან შემდგარი კაპიტალური ტიპის საზოგადოების შემთხვევაში, ასევე პარტნიორთა სიმრავლის დროს. ამ უკანასკნელ შემთხვევაში კი საჭიროა იმ სახასიათო ელემენტის გამოყოფა, რომლის არსებობაც გადამწყვეტია პარტნიორის პასუხისმგებლობისათვის. ასეთ მაკვალიფიცირებელ ნიშნად კი გვევლინება მნიშვნელოვანი კონტროლი.“).

„18. ზემოაღნიშნულ გარემოებასთან დაკავშირებით, პალატა დასძენს, რომ კორპორაციული საფარველის გაჭოლებისთვის არ არის საკმარისი მეორე მოპასუხის 100%-იანი მონაწილეობა სადავო კომპანიაში, მიუხედავად იმისა, რომ ასეთ მოცემულობაში კონტროლი და საკუთრება შეიძლება ერთი პირის ხელში იყოს მოქცეული. ამისათვის საჭიროა კონტროლის გამოყენება არამართლზომიერი ქმედებისთვის - კანონისმიერი ან სახელმეკრულებო ვალდებულებისგან თავის ასარიდებლად, რაც უთანაბრდება კორპორაციული ფორმის ბოროტად გამოყენებას და მიზეზშედეგობრივი კავშირი კონტროლსა და კრედიტორისთვის მიყენებულ ზიანს შორის. აღნიშნული კონტროლი შეიძლება გამოვლინდეს არასათანადო კაპიტალიზაციის, კორპორაციულ ფორმალობათა დაუცველობის, ქონებათა აღრევის, დირექტორატის იდენტურობის, ანდა სხვა გარემოებების სახით.“²⁹

ის, რომ კონტროლი, ანუ კომპანიის ქცევაზე გაცნობიერებული და კრედიტორის საზიანოდ ზემოქმედების ობიექტური შესაძლებლობა, საკმარისი არ არის კორპორაციული საფარველის დარღვევისთვის, ნათელი იყო ჯერ კიდევ იმ დროიდან, როდესაც იურიდიულ ლიტერატურაში პირველად გამოიყენეს ტერმინი „Piercing the Corporate Veil“.³⁰ ამ მოსაზრებას არც თანამედროვე იურიდიული დოქტრინა აყენებს ეჭვქვეშ.³¹

მხოლოდ მითითებული ფუძემდებლური ელემენტების გათვალისწინებით და საკანონ-

მდებლო და დოგმატურ პრინციპებთან მათი დაკავშირებით შეიძლება შეფასდეს, გამართლებულია თუ არა, კონკრეტულ შემთხვევაში, კორპორაციული საფარველის დარღვევა.

b) გადანყვეტილების შეფასება აღნიშნული დოქტრინის ჩრდილში. მოსარჩელეთა მოთხოვნები ნაწილობრივ წარდგენილი იყო ფიზიკური პირების, ხელშეკრულების მხარის (მენარდე) მშობელი, მე-2 საფეხურის მშობელი და სხვა „დაკავშირებული“ საწარმოების წინააღმდეგ. მოსარჩელები, როგორც ჩანს, მიზნად ფიზიკური პირების, აგრეთვე მენარდესთან დაკავშირებული კომპანიების პირად პასუხისმგებლობას ისახავდნენ. ამგვარი შედეგი, არსებითად, მრავალსაფეხურიან გამჭოლ პასუხისმგებლობას უტოლდება. როგორც ზემოთ უკვე ვთქვით, ამისთვის ორი ელემენტის არსებობა აუცილებელია:

დომინანტური გავლენა: პარტნიორს უნდა შეეძლოს საწარმოზე გადამწყვეტი ზეგავლენის მოხდენა. მართლაც, მენარდე საწარმოს მშობელი კომპანიას, 80%-იანი წილის საფუძველზე, გააჩნდა მასზე კონტროლი. თუმცა პარტნიორთა საკონტროლო უფლებები კანონით არის გათვალისწინებული; მენარმეთა შესახებ კანონის 124-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები დირექტორებს ავალდებულებს, შეასრულონ პარტნიორთა გადანყვეტილებები, და პარტნიორებს საშუალებას აძლევს, ყველა საკითხზე მიიღონ გადაწყვეტილება. ასეთი კონტროლი პარტნიორის პირად პასუხისმგებლობას ვერ გაამართლებს.

ბოროტად გამოყენება: უნდა არსებობდეს კონკრეტული არაკეთილსინდისიერი ქმედებე-

29 საქართველოს უზენაესი სასამართლოს № ას-474-2024 გადაწყვეტილება, 21.2.2025, პუნქტი 18; ასევე იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს № ას-246-2020 გადაწყვეტილება, 20.11.2020.

30 შდრ. Zubitashvili, Assessment Standard of the Article 3.6 of Law of Georgia on Entrepreneurs from the View of Corporate Veil Piercing Doctrine, Journal of Law, #2, 2014, გვ. 30, 34, უთითებს: Wormser, Disregard of the Corporate Fiction and Allied Corporation Problem, 1927, reprinted 2000 by Beard Books, Law Classics series, გვ. 55–56.

31 31. ზუბიტაშვილი, იქვე, გვ. 36; გერმანული GmbH-ის სამართლისთვის კიდევ უფრო მკაფიოდ: Beurskens, in: Noack/Servatius/Haas, GmbHG-Kommentar, 24. Aufl., § 13, Rn. 13 („§ 37-ის პირველი პუნქტის ფარგლებში დასაშვებია საზოგადოების მართვაზე ინტენსიური ზემოქმედებასაც, ისე, რომ ამას, სამართლებრივ შედეგად, პასუხისმგებლობა არ მოჰყვება.“); ასევე Bitter, in: Scholz, GmbHG-Kommentar, 13. Aufl., 2022, § 13, Rz. 151 („დღეს ფართოდ არის აღიარებული, რომ ერთი პარტნიორის მიერ ერთი ან რამდენიმე GmbH-ის კონტროლი, თავისთავად, გამჭოლი პასუხისმგებლობის დაკისრებას არ ამართლებს“).

ბი, მაგალითად, ქონებრივი მდგომარეობის დამალვა, საზოგადოების ქონების არამიზნობრივი გამოტანა ან კრედიტორთა მოტყუება. მხოლოდ მაშინ, როცა პარტნიორი გავლენას საზოგადოების ინსტრუმენტალიზებისთვის და კრედიტორთა დასაზიანებლად იყენებს, შეიძლება შეზღუდული პასუხისმგებლობის უგულებელყოფა.³²

სასამართლო მიმოიხილავს მრავალ დარღვევას, დაგვიანებული გადახდები იქნება ეს თუ სამშენებლო ხელშეკრულებების შეწყვეტა. მაგრამ, ყველა მათგანი სახელშეკრულებო ხასიათისაა ე.ი. რელატიურია და მხოლოდ სახელშეკრულებო მხარეს - მენარდეს - ეხება.

მენარდის მშობელი კომპანია, როგორც მისი დომინანტი პარტნიორი, ახორციელებდა კანონით მინიჭებულ მითითების უფლებას პარტნიორთა გადანყვეტილების გზით. საქართველოს მენარმეთა შესახებ კანონი ადგენს, რომ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების დირექტორებმა უნდა შეასრულონ პარტნიორთა გადანყვეტილებები. შესაბამისად, პარტნიორებს გააჩნიათ მენეჯერული გადანყვეტილების ინიცირების უფლება. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების შემთხვევაში, პარტნიორები საბოლოოდ საწარმოს „ბატონ-პატრონები“ არიან.³³ ლეგიტიმური კონტროლის უფლებების განხორციელება შესაძლოა მძიმე ტვირთი იყოს უმცირესობისთვის, მაგრამ არ აკმაყოფილებს გამჭოლი პასუხისმგებლობის წინაპირობებს. ამდენად, წინამდებარე საქმის ფაქტობრივ გარემოებებში სამართლებრივი ფორმის ბოროტად გამოყენება არ იკვეთება. სულ მცირე, იგივე უნდა ითქვას ფიზიკური პირების შესაძლო პასუხისმგებლობაზეც (აქ: შემკვეთის მე-2 საფეხურის მშობელი კომპანიის დომინანტი პარტნიორი). შესაძლოა, იგი მართლაც საბოლოო გადანყვეტილების მიმღები

იყო ჯგუფის ფარგლებში და ფაქტობრივად განსაზღვრავდა კიდევ საწარმოს პოლიტიკას. მაგრამ, მხოლოდ ამ გარემოებას ხელშეკრულების მხარის ვალდებულებებზე მისი პირადი პასუხისმგებლობა ვერ დაეფუძნება.

მენარდის უშუალო პარტნიორი საწარმოს შემთხვევაშიც თვალსაჩინოა, რომ სასამართლო მთლიანად უგულებელყოფს გამჭოლი პასუხისმგებლობის მეორე ელემენტს - ბოროტად გამოყენებას. პარტნიორთა ლეგიტიმური გადანყვეტილებები, როგორიცაა კრებების მოწვევა ან მითითების უფლების განხორციელება, პირადი პასუხისმგებლობის საფუძვლად არის ქცეული. მენარმეთა შესახებ კანონის 124-ე მუხლის მე-2 და შემდგომი პუნქტები ხელმძღვანელობას ავალდებულებს, შეასრულოს პარტნიორთა გადანყვეტილებები; შესაბამისად, პარტნიორთა აქტიური ჩარევა საწარმოს მართვაში კანონით არის ნებადართული:

მუხლი 124 - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების მმართველობის ორგანო

...

2. ხელმძღვანელი პირი ვალდებულია ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილებების განხორციელებისას პარტნიორთა გადანყვეტილებას დაემორჩილოს.

3. ხელმძღვანელი პირი უფლებამოსილია გადანყვეტილება მიიღოს ყველა იმ საკითხზე, რომელიც, კანონის ან წესდების თანახმად, არ განეკუთვნება პარტნიორთა ან სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენციას. ამასთანავე, საერთო კრება უფლებამოსილია ამ კანონის 195-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული უმრავლესობით მიიღოს გადანყვეტილება ნებისმიერ საკითხზე

32 შდრ. Gevurtz, Piercing Piercing: An Attempt to Lift the Veil of Confusion Surrounding the Doctrine of Piercing the Corporate Veil, 76 Or. L. Rev. 853 (1997) („ტრადიციულ კუმულაციურ ფორმულაში გარკვეული სიბრძნე დევს. „თაღლითობის ან უსამართლობის“ ელემენტი სასამართლოს მიუთითებს, როდის უნდა გამოიყენოს გამჭოლი პასუხისმგებლობა, ხოლო კონტროლის ელემენტი — ვის მიმართ უნდა იქნეს იგი გამოყენებული.“).

33 ჯუღელი, იხ.: გიგუაშვილი/ჯუღელი, განმარტებები საქართველოს კანონზე „მენარმეთა შესახებ“, თბილისი, 2022, მუხ. 124, გვ. 196 („სააქციო საზოგადოებისგან განსხვავებით (იხ. 203-ე მუხლის მე-2 პუნქტი), პარტნიორებს უფლება აქვთ, საწარმოს ხელმძღვანელობის საკითხებთან და კავშირებით სავალდებულო მითითებები მისცენ დირექტორს.“).

სასამართლო ამ ლეგიტიმაციას უგულებელყოფს და პირად პასუხისმგებლობას პარტნიორის ჩვეულებრივ ქცევას უკავშირებს. პარტნიორთა მმართველობითი კომპეტენცია მენარმოთა შესახებ კანონის ძველ რედაქციაშიც იყო გათვალისწინებული:

ძველი რედაქციის 47-ე მუხლი - საზოგადოების მართვა

1. საწარმოს პარტნიორები მმართველობით უფლებამოსილებას ახორციელებენ პარტნიორთა საერთო კრების მეშვეობით, თუ წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი.“

და ბოლოს, ხელშეკრულების მხარის მე-2 საფეხურის მშობელი კომპანიის დომინანტი პარტნიორის პირადი პასუხისმგებლობის დადგენით, სასამართლო სამ-საფეხურიან გამჭოლ პასუხისმგებლობას აწესებს ე.ი. პირად პასუხისმგებლობას სამი კორპორაციული საფარველის გავლით. ეს გარემოება განხილულ გადაწყვეტილებას სრულ უნიკუმად აქცევს. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, მეორე გადაწყვეტილება, რომელიც უშვებს მსგავს პასუხისმგებლობას არა მხოლოდ საქართველოში, არამედ, მსოფლიო მასშტაბითაც არ მოიძებნება.

ც) *სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის მავნე გაფართოება*: ნარდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე სახელშეკრულებო ვალდებულებები არსებობდა შემკვეთსა და მონარდეს შორის. არც ფიზიკური პირები და არც სხვა მოპასუხეები ამ ხელშეკრულების მხარეები არ არიან. მიუხედავად ამისა, სასამართლომ ფიზიკურ პირებსაც დააკისრა სახელშეკრულებო მოთხოვნების შესრულება, თუმცა, საკანონმდებლო საფუძველის გარეშე. სამოქალაქო კოდექსის 8-ე მუხლის მე-3 ნაწილი, 115-ე, 199-ე, 316-ე, 317-ე, 352-ე, 361-ე, 394-ე, 405-ე, 408-ე, 411-ე, 412-ე, 629-ე, 630-ე, 642-ე, 643-ე, 976-ე მუხლები³⁴ მრავალ სხვადასხვა საკითხს ეხება - ვალდებულებითი ურთიერთობების წარმოშობიდან უსაფუძვლო გამდიდრებამდე - თუმცა

არც ერთი მათგანი პარტნიორთა პირად პასუხისმგებლობას, საზოგადოების ვალებისათვის, არ ითვალისწინებს. კორპორაციული საფარველის დარღვევის გარდა, ხელშეკრულების ფარგლებს გარეთ პირადი პასუხისმგებლობისთვის, აუცილებელი იქნებოდა კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ნორმა ან დადგენილი დელიქტური შემადგენლობა (მაგალითად, სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლი 998-ე მუხლთან ერთობლიობაში). არც ერთი მათგანი, ამ შემთხვევაში, არ არსებობდა. ამგვარად, გადანყვეტილება ერთი ხელის მოსმით აუქმებს გამიჯვნას იურიდიულ პირსა და მის პარტნიორებს შორის და ფიზიკურ პირებს აკისრებს კორპორაციულ ვალებს. ეს კი უხეშად არღვევს შეზღუდული პასუხისმგებლობის პრინციპს, რომლის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაც ინვესტიციების წახალისებაა.

პასუხისმგებლობის დამკვიდრებული პროგრამიდან - „კონტროლი + ბოროტად გამოყენება“ - გადახვევა და მისი მხოლოდ საწარმოში წილობრივი მონაწილეობით ჩანაცვლება მძიმე სამართლებრივ გაურკვევლობას წარმოშობს. ინვესტორები და საწარმოს ხელმძღვანელები უნდა ელოდნენ, რომ ისინი პირადად აგებენ პასუხს საწარმოს ვალდებულებებზე, მიუხედავად იმისა, რომ კანონით დადგენილ უფლებებსა და მოვალეობებს ახორციელებენ. გადაწყვეტილება გზავნილია, არსებითად გაზრდილი პირადი პასუხისმგებლობის რისკის შესახებ, პარტნიორებისთვის, რომლებიც აქტიურად მართავენ თავიანთ საზოგადოებას. არ აქვს მნიშვნელობა რომ მათ ქმედებაში მოტყუების ან არაკეთილსინდისიერების მცირედი კვალიც არ ჩანს. კორპორაციული საფარველის დარღვევის დოქტრინისაგან ამგვარი გადახვევა მკვეთრად ეწინააღმდეგება პასუხისმგებლობის შეზღუდვის საკანონმდებლო მიზნებს.

34 თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაში სასამართლოს მიერ გამოყენებული სამართლებრივი საფუძვლების ჩამონათვალი.

VI. შეჯამება და კონვენციურ-სამართლებრივი ასპექტები

საქალაქო სასამართლოს გადანყვეტილება და სააპელაციო და საკასაციო სასამართლობის დამადასტურებელი განაჩენები, როგორც სამართლებრივი, ისე მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს შეიცავს. პროცესუალური თვალსაზრისითაც კი, გადანყვეტილება ვერ აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რომლებსაც, სამართლებრივი სახელმწიფოს პირობებში, სასამართლოს გადანყვეტილება უნდა შეესაბამებოდეს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 249-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, გადანყვეტილების მოტივების გადმოცემა სასამართლოს გადანყვეტილების სავალდებულო შემადგენელი ნაწილია, ხოლო ამავდროულად მე-4 ნაწილის მიხედვით, უნდა მიეთითოს სამართლებრივი შეფასება და სამართლის ნორმები, რომლებსაც სასამართლო დაეყრდნო. კანონში პირდაპირ არ არის ნათქვამი, ეს რამდენად დეტალურად უნდა მოხდეს; თუმცა მნიშვნელოვან მითითებას იძლევა საკასაციო წარმოების შესახებ დებულებები (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე და შემდგომი მუხლები), განსაკუთრებით 394-ე მუხლის „ე“ და „ე.1“ ალტერნატივები: მათ მიხედვით, გაუქმების აბსოლუტური საფუძველია შემთხვევა, როდესაც გადანყვეტილება საკმარისად დასაბუთებული არ არის (ალტ. ე) ან იმდენად არასრულია, რომ სამართლებრივი შემონმება შეუძლებელია (ალტ. ე.1). პოზიტიურად რომ ჩამოვაცალიბოთ, გადანყვეტილება საკმარისად და გასაგებად უნდა იყოს დასაბუთებული და უნდა იძლეოდეს სამართლებრივი კონტროლის შესაძლებლობას. მოცემულ შემთხვევაში ეს აშკარად არ არის ასე: ერთიანი გარიგების ინსტიტუტი არ არის მკაფიოდ წარმოდგენილი - მისი ფაქტობრივი შემადგენლობითა და სამართლებრივ შედეგებით; გადანყვეტილებებს აკლია მეთოდურად გამართული სუბსუმცია და სამართლის მართე-

ბული მისადაგება. თუმცა, ეს უკანასკნელი შეუძლებელიც კი იქნებოდა; სასამართლოს მიერ მოხმობილი ინსტიტუტი - ერთიანი გარიგება - საერთოდ არ ითვალისწინებს სამართლებრივ შედეგებს, რომელის საფუძვლადაც მას სასამართლო იყენებს. საბოლოოდ სრულიად ბუნდოვანია, რას დაეყრდნო სასამართლო მოპასუხეთათვის პასუხისმგებლობის დაკისრებისას.

იგივე ითქმის სოლიდარული ვალდებულების საკითხზეც. აქაც გაურკვეველია, სურს სასამართლოს სოლიდარული ვალდებულების წესებით შექმნას პასუხისმგებლობა, რომელიც სხვაგვარად არ არსებობს, თუ ის მაინც სხვა პასუხისმგებლობის საფუძვლებს გულისხმობს.

ამგვარად, გადანყვეტილების კრიტიკული ანალიზისას იქმნება სასამართლოს მიერ საკითხისადმი აგებული დამოკიდებულების, თვითნებობის შთაბეჭდილება. გადანყვეტილების სამოტივაციო ნაწილი ვერ აკმაყოფილებს სამართლებრივი სახელმწიფოს სტანდარტებს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 6.1 მუხლის შესაბამისად. ამ ნორმის მიხედვით, გასაგები დასაბუთება განსაკუთრებით აუცილებელია მაშინ, როდესაც ხდება ნორმის მკაფიო ტექსტისაგან გადახვევა.³⁵ იგივე უნდა ითქვას იმ შემთხვევაზეც, როდესაც, როგორც აქ, ნორმიდან ან სამართლებრივი ინსტიტუტიდან წარმოიშვება ისეთი სამართლებრივი შედეგები, რომლებსაც იგი საერთოდ არ ითვალისწინებს. სასამართლოს გადანყვეტილება ამ პრინციპებსაც არღვევს.

გადანყვეტილება პრობლემურია არა იმიტომ, რომ ის მოსარჩელეთა მოთხოვნებს უარყოფს ან აკმაყოფილებს. მისი მთავარი ნაკლი ისაა რომ ხელშეკრულების მხარე საწარმოს პარტნიორებს და მასში არაპირდაპირ ჩართულ ფიზიკურ პირებს სამართლებრივი საფუძვლის გარეშე აკისრებს პირად პასუხისმგებლობას. იგი ძირს უთხრის კორპორაციული საფარველის დარღვევის დოქტრინის არსს და ქმნის საშიშ პრეცედენტს პარტნიორთა პირადი პასუხისმგებლობისთვის.

35 Grabenwarter/Pabel, EMRK/ GG Konkordanzkommentar, 3. Aufl., 2022, Band 1, Kap. 14, S. 827f, Rdn. 102.ff.

გადაწყვეტილების დასაბუთების ანალიზი აჩვენებს, რომ გამჭოლი პასუხისმგებლობის წინაპირობები არ არსებობს. ბოროტად გამოყენება, როგორც იგი მეცნიერებასა და უზენაესი სამართლო პრაქტიკაშია ჩამოყალიბებული, არ დადასტურებულა. სასამართლოსთვის წარდგენილი მტკიცებულებები, მაქსიმუმ, თავად საზოგადოების მიერ სახელშეკრულებო დარღვევებს შეეხებოდა და არა მისი პარტნიორობის ან მე-2 საფეხურის მშობელი კომპანიის პარტნიორობა არაკეთილსინდისიერ ქცევას. სასამართლომ მოპასუხეები სოლიდარულად დაავალდებულა, თუმცა პასუხისმგებლობა „საფარველის დარღვევაზე“ კი არ დაუფუძნებია, არამედ ნარდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებების შეუსრულებლობაზე. ამ საფუძვლებიდან, პარტნიორობა პირადი პასუხისმგებლობის გამოყვანით, სასამართლო უგულებელყოფს მკაფიო გამიჯვნას საწარმოსა და მის პარტნიორებს შორის, ეწინააღმდეგება ქართულ სამართალში ჩამოყალიბებულ გამჭოლი პასუხის-

მგებლობის კრიტერიუმებს, ისე რომ ამის დასაბუთებასაც არ გვთავაზობს.

ამ ფონზე, ბუნებრივია, დგება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 6(1)-ე მუხლის საზომით გადაწყვეტილების შეფასების საკითხი. კონვენციის მუხლში განმტკიცებულია სასამართლოს ვალდებულება, გადაწყვეტილებები ნათლად და „შემონმებადად“ დაასაბუთოს. ამ პრინციპთან შესაბამისობა პრობლემურია დასაბუთების ტექნიკის გამოყენებისას, რომელიც პასუხისმგებლობის გაფართოების ცენტრალურ ელემენტებს, მხოლოდ ასოციაციურად, უკავშირებს ცნებებს, როგორიცაა ერთიანი გარიგება, სოლიდარული ვალდებულება ან კორპორაციული საფარველის დარღვევა. მათი ფაქტობრივი წინაპირობები კი არც მკაფიოდ არის ნაჩვენები და არც გულდასმით შემოწმებული. შესაბამისად, ის რომ გადაწყვეტილება ამ კუთხით თვითნებობის შთაბეჭდილებას ტოვებს, არა მხოლოდ სამოქალაქო-სამართლებრივად არის პრობლემური, არამედ კონვენციურ-სამართლებრივ კითხვებსაც აჩენს.

მზღვეველზე ზიანის ანაზღაურების უფლების გადასვლა (სუბროგაცია) საქართველოსა და გერმანიაში

დოქ. გიორგი რუსიაშვილი

ულრიხ ჰაგენლოხი

დრეზდენის უმაღლესი სამხარეო სასამართლოს პრეზიდენტი (პენსიონირებული)

A. სადაზღვეო ხელშეკრულების ცნება და ნიშნები

გერმანულ სასამართლო პრაქტიკაში გაბატონებულია დაზღვევის ურთიერთობის შემდეგი დეფინიცია: ეს არის ურთიერთობა, რომლის ფარგლებშიც საწარმო იღებს ვალდებულებას, ანაზღაურების სანაცვლოდ, გაურკვეველი შემთხვევის დადგომისას (შემთხვევა, რომლის დადგომაც წინასწარ გარდაუვალი არ არის), განხორციელოს გარკვეული შესრულება, რა შემთხვევაშიც ნაკისრი [ფინანსური] რისკი გადანაწილებულია იმავე საფრთხის წინაშე მყოფ დიდი რაოდენობის პირებზე [ამით არის ამორტიზებული] და ამ რისკის კისრება ემყარება დიდ მონაცემთა ანალიზსა და რაოდენობრივი გამოთვლის წესებს.¹ დაზღვევის ხელშეკრულება ხასიათდება შემდეგი სპეციფიკური ნიშნებით, რომელთა არსებობისასაც მასზე გამოიყენება სახელშეკრულებო სადაზღვეო ურთიერთობის მომწესრიგებელი კანონისმიერი ნორმები. ეს ნიშნები არის შემდეგი:

1. მზღვეველის იღებს ვალდებულებას, განა-

ხორციელოს შესრულება იმ შემთხვევაში, როდესაც დადგება წინასწარ არაგარდაუვალი, ეკონომიკურად არახელსაყრელი მოვლენა; დაზღვეული პირი დაზღვევით დაცულია ამ რისკის/საფრთხის რეალიზაციისგან. მოვლენა არაგარდაუვალია, თუ არ არის დადგენილი, დადგება თუ არა ის საერთოდ (*incertus an et quando*) ან დადგენილია, რომ დადგება, მაგრამ გაურკვეველია, თუ როდის დადგება (*certus an, incertus quando* – მაგ., სიცოცხლის დაზღვევა). სუბიექტური გაურკვეველობა დაზღვეული რისკის რეალიზაციის შესახებ ასევე საკმარისია.²

2. მზღვეველის მიერ კონკრეტული რისკის კისრება უნდა წარმოადგენდეს დაზღვევის ხელშეკრულების დამოუკიდებელ საგანს და არა მხოლოდ – როგორც სხვა სახის ხელშეკრულებაში – დამატებით ვალდებულებას.³ მაგალითად, რაიმე ტიპის განსაკუთრებული გარანტია, რომელსაც კისრულობს გამყიდველი ან მენარდე, დამოკიდებული და სხვა შესრულებაზე მიბმული (მისი უზრუნველმყოფი) ხასიათის გამო, ვერ ჩაითვლება, დაზღვევად ან დაზღვევის ტიპის ურთიერთობად.⁴

1 BVerwG v. 29.9.1992 – 1 A 26/91 –, VersR 1993, 1217 და იქ მითითებული ლიტერატურა.

2 Bruck/Möller/H. Baumann/Koch, Berlin 2021, § 1 VVG Rn. 19.

3 BGH NJW 1995, 325; NJW-RR 1991, 1014.

4 Bruck/Möller/H. Baumann/Koch, Berlin 2021, § 1 VVG Rn. 20.

3. მზღვეველი სადაზღვეო შესრულებას კისრულობს საზღაურის სანაცვლოდ.

4. მზღვეველს უნდა ჰქონდეს სამართლებრივი ვალდებულება სადაზღვეო შემთხვევის დადგომისას განახორციელოს შესრულება. ამის საპირისპიროდ, შემწეობის ფონდი/ორგანიზაცია, რომელიც გარკვეული (თუნდაც წესდებით გათვალისწინებული) წინაპირობების დადგომისას საკუთარ წევრებს ან სხვა პირებს ეხმარება, მაგრამ არ აქვს შესაბამისი ვალდებულება, მზღვეველად ვერ ჩაითვლება.

5. და ბოლოს: მზღვეველის საქმიანობა ემყარება ცალკეული სადაზღვეო ხელშეკრულებიდან გამომდინარე შესაძლო ფინანსური დანაკარგების კალკულაციას, რომელიც უნდა გადაწონოს და რომელსაც უნდა აღემატებოდეს შემოსავალი იმ სადაზღვეო ურთიერთობებიდან, სადაც დაზღვეული რისკი არ რეალიზდება.⁵ ამ ტიპის გამოთვლებისას მზღვეველი იყენებს დიდ მონაცემებთან მუშაობის/ანალიზის მათემატიკურ ნესებს.

ბ. შესრულების შინაარსი და სამართლებრივი ბუნება

სადაზღვეო შემთხვევის დადგომისას მზღვეველი მიერ განსახორციელებელი შესრულების (მისი გამოთვლის ხერხისდა) მიხედვით, მიჯნავენ „ზიანის დაზღვევას“ (*Schadensversicherung*, სკ-ის 799 I 1 მუხლი) და „მყარ თანხაზე დაზღვევას“ (*Summenversicherung*, სკ-ის 799 I 2 მუხლი). ეს გამიჯვნა მნიშვნელოვანია, რადგან, როგორც გერმანული ისე ქართული, ცალკეული კანონისმიერი დანაწესები გამოიყენება მხოლოდ ზიანის დაზღვევაზე (იხ. სკ-ის 820-ე და მომდევნო მუხლები) და არ გამოიყენება ყველა სხვა ტიპის დაზღვევის შემთხვევაში. ზიანის დაზღვევისას, დაზიანების შემთხვევაში ანაზღაურდება მხოლოდ რეალურად მიყენებული ქონებრივი ზიანი. ამ შემთხვევას უწოდებენ რეალური დანაკლისის აღმოფხვრას – დაზღვეულის კონკრეტული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას.

მოცემული ტიპის დაზღვევის მაგალითებია: ავტოსატრანსპორტო საშუალების დაზღვევა დაზიანებისაგან, საყოფაცხოვრებო ქონების დაზღვევა, შენობების დაზღვევა და ა.შ.⁶

„მყარ თანხაზე დაზღვევის შემთხვევაში“ თანხმდება ფიქსირებული თანხის გადახდა, რომელიც არ არის დამოკიდებული ფაქტობრივად დამდგარ ქონებრივ ზიანზე. მოცემულ შემთხვევაში საუბარია დაზღვეულის მოთხოვნილების აბსტრაქტულ დაკმაყოფილებაზე.⁷ ამ დროს არ არის აუცილებელი ფაქტობრივად წარმოშობის დამტკიცება გარკვეული შეფასებითი კრიტერიუმების საფუძველზე (როგორც ზიანის დაზღვევის შემთხვევაში); დაზღვეულმა მხოლოდ უნდა დაამტკიცოს სადაზღვეო შემთხვევის დადგომა. მყარ თანხაზე დაზღვევა ყველაზე ხშირად გამოიყენება პიროვნული სიკეთეების დაზღვევისას: სიცოცხლის დაზღვევა, უბედური შემთხვევების დაზღვევა, საავადმყოფოს დღიური ანაზღაურების დაზღვევა (მზღვეველი კისრულობს საავადმყოფოში გატარებული თითოეული დღისათვის შესაბამისი ანაზღაურების გადახდას).

მზღვეველის შესრულების სამართლებრივ ბუნებასთან დაკავშირებით, გამოყოფენ ორ ძირითად დაპირისპირებულ თეორიას: „ფულადი შესრულების თეორია“ (*Geldleistungstheorie*) და „რისკის ტარების თეორია“ (*Gefahrtragungstheorie*).

„რისკის ტარების თეორიის“⁸ მიხედვით, მზღვეველის ვალდებულება მდგომარეობს „რისკის ტარებაში“, რაც გულისხმობს იმას, რომ იგი ჯერ კიდევ სადაზღვეო შემთხვევის დადგომამდე იღებს თავის თავზე აღნიშნული შემთხვევის რისკს. მისი ვალდებულების შინაარსი მოიცავს საფრთხის (ფინანსურად) გამანეიტრალებელი ინფრასტრუქტურის ორგანიზებას, დაზღვეულის მასში ჩართვას; საჭიროების შემთხვევაში: გადაზღვევის უზრუნველყოფას და რეზერვების დაგროვებასა და ინვესტირებას,

5 Bruck/Möller/H. Baumann/Koch, Berlin 2021, § 1 VVG Rn. 21.

6 BGH, Urt. v. 21.04.2021 – IV ZR 169/20.

7 BGH, Urt. v. 21.04.2021 – IV ZR 169/20.

8 Bruck/Möller/H. Baumann/Koch, Berlin 2021, § 1 VVG Rn. 28.

რათა შესაბამის მომენტში მას ჰქონდეს დაზღვეულისათვის გადასახდელი შესაბამისი ფინანსური სახსარი. სწორედ ამ წინასწარ დაკისრებული ვალდებულების შესრულება ქმნის იმ „მოლოდინის უფლების“ ეკონომიკურ ღირებულებას, რომელსაც ყიდულობს დაზღვეული.

„ფულადი შესრულების თეორიის“ მიხედვით, მზღვეველს ეკისრება მხოლოდ ფულადი ანაზღაურების გადახდის ვალდებულება, რომელსაც ადევს გადადების პირობა (სკ-ის 96-ე მუხლი) სადაზღვეო შემთხვევის სახით. ამ მოსაზრების გასამყარებლად წარსულში გერმანიაში უთითებდნენ (გერმანიის) სადაზღვეო ხელშეკრულების შესახებ კანონი 1 | 1, 2 პარაგრაფის (ძველი რედაქციის) ტექსტზე, რომლის მიხედვითაც, დამზღვევი ვალდებულია მხოლოდ სადაზღვეო შემთხვევის დადგომისას აუნაზღაუროს დაზღვეულს ამ შემთხვევის შედეგად მიყენებული ქონებრივი ზიანი ფულით ან გადაუხადოს მას მყარი ერთიანი თანხა, ან მიანიჭოს პენსია. მზღვეველის მიერ წინასწარ განსაზღვრული ორგანიზაციული ღონისძიებები, ისევე, როგორც ნებისმიერ სხვა ხელშეკრულებაში, მხოლოდ მომზადების სტადიას განეკუთვნება და არ არის შესრულების ვალდებულების ნაწილი. თავად კანონის სხვა ნორმაში ნახსენები „მზღვეველზე რისკის გადაკისრება“, ამ მოსაზრების თანახმად, არის არა შესრულების ვალდებულების აღწერა, არამედ – პასუხისმგებლობის მდგომარეობა, რომელიც გამომდინარეობს პირობადებული შესრულების დაპირებიდან.⁹ ამაში არის დამაჯერებლობის მარცვალი – სადაზღვეო შემთხვევის დადგომამდე დაზღვეული ვერანაირი ფორმით ვერ აიძულებს მზღვეველს შეასრულოს რისკის განეიტრალების ორგანიზატორული ვალდებულებები და ამ შემთხვევის დადგომის შემდეგაც უმნიშვნელოა, თუ რა ფინანსური რესურსით დაფარავს მზღვეველი შეპირებულ სადაზღვეო ანაზღაურებას – გააკეთებს ამას საკუთარი რეზერვებიდან თუ ბანკიდან აიღებს სესხს, რეზერვების განიავების შემდეგ.

მოცემული კამათი, რომელიც უკვე მრავალ ათწლეულს ითვლის და უამრავი ქვეთეორია და

მოსაზრება წარმოშვა, რეალურად გადაუწყვეტელია, ოპერირებს რა, ძალზე აბსტრაქტული კატეგორიებით (რომლის ქვეშაც სუბსუმციის განუსაზღვრელი პოტენციალი არსებობს) და, პრაქტიკული შედეგების კუთხით, რეალურ განსხვავებას არ განაპირობებს. თუმცა (გერმანიის) სადაზღვეო ხელშეკრულების შესახებ კანონის 1-ლი პარაგრაფის 2008 წლის შემდგომი რედაქცია უფრო „რისკის ტარების თეორიისკენ“ იხრება:

§ 1 ხელშეკრულებისთვის ტიპური ვალდებულებები

სადაზღვეო ხელშეკრულებით მზღვეველი ვალდებულია, გაანეიტრალოს დამზღვევის ან მესამე პირის გარკვეული რისკი შესაბამისი შესრულებით, რომელიც მან უნდა განახორციელოს შეთანხმებული სადაზღვეო შემთხვევის დადგომისას. მზღვეველი ვალდებულია, დაზღვეულს გადაუხადოს ხელშეკრულებით შეთანხმებული თანხა (პრემია).

ამის საპირისპიროდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 799 | მუხლი გადმოღებულია (გერმანიის) სადაზღვეო ხელშეკრულების შესახებ კანონის 1 | 1 პარაგრაფის 2008 წლამდე არსებული რედაქციიდან:

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი	გერმანიის სადაზღვეო ხელშეკრულების შესახებ კანონი (2008 წლამდე არსებული რედაქცია)
1. დაზღვევის ხელშეკრულებით მზღვეველი მოვალეა აუნაზღაუროს დამზღვევს სადაზღვეო შემთხვევის დადგომით მიყენებული ზიანი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. მყარად დადგენილი სადაზღვეო თანხით დაზღვევისას მზღვეველი მოვალეა გადაიხადოს სადაზღვეო თანხა ან შეასრულოს სხვა შეპირებული მოქმედება.	(1) ¹ ზიანის დაზღვევის შემთხვევაში, მზღვეველი ვალდებულია, სადაზღვეო შემთხვევის დადგომის შემდეგ, ხელშეკრულების პირობების მიხედვით, აუნაზღაუროს დამზღვევს ქონებრივი ზიანი. ² სიცოცხლის, უბედური შემთხვევის დაზღვევის და პიროვნების დაზღვევის სხვა შემთხვევაში, მზღვეველი ვალდებულია, სადაზღვეო შემთხვევის დადგომის

9 Prolss/Martin/Armbrüster § 1 Rn. 129.

	შემდეგ გადაუხადოს შემთავსებული თანხა, ერთიანი თანხის თუ პენსიის სახით, ან განხორციელოს სხვა შემთავსებული შესრულება.
--	---

ამგვარად, გერმანული ნორმა მიჯნავდა „ზიანის დაზღვევას“ (1-ლი წინადადება) და პიროვნული სიკეთეების დაზღვევას ზიანისაგან დამოუკიდებელ თანხაზე. ეს პიროვნული სიკეთეების დაზღვევა წარმოადგენს უკვე ხსენებული „მყარ თანხაზე დაზღვევის“ ყველაზე გავრცელებულ შემთხვევას. ქართველმა კანონმდებელმა ეს მეორე წინადადება უკვე განზოგადებული სახით გადმოიღო და პირდაპირ ცნებების დონეზე დააფიქსირა დიქტომია: „მყარ თანხაზე დაზღვევა“ (Summenversicherung) გამოიყენა „ზიანის დაზღვევის“ ალტერნატივად, რაც შეიძლება არ იყო გაუმართლებელი გადაწყვეტა: 1908 წელს მიღებული გერმანული თავდაპირველი ნორმის შემდეგ განვითარდა და პრაქტიკაში შემოვიდა სხვა, არაპიროვნული სიკეთეების დაზღვევა მყარ თანხაზე, როგორც არის, მაგალითად, ბიზნესის დაზღვევა მყარ თანხაზე და ა.შ.

C. კანონისმიერი ცესია

ყველა კანონი, რომელიც მზღვეველს ან დამსაქმებელს ანაზღაურების განხორციელებას ავალდებულებს, შეიცავს მოთხოვნის კანონისმიერი გადასვლის მარეგულირებელ ნორმების. საქართველოში ასეთ ნორმებს შეიცავს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 832-ე მუხლის პირველი ნაწილი და 843-ე მუხლის მე-2 ნაწილი. გერმანულ სამართალში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კერძო ზიანის მზღვეველისათვის სადაზღვეო ხელშეკრულების შესახებ კანონის (VVG) 86-ე პარაგრაფი, სოციალური მომსახურების განმხორციელებელი სუბიექტებისათვის სოციალური კოდექსის X წიგნის (SGB X)

116-ე პარაგრაფი, ხოლო დამსაქმებლის მიერ შრომის ანაზღაურების გაგრძელებისათვის შრომის ანაზღაურების გაგრძელების შესახებ კანონის მე-6 პარაგრაფი.

I. ცესიის ნორმატიული მიზანი და კონცეფცია

მოთხოვნის ამგვარი გადასვლით, ერთი მხრივ, უზრუნველყოფილი უნდა იქნეს, რომ დაზარალებულმა ზიანის ანაზღაურებაზე მეტი არ მიიღოს. მეორე მხრივ, თავიდან უნდა იქნეს აცილებული, რომ ანაზღაურებაზე ვალდებულმა პირმა (დამზიანებელმა) სარგებელი მიიღოს დაზარალებულის მიერ დადებული დაზღვევის ხელშეკრულებიდან ან მის მიერ მესამე პირებისაგან მიღებული სხვა შესრულებიდან, მათ შორის სოციალური დახმარებიდან, შრომის ანაზღაურების გაგრძელებიდან და სხვ.¹⁰

1. მესამე პირის შესრულება დამზიანებელს პასუხისმგებლობისაგან არ ათავისუფლებს

როგორც მოთხოვნის კანონისმიერი ცესია ცხადყოფს, რომელიც სხვაგვარად პრაქტიკულ მნიშვნელობას დაკარგავდა, მზღვეველისა და სხვა შესრულების განმხორციელებელი სუბიექტების მიერ განხორციელებული შესრულება დამზიანებელს მისი ვალდებულებისაგან არ ათავისუფლებს.¹¹ ამ მხრივ არაფერი იცვლება მაშინაც, როდესაც დამზიანებელი და დაზარალებული ერთ ოჯახად ცხოვრობენ (დანვრილებით იხ. ქვემოთ, C. IV. 1). კანონმდებლის ეს კონცეფცია შეესაბამება სარგებლის ჩათვლის/გამოქვითვის ზოგად პრინციპებს, რომელთა მიხედვითაც მესამე პირის ისეთი შესრულება, რომელიც თავისი მიზნის გათვალისწინებით დამზიანებლის გათავისუფლებას არ ემსახურება, ზიანს არ აღმოფხვრის.¹²

10 BGH, Urteil vom 9. Juli 2024 - VI ZR 252/23 - juris Rn. 14; BGH, Urteil vom 22. Januar 2021 - V ZR 12/19 - NJW-RR 2021, 401 juris Rn. 32; BGH, Urteil vom 18. Oktober 2018 - III ZR 236/17 - NJW 2019, 150, juris Rn. 18

11 BGH, Urteil vom 22. Januar 2021 - V ZR 12/19 - NJW-RR

2021, 401, juris Rn. 32; BGH, Urteil vom 18. Oktober 2018 - III ZR 236/17 - NJW 2019, 150, juris Rn. 18.

12 Voit in: Bruck/Möller, VVG, 9. Aufl. 2009, § 86 Rn. 3; Freymann in: Freymann/Wellner, jurisPK-Straßenverkehrsrecht, 2. Aufl., § 86 VVG (Stand:

2. მესამე პირები/თანადაზღვეული პირები

კანონისმიერი ცესია მხოლოდ მესამე პირების მიმართ არსებულ მოთხოვნებს მოიცავს.

ნორმის მიზნიდან გამომდინარეობს, რომ კერძო სადაზღვეო სამართალში მესამე პირებად მხოლოდ ის ანაზღაურებაზე ვალდებული პირები მიიჩნევიან, რომელთა დაცვასაც დაზღვევა, სადაზღვეო პირობების მიხედვით, არ ემსახურება.¹³ შესაბამისად, მესამე პირებად არ მიიჩნევიან არც თავად დამზღვევი და არც თანადაზღვეული პირები, რამდენადაც დაზღვევა სხვისი ინტერესის დაზღვევის ელემენტებს შეიცავს.¹⁴ თანადაზღვეული პირების წრე სადაზღვეო პირობებით განისაზღვრება.

ა) სამართლებრივი მდგომარეობა გერმანიაში

გერმანიაში ავტოსატრანსპორტო საშუალების სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის სფეროში, ავტომოტოტრანსპორტის დაზღვევის ზოგადი პირობების (AKB) A.1.2 პუნქტის თანახმად, ასეთ პირებს, სხვებთან ერთად, მიეკუთვნებიან დამზღვევისაგან განსხვავებული ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელი, მძღოლი და მესაკუთრე. ამავე ჩამონათვალში, დროის ცვლილების თვალსაჩინო ნიშნად, ერთი მხრივ, ჯერ კიდევ მოხსენიებულია გერმანიაში უკვე აღარარსებული ავტობუსის კონდუქტორი, ხოლო, მეორე მხრივ, ავტონომიური მართვის ფუნქციის მქონე ავტოსატრანსპორტო საშუალების ტექნიკური ზედამხედველი.¹⁵

განსხვავებული მდგომარეობაა ავტოსატრანსპორტო საშუალების სრული კასკოს დაზღვევის შემთხვევაში. ვინაიდან იგი პასუხისმგებლობის დაზღვევა კი არა, VVG-ის 88-ე და მომდევნო პარაგრაფების გაგებით ქონების დაზღვევაა და, ამდენად, ზიანის დაზღვევის ქვესახეობას წარმოადგენს, დაზღვევის ამ სახეობის ბუნებიდან გამომდინარე, თანადაზღვეული შეიძლება იყოს მხოლოდ ის პირი, რომელსაც ნივთის დაცვა აინტერესებს (შდრ. AKB-ის A.2.3 პუნქტი). მაგალითად, ლიზინგის ხელშეკრულების შემთხვევაში, ლიზინგის გამცემს, როგორც ავტოსატრანსპორტო საშუალების მესაკუთრეს, აქვს ლიზინგის მიმღების მიერ დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალების ქონებრივი დაზღვევის ინტერესი და, შესაბამისად, თანადაზღვეულია. ამის საპირისპიროდ, დამზღვევისაგან განსხვავებული მძღოლი სრული კასკოს დაზღვევაში თანადაზღვეულ პირად ვერ ჩაითვლება ვერც სადაზღვეო პირობების ტექსტის და ვერც ქონების დაზღვევის ფუნქციის მიხედვით.¹⁶

ეს იმავდროულად ნიშნავს, რომ ავტოსატრანსპორტო საშუალების დაზიანების გამო მძღოლის მიმართ დამზღვევის კუთვნილი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა კასკოს მზღვეველზე გადადის. ამიტომ უფლებამოსილი მძღოლის დაცვა მხოლოდ სადაზღვეო პირობებში გათვალისწინებული რეგრესზე უარის მეშვეობითაა შესაძლებელი, როგორც ეს AKB-ის A.2.8 პუნქტშია მოწესრიგებული.¹⁷ რეგრესზე უარის შესახებ იხ. ქვემოთ, D.

09.09.2024), Rn. 13; მესამე პირთა შესრულებისას სარგებლის ჩათვლის ზოგადი პრინციპების შესახებ: BGH, Urteil vom 16. Januar 2024 - VI ZR 239/22 - DAR 2024, 210, juris Rn. 16.

13 Freyemann in: Freyemann/Wellner, jurisPK-Straßenverkehrsrecht, 2. Aufl., § 86 VVG (Stand: 09.09.2024), Rn. 19

14 BGH, Urteil vom 13. März 2018 - VI ZR 151/17 - NJW 2018, 2120, juris Rn. 19; BGH, Urteil vom 5. März 2008 - IV ZR 89/07 - BGHZ 175, 374, juris Rn. 8; Freyemann in: Freyemann/Wellner, jurisPK-Straßenverkehrsrecht, 2. Aufl., § 86 VVG (Stand: 09.09.2024), Rn. 19

15 <https://www.gdv.de/resource/blob/6178/ec39e06d2f552aca5f35f19277c94603/01-allgemeine-bedingungen-fuer-die-kfz-versicherung-akb-2015--data.pdf>

16 გაბატონებული მოსაზრება: BGH, Urteil vom 30. März 1965 - VI ZR 248/63 - BGHZ 43, 295, juris Rn. 7; Freyemann in: Freyemann/Wellner, jurisPK-Straßenverkehrsrecht, 2. Aufl., § 86 VVG (Stand: 09.09.2024), Rn. 21.

17 „თუ სხვა პირი ავტოსატრანსპორტო საშუალებას უფლებამოსილად მართავს და ზიანის გამომწვევი შემთხვევა დგება, ამ პირისაგან ჩვენს შესრულებას უკან არ მოვითხოვთ, თუ ზიანი ბრალის გარეშე ან მარტივი გაუფრთხილებლობითაა გამოწვეული. თუმცა უხეში გაუფრთხილებლობით ზიანის გამოწვევისას უფლება გვაქვს, ჩვენი შესრულება ბრალის სიმძიმის შესაბამისი ოდენობით უკან მოვითხოვოთ. თუ ზიანის დადგომისას მძღოლი თქვენთან ერთ ოჯახურ მეურნეობაში ცხოვრობს, უხეში გაუფრთხილებლობით ზიანის გამომწვევის

ანის ანაზღაურების მოთხოვნებთან მიმართებით, რომლებიც სადაზღვეო დაფარვას ექვემდებარება, მძღოლი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 832-ე მუხლის პირველი ნაწილის გაგებით მესამე პირი არ არის.

გავრცელებული პრაქტიკისაგან განსხვავებით, სხვა კასკოს მზღვეველის სტანდარტულ პირობებში, მიუხედავად ამისა, აღნიშნულია:

„თუ აღდაგში დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალება დაზიანდა და პასუხისმგებელი პირი არ არის დამზღვევი ან უფლებამოსილი მძღოლი, აღდაგი დამზღვევს სრულად აუნაზღაურებს ზიანს, მათ შორის მაშინაც, როდესაც შეძენილია ფრანშიზიანი პროდუქტი. ასეთ შემთხვევაში მზღვეველი დამზღვევისათვის ანაზღაურებულ თანხას მოსთხოვს პასუხისმგებელ პირს, რომელსაც წარმოშობილი ზიანის ანაზღაურება სამოქალაქო სამართლის საფუძველზე ეკისრება.“

„მესამე პირია ნებისმიერი პირი, რომელიც არც მზღვეველია და არც დამზღვევი და არ მონაწილეობს მზღვეველსა და დამზღვევს შორის არსებულ სამართლებრივ ურთიერთობაში. ამ განმარტების თანახმად, მესამე პირებად არ მიიჩნევიან: უფლებამოსილი მძღოლი, დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალების მგზავრები, ოჯახის წევრები და პირველი რიგის ნათესავები, თანამშრომლები ან დაქვემდებარებული დასაქმებულები.“²¹

ც) განსხვავებები ავტოსატრანსპორტო საშუალების სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის სფეროში

ავტოსატრანსპორტო საშუალების სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის ფარგლებში ზიანის რეგულირებისას საქართველოსა და გერმანიას შორის სამართლებრივი განსხვავებები არსებობს, თუმცა შედეგი იდენტურია.

საქართველოსაგან განსხვავებით, გერმანიაში VVG-ის 115-ე პარაგრაფის საფუძველზე დაზარალებულს ავტოსატრანსპორტო საშუალების პასუხისმგებლობის მზღვეველის მიმართ ე.წ. პირდაპირი მოთხოვნა აქვს. ეს ნიშნავს, რომ დაზარალებული უშუალოდ იძენს მზღვეველის მიერ დაზღვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას ავტოსატრანსპორტო საშუალების პასუხისმგებლობის მზღვეველის მიმართ. ამიტომ მზღვეველი დაზარალებულისათვის შესრულების განხორციელებით საკუთარ ვალდებულებას ასრულებს. შედეგად, VVG-ის 86-ე პარაგრაფით გათვალისწინებული ცესიის ნაცვლად, რომელიც ამ შემთხვევაში გამოირიცხება, უშუალოდ გამოიყენება სოლიდარულ მოვალეთა შორის შიდა ანგარიშსწორების კანონისმიერი წესები.²² მათ შორისაა BGB-ის 426-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული *cessio legis*. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 473-ე მუხლი ანალოგიურ ცესიას არ ითვალისწინებს.²³

BGB-ის 426-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ცესიიდან გამონაკლისს არ წარმოადგენენ არც VVG-ის 86-ე პარაგრაფისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 832-ე მუხლის გაგებით მესამე პირები და არც VVG-ის 86-ე პარაგრაფის მე-3 ნაწილის გაგებით ოჯახის წევრები, რომელსაც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 832-ე მუხლის მე-2 ნაწილი შეესაბამება. ამიტომ გერმანიაში ავტოსატრანსპორტო საშუალების სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის სფეროში თანადაზღვეული უფლებამოსილი მძღოლის დაცვა VVG-ის 116-ე პარაგრაფის პირველი ნაწილის პირველი წინადადებით მიიღწევა. ამ ნორმის თანახმად, სოლიდარულ მოვალეთა შიდა ურთიერთობაში მხოლოდ მზღვეველია ვალდებული იმ ფარგლებში, რა ფარგლებშიც მას სადაზღვეო ურთიერთობიდან დამზღვევისათვის შესრულება ეკისრება. ეს წესი მოიცავს თანადაზღვეულ

21 Aldagi Insurance: <https://demo.aldagi.ge/individual/auto-insurance>.

22 დამზიანებელ დამზღვევთან სოლიდარული ვალდებულების შესახებ შდრ. VVG-ის 116-ე პარაგრაფის პირველი ნაწილის მე-4 წინადადება.

23 BGH, Urteil vom 13. Juli 1988 - IVa ZR 55/87 - BGHZ 105,

140, juris Rn. 5 ff.; OLG Koblenz, Beschluss vom 2. Mai 2011 - 10 U 1493/10 - VersR 2012, 1026, juris Rn. 11; Freymann in: Freymann/Wellner, jurisPK-Straßenverkehrsrecht, 2. Aufl., § 86 VVG (Stand: 09.09.2024), Rn. 45

მძღოლსაც, რომელიც სოლიდარულ ვალდებულებაში დამატებითი დამზიანებლის სახით მონაწილეობს, რადგან ამ თვალსაზრისით თანადაზღვეული პირის სამართლებრივი მდგომარეობა დამზღვევის მდგომარეობას უტოლდება.²⁴ ოჯახის წევრების დაცვის შესახებ იხ. C. IV. 1.

ვინაიდან კანონისმიერი ცესიის ნორმების ფარგლებში თანადაზღვეული პირი დამზღვევს უთანაბრდება, ცესიას ასევე მოიცავს იმ მოთხოვნებს, რომლებიც თანადაზღვეულ პირს მესამე პირის მიმართ ეკუთვნის.²⁵ ეს საკითხი, მაგალითად, შეიძლება მნიშვნელოვანი გახდეს ლიზინგით გაცემული ავტოსატრანსპორტო საშუალების კასკოს დაზღვევისას. თუმცა გერმანიაში მას AKB-ის A.2.8 პუნქტიდან გამომდინარე რეგრესის აკრძალვა გადაფარავს. საილუსტრაციოდ ქვემოთ, D ნაწილში, ნაწილობრივ მოყვანილია ბრაუნშვაიგის უმაღლესი სამხარეო სასამართლოს გადაწყვეტილება.

II. სამართლებრივი ურთიერთობების გამიჯვნა

ერთი მხრივ, დაზარალებულსა და მის მზღვევს ან სხვა შესრულების განმახორციელებელ სუბიექტს შორის და, მეორე მხრივ, დაზარალებულსა და დამზიანებელს შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობები მკაცრად უნდა გაიმიჯნოს, რაც ე.წ. გამიჯვნის პრინციპს წარმოადგენს. გერმანიაში დამზღვევს ან თანადაზღვეულ პირსა და დაზარალებულ მესამე პირს შორის ურთიერთობას, შემოკლებით, პასუხისმგებლობის ურთიერთობას უწოდებენ, ხოლო მზღვეველსა და დამზღვევს ან თანადაზღვეულ პირს შორის ურთიერთობას - სადაზღვეო დაფარვის ურთიერთობას.

1. ზოგადი პრინციპები

მზღვეველისა და სხვა შესრულების განმახორციელებელი სუბიექტების შესრულების ვალდებულებები, როგორც წესი, გავლენას არ ახდენს დამზიანებლის ზიანის ანაზღაურების ვალდებულების მოცულობაზე. დამზიანებლის პასუხისმგებლობა, როგორც საფუძვლის, ისე ოდენობის მხრივ, თავდაპირველად მხოლოდ სამოქალაქო სამართლის დელიქტური და ზიანის ანაზღაურების ნორმებით ან პასუხისმგებლობის სხვა სპეციალური წესებით განისაზღვრება, მაგალითად, ავტოსატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციისას.²⁶ აქედან იმავდროულად გამომდინარეობს, რომ ზიანი, რომელიც დამზიანებელმა პასუხისმგებლობის ურთიერთობის ფარგლებში უნდა აანაზღაუროს, ავტომატურად არ უტოლდება იმ ქონებრივ დანაკლისს, რომელსაც მზღვეველი სადაზღვეო დაფარვის ურთიერთობიდან გამომდინარე შესრულების ვალდებულების გამო განიცდის.²⁷

იგივე წესი, საპირისპირო პერსპექტივიდან, ვრცელდება მზღვეველისა და სხვა შესრულების განმახორციელებელი სუბიექტების ვალდებულებებზეც. სამართლებრივად მათი შესრულების ვალდებულება მხოლოდ სადაზღვეო ხელშეკრულების დებულებებით ან სხვა შესრულების განმახორციელებელი სუბიექტების ვალდებულების განმსაზღვრელი შესაბამისი კანონისმიერი წესებით განისაზღვრება და არა, ყოველ შემთხვევაში უშუალოდ არა, პასუხისმგებლობის ურთიერთობით. თუმცა სადაზღვეო ხელშეკრულებები და კანონისმიერი შესრულების ვალდებულებები უმეტესად ისეა კონსტრუირებული, რომ მზღვეველის ან სხვა შესრულების

24 შდრ. OLG Hamm, Urteil vom 14. März 2017 - 24 U 46/16 - NJW 2018, 167, juris Rn. 41; OLG Koblenz, Urteil vom 9. Januar 2006 - 12 U 622/04 - juris Rn. 24; Lennartz in: Freymann/Wellner, jurisPK-Straßenverkehrsrecht, 2. Aufl., § 116 VVG (Stand: 02.05.2023), Rn. 9; Beckmann in: Bruck/Möller, VVG, 10. Auflage, § 116 VVG 2008, Rn. 4.

25 BGH, Urteil vom 5. März 2008 - IV ZR 89/07 - BGHZ 175, 374, juris Rn. 8; OLG Braunschweig, Beschluss vom 19. September 2017 - 11 U 10/17 - NJW-RR 2018, 164, juris Rn. 7

26 ამის შესახებ: რუსიაშვილი/ჭაგენლოზი, ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელის პასუხისმგებლობის ზოგადი მიმოხილვა გერმანული და ქართული სამართლის მიხედვით, გვ. 1 და მომდევნო; <https://lawjournal.ge/wp-content/uploads/DGZR-1-2024-GEO-1.pdf>; სარკინიგზო სატრანსპორტო საშუალებების შესახებ: რუსიაშვილი/ჭაგენლოზი, სატრანსპორტო საშუალებათა მფლობელების პასუხისმგებლობა ავტოსაგზაო შემთხვევებისას: პასუხისმგებლობის შეწონვა, გვ. 1, 33; <https://lawjournal.ge/wp-content/uploads/DGZR-5-2024.pdf>.

27 BGH, Urteil vom 9. Juli 2024 - VI ZR 252/23 - juris Rn. 11

განმახორციელებელი სუბიექტის ხელშეკრულებით ან კანონით განსაზღვრული შესრულების მოცულობა დამზიანებლის სამოქალაქოსამართლებრივი ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას ემთხვევა. მაგალითად, მოგზაურობის გაუქმების დაზღვევისას მზღვეველის ვალდებულება სადაზღვეო დაფარვის ურთიერთობაში დამოკიდებულია დამზღვევის ვალდებულებაზე პასუხისმგებლობის ურთიერთობაში. შესაბამისად, მზღვეველმა დამზღვევს უნდა გადაუხადოს ის თანხა, რომელიც დაზღვეულმა თავის ხელშეკრულ მხარეს გაუქმების ხარჯების, ანუ ზიანის ანაზღაურების სახით უნდა გადაუხადოს.²⁸

თუმცა ყოველთვის ასე არ არის და შესრულების ვალდებულებათა განსხვავებული მოცულობაც არცთუ იშვიათია. მაგალითად, დამზიანებელი შეიძლება ვალდებული იყოს, დაზარალებულს კონკრეტული სამედიცინო მკურნალობის ხარჯები აუნაზღაუროს, მაშინ როდესაც ჯანმრთელობის მზღვეველის სადაზღვეო პირობებით ეს სამედიცინო მომსახურება დაფარვიდან გამორიცხულია. ასეთ შემთხვევაში ჯანმრთელობის მზღვეველის შესრულების ვალდებულება დამზიანებლის ზიანის ანაზღაურების ვალდებულებაზე ნაკლებია. შესაძლებელია საპირისპიროც: სადაზღვეო პირობების თანახმად, მზღვეველს შეიძლება ევალდებოდეს ისეთი სამედიცინო მკურნალობის, მაგალითად, კერძო კლინიკაში მკურნალობის ხარჯების დაფარვა, რომელთა ანაზღაურებაც დამზიანებელს სამოქალაქო სამართლის წესებით განსაზღვრული პასუხისმგებლობის ფარგლებში არ ეკისრება.²⁹ კანონისმიერი ცესიის შედეგად მზღვეველს თავისი დანახარჯების ანაზღაურება მხოლოდ იმ

ფარგლებში შეუძლია, რა ფარგლებშიც პასუხისმგებლობის ურთიერთობაში ზიანის ანაზღაურების მოთხოვნები წარმოიშვა.³⁰

საწინააღმდეგო გარემოების არარსებობისას უნდა ვივარაუდოთ, რომ სადაზღვეო პირობები სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის მოთხოვნათა მოცულობასთან „ჰარმონიზებულია“ და მას, გარკვეულწილად, აქცესორულად მიჰყვება. ამიტომ საეჭვოობისას სადაზღვეო პირობები ისე უნდა განიმარტოს, რომ დამზღვევისათვის შეუცნობელი ხარვეზები სადაზღვეო დაფარვაში არ წარმოიშვას.³¹

2. ცალკეული საკითხები

ა) ცესიით უფლების შინაარსი არ იცვლება

დაზარალებულის მოთხოვნა ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის მიმართ კანონისმიერი ცესიის გზით, როგორც წესი, უცვლელი სახით გადადის, ანუ ზუსტად იმ შინაარსით, რა შინაარსითაც იგი დაზარალებულს ეკუთვნოდა.³² მოთხოვნასთან დაკავშირებული პრივილეგიები და ტვირთები ძალაში რჩება (შდრ. BGB-ის 412-ე და 404-ე პარაგრაფები; საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 207-ე, 201-ე და 205-ე მუხლები).

ის, რომ დამზიანებლის მიმართ მოთხოვნა უცვლელი სახითა და ყველა შესაგებელთან ერთად მზღვეველზე გადადის, საქართველოს სამართლო პრაქტიკაში, ძირითადად, ხანდაზმულობასთან დაკავშირებით იქნა განხილული.³³

საქართველოს რკინიგზამ, როგორც გადამ-

28 დაწვრილებით: BGH, Urteil vom 21. April 2021 - IV ZR 169/20 - NJW 2021, 2118, juris Rn. 12.

29 იმ წინაპირობების შესახებ, რომელთა არსებობისას გერმანიაში დამზიანებელი გამონაკლისის სახით ვალდებულია, კანონისმიერი ჯანმრთელობის დაზღვევით დაცულ დაზარალებულს კერძო პაციენტის სახით მკურნალობის ხარჯები აუნაზღაუროს, შდრ. BGH, Urteil vom 6. Juli 2004 - VI ZR 266/03 - BGHZ 160, 26, juris Rn. 8 ff.

30 BGH, Urteil vom 9. Juli 2024 - VI ZR 252/23 - juris Rn. 13; BGH, Urteil vom 10. Juli 2007 - VI ZR 192/06 - BGHZ 173, 169, juris Rn. 13

31 BGH, Urteil vom 25. Juni 2008 - IV ZR 313/06 - NJW-RR 2008, 1350, juris Rn. 17

32 BGH, Urteil vom 9. Juli 2024 - VI ZR 252/23 - juris Rn. 15; BGH, Urteil vom 7. Dezember 2021 - VI ZR 1189/20 - NJW-RR 2022, 539, juris Rn. 19; BGH, Urteil vom 17. Oktober 2017 - VI ZR 423/16 - BGHZ 216, 149, juris Rn. 29

33 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 5 სექტემბრის განჩინება - ას-581-549-2011; ასევე სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი/ირემაშვილი, მუხ. 832, ველი 16 (4.10.2024), <https://gcc.tsu.ge/>.

ზიდველმა, გადაზიდვის წესების დარღვევის შედეგად მალფუჭებადი საქონელი დააზიანა. მზღვეველმა დაზღვეულს ზიანი აუნაზღაურა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 832-ე მუხლის საფუძველზე საქართველოს რკინიგზის წინააღმდეგ სარჩელი აღძრა. თბილისის საქალაქო სასამართლომ მზღვეველის სარჩელი სპეციალური ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო უარყო. სასამართლოს მოსაზრებით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 832-ე მუხლით გათვალისწინებული მზღვეველის უფლება ზიანის სრულად რეგულირების მომენტიდან წარმოიშობა. შესაბამისად, ხანდაზმულობის ვადა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 699-ე მუხლით, გადამზიდველის მიმართ მოთხოვნათა ხანდაზმულობის ვადით, უნდა განსაზღვრულიყო, რომელიც სარჩელის აღძვრის მომენტისათვის უკვე გასული იყო. პირველი ინსტანციისაგან განსხვავებით, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მზღვეველის სარჩელი „არ იყო აღძრული გადაზიდვის ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლებების დარღვევის საფუძველზე, არამედ ემყარებოდა მზღვეველის რეგრესული მოთხოვნის უფლებას“ და ამიტომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული საერთო სამწლიანი ხანდაზმულობის ვადა გამოიყენა. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ეს გადაწყვეტილება გააუქმა და განმარტა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 832-ე მუხლის საფუძველზე მოთხოვნა ახალ კრედიტორზე იმავე მდგომარეობაში გადადის, როგორშიც იგი თავდაპირველი კრედიტორის ხელში იყო. შესაბამისად, თუ დაზარალებულის მოთხოვნა დამზიანებლის მიმართ ხანდაზმულია, მზღვეველის მოთხოვნაც ხანდაზმულად მიიჩნევა.

დამზიანებლის მიერ ნაწილობრივ შესრულებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა მზღვეველზე მხოლოდ დარჩენილი ოდენობით გადადის:

„მოსარჩელის განმარტებით, 2014 წლის 6 დეკემბერს ავტოსატრანსპორტო საშუალება ... შეეჯახა ლ.-ის საკუთრებაში არსებულ ავტოსატრანსპორტო საშუალებას, შემდგომში - „დამზღვევი“. საპატრულო პოლიციის 2015

წლის 6 მარტის ადმინისტრაციული აქტის N ... საფუძველზე მოპასუხე მიჩნეულ იქნა სამართალდარღვევის ჩამდენ მძღოლად. ავტოსატრანსპორტო საშუალება „...“ დაზღვეული იყო მოსარჩელე სადაზღვეო კომპანიაში, რომელმაც დამზღვევისათვის მიყენებული ზიანი აანაზღაურა, რაც მოპასუხის მიმართ სადაზღვეო კომპანიის რეგრესული მოთხოვნის საფუძველს წარმოადგენს.

დამზღვევი პროცესში მესამე პირად ჩაერთო და სასარჩელო მოთხოვნას მხარი დაუჭირა. მან მიუთითა, რომ ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად მისი ავტოსატრანსპორტო საშუალება დაზიანდა და მისი ღირებულება 8 000-დან 8 500 აშშ დოლარამდე შეადგენდა. ჯანმრთელობა დაუზიანდა მის დედასაც, რომელსაც სამედიცინო მკურნალობა დასჭირდა. სადაზღვეო კომპანიამ ზიანის მხოლოდ ნაწილი, 5 000 ლარამდე ოდენობით, აანაზღაურა, ხოლო დამზღვევმა ავტოსატრანსპორტო საშუალების სათადარიგო ნაწილებად გაყიდვით 2 400 აშშ დოლარი მიიღო. მოპასუხის მიერ გადახდილი 3 000 აშშ დოლარი დარჩენილი ზიანის დაფარვას ემსახურებოდა.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოპასუხის მიერ 2014 წლის 6 დეკემბერს ჩადენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შედეგად დაზიანდა დამზღვევის საკუთრება - დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალება, რომელიც მზღვეველს 11 400 ლარად ჰქონდა დაზღვეული. დაზიანებული ავტოსატრანსპორტო საშუალება, რომლის ნარჩენი ღირებულება 2 500 აშშ დოლარს, ანუ 4 490 ლარს შეადგენდა, დამზღვევის საკუთრებაში დარჩა. 2015 წლის 14 იანვარს მოპასუხემ დამზღვევს ზიანის რეგულირების მიზნით 3 000 აშშ დოლარი გადაუხადა. 2015 წლის 29 იანვარს მზღვეველმა დამზღვევს 4 828,7 ლარის ოდენობის სადაზღვეო ანაზღაურება გადაუხადა.

...

სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ 2015 წლის 29 იანვრის მდგომარეობით დამზღვევს დამზიანებლის მიმართ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა მხოლოდ 639,9 ლარის ოდენობით ჰქონდა. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ მზღვეველმა დამზღვევს 4 828,7 ლარი გადაუხადა, მზღვეველზე 639,9 ლარზე მეტი

ოდენობის მოთხოვნა ვერ გადავიდოდა.³⁴

მოთხოვნის მზღვეველზე უცვლელი სახით გადასვლის ეს პრინციპი საქართველოს უზენაესი სასამართლოს მრავალ გადაწყვეტილებაში გვხვდება. თუმცა ამ გადაწყვეტილებებში განხილული ფაქტობრივი გარემოებები იმდენად მარტივი იყო, რომ მათ საფუძველზე შეუძლებელია დასკვნის გაკეთება, სწორად იყენებს თუ არა საქართველოს სასამართლო პრაქტიკა ამ მაქსიმას რთულ სამართლებრივ კონსტელაციებშიც.

„სამოქალაქო კოდექსის 832-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ მოთხოვნა მზღვეველზე მხოლოდ იმ ანაზღაურების ფარგლებში გადადის, რომლის მოთხოვნაც დამზღვევს დამზიანებლისაგან შეუძლია. ...

მოცემულ შემთხვევაში ვალდებულებით სამართლებრივი ურთიერთობის არც შინაარსი და არც ხასიათი არ იცვლება; იცვლება მხოლოდ ამ ურთიერთობის კრედიტორი, რადგან სადაზღვეო კომპანია დამზღვევის ადგილს იკავებს.“³⁵

ბ) ცესია მხოლოდ არსებული შესრულების ვალდებულების ნაწილში

SGB X-ის 116-ე პარაგრაფის ფორმულირებიდან, „უნდა განახორციელოს“, გამომდინარე, შესრულების ვალდებულების არსებობა, სულ მცირე კანონისმიერი სოციალური დაზღვევის სფეროში, კანონისმიერი ცესიის წინაპირობაა.³⁶ კერძო სადაზღვეო სამართლის სფეროში BGH-მ ერთ ძველ გადაწყვეტილებაში, რომელიც უფრო განსაკუთრებულ შემთხვევას შეეხებოდა, ფაქტობრივი შესრულების განხორციელება საკმარისად მიიჩნია.³⁷ თუმცა ეს მიდგომა საეჭვოა. ერთი მხრივ, მზღვეველის კანონიერ ინტერესებს სამართლებრივი საფუძვლის გარეშე

შესრულების შემთხვევაში სათანადოდ იცავს უსაფუძვლო გამდიდრებიდან გამომდინარე მოთხოვნები. მეორე მხრივ, ცესიასთან დაკავშირებული ჩარევა დამზღვევის უფლებებში მხოლოდ მაშინ შეიძლება გამართლდეს, როდესაც მზღვეველი ხელშეკრულების შესაბამისად მოქმედებს.

III. ანაზღაურების მოთხოვნის სახე/კონგრუენტულობა

1. ზოგადი პრინციპი

ცესიის ზემოაღნიშნული მიზნიდან გამომდინარე, კერძო ზიანის დაზღვევისას „ანაზღაურების მოთხოვნის“ ცნება ფართოდ უნდა განიმარტოს.³⁸

ამიტომ მოთხოვნის გადასვლისათვის გადამწყვეტი არა მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი, არამედ ანაზღაურების მოთხოვნის ეკონომიკური ფუნქციაა.³⁹ ეს, კერძოდ, მოიცავს მოთხოვნებს, რომლებიც მიმართულია არა BGB-ის 249-ე და მომდევნო პარაგრაფების ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 408-ე და მომდევნო მუხლების გაგებით ზიანის ანაზღაურებისაკენ, არამედ განეული დანახარჯების ანაზღაურებისაკენ.

ამ მხრივ საქართველოს სამართალში არაფერს ცვლის ის გარემოება, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 832-ე მუხლის პირველი ნაწილი, VVG-ის 86-ე პარაგრაფისაგან განსხვავებით, „ზიანის“ ცნებას იყენებს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 832-ე მუხლის ნორმატიული მიზნის გათვალისწინებით, ეს ცნება ფორმალურ-იურიდიული მნიშვნელობით, 408-ე და მომდევნო მუხლებით განსაზღვრულ ზიანად

34 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 22 ივნისის განჩინება - ას-380-364-2016.

35 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 5 სექტემბრის განჩინება - ას-581-549-2011.

36 SGB X-ის 116-ე პარაგრაფის შესახებ: BGH, Urteil vom 9. Juli 2024 - VI ZR 252/23 - juris Rn. 12; BGH, Urteil vom 8. Juli 2003 - VI ZR 274/02 - BGHZ 155, 342, juris Rn. 15; BGH, Urteil vom 18. Oktober 2022 - VI ZR 1177/20 - VersR 2023, 129, juris Rn. 14; SGB X-ის 102-ე და მომდევნო პარაგრაფების შესახებ: BSG, Urteil vom 31.

Oktober 2012 - B 13 R 11/11 R - Sgb 2014, 108, juris Rn. 38; Landessozialgericht Berlin-Brandenburg, Urteil vom 17. Januar 2024 - L 3 AS 320/21 - juris Rn. 39.

37 BGH, Urteil vom 23. November 1988 - IVa ZR 143/87 - NJW-RR 1989, 922, juris Rn. 11

38 BGH, Urteil vom 22. Januar 2021 - V ZR 12/19 - juris NJW-RR 2021, 401, juris Rn. 32

39 BGH, Urteil vom 22. Januar 2021 - V ZR 12/19 - juris NJW-RR 2021, 401, juris Rn. 32

კი არ უნდა იქნეს გაგებული, არამედ ზოგადენობრივი მნიშვნელობით - როგორც „ეკონომიკური დანაკლისი“.

კანონისმიერი მოწესრიგების ამ მიზნიდან ასევე გამომდინარეობს, რომ მზღვეველის შესრულება და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა კონგრუენტული, ანუ გარკვეული გაგებით ერთგვაროვანი უნდა იყოს. ამიტომ გადასვლას არ ექვემდებარება ისეთი ხელყოფის კომპენსაციის მოთხოვნა, რომელიც ეკონომიკური თვალსაზრისით დაზღვეულ რისკს არ შეესაბამება (დანვრილებით იხ. C. III).⁴⁰ ერთგვაროვნების ეს მოთხოვნა პირდაპირ მხოლოდ SGB X-ის 116-ე პარაგრაფის პირველ ნაწილშია ჩამოყალიბებული,⁴¹ თუმცა იგი ნორმის მიზნიდანაც და მოთხოვნის გადასვლის ფარგლების განმსაზღვრელი სიტყვის „რამდენადაც“ გამოყენებიდანაც გამომდინარეობს, თუნდაც ეს ენობრივად ნაკლებად თვალსაჩინო იყოს (შდრ. VVG-ის 86-ე პარაგრაფი; საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 832-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადების ბოლო ნაწილი).

ერთგვაროვნება შეეხება როგორც პერიოდს, ისე მოთხოვნის სახესა და მოთხოვნის კონკრეტულ საგანს. ჩვეულებრივ, მოთხოვნის, პერიოდისა და მოთხოვნის საგნის ერთგვაროვნებას საერთო ტერმინით „კონგრუენტულობას“ უწოდებენ. განსხვავებათა უფრო მკაფიოდ წარმოსაჩენად, „კონგრუენტულობის“ ცნება, ვინრო გაგებით, ზოგჯერ მხოლოდ იმ საკითხის აღსანიშნავად გამოიყენება, მიმართულია თუ არა ანაზღაურების მოთხოვნა ისეთი ხელყოფის კომპენსაციისაკენ, რომელიც ეკონომიკურად დაზღვეულ რისკს შეესაბამება დროის თვალსაზრისით - დროითი კონგრუენტულობა - და მოთხოვნის საგნის თვალსაზრისით - საგნობრივი კონგრუენტულობა.⁴²

2. მოთხოვნათა ერთგვაროვნება

მოთხოვნათა ერთგვაროვნება მოითხოვს, რომ, ერთი მხრივ, ანაზღაურების მოთხოვნებსა და, მეორე მხრივ, მზღვეველის ან სხვა შესრულების განმახორციელებელი სუბიექტის შესრულებებს არსებითად იდენტური სამართლებრივი და ეკონომიკური მიზანი ჰქონდეთ. ასეთი ერთგვაროვნება თავიდანვე არ არსებობს, როდესაც მზღვეველის შესრულება საერთოდ არ არის მიმართული ზემოაღნიშნული გაგებით „ანაზღაურებისაკენ“, ანუ კონკრეტული ეკონომიკური დანაკლისის კომპენსაციას არ ემსახურება (ქვემოთ, a). იგივეა, როდესაც მოთხოვნებს განსხვავებული სამართლებრივი ხასიათი აქვთ (ქვემოთ, b).

a) ზიანის დაზღვევა/მყარ თანხაზე დაზღვევა

aa) დაზღვევის სახეობების ერთმანეთისაგან გამიჯვნა

ზემოაღნიშნული ნორმატიული მიზნიდან გამომდინარეობს, რომ კერძო სადაზღვეო სამართალში მოთხოვნის გადასვლა მხოლოდ ე.წ. ზიანის დაზღვევის შემთხვევაშია შესაძლებელი (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 799-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადება; VVG-ის 74-ე და მომდევნო პარაგრაფები), ანუ მაშინ, როდესაც სადაზღვეო შესრულების ოდენობა კონკრეტულად წარმოშობილ ქონებრივ დანაკლისზეა დამოკიდებული (იხ. ასევე ზემოთ, B. II. 1).⁴³ ზიანის დაზღვევას უპირისპირდება ე.წ. მყარ თანხაზე დაზღვევა (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 799-ე მუხლის პირველი ნაწილის მე-2 წინადადება; ინგლისური უფრო გამჭვირვალე ტერმინით: fixed-

40 BGH, Urteil vom 22. Januar 2021 - V ZR 12/19 - NJW-RR 2021, 401, juris Rn. 32; BGH, Urteil vom 8. Dezember 1981 - VI ZR 153/80 - BGHZ 82, 338, juris Rn. 14 ff.

41 „სხვა კანონისმიერ დებულებებზე დაფუძნებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა სადაზღვეო სუბიექტზე, ინტეგრაციის დახმარების განმახორციელებელ სუბიექტზე ან სოციალური დახმარების განმახორციელებელ სუბიექტზე გადადის იმდენად, რამდენადაც მას ზიანის გამომწვევი შემთხვევის საფუძველზე უნდა განხორციელებინა სოციალური შესრულება, რომელიც

იმავე სახის ზიანის აღმოფხვრას ემსახურება და იმავე პერიოდს შეეხება, რომელსაც დამზიანებლის მიერ გადასახდელი ზიანის ანაზღაურება.“

42 ასეთი გამოყენების მაგალითია: BGH, Urteil vom 22. Januar 2021 - V ZR 12/19 - NJW-RR 2021, 401.

43 BGH, Urteil vom 4. Juli 2001 - IV ZR 307/00 - NJW-RR 2001, 1467, juris Rn. 25; Voit in: Bruck/Möller, VVG, 9. Aufl. 2009, § 86, Rn. 13, 17 ff.

sum insurance), რომელიც კონკრეტული მოთხოვნების დაფარვას არ ემსახურება. მისთვის დამახასიათებელია, რომ სადაზღვეო შემთხვევის დადგომისას სადაზღვეო შესრულების ოდენობა წინასწარაა განსაზღვრული და კონკრეტული ზიანის წარმოშობასა ან მის მოცულობაზე არ არის დამოკიდებული.⁴⁴

მაგალითად, კერძო ჯანმრთელობის დაზღვევა, რომელიც სამედიცინო მკურნალობის კონკრეტული ხარჯების ანაზღაურებას ემსახურება, VVG-ის 86-ე პარაგრაფისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 832-ე მუხლის გაგებით ზიანის დაზღვევაა. ზიანის დაზღვევის ხასიათს არ ცვლის ის გარემოება, რომ კერძო ჯანმრთელობის დაზღვევის პირობებით გათვალისწინებული შესრულების ვალდებულება დამზიანებლის ზიანის ანაზღაურების ვალდებულების ფარგლებს სცდება, მაგალითად, უკვე ნახსენები კერძო კლინიკაში მკურნალობის ხარჯების ანაზღაურების შემთხვევაში.⁴⁵

ამის საპირისპიროდ, ავადმყოფობის დღიური შემწეობის დაზღვევა და სტაციონარში ყოფნის დღიური შემწეობის დაზღვევა მყარ თანხაზე დაზღვევას მიეკუთვნება, რამდენადაც დაზღვეული, როგორც წესი, ავადმყოფობის ან სტაციონარში ყოფნის თითოეული დღისათვის ფიქსირებულ თანხას იღებს.⁴⁶ ეს მაშინაც ასეა, როდესაც სადაზღვეო პირობები შეიცავს ე.წ. შემზღუდავ ზღვარს, რომლის მიზანია, თავიდან აიცილოს კერძო ავადმყოფობის დღიური შემწეობისა და შრომითი შემოსავლის დაკარგვის ანაზღაურების კანონისმიერი მოთხოვნების, მაგალითად, გერმანიაში კანონისმიერი ჯანმრთელობის დაზღვევის ავადმყოფობის შემწეობის,

კუმულაციის შედეგად დაზღვეულისათვის იმაზე მეტი ფინანსური შემოსავლის მიღება, ვიდრე მას ზიანის გამომწვევი შემთხვევის გარეშე ექნებოდა.⁴⁷ ავადმყოფობის დღიური შემწეობის დაზღვევა კი ზიანის დაზღვევა იქნებოდა, თუ სადაზღვეო პირობების მიხედვით დღიური შემწეობა ზოგადად კონკრეტული შრომითი შემოსავლის დანაკლისის კომპენსაციაზე იქნებოდა ორიენტირებული.⁴⁸

როგორც უკვე აღინიშნა (ზემოთ, B. II. 1), ზიანის დაზღვევის ხასიათს, როგორც წესი, არ ცვლის ის გარემოება, რომ ზიანის გამომწვევი შემთხვევით წარმოშობილი ქონებრივი დანაკლისი პაუშალურად გამოითვლება, მაგალითად, საქმიანობის შეჩერების დაზღვევისას თითოეული შეჩერებული დღისათვის ფიქსირებული ტარიფის საფუძველზე. ეს, სულ მცირე, მაშინ მოქმედებს, როდესაც სადაზღვეო ხელშეკრულების მიზანი ეკონომიკური დანაკლისის კომპენსაციაა და ფიქსირებული ტარიფი ტიპიზებული შეფასებით ფაქტობრივ ზიანს მნიშვნელოვნად არ აღემატება.⁴⁹

bb) მყარ თანხაზე დაზღვევისას მოთხოვნა არ გადადის

ვინაიდან მყარ თანხაზე დაზღვევა კონკრეტული მოთხოვნების დაფარვას არ ემსახურება, მასზე არც VVG-ის 86-ე პარაგრაფი და არც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 832-ე მუხლი არ გამოიყენება. შესაბამისად, ამ დაზღვევებიდან გამომდინარე მოთხოვნები ყოველთვის დაზღვეულს რჩება და მას სარგებლის ჩათვლის პრინციპების საფუძველზე⁵⁰ მიღებული სადაზღვეო შესრულების ზიანში ჩათვლა არ

44 BGH, Urteil vom 4. Juli 2001 - IV ZR 307/00 - NJW-RR 2001, 1467, juris Rn. 25; Brandenburgisches Oberlandesgericht, Urteil vom 11. Januar 2023 - 11 U 34/22 - RuS 2023, 526, juris Rn. 23; OLG Stuttgart, Urteil vom 12. April 2022 - 1 U 205/18 - ZIP 2022, 1047, juris Rn. 99

45 გერმანულ ავტოსატრანსპორტო დაზღვევის სამართალში ე.წ. ახალი ღირებულების დათქმასთან დაკავშირებული ანალოგიური საკითხის შესახებ შდრ. Voit in: Bruck/Möller, VVG, 9. Aufl. 2009, § 86, Rn. 13.

46 BGH, Urteil vom 4. Juli 2001 - IV ZR 307/00 - NJW-RR 2001, 1467, juris Rn. 25; OLG Stuttgart, Urteil vom 12. April 2022 - 1 U 205/18 - ZIP 2022, 1047, juris Rn. 99;

OLG Oldenburg, Urteil vom 15. November 2006 - 5 U 68/05 - juris Rn. 46; LG Berlin, Urteil vom 16. April 2013 - 7 S 5/13 - VersR 2014, 191, juris Rn. 46

47 გამდიდრების აკრძალვის შესახებ შდრ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 17 თებერვლის განჩინება - ას-663-624-2011.

48 BGH, Urteil vom 4. Juli 2001 - IV ZR 307/00 - NJW-RR 2001, 1467, juris Rn. 25

49 BGH, Urteil vom 4. April 2001 - IV ZR 138/00 - BGHZ 147, 212, juris Rn. 16 ff.

50 გერმანული სამართლის ფუძემდებლური გადაწყვეტილება სიცოცხლის დაზღვევის შესრულებებთან დაკავშირებით: BGH, Urteil vom 19. Dezember 1978 - VI ZR

მოეთხოვება. დაზარალებულის შესაძლო გამდიდრება, რამდენადაც სადაზღვეო პირობები უკვე ნახსენებ შემზღუდავ ზღვარს არ შეიცავს, სამართლებრივად, როგორც წესი, პრობლემური არ არის, რადგან დაზარალებულმა ეს შედეგი ნებაყოფლობით გადახდილი პრემიებით „შეიძინა“⁵¹ და სადაზღვეო სამართალი გამდიდრების ზოგად აკრძალვას არ იცნობს.⁵²

ზიანის დაზღვევისა და მყარ თანხაზე დაზღვევის გამიჯვნა, ისევე როგორც ის გარემოება, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 832-ე მუხლი მხოლოდ პირველ მათგანზე გამოიყენება, პრინციპის დონეზე საქართველოს სამართლო პრაქტიკაშიც აღიარებულია:

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 799-ე მუხლის თანახმად, დაზღვევის ხელშეკრულებით მზღვეველი ვალდებულია, დამზღვევს ხელშეკრულების პირობების შესაბამისად აუნაზღაუროს სადაზღვეო შემთხვევის დადგომით მიყენებული ზიანი. მყარად განსაზღვრული სადაზღვეო თანხის შემთხვევაში მზღვეველი ვალდებულია, გადაიხადოს სადაზღვეო თანხა ან განახორციელოს სხვა შეთანხმებული მოქმედება. ... სამოქალაქო კოდექსი დაზღვევას სადაზღვეო ინტერესის მიხედვით ახარისხებს. ამ თვალსაზრისით გამოიყოფა ზიანის, სიცოცხლისა და უბედური შემთხვევის დაზღვევა. ზიანის დაზღვევის წესები მოიცავს როგორც ქონების დაზღვევის ხელშეკრულებებს, ისე მესამე პირის სასარგებლოდ დაზღვევისა და პასუხისმგებლობის დაზღვევის ხელშეკრულებებს.⁵³

სიცოცხლის დაზღვევისას სუბროგაციის პრინციპის გამოყენება შეზღუდულია. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ 2012 წლის 17 თებერვლის გადაწყვეტილებაში განმარტა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 832-

ე მუხლის ნორმები, რომლებიც ზიანის დაზღვევას შეეხება, სიცოცხლის დაზღვევაზე არ გამოიყენება. საკასაციო სასამართლოს განმარტებით, სიცოცხლის დაზღვევისას სადაზღვეო შემთხვევის დადგომა დამზღვევის ორმაგ მოთხოვნას მართალია წარმოშობს, თუმცა მზღვეველი უფლებამოსილი არ არის, განახორციელოს სადაზღვეო შესრულება და შემდეგ დელიქტური პასუხისმგებლობის საფუძველზე დამზიანებელს ამ შესრულების დაბრუნება მოსთხოვოს. შესაბამისად, სამოქალაქო კოდექსის 832-ე მუხლი, როგორც სპეციალური მონესრიგება, მოცემულ შემთხვევაზე ანალოგიით ვერ გავრცელდება, რადგან ასეთი განმარტება კანონის ობიექტურ მიზნებს არ შეესაბამება. ...

სიცოცხლის დაზღვევის ურთიერთობით გათვალისწინებული სადაზღვეო შემთხვევის დადგომისას დაზღვეულ მოთხოვნის მფლობელს ორმაგი მოთხოვნა წარმოეშობა. თუმცა მზღვეველი უფლებამოსილი არ არის, გადაიხადოს სადაზღვეო ანაზღაურება და შემდეგ დელიქტური პასუხისმგებლობის საფუძველზე შესაბამისი თანხა დამზიანებელს მოსთხოვოს. აქედან გამომდინარე, 832-ე მუხლი, რომელიც ასეთი ურთიერთობების მომწესრიგებელ სპეციალურ ნორმას წარმოადგენს, მოცემულ შემთხვევაზე ანალოგიით ვერ გავრცელდება, რადგან ასეთი განმარტება კანონის ობიექტურ მიზნებს არ შეესაბამება.⁵⁴

ამ შედეგის დასასაბუთებლად ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში შემდეგი მოსაზრებაა გამოთქმული:

„სიცოცხლის დაზღვევაში სუბროგაციის პრინციპის გამოყენების აკრძალვა ეფუძნება არგუმენტს, რომ ასეთ შემთხვევაში დამზღვევის უსაფუძვლო გამდიდრების საფრთხე უნდა

218/76 - BGHZ 73, 109, juris Rn. 40 ff.; მყარ თანხაზე დაზღვევის შესახებ: OLG Oldenburg, Urteil vom 15. November 2006 - 5 U 68/05 - juris Rn. 46; OLG Stuttgart, Urteil vom 12. April 2022 - 1 U 205/18 - ZIP 2022, 1047, juris Rn. 99.

51 vgl. BGH, Urteil vom 4. Juli 2001 - IV ZR 307/00 - NJW-RR 2001, 1467, juris Rn. 25

52 BGH, Urteil vom 18. Februar 2004 - IV ZR 94/03 - NJW-RR 2004, 753, juris Rn. 21; BGH, Urteil vom 4. April 2001 - IV ZR 138/00 - BGHZ 147, 212, juris Rn. 12 ff.

53 OGH, Beschluss vom 24. Dezember 2020 - ას-1121-2020.

54 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 17 თებერვლის განჩინება - ას-663-624-2011; ასევე სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი/ირემაშვილი, მუხ. 832, ველი 10 (4.10.2024), <https://gccc.tsu.ge/>, სააპელაციო სასამართლოს არგუმენტებზე მითითებით; ასევე საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 10 ოქტომბრის გადაწყვეტილება - 1057-1017-2016.

გამოირიცხოს. გარდა ამისა, სიცოცხლის დაზღვევით მოცული რისკის რეალიზაციისას მოსარგებლის სრული ანაზღაურება, დაკარგული სიცოცხლის აღდგენის გაგებით, შეუძლებელია.⁵⁵

თუმცა ეს დასაბუთება დამაჯერებელი არ არის. სიცოცხლის დაზღვევისას საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 832-ე მუხლის გამოუყენებლობა ეფუძნება არა გამდიდრების აკრძალვას ან „ზიანის კომპენსაციის ფარგლებში სიცოცხლის აღდგენის“ შეუძლებლობას, არამედ იმას, რომ სიცოცხლის დაზღვევა ზიანის დაზღვევა კი არა, მყარ თანხაზე დაზღვევაა. ასეთ დაზღვევაში სადაზღვეო შესრულება *per se* კონკრეტული მოთხოვნების დაფარვას არ ემსახურება და ამიტომ შესაძლო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნებთან თავიდანვე ვერ იქნება კონგრუენტული.

b) მოთხოვნათა ერთგვაროვანი სამართლებრივი ხასიათი

მოთხოვნათა ერთგვაროვნება თავიდანვე არ არსებობს, როდესაც დამზღვევის მოთხოვნა მესამე პირის მიმართ, მზღვეველის მიმართ მოთხოვნისაგან განსხვავებით, ვალდებულებითსამართლებრივი კი არა, სანივთოსამართლებრივი ხასიათისაა. თუ შენობის მზღვეველი დამზღვევს მეზობელი ნაკვეთიდან გავრცელებული ხანძრით გამოწვეული ზიანის აღმოფხვრის ხარჯებს უნაზღაურებს, დელიქტური ზიანის ანაზღაურებიდან გამომდინარე შესაძლო მოთხოვნა დათმობადია. თუმცა, თუ მეზობლის დელიქტური პასუხისმგებლობა არ არსებობს, წმინდა სამეზობლოსამართლებრივი მოთხოვნები, მაგალითად, საერთო სასაზღვრო ნაგებობის განადგურებით გამოწვეული შედეგის აღმოფხვრის მოთხოვნა (BGB-ის 922-ე პარაგრაფი ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 182-ე მუხლი),

შენობის მზღვეველზე ვერ გადავა.⁵⁶

ერთგვაროვნება ასევე არ არსებობს, როდესაც, ერთი მხრივ, მზღვეველის ან სხვა შესრულების განმახორციელებელი სუბიექტის შესრულება და, მეორე მხრივ, ანაზღაურების მოთხოვნა ზიანის სხვადასხვა სფეროს მიეკუთვნება. მაგალითად, პიროვნული ზიანის ფარგლებში მატერიალური და არამატერიალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნები ერთგვაროვანი არ არის. მატერიალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნათა ფარგლებშიც კი, შრომითი შემოსავლის დანაკლისის კომპენსაციის შესრულების შემთხვევაში, მხოლოდ ამავე დანაკლისთან დაკავშირებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნები შეიძლება გადავიდეს.

3. კონგრუენტულობა ვიწრო გაგებით

მოთხოვნათა ერთგვაროვნების ზემოაღნიშნული ასპექტები, როგორც წესი, შედარებით უპრობლემოა, ხოლო კონკრეტული მოთხოვნის საგნის კონგრუენტულობა ყველაზე რთულ საკითხთა წრეს მიეკუთვნება.

a) დროითი კონგრუენტულობა

მესამე პირის მიმართ ანაზღაურების მოთხოვნა მზღვეველსა და სხვა შესრულების განმახორციელებელ სუბიექტზე მხოლოდ იმდენად შეიძლება გადავიდეს, რამდენადაც მათ მიერ განხორციელებული შესრულება იმავე პერიოდს შეეხება, რომელსაც დამზიანებლის მიერ ასანაზღაურებელი ზიანი - დროითი კონგრუენტულობა. ეს SGB X-ის 116-ე პარაგრაფის პირველ ნაწილში პირდაპირაა გათვალისწინებული, თუმცა ცესიის ყველა სხვა შემთხვევაშიც შესაბამისი მოწესრიგების მიზნიდან გამომდინარეობს.⁵⁷ ეს საკითხი, მაგალითად, პი-

55 ირემაშვილი, სადაზღვეო ურთიერთობებში მხარეთა უფლებების გათანაბრების კრიტერიუმები, თბილისი 2016, 102.

56 BGH, Urteil vom 22. Januar 2021 - V ZR 12/19 - NJW-RR 2021, 401, juris Rn. 31 ff.

57 შდრ. BGH, Urteil vom 1. Juli 2014 - VI ZR 546/13 - BGHZ 202, 1, juris Rn. 9; BGH, Urteil vom 10. Juli 2007 - VI ZR

192/06 - BGHZ 173, 169, juris Rn. 13, ორივე სოციალური შესრულების განმახორციელებელ სხვა სუბიექტზე მოთხოვნის გადასვლის შესახებ; BGH, Urteil vom 17. Dezember 2002 - VI ZR 271/01 - BGHZ 153, 223, juris Rn. 18, საჯარო დამსაქმებლის შრომის ანაზღაურების გაგრძელებიდან გამომდინარე მოთხოვნების შესახებ; OLG Dresden, Urteil vom 8. September 1999 - 8 U

როვნული ზიანისას წარმოიშობა მაშინ, როდესაც შესრულებაზე ვალდებული სუბიექტი იცვლება, როგორც გერმანულ სამართალში დამსაქმებლის მიერ შრომის ანაზღაურების გაგრძელებიდან წარმომდგარი მოთხოვნის ჯანმრთელობის კანონისმიერი მზღვეველზე გადასვლისას, ან როდესაც კონკრეტული შესრულება მხოლოდ განსაზღვრული პერიოდისათვის ხორციელდება, მაგალითად, გერმანიაში მოვლის შემწეობის შემთხვევაში.

ბ) საგნობრივი კონგრუენტულობა

გერმანიაში საგნობრივი კონგრუენტულობის შესახებ ფართო კაზუსტიკა არსებობს, რომლის მხოლოდ ცალკეული ასპექტების განხილვაა აქ შესაძლებელი.

აა) ძირითადი პრინციპები

გამიჯვნის მრავალრიცხოვანი პრობლემის მიზეზი ისაა, რომ კონგრუენტულობა პასუხისმგებლობის ურთიერთობიდან და სადაზღვეო დაფარვის ურთიერთობიდან გამომდინარე მოთხოვნათა იდენტურობას არ მოითხოვს; საკმარისია მათი ეკონომიკური ერთგვაროვნება.⁵⁸ ასეთი ერთგვაროვნების არსებობისას მოთხოვნის გადასვლისათვის აუცილებელი არ არის, რომ სადაზღვეო დაფარვა ზიანის თითოეულ ცალკეულ პოზიციასაც მოიცავდეს. საკითხი სოციალური შესრულებების სფეროდან შემდეგი მაგალითით შეიძლება წარმოჩნდეს:

მოპასუხის კლინიკაში მშობიარობის პროცესის არასწორი მართვის შედეგად მოსარჩელეს მძიმე ფიზიკური და ფსიქიკური დაზიანებები მიაღება. მოსარჩელე დასაქმებული იყო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სახელოსნოში, რომლის ღონისძიებათა ხარჯებს, თვეში 3 000 ევროზე მეტს, გერმანიის დასაქმების ფედერალური სააგენტო, როგორც შესრულების განმახორციელებელი სუბიექტი, ფარავდა. SGB IX-ის 136-ე პარაგრაფის მიხედვით ასეთი სახე-

ლოსნობის ამოცანაა, სხვებთან ერთად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა შრომისუნარიანობის შენარჩუნება ან განვითარება. ამისათვის დასაქმებულები შესაბამის შრომით ანაზღაურებას იღებენ.

სარჩელით მოსარჩელე ითხოვდა მისი დამატებითი შრომითი შემოსავლის ზიანის ანაზღაურებას, კერძოდ, იმ ხელფასს, რომელსაც შეზღუდული შესაძლებლობის არარსებობისას მიიღებდა, სახელოსნოში მიღებული ანაზღაურების გამოკლებით. მოპასუხეთა მოსაზრებით, დასაქმების ფედერალური სააგენტოს შესრულებები მოსარჩელის შრომითი შემოსავლის ზიანთან კონგრუენტული იყო და ამიტომ ამ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა მთლიანად სააგენტოზე გადავიდა, ე.წ. ჯგუფის თეორიის საფუძველზე.

ამასთან დაკავშირებით გერმანიის ფედერალური უმაღლესი სასამართლო განმარტავს:⁵⁹

„ა) საგნობრივი კონგრუენტულობა არსებობს, როდესაც დამზიანებლის ანაზღაურების ვალდებულება და სოციალური დაზღვევის განმახორციელებელი სუბიექტის შესრულების ვალდებულება თავიანთი მიზნობრიობით ერთმანეთს ემთხვევა. ეს იმ შემთხვევაში უნდა ვივარაუდოთ, როდესაც სადაზღვეო სუბიექტის შესრულება და დამზიანებლის მიერ გადასახდელი ზიანის ანაზღაურება დაზარალებულის ერთი და იმავე დანაკლისის კომპენსაციას ემსახურება. საკმარისია, რომ სოციალური დაზღვევის დაცვა თავისი სახით მოიცავდეს იმ ზიანს, რომელზეც დამზიანებელი პასუხს აგებს; მნიშვნელობა არ აქვს, დაფარულია თუ არა დაზღვევით ზიანის თითოეული ცალკეული პოზიცია (შდრ. სენატის 2013 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილება - VI ZR 128/12, BGHZ 197, 316, ველი 26; 2011 წლის 3 მაისის გადაწყვეტილება - VI ZR 61/10, VersR 2011, 946, ველი 14; 2010 წლის 18 მაისის გადაწყვეტილება - VI ZR 142/09, VersR 2010, 1103, ველი 15; ...). ...

როგორც სენატმა უკვე აღნიშნა, ე.წ. ჯგუფის თეორიის მიხედვით, შესრულების განმახორციელებელი სუბიექტის რეგრესისათვის საჭირო

2048/99 - VersR 2001, 1035, juris Rn. 17, შრომის ანაზღაურების გაგრძელების შესახებ.

58 BGH, Urteil vom 9. Juli 2024 - VI ZR 252/23 - juris Rn. 12

59 BGH, Urteil vom 30. Juni 2015 - VI ZR 379/14 - BGHZ 206, 136, juris Rn. 14 ff.

საგნობრივი კონგრუენტულობა ზოგადად მაშინაც დგინდება, როდესაც შესრულება და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა ერთსა და იმავე ზიანის ჯგუფს ემსახურება. თუმცა ამ მიდგომის დანიშნულება მხოლოდ ზიანის რეგულირების გამარტივებაა. ეს არ გამორიცხავს იმის შემონების აუცილებლობას, ამართლებს თუ არა SGB X-ის 116-ე პარაგრაფის აზრი და მიზანი, რომ ანაზღაურების მოთხოვნა დაზარალებულის ნაცვლად შესრულების განმახორციელებელმა სუბიექტმა განახორციელოს. ამ მაკორექტირებელი კრიტერიუმის გარეშე შეიძლება წარმოიშვას უსამართლო შედეგი: დაზარალებულმა, რომლის სასარგებლოდ სადაზღვეო სუბიექტი ასრულებს, დამზიანებლის მიმართ შეზღუდვა მოთხოვნის მიუხედავად, სრული ანაზღაურება ვერ მიიღოს, როდესაც სადაზღვეო სუბიექტის შესრულებები ზიანს თავისი სახით მართალია უკავშირდება, მაგრამ მას მხოლოდ ნაწილობრივ ფარავს. ...

SGB X-ის 116-ე პარაგრაფის პირველი ნაწილის პირველი წინადადებით გათვალისწინებული კანონისმიერი ცესიის მიზანია, რომ შესრულების განმახორციელებელმა სუბიექტმა, რომლის შესრულებითაც დაზარალებულის ზიანი აღმოიფხვრა, რეგრესი განახორციელოს; სოციალური შესრულების გამო დამზიანებელი დაუმსახურებლად არ უნდა გათავისუფლდეს, ხოლო დაზარალებულის ორმაგი ანაზღაურება თავიდან უნდა იქნეს აცილებული. ...

სახელოსნოს საწყის და პროფესიული მომზადების ეტაპებზე მოსარჩელის დასაქმების გამო დასაქმების ფედერალური სააგენტოს მიერ განხორციელებული შესრულებების საფუძველზე მოსარჩელის შრომითი შემოსავლის დანაკლისის ანაზღაურების მოთხოვნის სააგენტოზე გადასვლა ამ მიზნის საპირისპიროდ გამოიწვევდა იმას, რომ მოსარჩელე, რომლის ზიანიც ამ ნაწილში არ ანაზღაურებულა, აქტიური მატერიალურსამართლებრივი ლეგიტიმაციის არქონის გამო შემოსავლის დანაკლისს ველარ მოითხოვდა.

(1) ერთი მხრივ, დაზარალებულს შრომითი შემოსავლის ზიანის სახით შეუძლია მოითხოვოს ყველა ეკონომიკური დანაკლისის ანაზღაურება, რომელსაც იგი განიცდის იმის გამო და იმ

ფარგლებში, რომ დაზიანების შედეგად საკუთარ შრომით უნარს ვერ იყენებს, ანუ რომელიც მისი სრული შრომითი გამოყენებადობის შეზღუდვიდან გამომდინარეობს (შდრ. სენატის 2013 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილება - VI ZR 128/12, იქვე, ველი 13; 2008 წლის 8 აპრილის გადაწყვეტილება - VI ZR 49/07, BGHZ 176, 109, ველი 9; ...). ამას მიეკუთვნება მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი დაკარგული შემოსავალიც.

(2) მეორე მხრივ, ზიანის რომელიმე ჯგუფისათვის მიკუთვნებისაგან დამოუკიდებლად, ანაზღაურებას ექვემდებარება დასაქმების ფედერალური სააგენტოს მიერ მოსარჩელის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სახელოსნოს საწყის და პროფესიული მომზადების ეტაპებზე დასაქმებისათვის გაწეული ხარჯებიც. სახელოსნოში დაზარალებულის დასაქმებასთან დაკავშირებული ხარჯები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის დარჩენილი შრომითი უნარის გააქტიურებას და, ამ გაგებით, მისთვის იმ ცხოვრების წესთან მაქსიმალურად მიახლოებული მდგომარეობის აღდგენას ემსახურება, რომელიც დამაზიანებელი შემთხვევის გარეშე იარსებებდა. ამიტომ ეს ხარჯები მატერიალურ ზიანს წარმოადგენს (სენატის 2015 წლის 27 იანვრის გადაწყვეტილება - VI ZR 54/14, იქვე, ველი 18; სენატის 1991 წლის 11 ივნისის განჩინება - VI ZR 307/90, NZV 1991, 387).

(3) დასაქმების ფედერალური სააგენტოს მიერ ამ შესრულებების განხორციელებით მოსარჩელე თავისუფლდება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სახელოსნოში დასაქმების ხარჯებისაგან. იმავდროულად, SGB X-ის 116-ე პარაგრაფის პირველი ნაწილის პირველი წინადადებისა და მე-10 ნაწილის საფუძველზე მოთხოვნის გადასვლის შედეგად სააგენტოს შეუძლია დამზიანებელს მოთხოვოს მის მიერ გაწეული ხარჯები. სააგენტოს შესრულებასა და მოსარჩელის ზიანის ანაზღაურების ამ მოთხოვნას შორის საგნობრივი კონგრუენტულობა ეჭვს არ იწვევს, რადგან ისინი მიზნისა და მოცულობის მხრივ ერთმანეთს ემთხვევა.

თუმცა მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი დაკარგული შემოსავალი სააგენტოს მიერ სახელოსნოს პროფესიული მომზადების ეტაპზე

მისი დასაქმებისათვის განხორციელებული შესრულებებით არ კომპენსირდება. იგი დამატებით ზიანს წარმოადგენს, რომელიც არა დამატებით დანახარჯებში, არამედ დაზიანებით გამოწვეული ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო შემცირებულ შემოსავალში გამოიხატება.

თუ სახელოსნოში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის დასაქმებისათვის სააგენტოს მიერ განხორციელებული შესრულებების გამო დაკარგული შემოსავლის ანაზღაურების მოთხოვნაც დასაქმების ფედერალურ სააგენტოზე გადავიდოდა, ეს დაზარალებულის მდგომარეობას გააუარესებდა, ხოლო შესრულების განმახორციელებელ სუბიექტს ექნებოდა მოთხოვნა, რომელსაც შესაბამისი დანახარჯი არ უპირისპირდება.“

bb) მაგალითები ავტოსატრანსპორტო საშუალების კასკოს დაზღვევის სფეროდან

ავტოსატრანსპორტო საშუალების კასკოს დაზღვევაში, გამარტივებულად რომ ითქვას, სადაზღვეო პირობებით დაცვა ძირითადად შემოიფარგლება ავტოსატრანსპორტო საშუალებაში მატერიალურად განსახიერებული სუბსტანციური ღირებულებით, გარკვეული აქსესუარების ჩათვლით (გერმანულ სამართალში იხ. AKB-ის A.2.1 პუნქტის დეტალური აღწერა). ამის საპირისპიროდ, ნივთის სუბსტანციის დაზიანებიდან განვითარებული შემდგომი ზიანი, როგორც წესი, დაზღვეულ ზიანს არ მიეკუთვნება. ასეთი შემდგომი ზიანიდან გამომდინარე მესამე პირის მიმართ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნები სრული კასკოს მზღვეველის შესრულებებთან კონგრუენტული არ არის. თუმცა გერმანიაში VVG-ის 82-ე და 83-ე პარაგრაფების საფუძველზე ქონებრივ ზიანს სადაზღვეოსამართლებრივად მიეკუთვნება ე.წ. ზიანის თავიდან აცილებისა და შემცირების ხარჯებიც, ანუ

ნივთის სუბსტანციის დაზიანებიდან გამომდინარე ქონებრივი დანაკლისის შემცირების ან თავიდან აცილებისათვის გაწეული დანახარჯები. ეს საგნობრივ კონგრუენტულობაზეც აისახება.

ავარიაში მოყოლილი ავტოსატრანსპორტო საშუალების ბუქსირების ხარჯებთან დაკავშირებით ეს ნიშნავს, რომ კასკოს დაზღვევით დაფარულია ის დანახარჯი, რომელიც დაზღვეული სუბსტანციური ზიანის შემცირებას ემსახურება. ეს ხდება მაშინ, როდესაც სუბიექტური შეფასების საჭიროების გათვალისწინებით, დამზღვევს უხეში გაუფრთხილებლობის გარეშე შეუძლია ივარაუდოს, რომ ავტოსატრანსპორტო საშუალებას სრული ეკონომიკური ზიანი არ მიუღია. ასეთ შემთხვევაში ბუქსირება შესაძლებელს ხდის ავტოსატრანსპორტო საშუალების შემდგომ ეკონომიკურად მიზანშეწონილ გამოყენებას, მაგალითად, შეკეთებას ან დაზიანებული სახით გაყიდვას, და ამით ნივთის სუბსტანციის დაზიანებით წარმოშობილ ეკონომიკურ დანაკლისს ამცირებს. თუ სრული ეკონომიკური ზიანი დადგა და ეს დაზარალებულისათვის ადვილად შესაცნობია, ავარიაში მოყოლილი ავტოსატრანსპორტო საშუალების ამოყვანა ან ევაკუაცია სუბსტანციურ ზიანთან უშუალოდ დაკავშირებულ ეკონომიკურ დანაკლისს ვეღარ ამცირებს. ასეთ შემთხვევაში ამოყვანისა და ბუქსირების ხარჯები კასკოს დაზღვევით აღარ იფარება.⁶⁰

კომერციული გაუფასურება⁶¹ ნივთის სუბსტანციის ეკონომიკურ დანაკლისს შეეხება და ამიტომ კასკოს დაზღვევის დაცვითაა მოცული.⁶² იგივე წესი ვრცელდება ზიანის დასადგენად საჭირო ექსპერტის დასკვნის ხარჯებზე.⁶³ ნივთის სუბსტანციის დაზიანებასთან არაკონგრუენტულ შემდგომ ზიანს კი მიეკუთვნება ნივთით სარგებლობის შეუძლებლო-

60 თვალსაჩინო მაგალითი: OLG Karlsruhe, Urteil vom 17. Dezember 2015 - 12 U 101/15 - NJW-RR 2016, 668, juris Rn. 23 ff.

61 ამის შესახებ: ჰაგენლოხი, ავტოსაგზაო შემთხვევებისას მატერიალური ზიანის გამოთვლა გერმანიაში, DGZR 7-2023, გვ. 34; <https://lawjournal.ge/wp-content/uploads/DGZR-7-2023.pdf>.

62 BGH, Urteil vom 8. Dezember 1981 - VI ZR 153/80 - BGHZ 82, 338, juris Rn 19; OLG Zweibrücken, Urteil vom 27. Januar 2021 - 1 U 63/19 - NJW-RR 2021, 336, juris Rn. 33

63 BGH, Urteil vom 12. Januar 1982 - VI ZR 265/80 - NJW 1982, 829, juris Rn. 9; OLG Zweibrücken, Urteil vom 24. April 2024 - 1 U 116/23 - juris Rn. 19

ბა, შემცველი ავტოსატრანსპორტო საშუალების ქირავნობის ხარჯები და ზოგადი ხარჯების პაუშალური თანხა.

4. კვოტური უპირატესობა

ე.წ. კვოტურ უპირატესობას ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს როგორც სასამართლო და საადვოკატო პრაქტიკისათვის, ისე მზღვეველთა მიერ ზიანის რეგულირებისათვის.

კვოტურ უპირატესობასთან დაკავშირებული საკითხები, ერთი მხრივ, მაშინ წარმოიშობა, როდესაც სადაზღვეო დაფარვის ურთიერთობაში გათვალისწინებულია ფრანშიზა, ხოლო გამონაკლის შემთხვევებში პასუხისმგებლობის ურთიერთობაშიც - პასუხისმგებლობის მაქსიმალური ოდენობა ან კონკრეტული შესრულების სადაზღვეო დაფარვიდან გამორიცხვა. მეორე მხრივ, ისინი მნიშვნელოვანია, როდესაც დამზიანებლის პასუხისმგებლობა შემცირებულია,

განსაკუთრებით დამზღვევის თანაბრალეულობის ან ავტოსატრანსპორტო საშუალების პასუხისმგებლობის სამართალში მისთვის შესაბამისი „ექსპლუატაციიდან გამომდინარე საფრთხის“ გამო.⁶⁴ ასეთ სიტუაციებში ყოველთვის უნდა განისაზღვროს, როგორ ნაწილდება ეს „არასრული დაფარვა“ დამზღვევსა და მზღვეველს შორის.

სოციალური შესრულებების სფეროსათვის SGB X-ის 116-ე პარაგრაფი ამ საკითხს დეტალურად აწესრიგებს; შესაბამისი ნორმები სქოლიოშია მოყვანილი.⁶⁵ უკიდურესად შემოკლებული და გამარტივებული სახით მათი შინაარსი ასეთია: დაზღვეულმა, როგორც წესი, ჯერ თავისი კონგრუენტული ზიანის სრული ანაზღაურება უნდა მიიღოს და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება წარმოიშვას სოციალური დაზღვევის განმახორციელებელი სუბიექტის სასარგებლოდ მოთხოვნის ნაშთის გადასვლა.

64 ამის შესახებ: რუსიაშვილი/ჰაგენლოხი, ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელის პასუხისმგებლობის ზოგადი მიმოხილვა გერმანული და ქართული სამართლის მიხედვით, DGZR 1-2024, გვ. 1 და მომდევნო; <https://lawjournal.ge/wp-content/uploads/DGZR-1-2024-GEO-1.pdf>.

65 „(1) სხვა კანონისმიერ დებულებებზე დაფუძნებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა სადაზღვეო სუბიექტზე, ინტეგრაციის დახმარების განმახორციელებელ სუბიექტზე ან სოციალური დახმარების განმახორციელებელ სუბიექტზე გადადის იმდენად, რამდენადაც მას ზიანის გამომწვევი შემთხვევის საფუძველზე უნდა განეხორციელებინა სოციალური შესრულება, რომელიც იმავე სახის ზიანის აღმოფხვრას ემსახურება და იმავე პერიოდს შეეხება, რომელსაც დამზიანებლის მიერ გადასახდელი ზიანის ანაზღაურება. ამას ასევე მიეკუთვნება: 1. სოციალური შესრულებიდან გადასახდელი შენატანები; 2. ჯანმრთელობის დაზღვევის შენატანები, რომლებიც ავადმყოფობის შემწეობის მოთხოვნის არსებობის პერიოდში, მეხუთე წიგნის 224-ე პარაგრაფის პირველი ნაწილის მიუხედავად, გადასახდელი იქნებოდა. (2) თუ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა კანონით ოდენობრივად შეზღუდული, იგი სადაზღვეო სუბიექტზე, ინტეგრაციის დახმარების განმახორციელებელ სუბიექტზე ან სოციალური დახმარების განმახორციელებელ სუბიექტზე მხოლოდ იმდენად გადადის, რამდენადაც დაზარალებულის ან მისი მემკვიდრეების ზიანის კომპენსაციისათვის საჭირო არ არის. (3) თუ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა დაზარალებულის თანაბრალეულობის ან თანაპასუხისმგებლობის გამო

შეზღუდულია, პირველი ნაწილის მიხედვით შეუზღუდავი პასუხისმგებლობისას გადასახდელი მოთხოვნიდან სადაზღვეო სუბიექტზე, ინტეგრაციის დახმარების განმახორციელებელ სუბიექტზე ან სოციალური დახმარების განმახორციელებელ სუბიექტზე გადადის ის წილი, რომელიც იმ პროცენტულ მაჩვენებელს შეესაბამება, რომლის ფარგლებშიც დამზიანებელი პასუხისმგებელია. ეს წესი მაშინაც მოქმედებს, როდესაც ანაზღაურების მოთხოვნა კანონით ოდენობრივად შეზღუდული. მოთხოვნის გადასვლა გამორიცხულია იმდენად, რამდენადაც ამის შედეგად დაზარალებული ან მისი მემკვიდრეები მეთორმეტე წიგნის ნორმების გაგებით დახმარების საჭიროების მქონე გახდებიან. (4) თუ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნათა განხორციელებას ფაქტობრივი დაბრკოლებები უშლის ხელს, დაზარალებულისა და მისი მემკვიდრეების მოთხოვნათა განხორციელებას პირველი ნაწილის საფუძველზე გადასულ მოთხოვნებთან შედარებით უპირატესობა აქვს. (5) თუ სადაზღვეო სუბიექტს, ინტეგრაციის დახმარების განმახორციელებელ სუბიექტს ან სოციალური დახმარების განმახორციელებელ სუბიექტს ზიანის გამომწვევი შემთხვევის გამო დაზარალებულის ან მისი მემკვიდრეებისათვის ამ შემთხვევამდე არსებულზე მეტი სოციალური შესრულება არ ეკისრება, მე-3 ნაწილის პირველი და მე-2 ნაწილადებების შემთხვევებში ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა მხოლოდ იმდენად გადადის, რამდენადაც გადასახდელი ანაზღაურება დაზარალებულის ან მისი მემკვიდრეების საკუთარი ზიანის სრულად დასაფარავად საჭირო არ არის. ...“

კანონისმიერი ცესიის შემცველი სხვა ნორმები ამ საკითხს ასეთი სიზუსტით არ აწესრიგებს. მაგალითად, ზიანის კერძო დაზღვევისათვის VVG-ის 86-ე პარაგრაფის პირველი ნაწილის მე-2 წინადადება ადგენს, რომ „გადასული მოთხოვნა ... არ შეიძლება დამზღვევის საზიანოდ განხორციელდეს“. აქედან, სულ მცირე, გამომდინარეობს, რომ „კონფლიქტის შემთხვევაში“ დამზღვევის, როგორც დაზარალებულის, ეკონომიკურ ინტერესებს, როგორც წესი, მზღვეველის ინტერესებთან შედარებით უპირატესობა უნდა მიენიჭოს. ცვაიბრიუკენის უმაღლესი სამხარეო სასამართლო ავტოსატრანსპორტო საშუალების კასკოს დაზღვევის სფეროში ამ საკითხსა და გადაწყვეტის გზებს თვალსაჩინოდ შემდეგნაირად აღწერს:⁶⁶

„დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკის თანახმად, დამზღვევის მდგომარეობა მისი კასკოს დაზღვევის შესრულების შედეგად არ უნდა გაუარესდეს (შდრ., მაგალითად, BGH-ის 2023 წლის 31 მაისის განჩინება - IV ZR 299/22, juris). მზღვეველის გადახდა მოთხოვნის გადასვლას მხოლოდ მაშინ იწვევს, როდესაც კონგრუენტული ზიანის პოზიციებთან მიმართებით დამზღვევს აუნაზღაურებელი ნაშთი აღარ რჩება. თუ მზღვეველი ზიანის მხოლოდ ნაწილს ანაზღაურებს და მესამე პირის მიმართ მოთხოვნაც თანამონაწილეობითი პასუხისმგებლობის გამო სრულ ზიანზე ნაკლებია, მზღვეველზე არც მოთხოვნა გადადის გადახდილი თანხის ოდენობით - აბსოლუტური თეორია - და არც მოთხოვნა ნაწილდება პროპორციულად დამზღვევსა და კასკოს მზღვეველს შორის - ფარდობითი თეორია. ვინაიდან სადაზღვეო ხელშეკრულების მიზანს არ შეესაბამება, რომ მზღვეველის შესრულებამ მასთან დაკავშირებული მოთხოვნის გადასვლის გამო დამზღვევის სრული ანაზღაურება შეაფერხოს, დამზღვევი ანაზღაურების მოთხოვნის კრედიტორად რჩება VVG-ის 86-ე პარაგრაფის პირველი ნაწილის მე-2 წინადადებიდან გამომდინარე დაკმაყოფილების პრიორიტეტით იმ ფარგლებში, რა ფარგლებშიც მზღვეველს მისთვის ზიანი არ აუნაზღაურებია.

მზღვეველი მხოლოდ მას შემდეგ იღებს დაკმაყოფილებას, რაც ზიანი სადაზღვეო შესრულებითა და ანაზღაურების მოთხოვნით დაიფარება - სხვაობის თეორია; დამზღვევის კვოტური უპირატესობა. ამასთან, უნდა გაიმიჯნოს კასკოს სფეროში სადაზღვეო შესრულებასთან კონგრუენტული ზიანი - ავტოსატრანსპორტო საშუალების დაზიანება, ღირებულების შემცირება, ექსპერტის ხარჯები - და კასკოს სფეროს მიღმა არსებული არაკონგრუენტული ზიანი, რომლის ანაზღაურებაც დამზღვევს მხოლოდ შესაბამისი პასუხისმგებლობის კვოტის ფარგლებში შეუძლია მოითხოვოს.“

იგივე წესი ვრცელდება სრული კასკოს დაზღვევაში დამზღვევის ფრანშიზის მიმართ. გერმანიის ფედერალური უმაღლესი სასამართლო ამასთან დაკავშირებით განმარტავს:⁶⁷

„მართალია, კასკოს დაზღვევაში აღიარებულია, რომ ფრანშიზის შეთანხმებისას დამზღვევმა მისგან გამომდინარე დანაკლისი არ უნდა იტვირთოს, თუ ზიანი მას არ გამოუწვევია ან, სულ მცირე, მხოლოდ მას არ გამოუწვევია (შდრ. BGH-ის 2009 წლის 25 ნოემბრის გადაწყვეტილება - XII ZR 211/08, r+s 2010, 105, ველი 13). შესაბამისად, VVG-ის 86-ე პარაგრაფით გათვალისწინებული უფლების გადასვლა მოიცავს მხოლოდ პასუხისმგებლობის მოთხოვნას ფრანშიზის გამოკლებით, რის გამოც დამზღვევს კვოტური უპირატესობა ფრანშიზის ოდენობითაც რჩება (შდრ. BGH-ის 1967 წლის 4 აპრილის გადაწყვეტილება - VI ZR 179/65, BGHZ 47, 308, 311 [juris, ველი 9]; ...). თუმცა ამის შედეგი მხოლოდ ისაა, რომ მონინააღმდეგე მხარის პასუხისმგებლობის მზღვეველისათვის პრიორიტეტული მიმართვის შემთხვევაში კასკოს მზღვეველმა კვოტურად პრივილეგირებულ ზიანის პოზიციებთან მიმართებით, რომლებშიც შედის კასკოს დაზღვევის „დაზღვეული საფრთხით“ მოცული ყველა უშუალო ქონებრივი ზიანი (შდრ. BGH-ის 1981 წლის 8 დეკემბრის გადაწყვეტილება - VI ZR 153/80, BGHZ 82, 338, II 2 a [juris, ველები 15 და მომდევნო]; 1957 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილება - III ZR 76/56,

66 OLG Zweibrücken, Urteil vom 24. April 2024 - 1 U 116/23 - juris Rn. 20

67 BGH, Beschluss vom 31. Mai 2023 - IV ZR 299/22 - DAR 2024, 333, juris Rn. 22

BGHZ 25, 340, 2 c [juris, ველი 21]) და, კერძოდ, ფრანშიზის ოდენობით შეკეთებისა და ჩანაცვლებითი შეძენის ხარჯები, უნდა აანაზღაუროს სხვაობა მონინალმდევე მზღვეველის შესრულებასთან შედარებით საკუთარი სახელშეკრულებო შესრულების ლიმიტამდე, მაგრამ არა მის ზემოთ. ამ მხრივ კასკოს მზღვეველზე იგივე წესი ვრცელდება, რაც დამზიანებელზე: დაზარალებულის კვოტური უპირატესობა არც დამზიანებელს აკისრებს მთლიანობაში იმაზე მეტის გადახდას, ვიდრე ზიანის გამონვევაში მისი მონაწილეობის წილს შეესაბამება (შდრ. BGH-ის 2017 წლის 11 ივლისის გადაწყვეტილება - VI ZR 90/17, r+s 2017, 494, ველი 22 და იქ მითითებული წყაროები).“

გამოთვლის მაგალითი:⁶⁸

ზიანის გამომწვევ შემთხვევაზე პასუხისმგებლობა კასკოს დაზღვევის დამზღვევს, რომელიც მოსარჩელეა, ეკისრება 1/3-ის ოდენობით, ხოლო მოპასუხეს - 2/3-ის ოდენობით. დამზღვევი შემდეგი მთლიანი ზიანის ანაზღაურებას ითხოვს:

8 559,90 ევრო - შეკეთების ხარჯები
62,50 ევრო - ბუქსირების ხარჯები
850,00 ევრო - ღირებულების შემცირების ანაზღაურება
324,00 ევრო - ექსპერტის ხარჯები
30,00 ევრო - ზოგადი ხარჯების პაუშალური თანხა

კასკოს მზღვეველმა ფრანშიზის გამოკლებით დამზღვევს მთლიანობაში 8 322,40 ევრო გადაუხადა, ხოლო მოპასუხემ - 897 ევრო: 300 ევრო ფრანშიზის ანაზღაურების სახით, დამზღვევის უპირატესობის გათვალისწინებით (იხ. ზემოთ BGH-ის 2023 წლის 31 მაისის განჩინება - IV ZR 299/22 - DAR 2024, 333, juris, ველი 22), 425 ევრო ღირებულების შემცირებისათვის, 162 ევრო ექსპერტის ხარჯებისათვის და 10 ევრო ზოგადი ხარჯების პაუშალური თანხის სახით. სარჩელით დამზღვევი დამზიანებლისაგან დარჩენილი ზიანის ანაზღაურებას ითხოვს.

აქ გამოსაყენებელი ანგარიშსწორების თავისებურება ისაა, რომ პასუხისმგებლობის ურთიერთობის ფარგლებში ირიბად უნდა გადაწყდეს, რა ოდენობით გადავიდა დამზღვევის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა კასკოს მზღვეველზე და რა ოდენობით დარჩა იგი კვოტური უპირატესობის საფუძველზე დამზღვევს. იმ ნაწილში, რომელშიც სადაზღვეო შესრულების შედეგად მოთხოვნა გადავიდა, მოსარჩელეს მოთხოვნის განხორციელების უფლებამოსილება აღარ აქვს.

ამ სიტუაციაში ანგარიშსწორება შინაარსობრივად შემდეგნაირად უნდა განხორციელდეს, თუმცა გამოთვლისა და მისი წარმოდგენის რამდენიმე გზა არსებობს. ინტერნეტში გავრცელებული გამოთვლის მოდელების არაკრიტიკულად გამოყენება გარკვეულ სიფრთხილეს მოითხოვს. მაგალითის საქმეში BGH-მ პრინციპულად შემდეგი ანგარიში შეადგინა, აქ წარმოდგენა მცირედ შეცვლილია:

1. ზიანი კასკოს დაზღვევის სფეროში
(უშუალო ქონებრივი ზიანი)
8 559,90 ევრო - შეკეთების ხარჯები
62,50 ევრო - ბუქსირების ხარჯები
324 ევრო - ექსპერტის ხარჯები
30,00 ევრო - ღირებულების შემცირება

9 796,40 ევრო

აქედან მოპასუხემ უნდა აანაზღაუროს 2/3 = 6 530,94 ევრო.

მოსარჩელემ უკვე მიიღო:

8 322,40 ევრო - კასკოს მზღვეველის გადახდა
887 ევრო - მოპასუხის გადახდა

9 209,40 ევრო

აუნაზღაურებელი ზიანის დარჩენილი ოდენობა:

587 ევრო

ეს თანხა მოპასუხემ მოსარჩელეს უნდა გადაუხადოს

მისი 6 530,94 ევროს ოდენობის ვალდებულებიდან.

(განმარტება: დარჩენილი 5 943,94 ევროს მოთხოვნა

მოთხოვნის კანონისმიერი გადასვლის საფუძველზე

კასკოს მზღვეველს ეკუთვნის.)

68 მაგალითი დაფუძნებულია BGH-ის 1982 წლის 12 იანვრის გადაწყვეტილებაზე - VI ZR 265/80 - NJW 1982,

829, juris Rn. 16.

2. ზიანი კასკოს დაზღვევის სფეროს მიღმა (ქონებრივი შემდგომი ზიანი)
 30 გერმანული მარკა - ზოგადი ხარჯების პაუშალური თანხა
 აქედან მოპასუხემ უნდა აანაზღაუროს $2/3 = 10$ ევრო.

განმარტება: თუ დაზარალებული მოითხოვდა შემცველი ავტოსატრანსპორტო საშუალების ქირავნობის ხარჯებს ან სარგებლობის შეუძლებლობის ანაზღაურებას, ზიანის ეს პოზიციებიც აქ უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული, რადგან ისინი არაკონგრუენტულ ზიანს წარმოადგენს. მოსარჩელემ უკვე მიიღო:

10 ევრო

მოსარჩელეს დარჩა მოთხოვნა:
 167,66 ევრო

3. მოსარჩელის მთლიანი მოთხოვნა
 587 ევრო - პირველი პუნქტის გამოთვლის შესაბამისად
 10 ევრო - მე-2 პუნქტის გამოთვლის შესაბამისად

 597 ევრო

IV. პასუხისმგებლობის პრივილეგიები

1. ოჯახის წევრის პრივილეგია

როგორც ქართული, ისე გერმანული სამართალი მოთხოვნის გადასვლის ნაწილში შეიცავს დამცავ ნორმებს დაზარალებულის იმ ოჯახის წევრების სასარგებლოდ, რომლებმაც ზიანი გამოიწვიეს.

ქართულ სამართალში ეს პრივილეგია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 832-ე მუხლის მე-2 ნაწილშია გათვალისწინებული. ნორმის სიტყვასიტყვითი გაგებით მოთხოვნის გადასვლა განზრახი დაზიანებისას უნდა იყოს გამოვლინებული, ხოლო, საპირისპიროდ, მხოლოდ გაუფრთხილებლობით დაზიანებისას უნდა ხდებოდეს. აშკარაა, რომ კანონმდებელს ასეთი შედეგი ვერ ექნებოდა განზრახული. ამიტომ ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში მიიჩნევა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 832-ე მუხლის მე-2 ნაწილში სიტყვა „არ“ აკლია და

ნორმა შემდეგნაირად უნდა იქნეს გაგებული: „თუ ოჯახის წევრს ზიანი განზრახ არ გამოუწვევია.“⁶⁹

ნორმის ამგვარი ტექსტის „გადარჩენის“ მცდელობას შემდეგი არგუმენტით ვერ დავეთანხმებით: „მეორე მხრივ, კანონმდებელს არსებული ფორმულირებით შეიძლება გაემეორებინა 829-ე მუხლში განმტკიცებული იდეა. გასათვალისწინებელია, რომ 829-ე მუხლი მხოლოდ უხემ გაუფრთხილებლობაზე მიუთითებს. დაზღვეულის ოჯახის წევრის მიერ ზიანის განზრახ გამოწვევის შემთხვევაში მოთხოვნის უფლების დაუშვებლობა ანაზღაურების ვალდებულების არარსებობით აიხსნება. ამ ლოგიკის მიხედვით, დაზღვეული ობიექტის ოჯახის წევრის მიერ განზრახ დაზიანება სამართლებრივად თავად დაზღვეულის განზრახ მოქმედებას უნდა გაუთანაბრდეს, რაც მზღვეველს შესრულების ვალდებულებისაგან ათავისუფლებს. შესაბამისად, თუ ანაზღაურების ვალდებულება არ არსებობს, არც სუბროგაციის წინაპირობა არსებობს და მოთხოვნის უფლების გადასვლაც გამორიცხულია.“⁷⁰

ნორმაში არსად არის ნათქვამი, რომ ასეთ შემთხვევაში მზღვეველი შესრულების ვალდებულებისაგან თავისუფლდება. თუ ასეთი წესი სადაზღვეო პირობებში იქნებოდა გათვალისწინებული, იგი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 832-ე მუხლის მე-2 ნაწილს ისედაც ჩაანაცვლებდა.

გერმანიაში დაცვის მოცულობით მსგავსი, თუმცა არა იდენტური ნორმები, სხვებთან ერთად, კერძო ზიანის დაზღვევისათვის VVG-ის 86-ე პარაგრაფის მე-3 ნაწილში და კანონისმიერი სოციალური დაზღვევის განმახორციელებელი სუბიექტებისათვის SGB X-ის 116-ე პარაგრაფის მე-6 ნაწილშია გათვალისწინებული. თუმცა გერმანულ სამართალში SGB X-ის 116-ე პარაგრაფის მე-6 ნაწილის მე-3 წინადადება ამ სუბიექტების სასარგებლოდ პასუხისმგებლობის პრივილეგიას იმ ფარგლებში არღვევს, როდესაც ზიანი ავტოსატრანსპორტო საშუალების

69 სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი/ირემაშვილი, მუხ. 832, ველი 19 (4.10.2024), <https://gcc.tsu.ge/>; ცისკაძე, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი IV, ტომი II, 2001, 153.

70 სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი/ირემაშვილი, მუხ. 832, ველი 21 (4.10.2024).

ექსპლუატაციისას წარმოიშვა და დაზარალებულთან ერთ ოჯახურ მეურნეობაში მცხოვრები დამზიანებელი ავტოსატრანსპორტო საშუალების სავალდებულო პასუხისმგებლობის დაზღვევითაა დაცული. გარდა ამისა, როგორც უკვე აღინიშნა, გერმანულ სამართალში ავტოსატრანსპორტო საშუალების სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის სფეროში VVG-ის 86-ე პარაგრაფი მზღვეველის მიმართ პირდაპირი მოთხოვნის არსებობის გამო არ გამოიყენება (იხ. ზემოთ, C. I. 2).

ოჯახის წევრის ამ პრივილეგიის მიზანია, ერთი მხრივ, ოჯახური მშვიდობის შენარჩუნების ინტერესით თავიდან აიცილოს ოჯახის წევრებს შორის დავა ზიანის მიყენებაზე პასუხისმგებლობის შესახებ. მეორე მხრივ, უნდა გამოირიცხოს, რომ რეგრესმა თავად დაზღვეულზეც უარყოფითად იმოქმედოს. კანონმდებელი ამ დროს ემყარება ვარაუდს, რომ ერთ ოჯახურ მეურნეობაში მცხოვრები ოჯახის წევრები უმეტესად გარკვეულ ეკონომიკურ ერთობას ქმნიან. ამიტომ რეგრესის შემთხვევაში დაზღვეულს საბოლოოდ ერთი ხელით მიღებული მეორე ხელით დაბრუნება მოუწევდა.⁷¹

თავდაპირველად საქართველოში და გერმანიაში ეს ნორმები თავიანთი ნორმატიული კონცეფციით, თუმცა არა დაცვის კონკრეტული მოცულობით, იმდენად იდენტური იყო, რამდენადაც ოჯახის წევრის პრივილეგიის შედეგს მოთხოვნის გადასვლის გამორიცხვით აღწევდა. საქართველო დღემდე ინარჩუნებს ამ კონცეფციას, რომლის მიხედვითაც დაზღვეული, კონგრუენტული სადაზღვეო შესრულების მიუხედავად, მისთვის ზიანის მიმყენებელი ოჯახის წევრის მიმართ ანაზღაურების მოთხოვნის კრედიტორად რჩება. გერმანელმა კანონმდებელმა კი ამ მიდგომაზე უარი თქვა და პრივილეგირებული ოჯახის წევრების მიმართ მოთხოვნები მზღვეველზე გადასვლისაგან აღარ გამოურიცხავს. ამის ნაცვლად, მათი დაცვა გარკვეული ხანია რეგრესის აკრძალვის მეშვეობით ხორციელდება.

ქვემოთ თავდაპირველად წარმოდგენილი იქ-

ნება ოჯახის წევრის ამ პრივილეგიასთან დაკავშირებული, შინაარსობრივად იდენტური პრობლემები საქართველოში და გერმანიაში, შემდეგ კი - მათი განსხვავებული სამართლებრივი გადწყვეტის გზები.

a) პრობლემა

ოჯახის წევრის პრივილეგიამ როგორც საქართველოში, ისე გერმანიაში შეიძლება გამოიწვიოს ე.წ. დარღვეული სოლიდარული ვალდებულება. საკითხი შემდეგი მაგალითით შეიძლება განიმარტოს:

ზიანის გამომწვევი შემთხვევის შედეგად X მძიმედ დაშავდა. X-ის ჯანმრთელობის მზღვეველმა 20 000 ევროს ოდენობის სადაზღვეო შესრულება განახორციელა. შემთხვევაზე 75%-ით პასუხისმგებელია X-თან ერთ ოჯახურ მეურნეობაში მცხოვრები მისი მეუღლე, პირველი დამზიანებელი, ხოლო 25%-ით - მეორე დამზიანებელი.

ზიანის გამომწვევი შემთხვევის დადგომით ორ დამზიანებელს შორის სოლიდარული ვალდებულება წარმოიშობა. პირველი დამზიანებლის პასუხისმგებლობის პრივილეგია ამას არ ცვლის. ფორმალურად, X-ის მიერ მეორე დამზიანებლის მიმართ არსებული 20 000 ევროს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა სადაზღვეო შესრულების განხორციელებით სრულად გადავიდოდა ჯანმრთელობის მზღვეველზე და მას მეორე დამზიანებლისაგან მთელი სადაზღვეო შესრულების ანაზღაურება შეეძლებოდა. შედეგად, მეორე დამზიანებელს ჯანმრთელობის მზღვეველისათვის 20 000 ევროს გადახდა მოუწევდა და შემდეგ ან პირველი დამზიანებლის პასუხისმგებლობის პრივილეგია მასზეც „გავრცელდებოდა“, რის გამოც პირველი დამზიანებლისაგან სოლიდარულ მოვალეთა შიდა ანგარიშსწორებას ვერ მოითხოვდა - პირველი ვარიანტი; ან, ჯანმრთელობის მზღვეველსა და პირველ დამზიანებელს შორის მოქმედი პასუხისმგებლობის პრივილეგიის მიუხედავად, მისგან სოლიდარულ მოვალეთა შიდა ანგარიშსწორებას, მაგალითში 15 000 ევროს, მოითხოვდა -

71 BGH, Urteil vom 11. Februar 1964 - VI ZR 271/62 - BGHZ

41, 79, juris Rn. 8

მე-2 ვარიანტი. თუ არცერთი ვარიანტი არ მიიჩნევა გამართლებულად, გადაწყვეტა შეიძლება ერთი საფეხურით ადრე მოიძებნოს და მზღვეველზე მეორე დამზიანებლის მიმართ გადასული ანაზღაურების მოთხოვნის განხორციელება თავიდანვე ამ უკანასკნელის შიდა პასუხისმგებლობის კვოტით შეიზღუდოს - მე-3 ვარიანტი.

ბ) გადაწყვეტა გერმანულ სამართალში

გერმანიის სასამართლო პრაქტიკა საკითხს მე-3 ვარიანტის შესაბამისად წყვეტს: მზღვეველის მოთხოვნა სოლიდარული მოვალის, მეორე დამზიანებლის, მიმართ შემოიფარგლება იმ თანხით, რომელიც ამ უკანასკნელს სხვა სოლიდარულ მოვალესთან, პირველ დამზიანებელთან, შიდა ურთიერთობაში საბოლოოდ დაეკისრებოდა, ზიანის განაწილება სოლიდარულ მოვალეთა შორის შიდა ანგარიშსწორების პრინციპების მიხედვით პირველი დამზიანებლის პასუხისმგებლობის პრივილეგიით რომ არ ყოფილიყო დარღვეული.⁷²

მეორე დამზიანებლის პასუხისმგებლობის ეს შეზღუდვა ეფუძნება მოსაზრებას, რომ, ერთი მხრივ, პირველი დამზიანებლის პასუხისმგებლობის პრივილეგია არ უნდა გაუქმდეს მისი სოლიდარულ მოვალეთა შიდა ანგარიშსწორებაში ჩართვით, ხოლო, მეორე მხრივ, გაუმართლებელი იქნებოდა, მთლიანი ზიანი მხოლოდ მეორე დამზიანებელს ეტვირთა.⁷³ ეს სასამართლო პრაქტიკა გამართლებულია, რადგან ოჯახის წევრის პრივილეგიის ზემოაღნიშნული მიზანი სადაზღვეო დაფარვის ურთიერთობის სფეროში მიღებულ კანონმდებლის ღირებულებით გადან-ყვეტილებას ეფუძნება: ოჯახის შიგნით დაცვის საჭიროება მზღვეველის ფინანსური დაცვის საჭიროებასთან შედარებით უპირატესია. ამიტომ ლოგიკურია, რომ ოჯახის წევრის პრივილეგიის ეკონომიკური შედეგები მეორე დამზიანებლის

სოლიდარული თანაპასუხისმგებლობის შემთხვევაშიც სადაზღვეო დაფარვის ურთიერთობაში დარჩეს და პასუხისმგებლობის ურთიერთობაზე არ გადავიდეს.

ც) გადაწყვეტა ქართულ სამართალში

ქართულ სამართალში მდგომარეობა უფრო რთულია. ვინაიდან პრივილეგირებული პირველი დამზიანებლის მიმართ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნები მზღვეველზე არ გადადის, სოლიდარულად დაკავშირებულ მოთხოვნებში კრედიტორის სტატუსი იყოფა, რაც სოლიდარული მოვალეობისა და სოლიდარული კრედიტორობის ძალზე უჩვეულო კუმულაციას წარმოშობს. თუმცა გერმანიის სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე საქართველოშიც შეიძლება შემდეგი გადაწყვეტა იქნეს გამოყენებული:

პირველ დამზიანებელთან სოლიდარულად პასუხისმგებელი მეორე დამზიანებლის მიმართ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნები სადაზღვეო შესრულების განხორციელებით მზღვეველზე გადადის. კრედიტორის სტატუსის გაყოფის მიუხედავად, ორივე დამზიანებლის სოლიდარული პასუხისმგებლობა უცვლელი რჩება.⁷⁴ უკვე მითითებული მიზეზებით, მზღვეველის შესრულება შინაარსობრივად არ ცვლის დაზარალებულსა და მასთან ერთ ოჯახურ მეურნეობაში მცხოვრებ პირველ დამზიანებელს შორის არსებულ პასუხისმგებლობის მოთხოვნებს. შესაბამისად, ზიანის ანაზღაურების ორივე მოთხოვნა თავდაპირველად ერთმანეთის პარალელურად არსებობს.

თუ ორი მოვალეიდან ერთ-ერთი სოლიდარულად დაკავშირებულ მოთხოვნას შეასრულებს - სადაზღვეოსამართლებრივად, მაგრამ არა პასუხისმგებლობისსამართლებრივად, პრივილეგირებული პირველი დამზიანებელი თავისი დაზარალებული ოჯახის წევრის მიმართ, ან მეორე

72 BGH, Urteil vom 7. Dezember 2021 - VI ZR 1189/20 - NJW-RR 2022, 539, juris Rn. 21; BGH, Urteil vom 18. November 2014 - VI ZR 47/13 - BGHZ 203, 224, juris Rn. 19; BGH, Urteil vom 8. Juni 2010 - VI ZR 147/09 - NJW 2011, 449, juris Rn. 12

73 BGH, Urteil vom 7. Dezember 2021 - VI ZR 1189/20 - NJW-RR 2022, 539, juris Rn. 21; BGH, Urteil vom 18.

November 2014 - VI ZR 47/13 - BGHZ 203, 224, juris Rn. 19

74 გერმანულ სამართალში ასეთ ვითარებაში: BGH, Urteil vom 17. Oktober 2017 - VI ZR 423/16 - BGHZ 216, 149, juris Rn. 29; BGH, Urteil vom 7. Dezember 2021 - VI ZR 1189/20 - NJW-RR 2022, 539, juris Rn. 19.

დამზიანებელი დაზარალებულის, ხოლო სადაზღვეო შესრულების შემდეგ მზღვეველის მიმართ - ნორმატიული სამართლებრივი მდგომარეობის თანამიმდევრული გამოყენებით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 462-ე მუხლის ანალოგიით, რომელიც BGB-ის 430-ე პარაგრაფს შეედრება, წარმოიშობოდა იმ პასუხისმგებლობის წილის გადაცემის მოთხოვნა, რომელიც სოლიდარულ მოვალეთა შიდა ურთიერთობაში სხვა დამზიანებელს ეკუთვნის. გერმანულ სამართალში ასეთ სიტუაციაში BGB-ის 430-ე პარაგრაფი ანალოგიით გამოიყენება: BGH-ის 2017 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილება - VI ZR 423/16 - BGHZ 216, 149, juris, ველები 42 და მომდევნო. ოჯახის წევრის პრივილეგია ამას ხელს არ შეუშლიდა, რადგან იგი პრივილეგირებულ დამზიანებელს მხოლოდ მზღვეველის მიმართ იცავს და არა პასუხისმგებლობის ურთიერთობაში მის მიერ დაზარალებული ოჯახის წევრის მიმართ. ნაკლებად იურიდიული ფორმულირებით, ხშირად ეკონომიკურადაც მჭიდროდ დაკავშირებული ოჯახის ფარგლებში ასეთი მოთხოვნის განხორციელება ან განუხორციელებლობა ნმინდა ოჯახურ საკითხად რჩება. სამართლებრივად მისი განხორციელება დასაშვებია.

თუმცა ამის შესახებ ოჯახის შიგნით მიღებულმა გადაწყვეტილებამ, გაცნობიერებულად თუ გაუცნობიერებლად, შეიძლება ოჯახის ფარგლებში ქონებრივი გადაადგილება გამოიწვიოს და მზღვეველს ეკონომიკური ზიანი მიაყენოს. თუ დაზარალებული სადაზღვეოსამართლებრივად პრივილეგირებული პირველი დამზიანებლის მიმართ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას განხორციელებს და პირველი დამზიანებელი მას შეასრულებს, მზღვეველისათვის მოვალის ჩანაცვლება ხდება. მეორე დამზიანებლის მიმართ არსებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ნაცვლად, რომელიც შესაძლოა თავადაც დაზღვეული და ამიტომ გადახდისუნარიანი იყოს, ეკონომიკურად წარმოიშობა დაზარალებულის მიმართ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 462-ე მუხლის ანალოგიით გადაცემის

მოთხოვნა. ამგვარად, მზღვეველზე გადადის გადახდისუნარიანობისა და ლიკვიდურობის რისკი.

ამის თავიდან ასაცილებლად BGH გერმანულ სამართალში ასეთ ვითარებაში დაზარალებულის მოთხოვნას სადაზღვეოსამართლებრივად პრივილეგირებული პირველი დამზიანებლის მიმართ კეთილსინდისიერების პრინციპის საფუძველზე ზღუდავს იმ თანხამდე, რომელიც დაზარალებულს BGB-ის 430-ე პარაგრაფისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 462-ე მუხლის ანალოგიით შიდა ურთიერთობაში ეკუთვნის. ამაზე მეტი მოთხოვნის განხორციელება უფლების ბოროტად გამოყენებად მიიჩნევა, რადგან იგი მზღვეველის კანონიერ ინტერესებს ხელყოფს, დაზარალებულის შესაბამისი დაცვის ღირსი ინტერესის გარეშე.⁷⁵ ზემოაღნიშნულ მაგალითში ეს გამოიწვევდა იმას, რომ X-ს სადაზღვეოსამართლებრივად პრივილეგირებული პირველი დამზიანებლის მიმართ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის განხორციელება მხოლოდ 15 000 ევროს ოდენობით შეეძლებოდა; ეს თანხა ეკონომიკურად ისედაც ოჯახის ფარგლებში რჩება. ამით უზრუნველყოფილია, რომ მზღვეველმა მეორე დამზიანებლისაგან კვლავ მოითხოვოს ანაზღაურება იმ ოდენობით, რომელიც სოლიდარულ მოვალეთა შიდა ურთიერთობაში ამ უკანასკნელის წილს შეესაბამება. უკიდურესად გამარტივებულად, საფუძვლად უდევს შემდეგი მოსაზრება: საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 832-ე მუხლის მე-2 ნაწილის დაცვით სფეროში მოქცეული ოჯახის ფარგლებში, პრინციპულად, დაზარალებული ავტონომიურად წყვეტს, გამოიყენებს თუ არა და რა მოცულობით მოთხოვნას პირველი დამზიანებლის მიმართ; თუმცა ეს თავისუფლება იქ მთავრდება, სადაც ოჯახური გადაწყვეტილება მზღვეველის საზიანოდ მოქმედებს.

2. პასუხისმგებლობის სხვა პრივილეგიები

მსგავსი პრობლემა წარმოიშობა, როდესაც სპეციალური კანონისმიერი წესები დამზიანე-

⁷⁵ დასაბუთების დეტალების შესახებ: BGH, Urteil vom 17. Oktober 2017 - VI ZR 423/16 - BGHZ 216, 149, juris Rn.

42 f.

ბელი ქმედების მიუხედავად დელიქტური მოთხოვნის წარმოშობას თავიდანვე გამორიცხავს. გერმანიაში ასეთი წესები არსებობს, მაგალითად, საწარმოო უბედური შემთხვევებისას, როდესაც SGB VII-ის 104-ე და მომდევნო პარაგრაფებში განსაზღვრული წინაპირობების არსებობისას დამსაქმებლისა და თანამშრომლების მიმართ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნები გამოირიცხულია. მსგავსი მოწესრიგება მოქმედებს საჯარო მოხელის სამსახურებრივი უბედური შემთხვევისასაც. პასუხისმგებლობის ამ გამორიცხვის საფუძველია ის, რომ საწარმოო ან სამსახურებრივი უბედური შემთხვევისას დაზარალებული კანონისმიერი უბედური შემთხვევის დაზღვევიდან ან საჯარო მოხელის სტატუსისა და საპენსიო უზრუნველყოფის წესების საფუძველზე შესრულებას იღებს.

სამართლებრივად ეს შემთხვევა ოჯახის წევრის პრივილეგიისაგან იმით განსხვავდება, რომ რამდენიმე დამზიანებლის არსებობისას - პირველი დამზიანებელია დამსაქმებელი ან თანამშრომელი, ხოლო მეორე დამზიანებელი მესამე პირი - პასუხისმგებლობის გამორიცხვის გამო სოლიდარული ვალდებულება საერთოდ არ წარმოიშობა. შესაბამისად, მეორე დამზიანებელი თავიდანვე ერთადერთი მოვალეა.

თუმცა საბოლოოდ გერმანიის სასამართლო პრაქტიკა აქაც მიიჩნევს, რომ პირველ დამზიანებელსა და დაზარალებულს შორის პასუხისმგებლობის გამორიცხვა მეორე დამზიანებლის საზიანოდ არ უნდა მოქმედებდეს. ამიტომ მოთხოვნის გადასვლა იზღუდება მოთხოვნის იმ კვოტით, რომელზეც მეორე დამზიანებელი შიდა ურთიერთობაში იქნებოდა პასუხისმგებელი, პასუხისმგებლობის გამორიცხვის გარეშე სოლიდარული ვალდებულება რომ არსებულიყო. მოთხოვნის გადასვლის მოცულობის დასადგენად, ამგვარად, სოლიდარული ვალდებულების არსებობა ივარაუდება. BGH განმარტავს:⁷⁶

„სენატის დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, როდესაც რამდენიმე დამზიანებელს შორის სოლიდარული ვალდებულება არსებობს, დაზარალებულის მოთხოვნა

ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის, მეორე დამზიანებლის, მიმართ შეიძლება შეიზღუდოს იმ თანხამდე, რომელიც მას სხვა სოლიდარულ მოვალესთან, პირველ დამზიანებელთან, შიდა ურთიერთობაში საბოლოოდ დაეკისრებოდა, BGB-ის 426-ე პარაგრაფის მიხედვით ზიანის განაწილება პირველი დამზიანებლის სოციალური დაზღვევის სამართლებრივი პასუხისმგებლობის პრივილეგიით რომ არ ყოფილიყო დარღვეული. მეორე დამზიანებლის პასუხისმგებლობის შეზღუდვა ეფუძნება მოსაზრებას, რომ, ერთი მხრივ, პასუხისმგებლობის პრივილეგია არ უნდა გაუქმდეს პირველი დამზიანებლის სოლიდარულ მოვალეთა შიდა ანგარიშსწორებაში ჩართვით, ხოლო, მეორე მხრივ, პასუხისმგებლობის პრივილეგიის საფუძვლის, კერძოდ, დაზარალებულის კანონისმიერი უბედური შემთხვევის დაზღვევით სხვაგვარად უზრუნველყოფის გათვალისწინებით, გაუმართლებელი იქნებოდა, მთლიანი ზიანი მხოლოდ მეორე დამზიანებელს ეტვირთა. ამ გარემოებების გათვალისწინებით, მეორე დამზიანებელი უნდა გათავისუფლდეს პასუხისმგებლობის იმ წილის ფარგლებში, რომელიც პირველი დამზიანებლის პრივილეგიის არარსებობისას შიდა ურთიერთობაში ამ უკანასკნელს დაეკისრებოდა. პასუხისმგებლობის წილი ნიშნავს ზიანის თავიდან აცილებაზე პასუხისმგებლობას და, ამდენად, შესაბამისი დამზიანებლის საკუთარ წვლილს ზიანის წარმოშობაში (...).“

D. რეგრესზე უარი/რეგრესის აკრძალვა

როგორც უკვე აღინიშნა, სადაზღვეო პირობები ზოგჯერ შეიცავს დებულებებს, რომლებიც გადასული მოთხოვნების რეგრესულ განხორციელებას გამორიცხავს ან ზღუდავს. რეგრესზე უარი და რეგრესის აკრძალვა მოთხოვნის გადასვლას არ ცვლის; ისინი მხოლოდ მოთხოვნის განხორციელების უფლებას შეეხება.

გერმანული სამართლის საილუსტრაციოდ გამოყენებული იქნება გადაწყვეტილება, რომელიც სრული კასკოს დაზღვევით დაცული, ლიზინგით გაცემული ავტოსატრანსპორტო საშუა-

76 BGH, Urteil vom 18. November 2014 - VI ZR 47/13 -

BGHZ 203, 224, juris Rn. 19

ალების მძღოლის მიმართ რეგრესის მოცულობას შეეხება. საქმეში მოპასუხემ, როგორც დამსაქმებლის, ბატონი R.-ის, მიერ ლიზინგით აღებული ავტოსატრანსპორტო საშუალების მძღოლმა, ლიზინგის საგანი ავტოსატრანსპორტო საშუალება, რომლის ლიზინგის გამცემიც იყო U., დააზიანა, ხოლო მოსარჩელე სრული კასკოს მზღვეველმა K. AG-მ ეს ზიანი აანაზღაურა. მძღოლის მიმართ მზღვეველის მიერ განხორციელებულ რეგრესულ მოთხოვნასთან დაკავშირებით ბრაუნშვაიგის უმაღლესი სამხარეო სასამართლო, სხვებთან ერთად, განმარტავს:⁷⁷

„ამ ავტოსაგზაო შემთხვევის გამო K. AG-მ P. GmbH-ის შეკეთების ანგარიში სასარჩელო მოთხოვნის ოდენობით გადაიხდა. შედეგად, შესაძლებელია, რომ დამზღვევ ბატონ R.-ს ან U.-ს, როგორც ლიზინგის გამცემსა და ავტოსატრანსპორტო საშუალების მესაკუთრეს, მესამე პირის მიმართ არსებული ანაზღაურების მოთხოვნები VVG-ის 86-ე პარაგრაფის პირველი ნაწილის პირველი წინადადების საფუძველზე K. AG-ზე გადასულიყო. AKB-ის A.2.4 პუნქტის მიხედვით, კასკოს დაზღვევის დაცვა ვრცელდება როგორც დამზღვევზე, ისე სხვა პირზე, თუ ხელშეკრულება ამ პირის ინტერესშიცაა დადებული. თუ დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალება ლიზინგის ხელშეკრულებით ფინანსდება, ლიზინგის მიმღები ლიზინგის გამცემის მესაკუთრის ინტერესს აზღვევს და ამდენად ფინანსური დანესებულების სასარგებლოდ სხვისი ინტერესის დაზღვევა არსებობს. ანაზღაურების მოთხოვნათა გადასვლასთან მიმართებით სხვისი ინტერესის დაზღვევით დაცული პირები დამზღვევს უთანაბრდებიან. შესაბამისად, მზღვეველზე მისი სადაზღვეო შესრულების მოცულობით თანადაზღვეული პირის ანაზღაურების მოთხოვნებიც გადადის (BGH-ის 2008 წლის 5 მარტის გადაწყვეტილება - IV ZR 89/07, juris, ველი 8). თუმცა დაზღვეულია ლიზინგის მიმღები დამზღვევის ნივთის ჩანაცვლებითი ღირებულების ინტერესიც, რადგან ლიზინგის ხელშეკრულების მიხედვით იგი ავტოსატრანსპორტო საშუალების დაზიანებასა და

დაკარგვაზე პასუხს აგებს და შეიძლება ლიზინგის გამცემის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნების ადრესატი გახდეს (შდრ. BGH-ის 1993 წლის 14 ივლისის გადაწყვეტილება - IV ZR 181/92, juris, ველი 7).

ავტოსაგზაო შემთხვევის დროს მოპასუხე დაზღვეულ, ლიზინგით გაცემულ ავტოსატრანსპორტო საშუალებას დამზღვევისა და ლიზინგის მიმღების თანამშრომლის სახით თავისი სამსახურებრივი საქმიანობის შესრულებისას იყენებდა. ასეთ შემთხვევაში მზღვეველზე გადადის არა ლიზინგის მიმღების, როგორც დამსაქმებლის, მოთხოვნები, არამედ თანადაზღვეული საკრედიტო დანესებულების, როგორც ავტოსატრანსპორტო საშუალების მესაკუთრის, მოთხოვნები (შდრ. Stiefel/Maier, Kraftfahrtversicherung, 19. გამოცემა, AKB A.2, ველი 886).

b) მოცემულ საქმეში შეიძლება გადაუწყვეტელი დარჩეს, ჰქონდა თუ არა U.-ს, როგორც ავტოსატრანსპორტო საშუალების მესაკუთრეს, მოპასუხის მიმართ BGB-ის 823-ე პარაგრაფიდან გამომდინარე მოთხოვნა, რომელიც VVG-ის 86-ე პარაგრაფის პირველი ნაწილის საფუძველზე K. AG-ზე გადავიდა.

მოპასუხის სასარგებლოდ მოქმედებს ის გარემოება, რომ K. AG-ის რეგრესი მის მიმართ გამორიცხულია. იგი დაზღვეულ, ლიზინგით გაცემულ ავტოსატრანსპორტო საშუალებას დამზღვევის ცოდნითა და ნებით იყენებდა. შესაბამისად, ავტოსაგზაო შემთხვევა მან უფლებამოსილი მძღოლის სახით გამოიწვია.

AKB-ის A.2.15.1 პუნქტის მიხედვით, ზიანის დადგომისას K. AG უფლებამოსილი მძღოლისაგან თავის შესრულებას უკან არ მოითხოვს, გარდა შემთხვევისა, როდესაც მძღოლმა ზიანი ალკოჰოლური სასმელის ან სხვა დამატარებელი ნივთიერების მოხმარების შედეგად უხეში გაუფრთხილებლობით ან განზრახ გამოიწვია (შდრ. AKB-ის A.2.15.2 და A.2.15.3 პუნქტები). პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოებები ასეთი გამონაკლისის არსებობაზე არ მიუთითებდა.

77 OLG Braunschweig, Beschluss vom 19. September 2017

-11 U 10/17 - NJW-RR 2018, 164

ის გარემოება, რომ მოპასუხემ თავდაპირველად ავტოსაგზაო შემთხვევა არ შეატყობინა და შემთხვევის ადგილის უნებართვოდ დატოვებისათვის, StGB-ის 142-ე პარაგრაფის საფუძველზე, ჯარიმა დაეკისრა, AKB-ის A.2.15.1 პუნქტის გამოყენებას არ გამოორიცხავს. AKB-ის A.2.15 პუნქტი რეგრესზე უარიდან ასეთ გამონაკლისს არ ითვალისწინებს. დებულება არც გამოყენების სფეროს სხვა, დაუსახელებელ გამონაკლისებზე გაფართოებას შეიცავს. K. AG-მ რეგრესზე უარიდან გამონაკლისები AKB-ის A.2.15.2 და A.2.15.3 პუნქტებში ამომწურავად ჩამოაყალიბა. ისინი მხოლოდ განზრახ ქმედებას და ალკოჰოლის ან ნარკოტიკული საშუალების წინასწარი მოხმარებით გამონეულ უხეშ გაუფრთხილებლობას შეეხება. მოცემულ საქმეში არ არსებობს გარემოება, რომელიც დაუფევდავ საკანონმდებლო ხარვეზზე მიუთითებდა და BGB-ის 133-ე პარაგრაფის საფუძველზე ხელშეკრულების შემავსებელი განმარტებით შესაძლებელს გახდიდა იმის დადგენას, რომ შემთხვევის ადგილის უნებართვოდ დატოვებაც რეგრესზე უარიდან გამონაკლისის წარმოადგენს.“

თუმცა განსაკუთრებულ ფაქტობრივ კონსტელაციებში რეგრესზე უარი შეიძლება სადაზღვეო ხელშეკრულების შემავსებელი განმარტებიდანაც გამომდინარეობდეს. ამის შესახებ იხ. ქვემოთ, F ნაწილში მოყვანილი მაგალითი.

E. მოთხოვნის გადასვლა და მრავალჯერადი დაზღვევა

მოთხოვნის კანონისმიერ გადასვლასა და მრავალჯერადი დაზღვევისას მზღვეველთა შორის თავდაპირველ შიდა ანგარიშსწორებას შორის ურთიერთობა ქვემოთ მოყვანილი გადანყვეტილებით განიმარტება. როგორც უკვე აღინიშნა, ეს გადანყვეტილება იმავდროულად შეეხება კონკლუდენტურად შეთანხმებულ რეგრესზე უარსაც.⁷⁸

მოსარჩელე, როგორც შენობის მზღვეველი, მოპასუხე კერძო პასუხისმგებლობის მზღვეველისაგან ითხოვს იმ შესრულებების შიდა ანაზღაურებას, რომლებიც მან თავის დამზღვევებს, მესაკუთრეებსა და გამქირავებლებს, წყალგაყვანილობის წყლითა და ხანძრით გამონეული ზიანის გამო გადაუხადა. ზიანი დამზღვევთა დამქირავებლებმა მარტივი გაუფრთხილებლობით გამოიწვიეს. დამქირავებლებს მოპასუხესთან დადებული ჰქონდათ კერძო პასუხისმგებლობის დაზღვევა, რომელიც ნაქირავები ნივთის დაზიანებასაც მოიცავდა. მესაკუთრეებისა და გამქირავებლების შენობის დაზღვევის პრემიებს დამქირავებლები დამატებითი ხარჯების, კერძოდ, საოპერაციო ხარჯების სახით, პროპორციულად იხდიდნენ.

გერმანიის სასამართლო პრაქტიკის მიხედვით ამოსავალი პრინციპები მოკლედ ასეთია:

ვინაიდან საცხოვრებელი ფართის დამქირავებლები სადაზღვეო შენატანებს აფინანსებენ, შენობის დაზღვევის ხელშეკრულების შემავსებელი განმარტებიდან გამომდინარეობს რეგრესზე უარი იმ ზიანის შემთხვევებში, რომლებიც დამქირავებლებმა შენობას მარტივი გაუფრთხილებლობით მიაყენეს.⁷⁹ დამქირავებლების პასუხისმგებლობის დაზღვევის არსებობა ამას არ ცვლის.⁸⁰ ადრინდელი გადანყვეტილებებისაგან განსხვავებით, BGH-ის ახალი სასამართლო პრაქტიკა დამქირავებელთა კანონიერ ინტერესებს ითვალისწინებს არა მხოლოდ ქირავნობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე პასუხისმგებლობის შეზღუდვით - ე.წ. ქირავნობისხელშეკრულებითი გადანყვეტა,⁸¹ არამედ რეგრესზე უართაც - ე.წ. სადაზღვევოსხელშეკრულებითი გადანყვეტა. სადაზღვეოსამართლებრივად შემდეგი მდგომარეობა წარმოიშობა:

შენობის დაზღვევა, როგორც ქონების დაზღვევა, მესაკუთრისა და გამქირავებლის იმ ქონებრივ ღირებულებებს იცავს, რომლებიც შენობის მატერიალურ სუბსტანციაშია განსახიერებული. პასუხისმგებლობის დაზღვევის დაცვა

78 BGH-ის 2006 წლის 13 სექტემბრის გადანყვეტილების მიხედვით - IV ZR 273/05 - BGHZ 169, 86.

79 BGH, Urteil vom 8. November 2000 - IV ZR 298/99 - BGHZ 145, 393, juris Rn. 8; BGH, Urteil vom 13. September 2006 - IV ZR 273/05 - BGHZ 169, 86, juris Rn.

7 ff.

80 BGH, Urteil vom 13. September 2006 - IV ZR 273/05 - BGHZ 169, 86, juris Rn.9 ff.

81 ადრინდელი პრაქტიკა: BGH, Urteil vom 13. Dezember 1995 - VIII ZR 41/95 - BGHZ 131, 288, juris Rn. 11.

კი უცხო ნივთის დაზიანებიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნებს მოიცავს. როგორც წმინდა ქონების დაზღვევა, შენობის დაზღვევა, ჩვეულებრივ, მხოლოდ მესაკუთრის ინტერესს ფარავს ნივთის შენარჩუნებაში. ამიტომ დამქირავებელი მისი პასუხისმგებლობის რისკის გამო თანადაზღვეული არ არის, რადგან სხვაგვარად ქონების დაზღვევა პასუხისმგებლობის დაზღვევად გარდაიქმნებოდა.⁸² რეგრესზე უარის შედეგად დამქირავებლებს მხოლოდ ისე ეპყრობიან, თითქოს ისინი თანადაზღვეული იყვნენ, ე.წ. „კვაზი-დამზღვევები“.⁸³

VVG-ის 86-ე პარაგრაფის პირველი ნაწილის საფუძველზე გადასული მოთხოვნის რეგრესულ განხორციელებაზე ეს კონკლუდენტური უარი არ ცვლის იმას, რომ მესაკუთრისა და დამქირავებლის შენობის მზღვეველს დამქირავებლის პასუხისმგებლობის მზღვეველის მიმართ მრავალჯერადი დაზღვევის კანონისმიერი წესების ანალოგიით თავდაპირველი სადაზღვეო-სამართლებრივი შიდა ანგარიშსწორების მოთხოვნა აქვს: გერმანულ სამართალში VVG-ის 78-ე პარაგრაფი; ქართულ სამართალში საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 827-ე მუხლის მე-3

ნაწილი. მართალია, სამართლებრივი გაგებით მრავალჯერადი დაზღვევა არ არსებობს, რადგან შენობის დაზღვევისა და პასუხისმგებლობის დაზღვევის ხელშეკრულებები, როგორც უკვე აღინიშნა, ერთსა და იმავე ინტერესს არ ფარავს.

მიუხედავად ამისა, ინტერესთა მდგომარეობა თავისი სტრუქტურით მრავალჯერად დაზღვევას შეედრება. ამიტომ გამართლებულია მზღვეველთა შორის შიდა ანგარიშსწორების წესების ანალოგიით გამოყენება: გერმანიაში VVG-ის 78-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილი; საქართველოში, სპეციალური კანონისმიერი ნორმების არარსებობის გამო, სოლიდარულ მოვალეობა შიდა ანგარიშსწორების წესები (სოლიდარული ვალდებულების შესახებ შდრ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 827-ე მუხლის მე-3 ნაწილი). მრავალჯერადი დაზღვევის ეს სპეციალური ანგარიშსწორების მექანიზმები ზოგადად გამორიცხავს სხვა ანგარიშსწორების მოთხოვნებს, მათ შორის VVG-ის 86-ე პარაგრაფიდან და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 832-ე მუხლიდან გამომდინარე მოთხოვნებსაც.⁸⁴

82 BGH, Urteil vom 13. Dezember 1995 - VIII ZR 41/95 - BGHZ 131, 288, juris Rn. 8; BGH, Beschluss vom 18. Dezember 1991 - IV ZR 259/91 - NJW 1992, 980, juris Rn. 2

83 დანვრილებით: BGH, Urteil vom 13. September 2006 - IV

ZR 273/05 - BGHZ 169, 86, juris Rn. 23; BGH, Urteil vom 7. Juni 2023 - IV ZR 252/22 - NJW-RR 2023, 928, juris Rn. 21.

84 BGH, Urteil vom 13. September 2006 - IV ZR 273/05 - BGHZ 169, 86, juris Rn. 23.

გამოსაცდელი ვადის შეწყვეტის მართლზომიერების დასაბუთება: დამსაქმებლის მტკიცების პროცესი და საქართველოს სასამართლო პრაქტიკის დინამიკა

ლიანა ზაგაშვილი

საქართველოს უნივერსიტეტის მონვეული ლექტორი, Skillwill Swiss College-ის იურისტი, უმაღლესი საგანმანათლებლო
დანესებულებების ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტი

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი იკვლევს დამსაქმებლის მტკიცების პროცესს გამოსაცდელი ვადით დადებული შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის მართლზომიერების დასაბუთებისას. საქართველოს შრომის კოდექსი დამსაქმებელს ანიჭებს უფლებას, გამოსაცდელი ვადის განმავლობაში ნებისმიერ დროს შეწყვიტოს დასაქმებულთან შრომითი ურთიერთობა, ხოლო ამ შემთხვევაზე არ ვრცელდება კოდექსის 47-ე და 48-ე მუხლებით გათვალისწინებული შეწყვეტის საფუძვლები და პროცედურები. ეს თავისებურება არსებით გავლენას ახდენს მტკიცების ტვირთის განაწილებაზე მხარეებს შორის. ნაშრომში შედარებითსამართლებრივი მეთოდის გამოყენებით გაანალიზებულია საქართველოს უზენაესი სასამართლოს არაერთგვაროვანი პრაქტიკა, რომლის დინამიკაც მნიშვნელოვნად იცვლებოდა წლებთან ერთად. ნაშრომის დასკვნით ნაწილში ჩამოყალიბებულია ავტორისეული რეკომენდაცია, დამკვიდრდეს პრაქტიკა, რომლის თანახმადაც დამსაქმებელი ვალდებული იქნება პერიოდულად მისცეს დასაქმებულს უკუკავშირი შესრულებული სამუშაოს ხარისხის შესახებ, რაც უზრუნველყოფს გადაწყვეტილების გამჭვირვალობასა და მტკიცების პროცესის სამართლიან წარმართვას.

საკვანძო სიტყვები

გამოსაცდელი ვადა; შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა; მტკიცების ტვირთი; დამსაქმებლის მართლზომიერების დასაბუთება; საქართველოს შრომის კოდექსი; საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა; ევროკავშირის დირექტივები; შედარებითსამართლებრივი კვლევა

I. შესავალი

თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის პირობებში, საზოგადოებისათვის სულ უფრო აქტუალური ხდება შრომითსამართლებრივი ურთიერთობების მონესრიგების საკანონმდებლო გზე-

ბის განხილვა. შრომითი ხელშეკრულება სპეციფიკური სამოქალაქო-სამართლებრივი გარიგებაა, რომლის განსაკუთრებულობაც მხარეთა შორის არსებული სამართალურთიერთობის თავისებურებაში მდგომარეობს¹. კერძო სამართლისთვის დამახასიათებელი მხარეთა თანას-

1 პრაქტიკული სახელმძღვანელო შრომის უფლებებისა და გარემოს დაცვის სფეროში, ლ. ქავთარაძის რედაქტორობით, თბილისი, 2015, 23.

წორუფლებიანობის პრინციპი შრომის სამართალში არსებით მოდიფიკაციას განიცდის, ვინაიდან დასაქმებული ეკონომიკურად და ორგანიზაციულად დამოკიდებული ხდება დამსაქმებლის მითითებებსა და მის მიერ დადგენილ სამუშაო პირობებზე². შრომითი ურთიერთობა ერთგვარი „უხილავი ვერტიკალის“ პრინციპით ხასიათდება: დამსაქმებელი იკავებს იერარქიულად უპირატესს, ძლიერი მხარის პოზიციას, ხოლო დასაქმებული მუდმივ შრომით დაქვემდებარებაში მყოფ, სოციალურად უფრო მონყვლად სუბიექტს წარმოადგენს³.

საქართველოს შრომის კოდექსი საკმაოდ ვიწროდ აწესრიგებს გამოსაცდელი ვადით დადებული შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საკითხს. კერძოდ, მხოლოდ აღნიშნავს, რომ დამსაქმებელს უფლება აქვს, გამოსაცდელი ვადის განმავლობაში ნებისმიერ დროს დადოს დასაქმებულთან ვადიანი ან უვადო შრომითი ხელშეკრულება, ან შეწყვიტოს მასთან არსებული გამოსაცდელი ვადის სამართლებრივი ურთიერთობა⁴. ამასთან, ამგვარი ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, მასზე არ ვრცელდება ის პირობები, რომლებიც გათვალისწინებულია ვადიანი ან უვადო შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის დროს.⁵ ამ ფონზე, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი განსაზღვრავს მტკიცების ტვირთის საერთო გადანაწილების წესს, რომლის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა თუ შესაგებელს.⁶ საქართველოს კანონმდებლობა არ აკონკრეტებს, თუ რომელი ფაქტის დასადასტურებლად რომელი მტკიცებულებაა ვარგისი, თუმცა მტკიცებულების ვარგისობას მისი ობიექტურობა, სანდოობა და საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან უშუალო მიმართება განაპირობებს.⁷ აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ, როგორც წესი, უნდა დაამტკიცოს ყველა ის გარემოება, რომელიც

წარმოადგენს მოთხოვნის წარმოშობის საფუძველს, ხოლო მოპასუხემ, ყველა ის ფაქტი, რომელიც საფუძვლად უდევს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას.⁸ მიუხედავად იმისა, რომ ზოგადი წესით დამსაქმებელსა და დასაქმებულს თანაბრად ეკისრებათ მათთვის რელევანტური მტკიცებულებების წარდგენის ვალდებულება, შრომის სამართალში მტკიცების ტვირთი განსხვავებული სპეციფიკით ხასიათდება. ეს განპირობებულია იმ რეალობით, რომ მტკიცებულებათა მოპოვებისა და წარმოდგენის თვალსაზრისით, მხარეებს შორის თავიდანვე არათანაბარი შესაძლებლობები არსებობს.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია გამოსაცდელი ვადით დადებული შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის მართლზომიერების დასაბუთებისას დამსაქმებლის მტკიცების პროცესის კომპლექსური გამოკვლევა. ნაშრომში გაანალიზებულია, თუ რამდენად გამართლებულია დამსაქმებლისათვის შრომითი ურთიერთობის ნებისმიერ დროს შეწყვეტის აბსოლუტური უფლების მინიჭება და როგორია ამ საკითხთან დაკავშირებით საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიდგომა.

აღსანიშნავია, რომ ერთი შეხედვით, ეს საკითხი საქართველოს შრომის კანონმდებლობით საკმაოდ მარტივად არის მოწესრიგებული, თუმცა, რეალობა ცხადყოფს, რომ ხშირად ხელშეკრულების მოშლის საფუძველი ხდება არა დასაქმებულის პროფესიული კვალიფიკაციის ან უნარების ნაკლებობა, არამედ სრულიად განსხვავებული, მათ შორის, დისკრიმინაციული მოტივები. აგრეთვე, შესაძლოა სახეზე იყოს შემთხვევა, როდესაც დასაქმებულმა ობიექტურ გარემოებათა გამო ვერ მოასწრო საკუთარი პოტენციალის სრულად გამოვლენა. ვინაიდან საქართველოს კანონმდებლობა გამოსაცდელი ვადით ხელშეკრულების შეწყვეტისას დამსაქმებელს არ ავალდებულებს გადანყვეტილების წე-

2 იქვე.

3 №15-1570-2025, 2026 წლის 26 თებერვალი.

4 საქართველოს შრომის კოდექსის მე-17 მუხლის მესამე ნაწილი.

5 იქვე.

6 საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილი.

7 მესხიშვილი, კერძო სამართლის აქტუალური საკითხები, თბილისი, 2020, 157.

8 ჭაგენლოხი უ. და სხვ., სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბილისი, 2020, 423.

რილობით დასაბუთებასა და რეალური მიზეზების განმარტებას, იქმნება ნოყიერი ნიადაგი დასაქმებულის უფლებების დარღვევისათვის. ეს სამართლებრივი ნიუანსები დამსაქმებელს აძლევს შესაძლებლობას, მარტივად შენიღბოს თვითნებური ქმედება და იგი დასაქმებულის არაკომპეტენტურობის არგუმენტით “შეფუთოს”.

მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული სასამართლო პრაქტიკა ამ მიმართულებით საკმაოდ მდიდარია და უზენაეს სასამართლოს არაერთი გადაწყვეტილებით აქვს განმარტებული გამოსაცდელი ვადის არსი, მიზანი და მისი შეწყვეტის სამართლებრივი რეჟიმი⁹, საკითხი დღემდე არ კარგავს აქტუალობას. ეს გამოწვეულია იმ მოცემულობით, რომ დამსაქმებლის მიერ დასაქმებულთან შემდგომი (ვადიანი ან უვადო) ხელშეკრულების არდადების ერთადერთ ლეგიტიმურ საფუძველს პირის შესასრულებელ სამუშაოსთან შეუსაბამობა წარმოადგენს¹⁰. დამსაქმებლისათვის საპროცესო თვალსაზრისით მაინც საკმაოდ მარტივია იმის მტკიცება, თითქოს დასაქმებულმა ვერ გამოავლინა დაკავებული პოზიციისათვის საჭირო უნარები და კვალიფიკაცია. შედეგად, რეალური, არამართლზომიერი მოტივი, ხშირად იოლად იფარება და ინიღბება გამოსაცდელი ვადის „წარუმატებლად დასრულების“ ფორმალური არგუმენტით.

II. გამოსაცდელი ვადის მნიშვნელობა

1. გამოსაცდელი ვადით დადებული შრომითი ხელშეკრულების არსი და მიზანი

გამოსაცდელი ვადით შრომითი ხელშეკრულების დადების ძირითადი მიზანი დასაქმებულის შესასრულებელ სამუშაოსთან შესაბამისობის დადგენაა.¹¹ დამსაქმებელს გააჩნია ლეგიტიმური ინტერესი, ვადიანი ან უვადო შრომითი ხელშეკრულების საბოლოო გაფორმებამდე პრაქტიკაში გადაამოწმოს კანდიდატის პროფესიული კვალიფიკაცია და უნარ-ჩვევები.¹² საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებით, გამოსაცდელი ვადით შრომითი ხელშეკრულების დადება „ერთგვარი ექსპერიმენტი“, სადაც დასაქმებულმა უნდა წარმოაჩინოს საკუთარი ცოდნა, კვალიფიკაცია და უნარები, რათა დაამტკიცოს სამუშაოსთან შესაბამისობა, დამსაქმებელს კი ენიჭება დისკრეცია, დააკვირდეს გამოსაცდელ პირს.¹³ ამასთან, კანონმდებელმა იმპერატიულად განსაზღვრა ის ზღვრული ვადა, რომლის ფარგლებშიც უნდა წარიმართოს მხარეთა სახელშეკრულებო ურთიერთობა. ამ პერიოდის შემდგომი ტრანსფორმაცია, ვადიანი ან უვადო შრომით ხელშეკრულებად, დამოკიდებულია იმაზე, რამდენად გამოავლენს დასაქმებული შესაბამის კვალიფიკაციას გამოსაცდელ პერიოდში.¹⁴ მოცემული დროის მონაკვეთი კანონმდებლის მიერ იმ მოსაზრებით არის შერჩეული, რომ ექვსი თვე სრულიად საკმარისია ეფექტიანი დაკვირვებისათვის, ვინაიდან დაუშვებელია, დამსაქმებელი უსასრულოდ ამოწმებდეს დასაქმებულის კანდიდატურას.

გამოსაცდელი ვადით დადებულ შრომით ხელშეკრულებასთან მიმართებით იკვეთება სამი ფუნდამენტური ასპექტი: პირველი, იგი დამსაქმებელს ანიჭებს დასაქმებულის პროფესიული უნარების შეფასების ლეგიტიმურ შესაძლებლობას¹⁵, მეორე, გამოსაცდელი ვადით შესრულებული სამუშაო აუცილებლად ექვემდებარება ანაზღაურებას, ვინაიდან საქარ-

გამოსაცდელი ვადით დადებულ შრომით ხელშეკრულებასთან მიმართებით იკვეთება სამი ფუნდამენტური ასპექტი: პირველი, იგი დამსაქმებელს ანიჭებს დასაქმებულის პროფესიული უნარების შეფასების ლეგიტიმურ შესაძლებლობას¹⁵, მეორე, გამოსაცდელი ვადით შესრულებული სამუშაო აუცილებლად ექვემდებარება ანაზღაურებას, ვინაიდან საქარ-

9 სუსგ № ას-903-869-2016, 2017 წლის 10 აპრილი, სუსგ № ას-877-2023, 2023 წლის 20 ოქტომბერი, სუსგ № ას-227-216-2017, 2017 წლის 13 ოქტომბერი, სუსგ № ას-142-134-2017, 2018 წლის 18 აპრილი, სუსგ № ას-541-2025, 2026 წლის 12 თებერვალი, სუსგ № ას-1570-2025, 2026 წლის 26 თებერვალი.

10 სუსგ № ას-142-134-2017, 2018 წლის 18 აპრილი.

11 საქართველოს შრომის კოდექსის კომენტარი, დ. კერესელიძე და სხვ. (რედ.), თბილისი, 2023, 215.

12 Hurbean, Probation Period in the Individual Labour Contract, Challenges of the Knowledge Society – Legal Sciences, 247.

13 საქართველოს შრომის კოდექსის კომენტარი, დ. კერესელიძე და სხვ. (რედ.), თბილისი, 2023, 215.

14 სუსგ № ას-227-216-2017, 2017 წლის 13 ოქტომბერი.

15 Yella, The Use of Probationary Period in a Contract of Employment in Cameroon: A Legal Appraisal, United International Journal for Research & Technology, Vol. 1, No. 9, 2020, 30.

თველოს შრომის კოდექსი იმპერატიულად ადგენს ამ პერიოდის ანაზღაურებადობას.¹⁶ მოცემული იმპერატიული დებულება გამორიცხავს გამოსაცდელი ვადის დაწესებას უსასყიდლო სტაჟირების ან კვალიფიკაციის ამაღლების შესახებ ურთიერთობებში, სადაც მხარეებს შორის შრომის ანაზღაურების ვალდებულება არ წარმოიშობა.¹⁷ ბოლო, მესამე ასპექტი კი უკავშირდება დამსაქმებლის უფლებამოსილებას, გამოსაცდელი ვადის განმავლობაში ნებისმიერ დროს შეწყვიტოს შრომითი ურთიერთობა, თუკი კანდიდატი ვერ დააკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს.¹⁸ ამასთან, კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე, გამოსაცდელ ვადაში მყოფ დასაქმებულს უნდა ჰქონდეს ლეგიტიმური მოლოდინი იმისა, რომ კვალიფიკაციის ჯეროვნად გამოვლენისა და სამუშაოსთან შესაბამისობის დადგენის შემთხვევაში, შრომითი ურთიერთობა სტაბილურად გაგრძელდება. ზოგადად, გამოსაცდელი ვადის დაწესების სოციალურ-სამართლებრივი მიზანია, მხარეებს მიეცეთ სამუშაო გარემოსა და ერთმანეთის პროფესიული თვისებების შესახებ სრულფასოვანი წარმოდგენის შექმნის შესაძლებლობა. დამსაქმებლის პერსპექტივით, ეს არის ურთიერთშეგუებისა და ადაპტაციის პერიოდი, რომელიც საბოლოოდ ადასტურებს, შესაბამეა თუ არა დასაქმებული კონკრეტულ პოზიციას.¹⁹

გამოსაცდელი ვადით დადებული შრომითი ხელშეკრულება არ წარმოადგენს დამოუკიდებელ სამართლებრივ აქტს, იგი, თავისი არსით, ძირითადი ხელშეკრულების გამოცალკევებული სახელშეკრულებო დებულებაა.²⁰ ეს კი იმას ნიშნავს, რომ აღნიშნული პირობა აყალიბებს მხარეთა საზიარო მოლოდინს შეფასების პერიოდთან მიმართებით, რომლის განმავლობაშიც უნდა აიწიოს სამომავლოდ გასაფორმებელი გრძელვადიანი ურთიერთობის დადებითი და

უარყოფითი მხარეები.²¹ შესაბამისად, გამოსაცდელ ვადაზე შეთანხმება დროებითი ხასიათისაა, ხოლო მისი ტრანსფორმაცია სტანდარტულ შრომით ხელშეკრულებად ამ პერიოდის პოზიტიურად დასრულებაზეა დამოკიდებული. ეს გულისხმობს, რომ მხარეები თავიდანვე თანხმდებიან დროში შეზღუდულ ექსპერიმენტზე, რომელიც საშუალებას აძლევს დამსაქმებელს, შეაფასოს დასაქმებულის უნარების თავსებადობა დაკავებულ პოზიციასთან, ხოლო დასაქმებულს, შეეგუოს სამუშაოს სპეციფიკასა და დაკისრებულ ვალდებულებებს.²² აღნიშნულიდან გამომდინარე, გამოსაცდელი ვადის ინსტიტუტის გამოყენება სამართლებრივად და პრაქტიკულად მხოლოდ მაშინ არის მიზანშეწონილი, როდესაც სახეზეა პირის კვალიფიკაციის, პრაქტიკული ცოდნისა და პროფესიული გამოცდილების ობიექტური შეფასების აუცილებლობა. ეს პერიოდი ორმხრივი სარგებლის მატარებელია: დამსაქმებელი იძენს შესაძლებლობას, განსაზღვრული დროის განმავლობაში დააკვირდეს დასაქმებულის მუშაობის სტილს, ხოლო დასაქმებული მაქსიმალურად ავლენს საკუთარ პოტენციალს და, ამავდროულად, თავადაც აფასებს, რამდენად პასუხობს მოცემული სამუშაო გარემო მის მოლოდინებს. ამგვარად, გამოსაცდელი ვადის უმთავრესი დანიშნულებაა მხარეთა ორმხრივი, ორგანიზაციული თავსებადობის პრეცედენტული შემოწმება.

2. ხელშეკრულების ფორმა და ვადა

გამოსაცდელი ვადით დადებული ხელშეკრულება თავისი ბუნებით სპეციფიკურია, ვინაიდან კანონმდებლობა კატეგორიულად გამორიცხავს მის ხანგრძლივი დროით ან ზეპირი ფორმით გაფორმებას²³. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის, დასაქმების აქტის 42-ე მუხლის შესაბამისად, სტანდარტულ შემთხვევაში, გამოსაცდელი პერიოდი არ უნდა აღემატებოდეს 6 თვეს,

16 საქართველოს შრომის კოდექსის მე-17 მუხლის მეორე ნაწილი.

17 საქართველოს შრომის კოდექსის კომენტარი, ა. ბორონი (რედ.), თბილისი, 2016, 97.

18 იქვე, 98.

19 სუსგ № ას-17-2021, 2021 წლის 20 მაისი.

20 სუსგ № ას-227-216-2017, 2017 წლის 13 ოქტომბერი.

21 საქართველოს შრომის კოდექსის კომენტარი, ა. ბორონი (რედ.), თბილისი, 2016, 99.

22 იქვე, 100.

23 ტაკაშვილი, მტკიცების პროცესი გამოსაცდელი ვადით დადებული შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტიდან წარმოშობილ დავებში, მართლმსაჯულება და კანონი, N3(71), 2021, 128.

თუმცა შესაძლებელია მისი გაგრძელება მხარეთა შეთანხმებით, დამატებით კიდევ 6 თვის ვადით²⁴. ანალოგიურ 6-თვიან მაქსიმალურ ზღვარს ითვალისწინებს საქართველოს შრომის კოდექსიც, რომლის შესაბამისადაც, პირის პროფესიული თავსებადობის შემოწმების მიზნით, მხარეთა შეთანხმებით შესაძლებელია მხოლოდ ერთხელ დაიდოს შრომითი ხელშეკრულება გამოსაცდელი ვადით, არაუმეტეს 6 თვისა.²⁵ განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ საქართველოში 6 თვიანი პერიოდის გაგრძელება დაუშვებელია.

შრომითი ხელშეკრულება გამოსაცდელი ვადით იდება მხოლოდ წერილობითი ფორმით.²⁶ წერილობითი დოკუმენტის არსებობა მნიშვნელოვნად ამარტივებს მტკიცების პროცესს ხელშეკრულების არსებით პირობებთან დაკავშირებით²⁷. ძირითადი განსხვავება საერთაშორისო სტანდარტებთან მხოლოდ ვადის გაგრძელების ნაწილში ვლინდება, რასაც საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს და ამგვარი შეთანხმების მხოლოდ ერთჯერადად დადების უფლებას უშვებს. პრაქტიკაში, გამოსაცდელი ვადა შეიძლება ჩამოყალიბდეს ორი სამართლებრივი კონსტრუქციით: იგი შეიძლება გაფორმდეს დამოუკიდებელი ვადიანი ხელშეკრულების სახით, რომელიც პერიოდის ამოწურვისთანავე ავტომატურად წყდება (თუკი მხარეები ახალ შეთანხმებას არ დადებენ) და მეორე მხრივ, იგი შეიძლება განისაზღვროს, როგორც განუსაზღვრელი ვადით არსებული შრომითი ურთიერთობის წინმსწრები, საგამოცდო ეტაპი.²⁸ აღნიშნულ შემთხვევაში შეწყვეტის შესახებ ნების გამოვლენა სავალდებულოა, თუკი გამოსაცდელი ვადის ამოწურვის შემდგომ აღარ გრძელდება ხანგრძლივი ურთიერთობა²⁹.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, რომელსაც სრულად დაეთანხმა საქართველოს უზენაესი სასამართლოც, გამოსაცდელი ვადით შრომითი ხელშეკრულების დადება დასაშვებია ექსკლუზიურად წერილობითი ფორმით. ამ წესის დარღვევის შემთხვევაში, შეთანხმება ბათილად მიიჩნევა და ურთიერთობა კვალიფიცირდება, როგორც სტანდარტული (ჩვეულებრივი) შრომითი ხელშეკრულება³⁰. სასამართლომ განმარტა, რომ ამ იმპერატიული ნორმით კანონმდებელი ერთგვარ სამართლებრივ ზღუდეს აწესებს დამსაქმებლისათვის, რათა გამოირიცხოს გამოსაცდელი ვადის ბოროტად გამოყენება და დასაქმებულის მუდმივი დაკვირვების რეჟიმში ყოლა. მაშასადამე, ეს არის მკაცრად განსაზღვრული პერიოდი, რომლის განმავლობაშიც დამსაქმებელმა საბოლოოდ უნდა შეაფასოს პერსონალის უნარები, კომპეტენცია და საოპერაციო თავსებადობა შესასრულებელ სამუშაოსთან.³¹ საილუსტრაციოდ, ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულება შეიძლება გაფორმდეს ერთი წლის ვადით, თუმცა მასში წინმსწრებად, ერთჯერადად განისაზღვროს პირველი 6 თვე, როგორც გამოსაცდელი პერიოდი³². აღნიშნულ მიდგომას ეხმიანება ევროკავშირის დირექტივა „გამჭვირვალე და პროგნოზირებადი სამუშაო პირობების შესახებ“, რომელიც მიუთითებს, რომ წევრ სახელმწიფოთა უმრავლესობამ გამოსაცდელი ვადის ზოგად მაქსიმალურ ხანგრძლივობად სამიდან ექვს თვემდე პერიოდი დაადგინა, რაც გონივრულ სტანდარტად უნდა იქნეს მიჩნეული.³³ დირექტივის თანახმად, გამონაკლის შემთხვევებში გამოსაცდელი ვადის ექვს თვეზე მეტხანს გაგრძელება დასაშვებია, როდესაც ეს ობიექტურად გამართლებულია შრომითი პოზიციის

24 The Employment Act, 2007, 42 (1).

25 საქართველოს შრომის კოდექსი, მე-17 მუხლის პირველი ნაწილი.

26 იქვე.

27 Sebastian, The Economic and Social Effects of Trial Periods for Employment Contracts, Master's Thesis in Law and Economics, University of Helsinki, 2016, 13.

28 შველიძე ზ. და სხვ., საქართველოს შრომის სამართალი და საერთაშორისო შრომის სტანდარტები, თბილისი, 2017, 181.

29 იქვე.

30 სუსგ № ას-921-871-2015, 2015 წლის 26 ნოემბერი.

31 იქვე. 31.

32 Hurban, Probation Period in the Individual Labour Contract, Challenges of the Knowledge Society - Legal Sciences, 252.

33 Directive (EU) 2019/1152 of the European Parliament and of the Council of 20 June 2019 on Transparent and Predictable Working Conditions in the European Union, par. 28.

სპეციფიკით, მაგალითად, მენეჯერული და აღმასრულებელი თანამდებობების, ან საჯარო სამსახურის შემთხვევაში. ვადის გაგრძელება ასევე ნებადართულია, თუკი ეს თავად დასაქმებულის ინტერესებიდან გამომდინარეობს, კერძოდ, მუდმივი დასაქმების ხელშემწყობი სპეციალური ღონისძიებების კონტექსტში, რაც განსაკუთრებით აქტუალურია ახალგაზრდა დასაქმებულთათვის.³⁴ ამასთანავე, დირექტივის მიხედვით, გამოსაცდელი პერიოდის პროპორციული გახანგრძლივება შესაძლებელი უნდა იყოს იმ შემთხვევებშიც, როდესაც დასაქმებული ფიზიკურად ვერ იმყოფებოდა სამუშაო ადგილზე (მაგალითად, ავადმყოფობის, შვებულების ან სხვა საპატიო მიზეზით). აღნიშნული გამონაკლისი უზრუნველყოფს, რომ დამსაქმებელს მიეცეს რეალური და სამართლიანი შესაძლებლობა, სრულფასოვნად შეაფასოს დასაქმებულის ვარგისიანობა და ფუნქციური თავსებადობა დაკავებული პოზიციის მიმართ.³⁵

შეჯამების სახით უნდა აღინიშნოს, რომ გამოსაცდელი ვადით შრომითი ხელშეკრულების ექსკლუზიურად წერილობითი ფორმით დადების ვალდებულება ემსახურება დამსაქმებლის მხრიდან დასაქმებულზე განუსაზღვრელი დროით დაკვირვების პრაქტიკის აღკვეთას. წერილობითი დოკუმენტი იძლევა გამოსაცდელი პერიოდის დაწყებისა და დასრულების ზუსტი თარიღების ფიქსაციის შესაძლებლობას, რაც პოტენციური სასამართლო დავის შემთხვევაში მნიშვნელოვნად ამარტივებს მტკიცების პროცესს. საპირისპიროდ, წერილობითი ფორმის სავალდებულობის იმპერატიულად არარსებობის პირობებში, დამსაქმებელს მიეცემოდა შესაძლებლობა, ბოროტად ესარგებლა აღნიშნული უფლებამოსილებით და დასაქმებულისათვის ზეპირსიტყვიერად დაენესებინა მისთვის სასურველი, თვითნებური ვადები. მნიშვნელო-

ვანია ხაზგასმით აღინიშნოს, რომ ევროკავშირის დირექტივის მიდგომებისაგან განსხვავებით, საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ერთხელ დადებული გამოსაცდელი ვადის გახანგრძლივების სამართლებრივ შესაძლებლობას, მიუხედავად მისი ხანგრძლივობისა. ამდენად, დაწესებული ვადის ამონურვის შემდეგ, დამსაქმებელი დგება ალტერნატივის წინაშე: მან დასაქმებულთან ან უნდა გააფორმოს სტანდარტული (ვადიანი ან უვადო) შრომითი ხელშეკრულება, ან სრულად შეწყვიტოს მასთან არსებული შრომითი ურთიერთობა.

III. გამოსაცდელი ვადით დადებული შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა

1. განსხვავებული მტკიცების პროცესი გამოსაცდელი ვადით დადებული შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტისას

წლების განმავლობაში, ქვედა ინსტანციის სასამართლოები და მათ შორის, საქართველოს უზენაესი სასამართლოც, ერთგვაროვნად ავითარებს მსჯელობას, რომლის თანახმადაც, გამოსაცდელი ვადით დადებული შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტისას დამსაქმებელი ვალდებული იყო, დაედასტურებინა ამგვარი გადაწყვეტილების მართლზომიერება და კანონიერება.³⁶ აღნიშნული მიდგომა განპირობებული იყო იმ სამართლებრივი მოცემულობით, რომ გამოსაცდელი ვადით შრომით ურთიერთობაში შესვლისას დასაქმებულს გააჩნია სრულფასოვანი „სამართლიანი მოლოდინი“, რომ დამსაქმებელი მის პროფესიულ საქმიანობას ობიექტურად შეაფასებდა და ურთიერთობის გაგრძელების ან შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას სწორედ ამ კრიტერიუმზე დაყრდნობით მიიღებდა.³⁷ სწორედ ამ ფუნდამენტური პრინციპიდან გამომდინარეობს დამსაქ-

34 იქვე, 29.

35 იქვე.

36 თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა, № 23/3106-20, 2020 წლის 30 ნოემბერი, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია, № 2/17134-19, 2020 წლის 4 მარტი, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო

საქმეთა პალატის 2017 წლის 13 ოქტომბრის №ას-227-216- 2017 გადაწყვეტილება.

37 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის, 2018 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილება სუსგ № ას-227-216-2017, 2017 წლის 13 ოქტომბერი, 11.

მებლის მტკიცების მკაცრი ტვირთი. სამართლებრივი კონფლიქტის გადაწყვეტისას, შრომითი ურთიერთობის მოშლის კანონიერების დასაბუთების მიმართ წაყენებულია იმდენად მაღალი სტანდარტი, რომ დამსაქმებელმა პროცესულურად უნდა შეძლოს ყოველგვარი საფუძვლიანი ეჭვის გაქარწყლება, მისი მხრიდან დასაქმებულის სტიგმატიზაციის თაობაზე, იქნება ეს პიროვნულ-სუბიექტური, ეთნიკური, რელიგიური, პოლიტიკური თუ სხვა ნებისმიერი ნიშნის მიხედვით.³⁸

სამოქალაქო საპროცესო სამართალში არსებული მტკიცების ტვირთის სამართლიანი და ობიექტური განაწილების სტანდარტის თანახმად, საპროცესო ვალდებულებები ნაწილდება იმგვარად, რომ მოსარჩელესა და მოპასუხეს უნდა დაეკისროთ იმ ფაქტების დადასტურება, რომელთა მტკიცება მათთვის ობიექტურად უფრო მარტივი და ხელმისაწვდომია.³⁹ ზოგადი წესის მიხედვით, მხარეს, რომელიც თავის მოთხოვნას ან შესაგებელს კონკრეტულ ფაქტობრივ გარემოებაზე აფუძნებს, თავადვე ეკისრება ამ გარემოების მტკიცების ტვირთი. შესაბამისად, არა მხოლოდ მოსარჩელეა ვალდებული დაასაბუთოს სარჩელში მოყვანილი ფაქტები, არამედ მოპასუხესაც ეკისრება შესაგებლის არგუმენტების მტკიცების თანაბარი ვალდებულება.⁴⁰ თუმცა, აღნიშნული კლასიკური მიდგომა განსხვავებულად ტრანსფორმირდება შრომით სამართლებრივ ურთიერთობებში. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის, 1995 წლის ანგარიში, „დაცვა დაუსაბუთებელი დათხოვნისაგან“, სპეციფიკურად აწესრიგებს მტკიცების ტვირთის საკითხს შრომითი ხელშეკრულების მოშლისას. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ იმისათვის, რათა დასაქმებული არ აღმოჩნდეს არათანაბარ პირობებში და მხოლოდ იგი არ იყოს ორიენტირებული ხელშეკრულების შეწყვეტის უკანონობის მტკიცებაზე, თავად დამსაქმებელმა

უნდა დაადასტუროს მის მიერ ბრძანებაში მიითებული საფუძვლისა და მიზეზის რეალურობა.⁴¹ მაშასადამე, აღნიშნული საერთაშორისო სტანდარტი არ ეთანხმება სახელშეკრულებო სამართლის ტრადიციულ კონცეფციას, რომლის მიხედვითაც, მტკიცების ტვირთი ყოველთვის მას ეკისრება, ვინც რაიმე გარემოებაზე მიუთითებს.⁴²

სასამართლოს პრაქტიკა ამ მიმართულებით არ არის ერთგვაროვანი, რადგან სასამართლოს ასევე განმარტებული აქვს, რომ თუ შრომის კოდექსით გათვალისწინებულ შეწყვეტის საფუძვლებზე⁴³ მიითიებასა და მათ მტკიცებას დამსაქმებელს გამოსაცდელი ვადის დასრულების შემდეგაც დავაკისრებდით, მაშინ ეს ინსტიტუტი საერთოდ დაკარგავდა თავის ავთენტურ დანიშნულებას.⁴⁴ ამ მიდგომის მომხრეთა აზრით, გამოსაცდელი პერიოდი არის ის ერთადერთი ფაზა, რომლის ფარგლებშიც კანონმდებელმა დამსაქმებელს ფართო ნებაყოფლობით თავისუფლება მიანიჭა, არ გააგრძელოს შრომითი ურთიერთობა დასაქმებულთან, თუკი მიიჩნევს, რომ იგი არ შეესაბამება დაკისრებულ მოვალეობებს.⁴⁵ აღნიშნულიდან გამომდინარე, უზენაეს სასამართლოს დიდი ხნის განმავლობაში არ ჰქონდა ჩამოყალიბებული ერთიანი, მყარი კონცეფცია გამოსაცდელი ვადის შეწყვეტის მტკიცების ტვირთთან დაკავშირებით. როგორც ანალიზი ცხადყოფს, გადაწყვეტილებათა ერთი ნაწილი იცავს პოზიციას, რომ დამსაქმებელს არ ეკისრება მოტივაციის დეტალური დასაბუთების პროცესულური ვალდებულება, ვინაიდან გამოსაცდელი ვადის სპეციფიკა სწორედ ურთიერთობის გამარტივებულ შეწყვეტაში მდგომარეობს. საპირისპიროდ, დამსაქმებელმა ობიექტურად უნდა დაასაბუთოს, თუ რატომ ვერ მოხდა პირთან შემდგომი შრომითი ხელშეკრულების გაფორმება. ეს დოქტრინალური დაპირისპირება არსებითად ართულებს მართლმსაჯულების ობიექტურობის სტანდარტის დადგენას,

38 იქვე.

39 სუსგ № ას-1572-2022, 2023 წლის 4 მაისი.

40 იქვე.

41 International Labour Office, Protection Against Unjustified Dismissal, Report III (Part 4B), Geneva, 82nd Session, 1995. Par. 198.

42 იქვე, Par. 203.

43 საქართველოს შრომის კოდექსის 47-ე მუხლი.

44 სუსგ № ას-142-134-2017, 2018 წლის 18 აპრილი.

45 იქვე.

რადგან სასამართლოს მიერ განვითარებული სამართლებრივი პოზიციები ერთმანეთთან აშკარა წინააღმდეგობაში მოდის.

1.1. გამოსაცდელი ვადის წარუმატებლად დასრულების შემთხვევაში

გამოსაცდელი ვადით დადებული შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის ერთადერთი საფუძველი არსებობს და ეს არის პირის შეუსაბამობა შესასრულებელ სამუშაოსთან, რაც გულისხმობს დაკავებულ თანამდებობასთან პირის პროფესიული ჩვევების, შესაძლებლობებისა და პირადი თვისებების შეუსაბამობას.⁴⁶ გერმანიის შრომის კანონმდებლობის შესაბამისად, დასაქმებულსა და დამსაქმებელს 6 თვის განმავლობაში შეუძლია წინასწარი გაფრთხილების გარეშე შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა⁴⁷, მაგრამ აღნიშნული უნდა მოხდეს იმ მიზეზით, რომ დასაქმებულის კვალიფიკაცია არ არის საკმარისი დაკავებული პოზიციისათვის⁴⁸. გამოსაცდელი ვადით დადებული შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის განსხვავებულ პროცედურას ითვალისწინებს ევროკავშირის 2017 წელს გამოცემული პრაქტიკული გზამკვლევი „მომსახურების შეწყვეტის შესახებ დროებითი, საკონტრაქტო პერსონალის და აკრედიტებული პარლამენტის თანაშემწეებისათვის“, რომელშიც აღნიშნულია, რომ იმ შემთხვევაში თუ დამსაქმებელი წყვეტს გამოსაცდელი ვადით დადებულ შრომით ხელშეკრულებას, მაშინ ერთი თვით ადრე უნდა გააფრთხილოს დასაქმებული⁴⁹, ამასთან, იმ შემთხვევაში თუ დამსაქმებელი გამოსაცდელი ვადის პერიოდის განმავლობაში შეწყვეტს ხელშეკრულებას, მან გამოსაცდელი ვადის დასრუ-

ლებამდე, ხელფასის მესამედი უნდა გადაუხადოს დასაქმებულს.⁵⁰ ევროკავშირის გზამკვლევის დანაწესისაგან განსხვავებულია 2021 წლის საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელშიც სასამართლომ აღნიშნა, რომ გამოსაცდელი ვადის განმავლობაში დამსაქმებლის ინიციატივით ხელშეკრულება შეიძლება ნებისმიერ დროს მოიშალოს.⁵¹ შესაბამისად, შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ ბრძანების ბათილად ცნობის, სამსახურში აღდგენისა და განაცდურის ანაზღაურების თაობაზე მოთხოვნა ამ შემთხვევაში არ განიხილება. ამასთან, სასამართლომ აღნიშნა, რომ დამსაქმებლისათვის ერთადერთი პერიოდია გამოსაცდელი ვადა, რომლის დროსაც მას სრული დისკრეცია აქვს არ დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება და დასაბუთების გარეშე შეუწყვიტოს დასაქმებულს შრომითი ხელშეკრულება.⁵²

ევროკავშირის დირექტივა „გამჭვირვალე და პროგნოზირებადი სამუშაო პირობების შესახებ“ ადგენს, რომ დასაქმებულებს უფლება აქვთ, შრომითი ურთიერთობის დაწყებისთანავე მიიღონ სრული ინფორმაცია საკუთარი უფლებებისა და მოვალეობების თაობაზე.⁵³ ამ კონტექსტში, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ადმინისტრაციული ტრიბუნალის 2024 წლის გადაწყვეტილება, რომელიც აქცენტს აკეთებს გამოსაცდელი ვადის განმავლობაში დასაქმებულის მიერ შესრულებული სამუშაოს შუალედური ანგარიშების წარდგენის აუცილებლობაზე. აღნიშნული პრეცედენტის თანახმად, სანამ დამსაქმებელი მიიღებს საბოლოო გადაწყვეტილებას გამოსაცდელი ვადით დადებული ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, იგი ვალდებულია წინასწარ მიაწოდოს დასაქმებულს ობიექ-

46 სუსგ № ას-227-216-2017, 2017 წლის 13 ოქტომბერი, 32.

47 Riphahn/Thalmaier, Behavioral Effects of Probation Periods: An Analysis of Worker Absenteeism, IZA Discussion Paper No. 67, 1999, 3.

48 იქვე.

49 Paymaster's Office, Practical Guide "Termination Of Service Of Temporary And Contract Staff Members And Accredited Parliamentary Assistants", 2017, 20-22.

50 იქვე.

51 სუსგ № ას-130-2021, 2021 წლის 28 აპრილი.

52 იქვე.

53 Directive (EU) 2019/1152 of the European Parliament and of the Council of 20 June 2019 on Transparent and Predictable Working Conditions in the European Union, par, 3.

ტური უკუკავშირი. ეს პროცედურა უზრუნველყოფს, რომ დასაქმებულს დროულად ჰქონდეს ინფორმაცია მისი საქმიანობის ნაკლოვანებების თაობაზე და მიეცეს გონივრული შესაძლებლობა არსებული ხარვეზების გამოსასწორებლად.⁵⁴

ჯერ კიდევ 1986 წელს მიღებულ გადანყვეტილებებში ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ როდესაც დამსაქმებელი დასაქმებულის მიერ გამოსაცდელი პერიოდის წარუმატებლად გავლის ფაქტზე მიუთითებს, მასვე ეკისრება პროცესუალური ვალდებულება, სათანადო არგუმენტებითა და მტკიცებულებებით დაასაბუთოს, თუ კონკრეტულად რამ განაპირობა ეს სამართლებრივი შედეგი⁵⁵. საპირისპიროდ, 1984 წლის გადანყვეტილებაში ევროკავშირის სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ შემთხვევაზე, როდესაც დასაქმებულის მიერ გამოსაცდელი ვადის ვერგადალახვა ნამდვილად დადასტურდა დამსაქმებლის მიერ წარმოდგენილი ობიექტური ანგარიშებისა და შეფასებების საფუძველზე. აღსანიშნავია, რომ ამ საქმეში გამოიკვეთა მნიშვნელოვანი გარემოება: გამოსაცდელი პერიოდის განმავლობაში დასაქმებულმა ისარგებლა შვებულებით, რის გამოც დამსაქმებელმა საგამოცდო ვადა პროპორციულად გაახანგრძლივა, რათა პირს საკუთარი პროფესიული პოტენციალის გამოვლენის რეალური შესაძლებლობა ჰქონოდა.⁵⁶ დასახელებული პრეცედენტები თვალსაჩინოდ ცხადყოფს ევროპულ სტანდარტს: დამსაქმებელი, რომელიც ამტკიცებს, რომ დასაქმებულის მიერ დაკავებული პოზიცია არ შეესაბამება მის კვალიფიკაციასა თუ უნარჩვევებს, ვალდებულია მტკიცებულებებით განამტკიცოს საკუთარი პოზიცია და სასამართლოს ნათლად აჩვენოს ის ობიექტური საფუძვლები, რის გამოც მიიჩნია, რომ პირმა გამოსაცდელი ვადის განმავლობაში ვერ გამოავლინა საკმარისი კომპეტენცია.

სასამართლო პრაქტიკა მკაფიოდ მიუთითებს, რომ გამოსაცდელი ვადის ამონურვამდე დასაქმებულის გათავისუფლება დამსაქმებელს წარმოუშობს იმ ობიექტური საფუძვლების დასაბუთების ვალდებულებას, რაც ურთიერთობის შეწყვეტის წინაპირობა გახდა. კერძოდ, თუ საქმეში სადავო არ არის დასაქმებულის მიერ მოვალეობების ჯეროვანი შესრულება, მას არ მიუღია შენიშვნა და არ ჩაუდენია დისციპლინური გადაცდომა⁵⁷ პალატის დასკვნით, გათავისუფლება დასაშვებია არა ნებისმიერ დროს, არამედ მხოლოდ სამუშაოსთან შეუსაბამობის დადგენისას, რაც კონკრეტული მტკიცებულებებით უნდა დადასტურდეს⁵⁸. ანალოგიური მიდგომა განვითარებული უზენაესი სასამართლოს 2021 წლის გადანყვეტილებაშიც, სადაც ხაზგასმულია, რომ გამოსაცდელი ვადის „წარუმატებლად“ გავლის მტკიცების ტვირთი ექსკლუზიურად დამსაქმებელს ეკისრება.⁵⁹ ამგვარი დასკვნა გამომდინარეობს თავად გამოსაცდელი ვადის საკანონმდებლო განმარტებიდან, რომლის მიხედვით, შეზღუდული ვადით დასაქმების მიზანია შესასრულებელ სამუშაოსთან პირის შესაბამისობის დადგენა⁶⁰. შესაბამისად, საგამოცდო ვადის გასვლამდე ურთიერთობის მოშლისას, დამსაქმებელმა აუცილებლად უნდა დაასაბუთოს, თუ რატომ ვერ დააკმაყოფილა დასაქმებულმა დაწესებული მოთხოვნები, ვინაიდან ვადამდე დათხოვნისას პირს ერთმევა შესაძლებლობა, სრულად გამოავლინოს საკუთარი პროფესიული პოტენციალი.⁶¹ აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის დოქტრინალური მიდგომა, გამოსაცდელი ვადის წარუმატებლად გავლის მტკიცების ტვირთის დამსაქმებელზე დაკისრების თაობაზე, გარკვეულწილად ასახულია საქართველოს უზენაესი სასამართლოს უახლეს პრაქტიკაშიც. აღსანიშნავია, რომ 2021 წლამდე უზენაესი სასამართლოს მიდგომა რადიკალურად განსხვავ-

54 იქვე.

55 V.R. v Commission, CJEU, 29 May 1986, C-75/85, Par. 4.

56 იქვე.

57 სუსგ № ას-699-653-2017, 2017 წლის 30 ივნისი.

58 იქვე.

59 სუსგ № ას-17-2021, 2021 წლის 20 მაისი.

60 იქვე.

61 იქვე.

ვებული სამართლებრივი ბუნებით ხასიათდებოდა; სასამართლო პირდაპირ მიუთითებდა, რომ დამსაქმებელი თავისუფლდებოდა შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის მოტივის დადასტურების ვალდებულებისაგან, ვინაიდან გამოსაცდელი პერიოდი მიიჩნეოდა იმ ექსკლუზიურ ფაზად, რომლის ფარგლებშიც მას გააჩნდა სრული დისკრეცია, ნებისმიერ დროს, წინასწარი გაფრთხილების გარეშე მოეშალა ურთიერთობა. თუმცა, 2021 წლის შემდგომ სასამართლოს მსჯელობა არსებითად ტრანსფორმირდა და უფრო მეტად დასაქმებულის უფლებების ეფექტიანი დაცვისაკენ გადაიხარა. თანამედროვე სტანდარტის მიხედვით, თუკი დამსაქმებელი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლად დასაქმებულის უნარებისა და კვალიფიკაციის დაკავებულ პოზიციასთან შეუსაბამობას მიიჩნევს, მასვე ეკისრება პროცესუალური ვალდებულება, წარადგინოს სათანადო არგუმენტაცია და ობიექტური მტკიცებულებები, რომლებიც ამ ფაქტობრივ გარემოებას უტყუარად დაადასტურებენ.

1.2. სხვა საფუძვლის არსებობის შემთხვევაში

გამოსაცდელი ვადით დადებული შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტიდან გამომდინარე დადების განხილვისას, როგორც ნაშრომის წინა ნაწილებში აღინიშნა, ბოლო პერიოდის სასამართლო პრაქტიკა მტკიცების ტვირთს დამსაქმებელს აკისრებს. კერძოდ, სასამართლო მიუთითებს, რომ სწორედ დამსაქმებელმა უნდა დაადასტუროს დასაქმებულის მიერ გამოსაცდელი ვადის წარუმატებლად გადალახვის ფაქტობრივი გარემოებები.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის დასაქმების შესახებ აქტის 86-ე მუხლი, რომელშიც 2007 წლის შემდგომ პერიოდში არაერთი ცვლილება შევიდა, აწესრიგებს გამოსაცდელი ვადით დადებული შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის სამართლებრივ საფუძვლებს. აღნიშნული ნორმის თანახმად, ხელშეკრულების შეწყვეტა

დაუშვებელია იმგვარი მოტივით, რომელიც შეუსაბამოა თავად გამოსაცდელი ვადის ლეგიტიმურ მიზანთან⁶². ეს აკრძალავს ეფუძნება იმ პრაქტიკულ გარემოებას, რომ ხშირია შემთხვევები, როდესაც დამსაქმებლის გადანყვეტილება დასაქმებულთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის თაობაზე განპირობებულია სხვა, სუბიექტური მიზეზებით, რაც არანაირ კავშირში არ არის დასაქმებულის პროფესიული უნარჩვევების შეფასებასთან.

საქართველოს უზენაესს სასამართლოს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შედარებით განსხვავებული გადანყვეტილება აქვს მიღებული, რომელიც წინა თავებში განხილული მტკიცების პროცესისაგან განსხვავებულ მოწესრიგებას ითვალისწინებს. კერძოდ, გამოსაცდელი ვადის გასვლამდე დასაქმებულის გათავისუფლება დამსაქმებლისთვის არადაამაყოფილებელი შედეგების არსებობის შემთხვევაშია დასაშვები, ხოლო არადაამაყოფილებლობის დამადასტურებელი გარემოებების მითითება და შესაბამისი მტკიცებულებების წარმოდგენა მოპასუხე დამსაქმებლის მხარეზეა.⁶³ აღნიშნული იმით არის განპირობებული, რომ თუ დასაქმებულმა ნამდვილად ვერ გადალახა წარმატებით გამოსაცდელი ვადა, „ვერ გადალახვი“-ს მტკიცების ტვირთი, თავისი მტკიცებულებებით და არგუმენტებით ესკირება დამსაქმებელს, რადგან გამოსაცდელი ვადის წარუმატებლად გადალახვა რაიმე არგუმენტზე ან/და მტკიცებულებაზე უნდა იყოს დაყრდნობილი. შესაბამისად, დამსაქმებელმა უნდა წარუდგინოს სასამართლოს ანგარიში/შეფასება და ყველა ის დოკუმენტაცია, რომელიც დაადასტურებს პირის შეუსაბამობას. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის გადანყვეტილება ზუსტად ამგვარ შემთხვევას ეხებოდა, როდესაც დამსაქმებელი სამსახურიდან გაათავისუფლეს გამოსაცდელი ვადის წარუმატებლად გავლის მიზეზით, მაგრამ საქმის მასალებით არ დგინდებოდა რაიმე სახის დარღვევა ან დისციპლინური გადაცდომა დასაქმებულის მიერ და ასევე, სახეზე იყო ბრძანება, შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის

62 The Employment Act, 2009, 86 (4).

63 სუსგ № ას-17-2021, 2021 წლის 20 მაისი.

შესახებ, რომელშიც არ იყო მითითებული შრომითი ხელშეკრულების მოშლის მიზეზი.⁶⁴ განსახილველ საქმეში დამსაქმებელი დასაქმებულთან შრომითი ურთიერთობის მოშლის ობიექტურ და მართლზომიერ წინაპირობად ახალი ხელმძღვანელობის მოსვლის შემდგომ კომპანიაში განვითარებულ მოვლენებს ასახელებდა⁶⁵, აღნიშნული გარემოება აშკარა შეუსაბამობაშია გამოსაცდელი ვადის წარუმატებლად გავლის იურიდიულ საფუძველთან, ვინაიდან შრომითი ხელშეკრულება შეწყდა ახალი ხელმძღვანელის სუბიექტური/ორგანიზაციული მოტივით და არა იმის გამო, რომ დასაქმებულმა ვერ გამოავლინა დაკავებული პოზიციისთვის შესაბამისი პროფესიული უნარ-ჩვევები.⁶⁶ სასამართლო საკუთარი არგუმენტაციის გასამყარებლად იშველიებს ევროპის სოციალურ ქარტიას (რომლის რატიფიცირებაც საქართველოს მიერ 2005 წელს მოხდა). ქარტიის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, შრომის სამართლიანი ანაზღაურების უფლების ეფექტიანად განხორციელების მიზნით, მხარეები კისრულობენ ვალდებულებას, აღიარონ ყველა დასაქმებულის უფლება, წინასწარ მიიღოს გონივრული შეტყობინება სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ.⁶⁷ აღნიშნულიდან გამომდინარე, შრომის სამართლის დამცავი ფუნქციის გათვალისწინებით, აუცილებელია, დამსაქმებელმა სათანადო მტკიცებულებებით დაასაბუთოს, თუ რა ობიექტურ არგუმენტებზე დაყრდნობით მიიჩნევს, რომ დასაქმებულმა ვერ გაიარა გამოსაცდელი ვადა. ეს მიდგომა პრაქტიკაში გამორიცხავს იმგვარ თვითნებობას, როდესაც დამსაქმებელი სრულიად სხვა (არამართლზომიერი) მოტივით წყვეტს შრომით ხელშეკრულებას, ხოლო სამართლებრივად ამ პროცესს გამოსაცდელი ვადის ვერგადაღების ნიღბით ფარავს.

მნიშვნელოვანია შრომითსამართლებრივი დავების განხილვისას გამოირიცხოს დამსაქმებლის მიერ უფლების ბოროტად გამოყენება, რომლის შესაბამისადაც: სამოქალაქო უფლება

უნდა განხორციელდეს მართლზომიერად. დაუშვებელია უფლების გამოყენება მარტოდენ იმ მიზნით, რომ ზიანი მიადგეს სხვას⁶⁸. აღნიშნული ჩანაწერი კეთილსინდისიერების დაკონკრეტებაა, რომელიც კერძოსამართლის მონაწილეებს ავალდებულებს, კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობები.⁶⁹ ნებისმიერი დავის განხილვისას, როგორც წესი, სასამართლო ამონმებს უფლების გამოყენების მართლზომიერების საკითხს, რის საფუძველზეც აფასებს მხარეთა მიერ სასამართლოს წინაშე დაყენებულ მოთხოვნათა მართებულობას. უფლების გამოყენების მართლზომიერების შესაფასებლად კი, აუცილებელია მისი გამოყენების განმაპირობებელი გარემოებების მართლზომიერების საკითხის შესწავლა.⁷⁰

საკითხის ბოლოს, მნიშვნელოვანია აღინიშნოს როგორ შეიცვალა უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა წლებთან ერთად და უახლესი პრაქტიკის გათვალისწინებით, თუ, გამოსაცდელი ვადის შესახებ შეთანხმება კანონიერად ჩაითვლება, ხოლო ამავე პერიოდში შრომითი ხელშეკრულება მაინც შეწყდება დამსაქმებელის ინიციატივით და იგი მიუთითებს შეწყვეტის მიზეზსა და საფუძველს, მიუხედავად იმისა, რომ ასეთი მითითების ვალდებულება მას არ აქვს, დამსაქმებელი ხდება ვალდებული დაასაბუთოს მითითებული მიზეზების სისწორე, წინააღმდეგ შემთხვევაში, თუნდაც გამოსაცდელ ვადაში მოხდეს დასაქმებულთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა, ასეთი გადაწყვეტილება ჩაითვლება უკანონოდ.⁷¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, დამსაქმებელს უფლება აქვს, გამოსაცდელი ვადის განმავლობაში ნებისმიერ დროს შეწყვიტოს დასაქმებულთან შრომითი ხელშეკრულება შესასრულებელ სამუშაოსთან შეუსაბამობის მოტივით, ამასთან, იგი თავისუფლდება შეწყვეტის კონკრეტული ფაქტობრივი საფუძვლების მითითე-

64 სუსგ № ას-699-653-2017, 2017 წლის 30 ივნისი.

65 იქვე, 13.

66 იქვე, 20.

67 Council of Europe, European Social Charter, Strasbourg, 3 May 1996, Article 4 (4).

68 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 115-ე მუხლი.

69 ბურდული ი. და სხვ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, თბილისი, 2017, 655.

70 სუსგ № ას-489-2022, 2023 წლის 31 მარტი.

71 სუსგ № ას-555-2023, 2024 წლის 28 თებერვალი.

ბის ვალდებულებისგან. თუმცა, იმ შემთხვევაში, თუ დამსაქმებელი შრომით ურთიერთობას გამოსაცდელ პერიოდში კონკრეტული მიზეზის მითითებით წყვეტს, მასვე ეკისრება აღნიშნული დასაბუთების, როგორც სადავო ფაქტის, დადასტურების საპროცესო ტვირთი.⁷² შესაბამისად, სასამართლოს უახლესი პრაქტიკის გათვალისწინებით, მიუხედავად იმისა, რომ დამსაქმებელს თავდაპირველად არ ეკისრება ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლების დეტალური დასაბუთების ვალდებულება, ნებისმიერი კონკრეტული მიზეზის მითითება ავტომატურად იწვევს მტკიცების ტვირთის მასზე გადასვლას. ამ დროს დამსაქმებელი ვალდებული ხდება, სათანადო მტკიცებულებებითა და დოკუმენტაციით დაადასტუროს გამოსაცდელი ვადით დადებული შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის კანონიერება და მართლზომიერება.

IV. დასკვნა

გამოსაცდელი ვადით დადებული შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტისას მტკიცების ტვირთის განაწილების თაობაზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს არაერთგვაროვანი პრაქტიკის ანალიზი რამდენიმე ფუნდამენტური დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას იძლევა: გამოსაცდელი ვადა ორმხრივი დაკვირვების დროებითი ეტაპია, რომელიც დამსაქმებელს აძლევს კანდიდატის პროფესიული თავსებადობის შეფასების, ხოლო დასაქმებულს, სამუშაო გარემოსთან შეგუების შესაძლებლობას. კანონმდებლის მიერ წერილობითი ფორმის იმპერატიულად დაწესება პრევენციულ ხასიათს ატარებს, რადგან იგი გამორიცხავს დამსაქმებლის მხრიდან დასაქმებულის მუდმივი დაკვირვების რეჟიმში თვითნებურად ყოლას და საპროცესო თვალსაზრისით მკაფიოდ განსაზღვრავს ურთიერთობის ვადებს. სასამართლოს მიდგომები წლების განმავლობაში რადიკალურად შეიცვალა.

2021 წლამდე უზენაესი სასამართლო იცავდა დამსაქმებლის აბსოლუტური დისკრეციის პრინციპს, რაც გამორიცხავდა გათავისუფლების მიზეზთა დასაბუთების ვალდებულებას. 2021 წლის შემდგომ პერიოდში კი პრაქტიკა არსებულ სამართლებრივ პრობლემებს დაუპირისპირდა და დასაქმებულის უფლებების ეფექტიანი დაცვისკენ გადაიხარა. აღნიშნულის საშუალებით, დამსაქმებელს დაეკისრა პროცესუალური ტვირთი, მტკიცებულებებით დაადასტუროს პირის შეუსაბამობა დაკავებულ პოზიციასთან, რათა გამოირიცხოს უფლების ბოროტად გამოყენება ან ფარული დისკრიმინაციული მოტივები. უზენაესი სასამართლოს უახლესი მიდგომა, რომლის მიხედვითაც ბრძანებაში კონკრეტული მიზეზის ნებაყოფლობითი მითითება ავტომატურად წარმოშობს დამსაქმებლისათვის ამ მიზეზის მტკიცების ტვირთს, არაპრაქტიკულია. აღნიშნული სტანდარტი დამსაქმებელს უზიდავს, საერთოდ არ მიუთითოს გათავისუფლების საფუძველი, რათა თავიდან აიცილოს საპროცესო ვალდებულებები, რაც კვლავ არათანაბარ პირობებში აყენებს დასაქმებულს და აძლიერებს პრაქტიკის არაპროგნოზირებადობას. საერთაშორისო პრაქტიკისა და ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისად, მიზანშეწონილია ეროვნულ დონეზე დამკვიდრდეს მიდგომა, რომლის თანახმადაც დამსაქმებელი ვალდებული იქნება, გამოსაცდელი ვადის მიმდინარეობისას პერიოდულად მიაწოდოს დასაქმებულს ოფიციალური უკუკავშირი მისი მუშაობის ხარისხის, დადებითი და უარყოფითი მხარეების შესახებ. ეს მექანიზმი, ერთი მხრივ, უზრუნველყოფს გადანაცვეტილების გამჭვირვალობასა და აღქმადობას დასაქმებულისათვის, ხოლო, მეორე მხრივ, დავის წარმოშობის შემთხვევაში, დამსაქმებელს მისცემს მის მიერ მიღებული გადანაცვეტილების მართლზომიერების ობიექტური და იურიდიულად უტყუარი მტკიცების შესაძლებლობას.

⁷² იქვე.

ნიღბის უკან აღარავინ დგას: როცა სამართალი ცდილობს რეალობის დადგენას ტექნოლოგიებით მოპარული იდენტობის პირისპირ

მაგდანა ბაქრაძე
ადვოკატი

აბსტრაქტი

ხელოვნური ინტელექტის განვითარების პარალელურად, Deepfake ტექნოლოგია მნიშვნელოვნად ცვლის ციფრული ინფორმაციის სანდოობას და გავლენას ახდენს თანამედროვე სამართლებრივ სივრცეზე.

Deepfake არის ხელოვნური ინტელექტის მიერ გენერირებული სინთეზური მედია, რომელიც ქმნის რეალობის ილუზიას და მნიშვნელოვნად ართულებს სხვადასხვა ტიპის ჭეშმარიტი და მანიპულირებული ინფორმაციის ერთმანეთისგან გამიჯვნას.

კვლევა ეფუძნება ხელოვნური ინტელექტის თეორიულ ჩარჩოებსა და გლობალურ ტექნოლოგიურ მიდგომებს, მათ შორის ნეირონული ქსელების, ღრმა სწავლებისა და კონკურენტული ქსელების (GANs), ფუნქციონირების ანალიზს. ასევე, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა „შავი ყუთის“ პრობლემას, რომელიც ხელოვნური ინტელექტის გადანაცვლებების გამჭვირვალობის ნაკლებობას უკავშირდება. მეთოდოლოგია აერთიანებს დოკტრინალურ და შედარებით სამართლებრივ ანალიზს, რომლის ფარგლებშიც შეფასებულია პერსონალური მონაცემების დამუშავების სამართლებრივი საფუძვლები და მათი გამოყენება Deepfake ტექნოლოგიის კონტექსტში.

შედეგები აჩვენებს, როგორც დადებით ეფექტებს, კერძოდ, ინოვაციური შესაძლებლობების ზრდას და ციფრული ტექნოლოგიების განვითარებას, ასევე მნიშვნელოვან გამოწვევებს, როგორიცაა დეზინფორმაციის გავრცელება, რეპუტაციის შელახვა და პასუხისმგებელი სუბიექტის იდენტიფიცირების სირთულე ტექნოლოგიური პროცესების გაუმჭვირვალობის პირობებში.

კვლევა ასკვნის, რომ აუცილებელია ეფექტური სამართლებრივი ჩარჩოების ფორმირება, რომლებიც ერთობლივად უზრუნველყოფენ Deepfake ტექნოლოგიის უსაფრთხო გამოყენებას, პერსონალური მონაცემების დაცვის მაღალი სტანდარტების დანერგვას და შედეგად, ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დაცვას. აღნიშნული მიდგომა პერსპექტივაში ხელს შეუწყობს ტექნოლოგიურ ინოვაციასა და სამართლებრივ უსაფრთხოებას შორის მდგრადი ბალანსის ჩამოყალიბებას.

საკვანძო სიტყვები: პერსონალური მონაცემების დაცვა, Deepfake, ხელოვნური ინტელექტი, სოციალური მედია და მანიპულაცია, ინფორმირებული თანხმობა.

I. Deepfake ტექნოლოგია: ხელოვნური ინტელექტით გენერირებული კონტენტი და მისი გამოწვევები

ციფრული ტექნოლოგიების სამყაროში მოგზაურობა მარტივია: უბრალოდ გაიხედეთ ნებისმიერი მიმართულებით და საკმარისია, რომ მოგზაურობა დაიწყოს.

თუმცა, ვიზუალური პროგრესის მიღმა „ჩრდილები“ მალავენ პრობლემებს, რომლებიც ხანდახან მარტივად პოვნადი ხან კი იმდენად დამალულია რომ გზის გასაკვალად მინიმალურ მინიშნებასაც კი არ გვაძლევს. ხელოვნური ინტელექტის სამყაროში მოგზაურობა დაიწყოს.

ურობის დასაწყებად ავიღოთ **Deepfake**, როგორც საშუალება გზის გასაკვალად, ესაა ჩვენი ფუნქციონირებადი გზამკვლევი გამონეგებით სავსე ციფრულ სამყაროში. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი საშუალება ძალზედ ეფექტურია, მისი გამოყენება მოითხოვს საფუძვლიან ცოდნას, აღქმასა და გააზრებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ ვერ შევძლებთ სასურველი შედეგის მიღწევას, თუ არ გვეცოდინება მისი არსი და მოქმედების მექანიზმი.

Deepfake ნიშნავს დამუშავებულ ან/და სინთეზურ აუდიოს, ფოტოსურათს ან ვიდეო კონტენტს, რომელიც ასახავს ადამიანს ისე, თითქოს ის ამბობს ან აკეთებს რაღაცებს, რაც სინამდვილეში არ უთქვამს ან/და არ გაუკეთებია, და რომელიც შეუძლებელია იყოს ჭეშმარიტი ან/და ავთენტური, ადამიანის ინფორმირებისა და მისი თანხმობის გარეშე.¹

ხელოვნური ინტელექტის სამყაროში **Deepfake** არ არის მხოლოდ საწყისი ობიექტი, ეს არის სინთეზური მედია, რომელიც გენერირდება ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიის გამოყენებით. იგი ასახავს ისეთ რამეს, რაც რეალურად არ არსებობს ან ისეთ მოვლენებს, რომლებიც არასოდეს მომხდარა.²

Deepfake-ის მიზანია გვაჩვენოს, რამდენად რთულია განსხვავება რეალურობასა და სინთეზურ ნარატივს შორის, და რამდენად მნიშვნელოვანია ობიექტური დამკვირვებლის თვალთშეუხებელი ტექნოლოგიური სამყაროს ამ მისტიურ ნაწილს.

პირველ რიგში, უნდა აღვნიშნოთ, რომ ნეირონული ქსელები ხელოვნური ინტელექტის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა, რომელიც შთაგონებულია ადამიანის ტვინის მუშაობით.

ცნობილია, რომ ადამიანის ტვინი შედგება

სპეციფიკური ტიპის უჯრედებისგან, კერძოდ, ნეირონებისგან და ალბათ არ გაგვიკვირდებათ, თუ გეტყვით, რომ ნეირონები არის ტვინის ძირითადი ერთეულები, რომელთა მთავარი ფუნქციაა ელექტრული სიგნალების გადაცემა ორგანიზმში, როგორც მოკლე, ისე შორ მანძილებზე.³ ინფორმაცია ნეირონებს გადაეცემა გარე რეცეპტორებიდან, როგორებიცაა გრძნობის ორგანოები, კერძოდ, სმენა, მხედველობა, ყნოსვა, გემო, ვესტიბულარული სისტემა და ა.შ. შესაბამისად, სწორედ ამ დამუშავებული სიგნალების მიხედვით ხდება ადამიანის აქტივობების ჩამოყალიბება.⁴

ღრმა სწავლების მექანიზმი ცნობილია თავისი უნარით, ეფექტურად წარმოაჩინოს რთული და მაღალი განზომილების მქონე მონაცემები. ასეთი უნარის მქონე ნეირონული ქსელების ერთ-ერთი ვარიანტია ღრმა ავტოენკოდერები (**deep autoencoders**-ნეირონული ქსელის მოდელი, რომელიც შეისწავლოს მონაცემის ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილს), რომლებიც ფართოდ გამოიყენება განზომილების შემცირებისთვისა და გამოსახულების შეკუმშვისთვის.⁵

მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი **Deepfake**-ის შექმნა შესაძლებელია ტრადიციული ვიზუალური ეფექტების ან კომპიუტერული გრაფიკის მიდგომებით, **Deepfake**-ების შექმნისთვის, ბოლო დროს ყველაზე გავრცელებული ძირითადი მექანიზმია ღრმა სწავლების მოდელები.

მოცემული მოდელებს მეკუთვნება ავტოენკოდერები (**autoencoders**) და ასევე, გენერაციული კონკურენტული ქსელები, რომლებიც ფართოდ გამოიყენება კომპიუტერული ხედვის

1 Law Insider, Deepfake, იხ: https://www.lawinsider.com/dictionary/deepfake?utm_ [ნანახია: 03.05.2026].
2 Encyclopaedia Britannica, Deepfake. იხ: https://www.britannica.com/technology/deepfake?utm_ [ნანახია: 03.05.2026].
3 V. Hedges, „Introduction To Neuroscience, Michigan State University Libraries“, East Lansing, გვ.2.
4 პ. გოგიშვილი, ნეირონული ქსელები, თბილისი, 2020, გვ.10.

5 A. Punnapurath And M. S. Brown, Learning Raw Image Reconstruction-Aware Deep Image Compressors. IEEE Transactions On Pattern Analysis And Machine Intelligence (TPAMI), 2019/2020, გვ.1013–1019; J. Chorowski, Jan; R. J. Weiss, Ron J.; S. Bengio, Samy; A. Van Den Oord, Aaron, Unsupervised Speech Representation Learning Using Wavenet Autoencoders, IEEE/ACM Transactions On Audio, Speech, And Language Processing. IEEE/ACM, USA, 2019, გვ.2041–2053.

სფეროში.⁶

თეორიული განხილვის შემდგომ, ვნახოთ რას გულისხმობს ეს ინფორმაცია პრაქტიკაში.

ვაშინგტონის უნივერსიტეტის მკვლევრებმა შექმნეს ნეირონული ქსელის ხელსაწყო, რომელიც ვიდეოებს ისე ამოძრავებს, რომ საუბარი შეიცვალოს და გამონათქვამები განსხვავებული გამოჩნდეს. ისინი ამ ტექნოლოგიას დემონსტრაციისთვის იყენებდნენ ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი პრეზიდენტის, ბარაკ ობამას ვიდეოს შექმნაზე, რაც იძლეოდა შთაბეჭდილებას, თითქოს მან თქვა რაღაც ისეთი, რაც სინამდვილეში არ უთქვამს. მკვლევართა არჩევანი შემთხვევითი არ ყოფილა. მკვლევრებმა ობამა შეარჩიეს თავიანთი უახლესი პროექტისთვის, რადგან ინტერნეტში საჯაროდ ხელმისაწვდომი იყო მისი მაღალი გარჩევადობის ურიცხვი ვიდეომასალა. კვლევითი გუნდი ნეირონულ ქსელს ავლებდა მილიონობით ვიდეოფრეიმის (ვიდეოფრეიმი არის ვიდეოს ერთი კადრი, ანუ ერთი ფოტო იმ უამრავ სურათს შორის, რომლისგანაც ვიდეო შედგება.) ანალიზისთვის, რათა შეესწავლა, როგორ მოძრაობდნენ ობამას სახის სხვადასხვა ელემენტები საუბრისას მათ შორის ტუჩები, კბილები და ნაოჭები.⁷

თუმცა ისტორია ამით არ მთავრდება. აქ ჩნდება „გენერაციული მონინალმდეგე ქსელები“ (Generative Adversarial Networks, GANs). GANs მეთოდი შემოგვთავაზა Google-ის მკვლევარმა იან გუდფელოუმ და იგი საინტერესო გახდა იმით, რომ სისტემა ერთდროულად ორ ნეირონულ ქსელს იყენებს. ერთი ქსელი, რომელსაც გენერატორი ეწოდება, ცდილობს შექმნას ახალი მონაცემები არსებულ მონაცემთა ნაკრების საფუძველზე, მაგალითად, ვიდეო, რომელიც მაქსიმალურად ჰგავს რეალურ ჩანაწერს, მეორე ქსელი, დისკრიმინატორი კი, აფასებს რამდენად შეძლო გენერატორმა სარწმუნო ნიმუშის შექმნა.⁸

შედეგად, გენერატორსა და დისკრიმინატორს შორის არსებული დინამიკური ურთიერთქმედება უზრუნველყოფს სისტემის უწყვეტ გაუმჯობესებას და განაპირობებს მაღალი სიზუსტის მქონე სინთეტიკური მონაცემების გენერირებას.

განმსაზღვრელი ფაქტორია, რომ საკმაოდ ხშირად იყენებენ გენერატორისა და დისკრიმინატორის ქსელებს, რომლებიც ერთმანეთის სარკისებრი ანალოგები არიან და ყოველთვის სინქრონულად იზრდებიან. პირობითად მაშინ, როდესაც ქსელებს ემატება ახალი ფენები, ანუ ინფორმაციები, მაგალითად პიროვნების მიმოქის ცვლაზე, ისინი ნელი ტემპით ინტეგრირდება ქსელში. ეს ინარჩუნებს უკვე კარგად განვრთვნილი, დაბალი გარჩევადობის (ფენა, რომელიც მუშაობს უხეშ, ნაკლებად დეტალურ მონაცემზე და იკვლევს ძირითად ფორმებსა და კონტურებს) ფენების სტაბილურობას და იცავს აღნიშნულს მოულოდნელი სტრესისგან.⁹

თანამედროვე ხელოვნური ინტელექტის სისტემა ძირითადად დაყრდნობილია მანქანური სწავლების (Machine Learning) ალგორითმებზე. თუმცა, ასეთი ალგორითმების მნიშვნელოვანი ნაწილი წარმოადგენს ე.წ. „შავ ყუთს“, (Black Box) რაც ხშირად გაუგებარი რჩება თვით მათი შემქმნელებისთვისაც. შესაძლოა პრაქტიკულად შეუძლებელი აღმოჩნდეს იმის დადგენა, თუ როგორ იღებს გადაწყვეტილებებს ხელოვნური ინტელექტი, რომელმაც უზარმაზარი მოცულობის მონაცემები შიდა ალგორითმულ მექანიზმში დააინტეგრირა. მაგალითად, ის AI სისტემები, რომლებიც ეფუძნება მანქანური სწავლის ალგორითმებს, განსაკუთრებით ღრმა ნეირონულ ქსელებს (Deep Neural Networks), შესაძლოა ანალოგიურად გაუგებარ სტრუქტურად დარჩეს, ზუსტად ისე, როგორც ადამიანის ტვინის ფუნქციონირება.¹⁰

6 T. T. Nguyen, Quoc Viet Hung Nguyen, D. T. Nguyen, D. T. Nguyen, T. Huynh-The, S. Nahavandi, T. T. Nguyen, Q.-V. Pham, C. M. Nguyen, Deep Learning For Deepfakes Creation And Detection: A Survey. Deakin University/IEEE-style survey publication, (arXiv / academic preprint), Australia, Vietnam, Korea, France, 2019, გვ.1.

7 C. Choi, AI Creates Fake Obama, IEEE Spectrum, online, 2017.

8 I. J. Goodfellow et al., Generative Adversarial Nets, Neural Information Processing Systems, Université de Montréal, Montreal, 2014.

9 იქვე: გვ.2.

10 Y. Bathaee, The Artificial Intelligence Black Box And The Failure Of Intent And Causation, Harvard Law School:

ღრმა სწავლების (მექანიზმი არის ისეთი მდიდარი, იერარქიული მოდელების აღმოჩენა, რომლებიც წარმოადგენენ შემთხვევითობის პრინციპით განაწილებებს იმ ტიპის მონაცემებზე, რომლებიც გვხვდება ხელოვნური ინტელექტის აპლიკაციებში, მაგალითად, ბუნებრივ გამოსახულებებზე, მეტყველების შემცველ აუდიო ტალღებზე და ბუნებრივი ენის კორპუსებში არსებულ სიმბოლოებზე. ამ დრომდე, ღრმა სწავლების ყველაზე თვალსაჩინო წარმატებები დაკავშირებულია დისკრიმინაციულ მოდელებთან, ჩვეულებრივ ისეთებთან, რომლებიც მაღალი განზომილების მდიდარ სენსორულ შესაძლებლობებს კლასის იარლიყად გარდაქმნიან.¹¹

ამდენად, ღრმა სწავლების ძირითადი წარმატება იმაში მდგომარეობს, რომ ის რთულ სენსორულ მონაცემებს ამუშავებს და მათგან იღებს მარტივ, გასაგებ შედეგს, ანუ ადგენს, რა ობიექტს ან კატეგორიას მიეკუთვნება მოცემული ინფორმაცია.

მაგრამ რა ხდება მაშინ, როდესაც ეს „შავი ყუთი“ ქმნის ისეთ შედეგს, რომელსაც ადამიანი ვეღარ არჩევს რეალობისგან?! სწორედ ამ კითხვაზე პასუხს გვაძლევს **Deepfake** ტექნოლოგია.

ინფორმაციის უკეთ გასაგებად, შევიმუშავე გარკვეული მაგალითები, რომლებიც სისტემის სირთულეს მარტივად ახსნადს გახდის.

წარმოიდგინეთ ბავშვობის თამაში, სადაც „ა“ ჩურჩულით ეუბნება „ბ“-ს გარკვეულ ფრაზას, ის შემდეგ „გ“-ს და ბოლოს, პირობითად „თ“-ს რულისად შეცვლილ ინფორმაციას ხმამაღლა ამჟღავნებს.

მაგალითად, ფრაზა, რომელიც „ა“-მ თქვა იყო: „ხვალ სკოლაში წითელი ბურთი მოგვითანე და ეზოში ვითამაშოთ“, ხოლო საბოლოოდ „თ“-მ გაამჟღავნა ასე: „ხვალ სკოლაში დიდი წვეულებაა და ყველამ ბურთები უნდა მივითანოთ“.

Deepfake-ებიც მსგავს პრინციპზე მუშაობს, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ აქ შეცდომა შემთხვევითი არ არის, არამედ იმდენად დახვე-

წილია, რომ საბოლოო შედეგი რეალობას თითქმის სრულად ემსგავსება.

ბავშვობაში ვიცი, რომ ყველას გიყვარდათ თამაში „დამალობანა“, წარმოიდგინეთ ეს თამაში, სადაც ერთი ბავშვი არა მხოლოდ იმალება, არამედ ცდილობს ისე შეცვალოს მისი ხმა, ქცევა, დასამალი ადგილები, რომ სხვებმა ვერ იცნონ და ვერ გაარჩიონ, სად არის ის რეალურად, ან დასამალი ობიექტის მიღმა ნამდვილად იმყოფება თუ არა.

სწორედ ეს ქცევა ძალიან ჰგავს **Deepfake** ტექნოლოგიას, რომელიც არა მხოლოდ ბაძავს, არამედ ქმნის ისეთ ვიზუალურ და აუდიო იმიტაციას, რომელიც რეალურ ადამიანს იმდენად ჰგავს, რომ მისი სიყალბე თითქმის შეუმჩნეველი ხდება.

და ბოლოს, ყველასთვის საყვარელი თამაში „წრეში ბურთი“, სადაც ერთი მოთამაშე თითქოს ერთ მხარეს ისვრის ბურთს, მაგრამ სინამდვილეში მეორე მხარეს აგდებს, რათა შუაში მდგომი მოთამაშე შეცდომაში შეიყვანოს. სწორედ ასეთ პრინციპს ჰგავს **Deepfake** ტექნოლოგიაც, ის ქმნის ვიზუალურ „მოჩვენებით მოძრაობას“, რომელიც იმდენად რეალურია, რომ ადამიანი ვეღარ არჩევს, რა შედეგი მოჰყვება მას რეალურად.

ამრიგად, ხელოვნური ინტელექტის სწრაფმა განვითარებამ, განსაკუთრებით კი გენერაციული მოდელების და ღრმა სწავლების ტექნოლოგიების გავრცელებამ, ერთდროულად გახსნა, როგორც ახალი შესაძლებლობები, ისე მნიშვნელოვანი გამოწვევები. ერთ-ერთი ყველაზე პრობლემური მიმართულება სწორედ ციფრული კონტენტის მანიპულაციაა, სადაც რეალური და ხელოვნურად შექმნილი მასალის გარჩევა სულ უფრო რთული ხდება. ამ კონტექსტში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია **Deepfake** ტექნოლოგია, რომელიც ძირითადად პერსონალური მონაცემების გამოყენებით იქმნება.

Harvard Journal Of Law & Technology, Cambridge, Massachusetts, Usa, Vol21, No2, 2018, გვ. 891.

11 J. Ian Goodfellow, J. Pouget-Abadie, M. Mirza, B. Xu, D. Warde-Farley, Sh. Ozair, A. Courville, Y. Bengio,

Generative Adversarial Nets, Advances in Neural Information Processing Systems (NeurIPS), Curran Associates, Inc., Red Hook, New York, USA, 2014, Vol. 27, გვ.1.

II. Deepfake ტექნოლოგიის სამართლებრივი ჩარჩო თანამედროვე ციფრულ სივრცეში

Deepfake-ის შექმნა, როგორც წესი, მოიცავს პერსონალური მონაცემების გამოყენებას. ეს არის მონაცემები, რომლებიც შეიძლება დაკავშირებული იყოს კონკრეტულ პირთან ან რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია პირის იდენტიფიცირება, მაგალითად, ხმის ფრაგმენტები, ფოტოები ან/და ვიდეოები, რომლებზეც ადამიანები არიან გამოსახული.

საინტერესო ფაქტია, რომ ტერმინი „Deepfake“ მიღებულია „Deep learning“-ისა და „Fake“-ის შერწყმით, რაც ზუსტად ასახავს ამ ტექნოლოგიის არსს, ანუ ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით რეალობის ყალბ იმიტაციას.

Deepfake აპლიკაციები პირველად 2019 წლის ნოემბერში გამოჩნდა, თუმცა მომხმარებლებმა მათი გამოყენება COVID-19 პანდემიის პერიოდში საგრძნობლად, როგორც ხშირად მოიხსენიებენ ხოლმე, 100%-ით გაზარდეს.¹²

AI სისტემები იმდენად მასშტაბურია, რომ მომხმარებლებს, რომლებსაც უკვე აქვთ ასეთი შეტევებისთვის საჭირო რესურსი, შეუძლიათ მათი გამოყენება გაცილებით უფრო მაღალი სიხშირითა და ხარისხით.¹³

Deepfake ტექნოლოგია შეიძლება ძალიან საზიანო გახდეს, რადგან მარტივად წვდომადია და იგი შესაძლოა გამოყენებულ იქნეს ნებისმიერი ადამიანის რეპუტაციის შელახვისთვის, იქნება ეს პოლიტიკური თუ პირადი მიზეზებით განპირობებული.¹⁴

Deepfake, რომელიც ასახავს რეალურ პირს, შეიძლება ჩაითვალოს პერსონალურ მონაცემად, ვინაიდან იგი ეხება იდენტიფიცირებულ ან

იდენტიფიცირებად სუბიექტს.¹⁵

პერსონალური მონაცემების დამუშავება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ მკაცრად განსაზღვრული სამართლებრივი საფუძვლების არსებობის შემთხვევაში, რაც უზრუნველყოფს ამ პროცესის ლეგიტიმურობასა და ადამიანის უფლებების დაცვას. ეს მოთხოვნა გამომდინარეობს იმ პრინციპიდან, რომ თითოეული ინდივიდის პირადი ცხოვრება ხელშეუხებელია, ამდენად, სახელმწიფოსა თუ კერძო სუბიექტებს არ აქვთ უფლება, თავისუფლად ან უსაფუძვლოდ ჩაერიონ ამ სივრცეში.

ზოგადად, ნებისმიერ უფლებაში ჩარევის გამართლებისთვის უალტერნატივო წინაპირობაა, რომ ჩარევა კანონის მიზანს იცავდეს. კანონით საკითხის განსაზღვრა არ არის თვითკმარი, რამდენადაც კანონი უნდა იყოს განჭვრეტადი, ნორმა იმდენად ნათელი უნდა იყოს, რომ გამოირიცხოს მისი სურვილისამებრ ან სუბიექტურად განმარტების ალბათობა.¹⁶

ვიდეოგაზიარების შესაძლებლობის მქონე პლატფორმებზე „Deepfake“-ად მონიშნული ვიდეოების მიმოხილვის საფუძველზე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ არსებული Deepfake-ების დიდი ნაწილი აშკარად კრიტიკულ ან იუმორისტულ მიზანს ემსახურება. თუმცა, Deepfake სატირა უკვე აითვისა მთავარმა მედიამაც, რაზეც მეტყველებს Channel 4-ის მიერ შექმნილმა დედოფალ ელიზაბეტ II-ის 2020 წლის საშობაო მიმართვის პაროდია.¹⁷ არსებობს სატირული შოუებიც, რომლებიც მთლიანად ეფუძნება Deepfake ტექნოლოგიით შექმნილ კადრებს.¹⁸

ამ მხრივ, საინტერესოა Channel 4-ის დოკუმენტური ფილმი „Deep Fakes: Can You Trust

¹²Healthworld, Demand for tech-enabled healthcare solutions rising due to Covid-19 impact: Report, ET HealthWorld., 2020.

¹³M. Brundage, S. Avin, J. Clark, H. Toner, P. Eckersley, B. Garfinkel, A. Dafoe, P. Scharre, T. Zeitsoff, et al., The Malicious Use of Artificial Intelligence: Forecasting, Prevention, and Mitigation, Future of Humanity Institute, University of Oxford; Centre for the Study of Existential Risk, University of Cambridge; Center for a New American Security; Electronic Frontier Foundation; OpenAI, Oxford, 2018, გვ.18.

¹⁴F. Abbas, A. Taeihagh, Unmasking deepfakes: A systematic review of deepfake detection and generation

techniques using artificial intelligence, Expert Systems with Applications, Elsevier, Amsterdam, 2024, გვ.1.

¹⁵Regulation (EU) 2016/679 of the European Parliament and of the Council, Article 4(1).

¹⁶ქ. ერემაძე, ძირითადი უფლებები თავისუფლებისთვის, თბილისი, 2020, გვ.221.

¹⁷C. 4 News, „Deepfake Queen To Deliver Channel 4's Alternative Christmas Message,” Channel 4, London, 2020.

¹⁸მაგალითად: Parker, Stone, and Serafinowicz, Sassy Justice with Fred Sassy (Full Episode).

Your Eyes?“, რომელიც იკვლევს **Deepfake** ტექნოლოგიის სწრაფ ზრდასა და მის სოციალურ-პოლიტიკურ შედეგებს. ფილმი აჩვენებს, რომ სინთეზური მედია უკვე ფართოდ გამოიყენება, როგორც გასართობი მიზნებით, ისე ზიანის მიყენების, დეზინფორმაციისა და დამცირების ინსტრუმენტად, რაც სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენს თანამედროვე ინფორმაციული გარემოსთვის.

გამოძიებაში მოყვანილი მონაცემების მიხედვით, ბოლო 12 თვის განმავლობაში ინტერნეტში დაფიქსირდა 60,000-ზე მეტი ახალი **Deepfake** ვიდეო, რაც დაახლოებით 250%-იან ზრდას ასახავს. ასევე, შეფასებულია, რომ არსებული **Deepfake** ვიდეოების დაახლოებით 10% შეეხება ბრიტანეთის მოქალაქეებს, რაც მიუთითებს გაერთიანებული სამეფოს განსაკუთრებულ მონყვლადობაზე ამ სიახლის მიმართ. ფილმი ხაზს უსვამს, რომ **Deepfake** კონტენტის უმრავლესობა არ იქმნება საზოგადოებრივი სიკეთისთვის, არამედ მიზნად ისახავს ზიანის მიყენებას, მათ შორის დამცირებასა და მანიპულაციას. ექსპერტები აღნიშნავენ, რომ მიუხედავად სამართლებრივი რეგულირების მცდელობებისა, ინტერნეტის გლობალური ბუნება და ტექნოლოგიის სწრაფი განვითარება მნიშვნელოვნად ართულებს მის ეფექტურ კონტროლს. შესაბამისად, დოკუმენტური ფილმი სვამს ფუნდამენტურ კითხვას თანამედროვე საზოგადოების წინაშე, კერძოდ: რამდენად შესაძლებელია რეალობისა და ციფრულად შექმნილი კონტენტის ერთმანეთისგან გარჩევა ისეთ გარემოში, სადაც ვიზუალური მტკიცებულების სანდოობა სულ უფრო მცირდება.¹⁹

ამ მხრივ, უნდა აღინიშნოს, რომ

„დამუშავება“ საკმაოდ ფართო ტერმინია, რომელიც მოიცავს პერსონალური მონაცემების ყველა შესაძლო გამოყენებას **Deepfake**-ის სიცოცხლის ციკლის განმავლობაში. ამ ცნების ფართო მასშტაბს მნიშვნელოვანი გავლენა აქვს, როგორც ტექნოლოგიების დეველოპერებზე, ისე **Deepfake**-ის შემქმნელებზე, რადგან პერსონალური მონაცემები გამოიყენება არა მხოლოდ კონკრეტული **Deepfake**-ის შესაქმნელად, არამედ ასევე იმ პროგრამული უზრუნველყოფის დასატრენინგებლად, რომელიც გამოიყენება გენერაციის პროცესში. შესაბამისად, მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაცია **GDPR** (**GDPR-General Data Protection Regulation**) ასევე იცავს იმ ინდივიდების მონაცემებს, რომლებიც იყენებენ **Deepfake** ტექნოლოგიაზე დაფუძნებულ აპლიკაციებს, როგორებიცაა **FaceApp** და **TikTok**. ისეთი სერვისის ფუნქციონირება, რომელიც უზრუნველყოფს **Deepfake** ვიდეოების შექმნას, მოითხოვს მონაცემთა დაცვის ზემოქმედების შეფასების (**DPIA-Data Protection Impact Assessment** მონაცემთა დაცვის ზემოქმედების შეფასება) ჩატარებას.²⁰

მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაცია ადგენს, რომ პერსონალური მონაცემების დამუშავებას ყოველთვის სჭირდება სამართლებრივი საფუძველი.²¹ არსებობს პერსონალური მონაცემების დამუშავების ექვსი შესაძლო სამართლებრივი საფუძველი, თუმცა **Deepfake**-ების კონტექსტში, როგორც წესი, მხოლოდ „ინფორმირებული თანხმობა“ და „ლეგიტიმური ინტერესი“ შეიძლება ჩაითვალოს შესაბამის საფუძველად.

როდესაც **Deepfake**-ის შემქმნელი ამტკიცებს, რომ მას აქვს ლეგიტიმური ინტერესი

19 Channel 4 Dispatches, „Deepfakes: Can You Trust Your Eyes?“, Channel 4, London, News Release, 2020.

20 Regulation (EU) 2016/679 of the European Parliament and of the Council of 27 April 2016 (General Data Protection Regulation), Article 35-ის მიხედვით, მონაცემთა დამუშავებელმა (**controller**) უნდა ჩაატაროს მონაცემთა დაცვის ზემოქმედების შეფასება (**DPIA**), როდესაც მონაცემთა დამუშავების ტიპი, განსაკუთრებით ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით, სავარაუდოდ იწვევს მაღალ რისკს ფიზიკური პირების უფლებებისა და თავისუფლების მიმართ.

ვინაიდან **Deepfake** ვიდეო სერვისების პროვაიდერები ხშირად იყენებენ ახალ ტექნოლოგიებს, როგორიცაა გენერაციული კონკურენტული ნეირონული ქსელები (**Generative Adversarial Networks --GANs**), და აგროვებენ დიდი რაოდენობით ბიომეტრიულ (სახის) მონაცემებს, რომლებიც კლასიფიცირდება როგორც სპეციალური დაცვის საჭიროების მქონე პერსონალური მონაცემები, ასეთი დამუშავების საქმიანობები უკვე საკმარის საფუძველს იძლევა **DPIA**-ის ჩატარების ვალდებულების დასასაბუთებლად.

21 Regulation (EU) 2016/679, Article 6(1)(a), (b) and (f).

სხვისი პერსონალური მონაცემების დამუშავებისათვის, ეს ინტერესი არ უნდა გადაწონოს იმ პირის ინტერესებმა ან ფუნდამენტურმა უფლებებმა და თავისუფლებებმა, რომელსაც იგი ასახავს. ეს შეიძლება იყოს მაგალითად ირონიული ხასიათის **Deepfake**, რომელიც ასახავს ცნობილ ადამიანს. ასეთ შემთხვევაში, შემქმნელს შეუძლია დაეყრდნოს გამოხატვის თავისუფლების უფლებას ან/და პირობითად, სატირის მიზნებს.

იმ გარემოებებში, როდესაც ლეგიტიმური ინტერესი არ გამოიყენება, **Deepfake**-ების შექმნისა და გავრცელების მიზნით პერსონალური მონაცემების გამოყენება უნდა დაეფუძნოს ვიდეოში გამოსახული პირების ინფორმირებულ თანხმობას. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ თანხმობა მიღებული უნდა იყოს როგორც ავთენტურ ვიდეოში არსებული პირებისგან, ისე იმ პირებისგან, რომლებიც ჩნდებიან გაყალბებულ ვიდეოში, რადგან ორივე შემთხვევაში ხდება მათი პერსონალური მონაცემების დამუშავება.²²

თუ **Deepfake**-ის შემქმნელები ვერ მიიღებენ წინასწარ თანხმობას, ისინი რისკის ქვეშ არიან, რომ დაარღვიონ მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაცია. ეს მოთხოვნები არ ვრცელდება იმ **Deepfake**-ებზე, რომლებიც ასახავენ გარდაცვლილ პირებს, მაგალითად ისტორიულ ფიგურებს.²³

მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაცია უზრუნველყოფს მნიშვნელოვან სამართლებრივ ჩარჩოს არალეგალური **Deepfake** კონტენტის წინააღმდეგ ბრძოლისთვის და უფლებას ანიჭებს დაზარალებულებს მოითხოვონ არასწორი მონაცემების შესწორება ან, საჭიროების შემთხვევაში, მათი წაშლა.

ევროკავშირის თითოეულ წევრ სახელმწიფოში არსებობს სულ მცირე ერთი დამოუკიდებელი ზედამხედველი ორგანო, რომელიც პასუხისმგებელია რეგულაციის წესების შესრულებასა და აღსრულებაზე. თუმცა **Deepfake**-ების კონტექსტში სამართლებრივი გზით დაცვა ხშირად საკმაოდ რთულია. ბევრ შემთხვევაში დაზარალებულისთვის შეუძლებელია დამნაშავე

იდენტიფიცირება, რადგან იგი ხშირად ანონიმურად მოქმედებს. გარდა ამისა, დაზარალებულებს შესაძლოა არ ჰქონდეთ საკმარისი რესურსები სასამართლო პროცესის დასაწყებად, რაც მათ უფრო დაუცველ მდგომარეობაში აყენებს.

Deepfake ტექნოლოგიის გამოყენება პირდაპირ უკავშირდება სამართლებრივ პასუხისმგებლობას, როგორც სამოქალაქო, ისე სისხლის სამართლის კუთხით. კერძოდ, თუ ასეთი კონტენტი გამოიყენება პირის დისკრედიტაციისთვის, ფინანსური სარგებლის მიღების მიზნით ან საზოგადოებრივი აზრის მანიპულაციისთვის, შესაძლოა დადგეს შესაბამისი სამართლებრივი პასუხისმგებლობა, როგორც დელიქტური, ასევე სისხლისსამართლებრივი. ამგვარად, **Deepfake** ტექნოლოგია და გენერაციული ხელოვნური ინტელექტი მხოლოდ ტექნოლოგიური პროგრესის გამოვლინება არ არის, ის ერთგვარი გამოწვევაა სამართლის სისტემისთვის, სადაც რეალობის, სიმართლისა და პასუხისმგებლობის ცნებები ახალ მნიშვნელობას იძენს და ხელახლა ყალიბდება.

ამ მხრივ საინტერესოა დიდი ბრიტანეთის საქმე **Bennett v Yakoob**, რომელიც წარმოადგენს ციფრულ სივრცეში მანიპულირებული კონტენტის გავრცელების მაგალითს, რაც ახლოს დგას **Deepfake**-ის პრობლემატიკასთან.

ჩერილ ბენეტი იყო **Wednesbury**-ში (ინგლისი) მდებარე საშუალო სკოლის მასწავლებელი, რომელიც გაზაფხულზე ლეიბორისტული პარტიის მხარდასაჭერად კარდაკარ სიარულისას ზართან დამონტაჟებულმა კამერამ დააფიქსირა. აღნიშნული ვიდეო მოგვიანებით უცნობმა პირმა დაამონტაჟა და სოციალურ მედიაში გაავრცელა იმგვარად, თითქოს მან რასისტული ფრაზები წარმოთქვა. ვიდეოს ფართო გავრცელებას ხელი შეუწყო გარემოებამ, როდესაც იგი იურისტმა და პოლიტიკოსმა **Akhmed Yakoob**-მა **TikTok** პლატფორმაზე გააზიარა (სადაც მას 210,000-ზე მეტი გამომწერი ჰყავდა), მისთვის უცნობი ქალი, დამონტაჟებული ვიდეოს გაზიარებით რასიზმში დაადანაშაულა და აღნიშნა, რომ „ყველამ, ვინც ჯერ კიდევ ლეიბორისტული

22 Ch.Hewage, Data Protection in the Wake of Deepfakes, Infosecurity Magazine, 2020.

23 Regulation (EU) 2016/679 of the European Parliament and of the Council of 27 April 2016 (General Data Protection Regulation), მუხლი 27.

პარტიის წევრია, უნდა დატოვოს პარტია.“ ვიდეოს გაზიარებიდან მოკლე პერიოდში, ხალხმა დააიდენტიფიცირა, ვინ იყო აღბეჭდილი კადრში, რის შემდეგაც იაკუბმა საჯაროდ გააზიარა ამ პირის სახელი და სამუშაო ადგილი.²⁴

ბენეტმა განაცხადა, რომ ვიდეოს გავრცელების შემდეგ ის გახდა „შეურაცხყოფის ტალღის“ ობიექტი: მის სკოლაში შევიდა დაახლოებით 800 ოფიციალური საჩივარი და მას უთხრეს, რომ საკუთარი უსაფრთხოებისთვის სამსახურში არ დაბრუნებულიყო. ასევე გავრცელდა ცნობები, რომ ადამიანები მისი ოჯახის წევრების სახლებშიც მიდიოდნენ მოსაძებნად.²⁵

შემდგომში ვიდეო შეისწავლა West Midlands-ის პოლიციამ, რომელმაც 2024 წლის მაისში განაცხადა, რომ ვიდეო იყო დამონტაჟებული და ბენეტს შეურაცხყოფელი სიტყვები არ უთქვამს. ვიდეოს ტექნიკურმა ანალიზმა აჩვენა, რომ მისი ხმა იყო მანიპულირებული, ხმაურის დონე არ იცვლებოდა მაშინაც კი, როცა ის კამერას შორდებოდა. თუმცა, დღემდე უცნობია, ვინ შექმნა ყალბი ვიდეო. ბენეტმა აღნიშნა: „ბევრს ისევ სჯეროდა, რომ ეს სიმართლე იყო, ან ფიქრობდნენ, რომ პოლიციაში ნაცნობები მყავდა.“ მოცემული საქმე დასრულდა სასამართლო განხილვამდე, მორიგებით. იაკუბმა ირწმუნა ვიდეოს სიყალბე, საჯაროდ მოიხადა ბოდიში და დათანხმდა ზიანისა და სასამართლო ხარჯების გადახდას.²⁶

საქმე გახდა ერთ-ერთი პირველი მაგალითი, სადაც ტრადიციული ცილისწამების პრინციპები გამოყენებულ იქნა გენერირებულ კონტენტზე.

ტზე, რაც მიუთითებს, რომ Deepfake-ებიც შეიძლება ჩაითვალოს ჩვეულებრივ ცილისწამებულ პუბლიკაციად, თუ ის შეგნებულად ვრცელდება.

მორიგება ხაზს უსვამს სამართალსა და ხელოვნურ ინტელექტს შორის მზარდ კავშირს. იურიდიული ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ამ საქმემ შესაძლოა პოზიტიური კუთხით წაახალისოს სოციალური მედიის მომხმარებლები გადაამოწმონ ხელოვნური ინტელექტის ან/და სხვა გზების მეშვეობით მანიპულირებული მასალის ავთენტურობა გაზიარებამდე, ხოლო პოლიტიკის შემმუშავებლებს უბიძგოს უფრო მკაფიო წესების შემუშავებისკენ.

ასევე, საინტერესოა შემდეგი საქმე.

Ashley St. Clair-მა, რომელმაც განაცხადა, რომ Elon Musk-თან საერთო შვილი ჰყავს, ნიუ-იორკის სასამართლოში უჩივლა მასკის კომპანია xAI-ს²⁷. იგი ამტკიცებს, რომ მისი ჩატბოტი Grok-ი²⁸ მომხმარებლების მოთხოვნით ქმნის მისი სექსუალური ხასიათის Deepfake გამოსახულებებს, რაც მის რეპუტაციას, ფსიქოლოგიურ მდგომარეობასა და უსაფრთხოებას სერიოზულ ზიანს აყენებს და შედეგად, პირადი ცხოვრების უფლების დარღვევას იწვევს.²⁹

ნიუ-იორკის სასამართლოში შეტანილი სარჩელი ამტკიცებს, რომ Grok-ის ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტი ქმნიდა მისი სექსუალური ხასიათის ფოტოებს.

X-ისა და Grok-ის მშობელი კომპანია xAI, თავის მხრივ, უჩივის Ashley St. Clair-ს, იმ არგუმენტით, რომ მან სავარაუდოდ დაარღვია პლატფორმის გამოყენების წესები.

24 BBC News. Teacher's anguish over doctored video racism row. BBC News, 24 January 2025.

25 The Law Society Gazette, TikTok lawyer probed by SRA over video share, 2024.

იხ: <https://www.lawgazette.co.uk/news/tiktok-lawyer-probed-by-sra-over-video-share/5122086.article> [ნანახია: 03.05.2026].

26 BBC News. Teacher's anguish over doctored video racism row. BBC News, 24 January 2025.

27 XAI არის ხელოვნური ინტელექტის კომპანია, რომელიც დააარსა Elon Musk-მა 2023 წელს. მისი მიზანია განვითარებული ხელოვნური ინტელექტის სისტემების შექმნა, რაც ხელს უწყობს ადამიანის მიერ სამყაროს უკეთ გაგებას და ცოდნის მიღებას.

Encyclopaedia Britannica, "xAI," იხ: <https://www.britannica.com/topic/xAI> [ნანახია: 03.05.2026].

28 Grok არის დიდი ენის მოდელების (LLM-ების) ოჯახი, რომელიც შექმნილია xAI-ის მიერ.

Grok არის მაქსიმალურად სიმართლის მაძიებელი ხელოვნური ინტელექტი. იგი მომხმარებლებს სთავაზობს ღრმა, პირდაპირ და დაუფარავ პასუხებს სამყაროს შესახებ.

XAI, Introduction: Grok.

იხ: https://docs.x.ai/developers/introduction?utm_source [ნანახია: 03.05.2026].

29 K. Li; K. Tangelakis-Lippert, "Ashley St. Clair sues Elon Musk's xAI over alleged explicit Grok deepfake images," Business Insider, 2026.

Ashley St. Clair-ის ადვოკატმა, Carrie Goldberg-მა, BBC News-ს განუცხადა: „ჩვენ ვაპირებთ Grok-ს პასუხი მოვთხოვოთ და დავეხმაროთ მკაფიო სამართლებრივი საზღვრების დადგენაში საზოგადოების სასარგებლოდ, რათა AI არ იქცეს ძალადობის იარაღად.“

მისი თქმით: „როდესაც ხელოვნური ინტელექტი ქმნის არასასურველ სექსუალურ გამოსახულებებს ქალებისა და გოგონების შესახებ, xAI საზოგადოებრივ ზიანს აყენებს მათ და წარმოადგენს არასაკმარისად უსაფრთხო პროდუქტს.“

სარჩელში ასევე წერია შემდეგი: „X-ის მომხმარებლებმა იპოვეს Ashley St. Clair-ის 14 წლის ასაკის სრულად ჩაცმული ფოტოები და სთხოვეს Grok-ს, მოეხსნა ფოტოზე მისთვის ტანსაცმელი და ჩაეცვა ბიკინი. Grok-მა ეს მოთხოვნა შეასრულა.“

დოკუმენტში აღნიშნულია, რომ შექმნილი გამოსახულებები იყო „ფაქტობრივად ინფორმირებული თანხმობის გარეშე დამონტაჟებული“ და რომ Grok-ის შექმნელებს „ცალსახად ჰქონდათ ინფორმაცია“ მისი თანხმობის არარსებობის შესახებ.

მისი საჩივრის მიხედვით, როდესაც მან ეს ფაქტი გააპროტესტა, კომპანიამ მასზე რეპრესია განახორციელა, კერძოდ, შეაჩერა მისი X ანგარიშის მონეტიზაცია და კიდევ უფრო მეტი სიხშირით დაიწყო მისი სურათების გენერაცია. დამატებით მნიშვნელოვანია ფაქტი, რომ X-ის ზოგიერთი პრემიუმ მომხმარებელი, რომელიც ყოველთვიურ საფასურს იხდის, იღებს შემოსავლის წილს იმ პოსტებიდან, რომლებსაც დიდი ჩართულობა აქვს.

xAI-ის საპასუხო სარჩელში ნათქვამია, რომ Ashley St. Clair-მა დაარღვია მომსახურების პირობები, რადგან სარჩელი ნიუ-იორკში შეიტანა,

მაშინ, როცა კომპანიის წესებით მსგავსი დავები ტეხასში უნდა განიხილებოდეს.

მისმა ადვოკატმა Carrie Goldberg-მა BBC News-ს განუცხადა, რომ კომპანიის საპასუხო სარჩელი „შოკისმომგვრელია“ და აღნიშნა, რომ არასდროს უნახავს შემთხვევა, როცა მოპასუხე უჩივის ადამიანს მხოლოდ სამართლებრივი პროცესის დაწყების გამოცხადების გამო. მისი თქმით, მას ნიუ-იორკში „მეტი შემართებით დაიცავენ“.

საზოგადოებრივი უკმაყოფილების შემდეგ, X-მა შეცვალა წესები და განაცხადა, რომ მხოლოდ გადამხდელ მომხმარებლებს შეეძლოთ ამ ფუნქციის გამოყენება, რამაც ქალთა ორგანიზაციებისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობის კრიტიკა გამოიწვია.

კომპანიამ განაცხადა, რომ X-ის ყველა მომხმარებელს აღარ შეეძლებოდა რეალური ადამიანების ფოტოებზე გამომწვევი ტანსაცმლის დამატება იმ ქვეყნებში, სადაც ეს უკანონოა. შემდეგ მან განაახლა განცხადება და აღნიშნა, რომ ანალოგიურ გეობლოკირების ზომებს გაავრცელებდა ასევე Grok-ზეც.

მოცემულის შემდგომ, The Guardian³⁰-მა გაავრცელა ინფორმაცია, რომ ჯერ კიდევ შესაძლებელი იყო დამოუკიდებელი Grok აპლიკაციის გამოყენებით რეალური ადამიანების სექსუალური ხასიათის Deepfake-ების შექმნა და მათი X-ზე გამოქვეყნება „რაიმე მოდერაციის ნიშნების გარეშე“.³¹

დიდი ბრიტანეთის მთავრობა ამჟამად ამუშავებს კანონს, რომელიც ინფორმირებული თანხმობის გარეშე დამონტაჟებული ინტიმური გამოსახულებების შექმნას უკანონოდ გამოაცხადებს, ხოლო მარეგულირებელი ორგანო Ofcom³² კვლავ იძიებს, დაარღვია თუ არა X-მა უკვე არსებული ბრიტანული კანონები.

30 ბრიტანული ყოველდღიური გაზეთი და ონლაინ მედია პლატფორმა, რომელიც დაარსდა 1821 წელს ლონდონში და წარმოადგენს ერთ-ერთ წამყვან საერთაშორისო საინფორმაციო წყაროს.

The Guardian, The Guardian, London: Guardian Media Group.

იხ: <https://www.theguardian.com> [ნანახია: 03.05.2026].

31 McMahon, Liv, "Mother Of Elon Musk's Child Sues Xai Over Grok Deepfakes," BBC News, 16.01.2026. იხ:

<https://www.bbc.com/news/articles/cp37erw0zww0> [ნანახია: 03.05.2026.]

32 გაერთიანებული სამეფოს მედიისა და ტელეკომუნიკაციების მარეგულირებელი ორგანო.

Ofcom, Online Safety Enforcement Programme: Overview Of Ofcom's Approach To Enforcing The Online Safety Act. London: Office Of Communications. იხ: <https://www.ofcom.org.uk> [ნანახია: 03.05.2026].

ევროპარლამენტისა და ევროკავშირის საბჭოს რეგულაციის (EU Artificial Intelligence Act- „ხელოვნური ინტელექტის აქტი“) 50-ე³³ მუხლი ადგენს ხელოვნური ინტელექტის სისტემების გამჭვირვალობის მოთხოვნებს. კერძოდ, იგი ავალდებულებს მომწოდებლებს უზრუნველყონ, რომ მომხმარებლები მკაფიოდ იცნენ ინფორმირებული, როდესაც ისინი ურთიერთობენ AI სისტემებთან. ასევე, სისტემები, რომლებიც ქმნიან ან მანიპულირებენ სინთეტიკურ აუდიო, ვიდეო, გამოსახულებას ან ტექსტს, უნდა უზრუნველყოფდნენ, რომ ასეთი კონტენტი იყოს იდენტიფიცირებადი და მონიშნული, როგორც ხელოვნურად შექმნილი ან შეცვლილი.

მუხლი ასევე ითვალისწინებს ბიომეტრიული და ემოციის ამომცნობი სისტემების გამოყენებისას ინფორმირების ვალდებულებას, ხოლო Deepfake-ების შემთხვევაში, მათი ხელოვნური წარმოშობის გამჟღავნების მოთხოვნას. გარდა ამისა, განსაზღვრულია გამონაკლისები დანაშაულის გამოვლენის, პრევენციისა და მსგავსი ხასიათის მიზნებისთვის.

მთლიანობაში, 50-ე მუხლის მიზანია უზრუნველყოს AI სისტემების გამოყენების გამჭვირვალობა, მომხმარებლის ინფორმირებულობა და მანიპულირებული ან ხელოვნურად შექმნილი კონტენტის იდენტიფიცირება.

AI გენერირებული კონტენტის (AIGC-AI-Generated Content, ხელოვნური ინტელექტის მიერ გენერირებული კონტენტი) მარკირება გლობალურ პოლიტიკურ დღის წესრიგში ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხად ჩამოყალიბდა. 2025 წლის სექტემბერში ჩინეთმა მიიღო ფართომასშტაბიანი რეგულაცია, რომელიც ავალდებულებს AIGC-ის (ხელოვნური ინტელექტით გენერირებული კონტენტი) ყველა ფორმის, მათ

შორის: ტექსტის, აუდიოს, ვიდეოსა და გამოსახულების მარკირებას როგორც პირდაპირი მარკირების (მაგ: watermarking) გამოყენებით, ისე სხვა საშუალებით. ამასთან, გათვალისწინებულია სანქციები, როგორც მარკირების მოხსნის, ისე ადამიანის მიერ შექმნილი კონტენტის არასწორად, თითქოსდა AI გენერირებულად მონიშვნის შემთხვევაში.³⁴

ამერიკის შეერთებულ შტატებში პრეზიდენტ ბაიდენის 2023 წლის აღმასრულებელი ბრძანება №14110 ხელს უწყობდა, მათ შორის, watermarking სტანდარტების განვითარებას, თუმცა ტრამპის ადმინისტრაციის მიერ მისმა გაუქმებამ, 2025 წელს რეგულაციური გაურკვევლობა გამოიწვია.³⁵

ევროკავშირის AI აქტი (EU AI Act) ითვალისწინებს საჯაროდ ხელმისაწვდომი AI-გენერირებული მედიის, განსაკუთრებით Deepfake-ების, სავალდებულო მარკირებას და აწესებს სანქციებს 15 მილიონ ევრომდე ან გლობალური წლიური შემოსავლის 3%-მდე ოდენობით.³⁶

ზემოაღნიშნული ქვეყნების პრაქტიკის პარალელურად აღსანიშნავია, რომ გერმანია წარმოადგენს ამ დინამიკის შესწავლის კრიტიკულ შემთხვევას: როგორც ციფრული რეგულაციის ლიდერი და ევროკავშირის AI აქტის გამჭვირვალობის მოთხოვნებით უშუალოდ დაზარალებული წევრი სახელმწიფო. ამ კონტექსტიდან მიღებული მტკიცებულებები იძლევა არა მხოლოდ ადგილობრივ, არამედ გლობალურად რელევანტურ ხედვას იმის შესახებ, თუ როგორ განხორციელდება მარკირების სისტემა მასშტაბურად.³⁷

AI აქტის ფარგლებში განსაზღვრული მარკირების მოთხოვნები დაგეგმილია ამოქმედდეს

33 European Parliament & Council Of The European Union, (2024), Regulation (EU) 2024/... Laying Down Harmonised Rules On Artificial Intelligence (Artificial Intelligence Act), Article 50.

იხ: <https://eur-lex.europa.eu> [ნანახია: 03.05.2026].

34 Heise, 2025; Cyberspace Administration Of China, 2025.

35 The White House, Initial Rescissions Of Harmful Executive Orders And Actions, 2025.

იხ: <https://www.whitehouse.gov/presidential-actions/2025/01/initial-rescissions-of-harmful-executive-orders-and-actions/> [ნანახია 03.05.2026].

36 European Union, Art. 50 KI-VO, Transparenzpflichten Für Anbieter Und Betreiber Bestimmter KI-Systeme, 2024. იხ: <https://Ai-Act-Law.Eu/De/Artikel/50/> [ნანახია 03.05.2026].

37 S. Ramirez-Ruiz, & R. Senninger, Policy documents across 185 countries predominantly rely on evidence from the global north, 2025. იხ: https://osf.io/preprints/osf/w8q3y_v1 [ნანახია: 03.05.2026]

2026 წლის აგვისტოდან, მას შემდეგ რაც ზაფხულის პერიოდში გამოქვეყნდება იმპლემენტაციის წესების განმსაზღვრელი ქცევის კოდექსი (Code of Practice). ამ ეტაპზე აღნიშნული რეგულაციები შემდგომ გადახედვას არ ექვემდებარება 2028 წლის აგვისტომდე. მიუხედავად იმისა, რომ ქცევის კოდექსი ჯერ კიდევ სამუშაო ეტაპზეა, იგი შესაძლებელია დაიხვეწოს ან შეიცვალოს იმ ემპირიული მტკიცებულებების საფუძველზე, რომლებიც მარკირების ეფექტებს უკავშირდება.

III. ციფრული „სიცოცხლე“ სიკვდილის შემდეგ: მოკლე სამართლებრივი მიმოხილვა

ტვინის კვდომის პირობებში, პირი იურიდიულად გარდაცვლილად მიიჩნევა. მისი სიკვდილის მონმობაში მითითებული იქნება ის თარიღი, როცა ტვინის სიკვდილი დადგინდა და არა ის დრო, როცა გული გაუჩერდა.³⁸

უკვე აღვნიშნეთ რომ თუ Deepfake-ის შემქმნელები ვერ მიიღებენ წინასწარ თანხმობას, ისინი რისკის ქვეშ არიან, რომ დაარღვიონ მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაცია. ეს მოთხოვნები არ ვრცელდება იმ Deepfake-ებზე, რომლებიც ასახავენ გარდაცვლილ პირებს, მაგალითად ისტორიულ ფიგურებს.³⁹

მოცემული განსაკუთრებით გავრცელებულია თანამედროვე კინოინდუსტრიაში, სადაც ტექნოლოგიური პროგრესი საშუალებას იძლევა გარდაცვლილი მსახიობების ვიზუალური აღდგენა მაღალი სიზუსტით განხორციელდეს.

რეტროაქტიური რეკრეაცია, როგორც წესი, გამოიყენება იმ შემთხვევებში, როდესაც მსახიობი გადაღებების დასრულებამდე გარდაიცვლება. ასეთ დროს CGI (Computer Generated Imagery, ანუ კომპიუტერულად გენერირებული გამოსახულება) ტექნოლოგიის საშუალებით,

პოსტ-პროდუქციის ეტაპზე, გარდაცვლილი მსახიობის სახე უკვე არსებული არქივული კადრებიდან ან ციფრული მოდელირების გზით გადაჰყავთ „სხეულის“ დუბლიორზე.⁴⁰ ეს ე.წ. „ვიზუალური აღდგენა“ ნიშნავს პროცესს, როცა კომპიუტერული გრაფიკის (CGI) ან AI ტექნოლოგიების გამოყენებით ქმნიან ან აღადგენენ ადამიანის სახეს და მოძრაობებს იმგვარად, რომ ეკრანზე ისევ „ცოცხლად“ ჩანდეს.

ჰოლივუდური ფილმები სულ უფრო მეტად ავლენენ CGI-ის შესაძლებლობების საზღვრებს და აჩვენებენ, რამდენად შორს შეიძლება წავიდეს ეს ტექნოლოგია. თუმცა, კინემატოგრაფიის სფერო შესაძლოა უახლოეს მომავალში რადიკალურად შეიცვალოს.

მოცემული მსჯელობის საუკეთესო მაგალითია ფილმი „Finding Jack“. ესაა ვიეტნამის ომზე გადაღებული პროექტი, სადაც მთავარ როლში, ჰოლივუდის სუპერგარსკვლავი, ჯეიმს დინი გვევლინება. ჯეიმს დინი 1955 წელს, 60 წელზე მეტი ხნის წინ, 24 წლის ასაკში ავტოკატასტროფის შედეგად დაიღუპა. ჯეიმს დინი, რომელიც 1955 წელს გარდაიცვალა, მონაწილეობს ფილმში Finding Jack⁴¹, როგორც Deepfake. ასეთი პროექტები ცვლის ტრადიციულ წარმოდგენას მსახიობობაზე და გვაჩვენებს, რომ ეკრანზე „ყოფნა“ აღარ არის მხოლოდ ფიზიკური რეალობის შედეგი, არამედ იგი შესაძლოა იყოს ციფრულად შექმნილი კონსტრუქცია, რაც შემოქმედების საზღვრებს მნიშვნელოვნად აფართოებს.

ასევე, პიტერ კუშინგი, რომელიც 1994 წელს გარდაიცვალა, 2019 წლის Rogue One: A Star Wars Story-ში Deepfake ტექნოლოგიის გამოყენებით გამოჩნდა. თუმცა, გარდაცვლილი მსახიობების Deepfake-ების გამოყენება ფილმებში კვლავაც საკამათოა. ზოგიერთი კინოკრიტიკოსი Disney-ის მიერ პიტერ კუშინგის Deepfake-ით გამოყენებას მკაცრად აკრიტიკებს და მას

³⁸ Whitlock, What It Means To Be Declared Brain Dead. Verywell Health, Dotdash Meredith, 2024.

იხ: <https://www.verywellhealth.com/brain-death-what-does-it-mean-3157217> [ნანახია: 03.05.2026].

³⁹ Regulation (EU) 2016/679 of the European Parliament and of the Council of 27 April 2016 (General Data Protection Regulation), მუხლი 27.

⁴⁰ J. Thomas McCarthy & R. E. Schechter, Rights Of Publicity And Privacy (Thomson/West, Eagan, Minn. 2022).

მეთოდი გამოყენებულ იქნა რათა მსახიობ პოლ უოკერს სიკვდილის შემდეგაც შეესრულებინა მთავარი როლი. ფილმში შეიქმნა მისი DEEPFAKE კადრების კომბინაციის საფუძველზე, სადაც უოკერის სახე წინა არქივული კადრებიდან ან/და ციფრული რეკონსტრუქციით გადატანილი იყო სხეულის დუბლიორებზე, რომლებსაც მისი ძმები ასრულებდნენ.

⁴¹ V. Villani, Film Technology Brings The Unreal To Life On Screen. But Has It Gone Too Far?, Banner, 2021.

„ციფრულ შეურაცხყოფას“ უწოდებს.⁴²

ყველა ზემოაღნიშნულ შემთხვევაში მსახიობები მოულოდნელად გარდაიცვალნენ. ზოგადად, მსგავსი შემთხვევებისას, მსახიობების ნაწილი უკვე წარმონეულ პროექტებში ტრაგედიაში იმყოფებოდნენ. ერთი შეხედვით გასაგებია, რატომ ცდილობდნენ რეჟისორები ასეთი მეთოდების გამოყენებას. ეს არა მხოლოდ იმისთვის ხდება, რომ შეინარჩუნონ ისტორიის მთლიანობა, არამედ იმისთვისაც, რომ არ მოხდეს მათი შემოსავლის შემცირება. თუმცა, საზღვრები კიდევ უფრო ბუნდოვანი გახდა ტექნოლოგიის განვითარებასთან ერთად, რამაც მეტად ამბიციური პროექტების გაჩენა განაპირობა.

2016 წელს გამოვიდა გარეთ ედვარდის ფილმი „Rogue One: A Star Wars Story“. ფილმი, რომელიც წარმოადგენს ჯორჯ ლუკასის მიერ შექმნილი „Star Wars“-ის (1977წ.) პირდაპირ წინასიტყვაობას და მნიშვნელოვან როლში გვიჩვენებს 1977 წლის ფილმის ერთ-ერთ საკვანძო პერსონაჟს, კერძოდ, გუბერნატორ უილჰაფ ტარკინს, რომელსაც თავდაპირველად პიტერ კუშინგი განასახიერებდა.

სცენისა და კინოს ლეგენდა პიტერ კუშინგი 1994 წელს, 81 წლის ასაკში გარდაიცვალა. თუმცა ის „Rogue One“-ში, გარდაცვალებიდან 20 წელზე მეტი ხნის შემდეგ, კვლავ გამოჩნდა მისი სახის ციფრული რეკონსტრუქციის მეშვეობით, რომელიც დაფუძნებული იყო შემცვლელი მსახიობის მოძრაობების ტექნოლოგიაზე. ფილმის გამოსვლამდე პიტერ კუშინგის ვიზუალის ეს „Deepfake“ მკვეთრი კრიტიკის საგანი გახდა. თუმცა ფილმის პროდიუსერებმა განმარტეს, რომ კუშინგის პერსონაჟი ფრენჩაიზის ფარგლებში საკულტო მნიშვნელობის იყო და სიუჟეტში გადამწყვეტ ფუნქციას ასრულებდა, რის

გამოც მისი ჩანაცვლება ან/და საერთოდ ამოღება სიუჟეტის მთლიანობას მნიშვნელოვნად დაასუსტებდა.⁴³

2026 წლის მაისში გავრცელდა საინტერესო სიახლე კინემატოგრაფიის სფეროში.

კინემატოგრაფიული ხელოვნებისა და მეცნიერების აკადემია (Academy of Motion Picture Arts and Sciences) ორგანიზაცია, რომელიც „ოსკარების“ უკან დგას აქტიურად ცდილობს, რომ ხელოვნური ინტელექტით შექმნილი შემოქმედებისთვის ჯილდოების მინიჭება თავიდან აიცილოს. 99-ე ოსკარის დაჯილდოების განახლებული წესების სია შეიცავს არაერთ რეგულაციას, რაც მიზნად ისახავს უზრუნველყოს, რომ ფილმის შექმნაში მნიშვნელოვნად მონაწილეობდეს ადამიანი, რათა ის ჯილდოს მიღების უფლების მქონედ ჩაითვალოს.

ახალი წესების მიხედვით, მხოლოდ ის როლები, რაც მითითებულია ფილმის ოფიციალურ კრედიტებში და აშკარად შესრულებულია ადამიანების მიერ, მათივე თანხმობით, მიჩნევა ჯილდოს მიღების უფლების მქონედ. ამ საკითხმა განსაკუთრებული აქტუალურობა ჰპოვა მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა, რომ მსახიობ ვალ კილმერის მემკვიდრეებმა ნება დართეს რეჟისორ კორტე ვორიჰის (Coerte Voorhees), გენერაციული ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით ფილმში „As Deep As The Grave“ კილმერის AI ვერსია შეეტანა. კილმერი თავად მონაწილეობდა ფილმის წარმოების საწყის ეტაპებზე 2025 წელს, მის გარდაცვალებამდე.⁴⁴

AI-ის მიერ დაწერილი სცენარები ასევე არ იქნება დაშვებული ოსკარის დაჯილდოებაზე, ვინაიდან ახალი წესების მიხედვით, ისინი გარდაუვლად უნდა იყოს ადამიანების მიერ ავტორიზებული. ხოლო თუ აკადემიას გაუჩნდება ეჭვი იმის შესახებ, რომ იდეის ავტორი არაა

42 C. Shoard, „Peter Cushing Is Dead. Rogue One's Resurrection Is A Digital Indignity“ Guardian News & Media Limited, London, United Kingdom, 2016.

იხ:

<https://www.theguardian.com/commentisfree/2016/dec/21/peter-cushing-rogue-one-resurrection-cgi> [ნანახია: 03.05.2026].

43 V. Villani, Film Technology Brings The Unreal To Life On Screen. But Has It Gone Too Far?, Banner, 2021.

44 Sh. Najib, „Val Kilmer returns to the big screen with the help of AI in 'As Deep as the Grave' trailer,“ ABC News (Good Morning America), 2026, <https://abcnews.com/GMA/Culture/val-kilmer-returns-big-screen-ai-deep-grave/story?id=132076775> [ნანახია: 05.06.2026].

ადამიანი, მას უფლება აქვს დამატებითი ინფორმაცია მოიპოვოს ფაქტთან დაკავშირებით. ამ მხრივ, აკადემია აცხადებს, რომ ყოველ წელს განაახლებს თავის წესებს და არაერთგზის აღნიშნავს, რომ ახალი ტექნოლოგიების, მათ შორის AI-ის, გათვალისწინება ინდუსტრიის თანამედროვე მდგომარეობის ასახვის ერთ-ერთი გზაა.⁴⁵

ამ ცვლილებებით კინემატოგრაფიული ხელოვნებისა და მეცნიერების აკადემია ცდილობს დაიცვას ცოცხალი შემოქმედება და უზრუნველყოს, რომ კინოს შექმნის პროცესში მთავარი როლი კვლავ ადამიანს ეკუთვნოდეს. ახალი წესები მკაფიოდ უსვამს ხაზს, რომ ჯილდოების მიღება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ფილმის შექმნაში არსებითად მონაწილეობს ადამიანი, რითაც აკადემია ერთდროულად პასუხობს ხელოვნური ინტელექტის სწრაფ განვითარებას და იცავს მსახიობების, სცენარისტებისა და სხვა კინოპროფესიონალების სამუშაო ადგილებსა და შემოქმედებით უფლებებს.

ამ პრაქტიკის პარალელურად, სამართლებრივი რეგულაციები ცდილობს მსგავსი შემთხვევების გარკვეულ ჩარჩოში მოქცევას.

ამჟამად გარდაცვლილი პირის უფლებამონაცვლეს შეუძლია სამართლებრივი დავის წარმოება, როგორც წესი, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ადგილი აქვს პიროვნების კომერციული იმიჯის უფლების დარღვევას, რაც უკავშირდება მისი სახელის, გამოსახულების ან იდენტობის უნებართვო კომერციულ გამოყენებას. კონფიდენციალურობისა და მონაცემთა დაცვის სამართალი, მათ შორის GDPR-ის ფარგლებში, ძირითადად იცავს როგორც ქონებრივ, ისე არაქონებრივ ზიანს, თუმცა მისი მოქმედება გარდაცვლილ პირებზე პირდაპირ არ ვრცელდება, რის გამოც მსგავსი შემთხვევები ხშირად რეგულირდება ეროვნული სამართლის ან დელიქტური პასუხისმგებლობის ნორმებით.

მონაცემთა დაცვის ზედამხედველი აღნიშნავს, რომ ევროკავშირში ადამიანის ღირსება აღიარებულია, როგორც აბსოლუტური ფუნდამენტური უფლება. ღირსების ამ კონცეფციაში ცენტრალური როლი ენიჭება კონფიდენციალურობას, ანუ პირადი ცხოვრების უფლებას, რომელიც გულისხმობს პირის ავტონომიას, საკუთარი ინფორმაციის კონტროლს და პირადი სივრცის ხელშეუხებლობა, კონფიდენციალურობა, წარმოადგენს არა მხოლოდ ინდივიდუალურ უფლებას, არამედ სოციალურ ღირებულებას.⁴⁶

თუმცა, სიკვდილის შემდგომ არ არსებობს სამართლებრივი დაცვის საშუალება ფსიქოლოგიური, ემოციური ან ღირსების შელახვის შემთხვევებში, ვინაიდან მხოლოდ ცოცხალ პირებს შეუძლიათ ასეთი მდგომარეობების განცდა. ნათესავებს ასევე არ აქვთ უფლება, გარდაცვლილის სახელით შეიტანონ სარჩელი მისი პირადი ცხოვრების ხელყოფის გამო, მიუხედავად იმისა, რომ ახლობელი ადამიანი შესაძლოა განიცდიდეს დამცირებას, შოკს ან სხვა ტიპის ემოციებს გარდაცვლილი ადამიანის Deepfake-ის ნახვის შედეგად. მიუხედავად ამ ფაქტისა, ზემოაღნიშნულ პირებს მაინც არ გააჩნიათ სამართლებრივი მოთხოვნის უფლება. დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ ახლობლებს არ შეუძლიათ იდავონ გარდაცვლილი ნათესავის შელახული რეპუტაციის აღდგენის მიზნით⁴⁷, თუმცა, „No Relational Right Rule“-ს რამდენიმე გამონაკლისი გააჩნია. ნათესავებს შეუძლიათ დაიწყონ სამართლებრივი დავა გარდაცვლილის სხეულის ფოტოების გასაჯაროების შემთხვევაში, ასეთი ქმედების განსაკუთრებით შეურაცხმყოფელი ხასიათის გამო. სასამართლო სისტემის ფარგლებში ხშირად აღინიშნება, რომ ეს გამონაკლისი მიზნად ისახავს არა გარდაცვლილის, არამედ ცოცხალი ნათესავების უფლებების დაცვას.⁴⁸ უფლებების დაცვა აქ გულისხმობს იმას, რომ სამართალი ზოგჯერ არ იცავს გარ-

45 K.Chedraoui, „And the Oscar Does Not Go to... AI 'Actors' and AI-Written Screenplays, the Academy Says“, Yahoo Entertainment, Yahoo.com, 2026.

46 European Data Protection Supervisor, ib: https://www.edps.europa.eu/data-protection_en [ნანახია: 03.05.2026].

47 J. Thomas McCarthy & R. E. Schechter, Rights Of Publicity And Privacy Thomson/West, Eagan, Minn. 2022

48 O. Wall, A Privacy Torts Solution To Postmortem Deepfakes, 100 Wash. U. L. Rev, 2023, გვ.890.

დაცვლილს პირდაპირ, არამედ იცავს იმ ზემოქმედებას, რასაც იწვევს, ცოცხალ ადამიანებზე გარდაცვლილის შესახებ ინფორმაციის გავრცელება.

ადამიანის გარდაცვალების შემდგომ შექმნილი Deepfake-ები მრავალმხრივია იმ პოტენციური ზიანის თვალსაზრისით, რომელსაც ისინი გარდაცვლილის ოჯახის წევრებსა და საზოგადოებას უქმნიან. უკვე არსებული შემთხვევების ანალიზი მიუთითებს არაერთ შესაძლო სცენარზე, სადაც გარდაცვლილი პირის ვირტუალური გამოსახულება და მსგავსება შეიძლება გამოყენებულ იქნას კომერციული ან სხვა მავნე მიზნებისთვის. მსგავსი ტიპის Deepfake-ები, როდესაც ისინი ინფორმირებული თანხმობის გარეშე გამოიყენება გარდაცვლილის გამოსახულების, ხსოვნის ექსპლუატაციის და მანიპულაციისთვის, არღვევს გარდაცვლილი პირის ღირსებას იმგვარად, რომ იგი შეიძლება მივამსგავსოთ სხეულებრივი ხელშეუხებლობის დარღვევას.⁴⁹

ამ მხრივ, ხშირად აღნიშნავენ, რომ მიუხედავად იმისა, რომ მსგავსი ტიპის Deepfake-ები ფიზიკურად არ ართმევენ ახლობლებს გარდაცვლილზე უკვე არსებულ მფლობელობით ინტერესს, ისინი არაპირდაპირი გზით ძირს უთხრიან ზემოაღნიშნული იდეის არსს. პრაქტიკულად, Deepfake-ები „ვირტუალურად აცოცხლებენ“ გარდაცვლილს, რითაც ხაზს უსვამენ გარდაცვლილის საბოლოო ხასიათს და ახლობლებს ემოციური და ფსიქიკური სტრესისადმი უფრო მონყვლად მდგომარეობაში ტოვებენ.⁵⁰

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დარღვევის დელიქტები, კერძოდ „False Light“⁵¹ და „Appropriation“⁵², წარმოადგენს უფრო ხელსაყრელ სამართლებრივ გზებს დარღვეული უფლების დაცვისა და კომპენსაციის მისაღებად.

„False Light“ დელიქტი გულისხმობს ისეთი

ინფორმაციის საჯაროდ გავრცელებას, რომელიც სხვა პიროვნებას წარმოაჩენს მცდარ შუქში, თუ ეს ხდება:

1. ისეთი ფორმით, რომელიც გონივრული ადამიანისათვის განსაკუთრებით შეურაცხმყოფელი იქნებოდა;
2. ცოდნით ან აშკარა გაუფრთხილებლობით იმასთან დაკავშირებით, რომ ინფორმაცია მცდარია;

ინტუიციურად, ეს დელიქტი განსაკუთრებით შესაფერის სამართლებრივ ინსტრუმენტად მიიჩნევა, რადგან მისი მახასიათებლები კარგად ემთხვევა ადამიანის გარდაცვალების შემდგომ შექმნილი გენერირებული კონტენტის ბუნებას, მათ შორის მათში არსებული სიცრუისა და შეურაცხმყოფელი შინაარსის გამო.⁵³

ამ კონტექსტში, ვფიქრობ, რომ მსგავსი კატეგორიის Deepfake-ები წარმოადგენენ ახალ კატეგორიას, რომელიც სცდება ტრადიციულ ჩარჩოებს და საჭიროებს დამოუკიდებელი სამართლებრივი ინტერესის აღიარებას. ციფრულ სივრცეში გარდაცვლილის ინტერესების დაცვას, უამრავი კრიტიკოსი და ასევე მხარდამჭერი ჰყავს, რაც აჩვენებს, რომ საკითხი ჯერ კიდევ ღია და დოგმატურად დაუფუძნებელია.

მომავალი სამართლებრივი განვითარება მიმართული უნდა იყოს არა მხოლოდ არსებული დელიქტების გასაფართოებლად, არამედ უფრო სპეციფიკური სამართლებრივი ჩარჩოს ჩამოსაყალიბებლად.

IV. დასკვნა

მხოლოდ იმ მექანიზმის არსებობა, რომ ვიდეო, აუდიო, ფოტომასალას, ჰქონდეს შესაბამისი აღნიშვნა, პირობითად AI, პრაქტიკაში არასაკმარისად ეფექტურია. მიუხედავად იმისა,

⁴⁹E. Pascale, „Deeply Dehumanizing, Degrading, And Violating: Deepfake Pornography And The Path To Legal Recourse“, 2023, გვ. 335, 340.

⁵⁰Justin P'ng, „The Resurrection Will Not Be Televised: Legal Remedies For Posthumous Deepfakes,“ Georgetown Law Technology Review, Georgetown University Law Center, Washington, D.C., Vol. 8, 2023, გვ.356.

⁵¹„მცდარ შუქში წარმოჩენა, ანუ როცა ვინმეს შესახებ ინფორმაციას ისე ავრცელებენ, რომ ის არასწორად და დამაზიანებლად წარმოაჩენს ადამიანს.

⁵²„სახელის/გამოსახულების მითვისება“- როცა სხვის სახელს, ფოტოს ან იდენტობას იყენებენ მისი თანხმობის გარეშე და ხშირად კომერციული მიზნებისთვის.

⁵³Justin P'ng, „The Resurrection Will Not Be Televised: Legal Remedies For Posthumous Deepfakes,“ Georgetown Law Technology Review, Georgetown University Law Center, Washington, D.C., Vol. 8, 2023, გვ.360.

რომ გარკვეული რეგულაციები ითვალისწინებს ასეთი კონტენტის შემცველი იდეის აღნიშვნას, მოცემული მაინც ვერ უზრუნველყოფს მისი მაცურებლის, ანუ პოტენციური მომხმარებლის სრულყოფილ ინფორმირებულობას.

მოგეხსენებათ, **Deepfake** ვიდეოები სულ უფრო რეალისტური და ფართოდ გავრცელებადი ხდება, რის გამოც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის პოლიტიკის შემქმნელებს უნევთ იმ გამონვევასთან გამკლავება, თუ როგორ დაიცვან საზოგადოება მათი პოტენციური ზიანისგან. მთავრობები და კომპანიები განიხილავენ სხვადასხვა მექანიზმს გამჭვირვალობის გასაძლიერებლად, თუმცა მათი ეფექტურობის შესახებ ჯერ კიდევ ცოტაა ცნობილი.⁵⁴

მართალია სხვადასხვა მედიაორგანიზაცია და პლატფორმა აქტიურად იყენებს განსხვავებულ მექანიზმებს იმის აღსანიშნავად, რომ კონტენტი არის **Deepfake**. მაგალითად მსხვილი ტექნოლოგიური პლატფორმები ცდილობენ მარეგულირებელი ორგანოების მიერ დადგენილი გამჭვირვალობის მოთხოვნების შესრულებას და ამ მიზნით ნერგავენ სხვადასხვა მარკირების სისტემებს. პირობითად **Google** იყენებს **AI** გენერირებული კონტენტის მარკირების ნიშნებს, ხოლო **Meta** ვიდეოზე, აუდიოსა და გამოსახულებაზე ამატებს სპეციალურ „**AI Info**“ აღნიშვნას.

კვლევებმა აჩვენა, რომ დეზინფორმაციაზე განთავსებული „გამაფრთხილებელი ნიშნები“ (ე.წ. „**warning labels**“) ამცირებს ადამიანების მიდრეკილებას, რომ ასეთ კონტენტს დაუჯერონ⁵⁵ და ასევე შეიძლება მოცემულმა პოტენციურად შეამციროს ცრუ და დაუსაბუთებელი განცხადებების მოწონება, კომენტირება⁵⁶ და გაზიარების განზრახვა.

ამ შედეგებზე დაყრდნობით, მკვლევართა ნაწილი ვარაუდობს, რომ ხელოვნური ინტელექტით გენერირებული კონტენტის მარკირებამ შეიძლება გამოიწვიოს ქცევითი ეფექტები. თუმცა, ისინი ასევე ხაზს უსვამენ ემპირიული კვლევის აუცილებლობას, რათა უკეთ გავიგოთ, რა ნიუანსებით უნდა მოხდეს ამ აღნიშვნების დანერგვა და გამოყენება გენერირებული კონტენტის კონტექსტში.⁵⁷

სწორედ ამიტომ, ხშირად აღნიშნავენ, რომ გამაფრთხილებელი მარკირების დიზაინი უნდა ითვალისწინებდეს მრავალ განზომილებას, როგორცაა ფერი, იკონოგრაფია, განლაგება და დეტალიზაციის დონე. მოცემული უზრუნველყოფს მომხმარებლებს სწორად მიენოდოს ინფორმაცია გენერირებული კონტენტის შესახებ, ვინაიდან მარტივადაა შესაძლებელი რომ მომხმარებელი არ მიაქცევს ყურადღებას აღნიშნულ მარკირებას, ან ვერ გააცნობიერებს მის წინ არსებულ მასალაზე დატანილი აღნიშვნის მნიშვნელობას.

სამწუხაროა, თუმცა გარდაუვალი, რომ საზოგადოების ნაწილი, განსაკუთრებით იმ ტიპის ქვეყნებსა და სოციალურ ჯგუფებში, სადაც ხელოვნური ინტელექტის გამოყენება ჯერ კიდევ სიახლე ან ნაკლებად გავრცელებული ფენომენია, შესაძლოა, ადამიანებმა ვერ აღიქვან გენერირებულ მასალაზე დატანილი წარწერის მიზანი. მოცემულში არ იგულისხმება მხოლოდ მისი შემჩნევა, აქ უკვე პრობლემა უკავშირდება არა მხოლოდ ვიზუალურ აღქმას, არამედ თავად ინფორმაციის ინტერპრეტაციასა და გააზრებას.

შესაბამისად, ჩნდება კითხვა, რამდენად შეუძლია მხოლოდ ფორმალურმა მარკირებამ უზრუნველყოს რეალური ინფორმირებული თანხმობა ან სწორი აღქმა, როდესაც მომხმარებელ-

54 Y. Zhang, N. Fast, J. Schroeder, The Hidden Costs of Transparency: Labelling Commercial Deepfake Videos Undermines Trust in Non-commercial Authentic Videos, University of California, Berkeley/ University of Southern California, 2025, გვ.1.

55 Ch. Jia, A. Boltz, A. Zhang, A. Chen, and M.K. Lee, Understanding effects of algorithmic vs. community label on perceived accuracy of hyper-partisan misinformation, Proceedings of the ACM on Human-Computer Interaction Vol6, CSCW2, (2022), გვ.1–27.

56 G. Lim and S.T. Perrault, Effects of automated misinformation warning labels on the intents to like, comment and share posts, In Proceedings of the 11th International Conference on Human-Agent Interaction, 2023, გვ. 299–305.

57 Ch. Wittenberg, Z. Epstein, A. J. Berinsky, and D.G. Rand, Labeling AI-Generated Content: Promises, Perils, and Future Directions, 2024.

თა მნიშვნელოვან ნაწილს შესაძლოა არ ჰქონდეს საკმარისი ციფრული და მედიაინჟინერება აღნიშნული ნიშნების მნიშვნელობის სრულყოფილად გასააზრებლად.

ამგვარად, მიმაჩნია, რომ მხოლოდ ტექნიკური მარკირება ვერ უზრუნველყოფს სრულყოფილ გამჭვირვალობას და შესაბამისად, გენერირებულ მასალაში აღბეჭდილი პირისა და მომხმარებლის უფლებების დაცვას.

ამ კონტექსტში საინტერესო შედარება შეიძლება გაკეთდეს კინემატოგრაფიულ პრაქტიკასთან, როდესაც ფილმს ერთვის აღნიშვნა „based on true events“ (დაფუძნებულია რეალურ მოვლენებზე). ასეთ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ მაყურებელს არ აქვს ზუსტი ინფორმაცია, რამდენად და რა ხარისხით არის რეალობა შეცვლილი, იგი მაინც ფლობს ძირითად ცოდნას, რომ ნარატივი ეფუძნება რეალურ ფაქტებს. შესაბამისად, აქ აღნიშვნა უფრო მეტად მიუთითებს კონტექსტზე, ვიდრე ქმნის სრულყოფილი ინფორმაციის ილუზიას.

საპირისპიროდ, ხელოვნური ინტელექტის მიერ გენერირებული კონტენტის შემთხვევაში პრობლემა უფრო მკვეთრია, რადგან სისტემა შესაძლოა ქმნიდეს სრულიად ახალ, რეალობისგან დამოუკიდებელ ან არსებითად შეცვლილ შინაარსს, რომელიც მომხმარებელს შეიძლება მიეწოდოს, როგორც ნეიტრალური ან სანდო ინფორმაცია. ასეთ პირობებში, მხოლოდ ზოგადი მარკირება ვერ გამოორიცხავს შეცდომაში შეყვანის რისკს, ვინაიდან მომხმარებელი შესაძლოა ვერ აცნობიერებდეს, რამდენადაა კონტენტი მანიპულირებული.

იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც პირი სრულად აცნობიერებს, რომ კონკრეტული აუდიო-ვიზუალური მასალა ხელოვნური ინტელექტის მიერ არის გენერირებული და იგი შესაბამისი AI მარკირებით არის მონიშნული, მისი გავლენა მაინც არ არის ნეიტრალური. მაგალითად, სიტუაციაში, როდესაც პოლიტიკოსის გამოსახულებით შექმნილი Deepfake ვიდეო ასახავს მას

თითქოს იგი მოქალაქეებს სახელმწიფო გადატრიალებისკენ მოუწოდებს, ფორმალური მარკირება ვერ გამოორიცხავს ემოციურ და კოგნიტურ რეაქციებს. ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, ვიზუალური და აუდიო აღქმა ხშირად პირველადი ინტუიციური რეაქციების გამომწვევია, რომლებიც ინფორმაციის შემდგომ რაციონალურ გადამუშავებამდე აქტიურდება. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ მომხმარებელი შეიძლება რაციონალურად აცნობიერებდეს კონტენტის არარეალურობას, მას მაინც შეიძლება განუვითარდეს შინაგანი დისკომფორტი, უნდობლობის განცდა ან ემოციური დისონანსი. ამგვარად, გენერირებული კონტენტის მარკირება, მიუხედავად მისი მნიშვნელობისა გამჭვირვალობის უზრუნველყოფისთვის, სრულად ვერ ანეიტრალებს მის პოტენციურ ფსიქოლოგიურ და რეპუტაციულ ზემოქმედებას.

ანალიზმა აჩვენა, რომ არსებული სამართლებრივი ჩარჩოები, მათ შორის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დელიქტები, მხოლოდ ნაწილობრივ ფარავს აღნიშნულ პრობლემას, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე ეხება გარდაცვლილი პირების გამოსახულების გამოყენებას. შესაბამისად, აუცილებელია უფრო სპეციფიკური და მიზნობრივი რეგულაციების ჩამოყალიბება.

ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ ტექნოლოგიური ზომები, როგორიცაა გამაფრთხილებელი ნიშნები და მარკირება, განიხილებოდეს მხოლოდ როგორც დამხმარე მექანიზმი, რადგან მათი ეფექტი დიდწილად დამოკიდებულია მომხმარებლის აღქმასა და ციფრულ ცნობიერებაზე. სწორედ ამიტომ, მომავალში საჭიროა როგორც სამართლებრივი რეგულირების გაძლიერება, ასევე საზოგადოების ინფორმირებულობის ამაღლება, რათა შემცირდეს Deepfake ტექნოლოგიის პოტენციური ზიანი და მისი გავლენა, როგორც ინდივიდუალურ უფლებებზე, ისე საზოგადოებრივ ნდობასა და ინფორმაციულ უსაფრთხოებაზე.

საჯარო წესრიგის ცნება და მისი ფუნქციური დიფერენციაცია სახელშეკრულებო სამართალში: ქართული და ფრანგული დოქტრინის შედარებითი ანალიზი

ანა გვენცაძე

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტისა და პუბლიკის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტების დოქტორანტი
ადვოკატი

აბსტრაქტი

წინამდებარე სტატია შეეხება სახელშეკრულებო სამართალში საჯარო წესრიგის ცნებასა და მისი განმარტების პრობლემატიკას. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლი საჯარო წესრიგს გარიგების ბათილობის ერთ-ერთ ფუნდამენტურ საფუძვლად ასახელებს, მისი სამართლებრივი შინაარსი და განმარტება ქართულ დოქტრინასა და სასამართლო პრაქტიკაში კვლავ ბუნდოვანი რჩება და ხშირად იგივედება ზნეობასთან. ვინაიდან აღნიშნული ტერმინი ქართულ სამართალში ფრანგული სამართლიდან დამკვიდრდა, სტატიის მიზანია, ეს ბუნდოვანება ფრანგული დოქტრინის შედარებით-სამართლებრივი ანალიზის გზით შეავსოს.

სტატიაში დეტალურად არის გაანალიზებული ფრანგულ სახელშეკრულებო სამართალში ჩამოყალიბებული საჯარო წესრიგის ფუნქციური დიქტომია: დირექციული საჯარო წესრიგი (*ordre public de direction*), რომელიც საზოგადო-სახელმწიფოებრივ ინტერესებს იცავს და გარიგების აბსოლუტურ ბათილობას იწვევს, და დამცავი საჯარო წესრიგი (*ordre public de protection*), რომელიც მიმართულია სახელშეკრულებო ურთიერთობის სუსტი მხარის დასაცავად და რელატიური ბათილობის საფუძველს წარმოადგენს. ამასთან, სტატიაში მოხილულია საჯარო წესრიგის დაცვის პროცესში პროკურორის საპროცესო ლეგიტიმაციისა და ჩართულობის როლი. დასკვნით ნაწილში ფრანგული ფუნქციური მოდელი მისადაგებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლს. ფრანგული მოდელის გაანალიზება მნიშვნელოვანი სიახლეა ქართული დოქტრინისათვის და სასამართლოებს დაეხმარება კერძო ავტონომიასა და საჯარო ინტერესებს შორის სამართლიანი ბალანსის დამკვიდრებაში.

საკვანძო სიტყვები: საჯარო წესრიგი, დირექციული საჯარო წესრიგი, დამცავი საჯარო წესრიგი, ბათილობა, ზნეობა.

1. შესავალი

საჯარო წესრიგის ცნების განმარტება არა მხოლოდ ქართული სამართლისათვის წარმოადგენს სირთულეს, არამედ ძალიან ბევრი განვითარებული სახელმწიფოსთვის. შეიმჩნევა ტენდენცია, რომ სულ უფრო და უფრო ფართოვდება ამ ტერმინის გამოყენების სფერო, თუმცა პრობლემის გაადვილების ნაცვლად, საკითხი უფრო

ვრცელი ხდება, რაც აჩენს ტერმინის მნიშვნელოვნად განზოგადების საფრთხეს. საჯარო წესრიგის ცნების განმარტება და გარკვეულ ჩარჩოებში მოქცევა ძალზედ მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით სახელშეკრულებო სამართლის დარგში, ვინაიდან ამ ცნებას ქართველი კანონმდებლისგან აქვს მინიჭებული უფლებამოსილება, გამოიწვიოს ნებისმიერი გარიგების ბათილობა.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის მიხედვით, რომელიც მართლსაწინააღმდეგო და ამორალურ გარიგებებს შეეხება, „ბათილია გარიგება, რომელიც არღვევს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს, ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგსა და ზნეობის ნორმებს“. აღნიშნული ნორმა ქართველი კანონმდებლის მიერ საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ინსპირირებული იყო საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსიდან; კერძოდ, საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის მე-6 მუხლის მიხედვით, კერძო შეთანხმებით არ შეიძლება დაირღვეს საჯარო წესრიგი და ზნეობის ნორმები.¹ აღნიშნული ტექსტი 1804 წლიდან უცვლელად არის ძალაში და პანდექტურ სისტემაზე მოწყობილ საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსში ზოგადი ხასიათის მუხლს წარმოადგენს. საჯარო წესრიგის ცნება ფრანგულ სამართალში რომაული სამართლის ზეგავლენით მოხვდა. კერძოდ, მიიჩნევა, რომ რომელიც კანონმდებლის თანახმად, კერძო შეთანხმებით ვერ შეიცვლება საჯარო წესრიგი.² ჯერ კიდევ რომის იმპერიის დროს არსებობდა იდეა, რომ არის ისეთი მნიშვნელოვანი ღირებულებები, რომლებიც სცილდება ნების თავისუფლებას და იცავს საერთო ღირებულებებს.

საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსიდან განსხვავებით, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, რომლიდანაც თავის დროზე ითარგმნა საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, არ ითვალისწინებს საჯარო წესრიგის ცნებას და 138-ე პარაგრაფის პირველი ნაწილის მიხედვით, ბათილია გარიგება, რომელიც ეწინააღმდეგება ზნეობის ნორმებს.³ მართალია, ახლა მოქმედი გერმანიის სამოქალაქო კოდექსი არ შეიცავს საჯარო წესრიგის ცნებას, მაგრამ ეს მუდამ ასე არ იყო, ვინაიდან თავდაპირველი ფორმულირებით, საფრანგეთის საკანონმდებლო ჩანაწერის მსგავსად,

გერმანული სამოქალაქო კოდექსის მიხედვით ბათილი იყო როგორც „კეთილი ზნის“, ისე საჯარო წესრიგის საწინააღმდეგო გარიგებები.⁴ თუმცა შემდეგ გერმანელმა კანონმდებელმა მიიჩნია, რომ ამ მორალურ-ეთიკური ჩანაწერით, საჯარო წესრიგის ცნების უგულებელყოფითა და მხოლოდ ზნეობის ნაწილის გათვალისწინებით, უკეთ დაიცავდა თავისი საზოგადოების ფუნდამენტურ ღირებულებებს. შესაბამისად, იმ ფუნქციას, რასაც ქართველი და ფრანგი კანონმდებელი ანდობს საჯარო წესრიგისა და ზნეობის ნორმებს, გერმანელმა კანონმდებელმა მხოლოდ ზნეობაში გააერთიანა.⁵ თუმცა აქ ასევე ენობრივი საკითხის თავისებურებაც იკვეთება, ვინაიდან გერმანულ ენაში „ზნე“ გამოიყენება „ჩვეულების“ მნიშვნელობით და, შესაბამისად, მიიჩნევა, რომ „კეთილი ზნის“ ცნება საჯარო წესრიგს უკვე მოიცავს თავის თავში.⁶

ქართული დოქტრინისა და სასამართლოების გადაწყვეტილებების უმრავლესობისათვის საჯარო წესრიგის ინტერპრეტაციის თავისებურებას ის წარმოადგენს, რომ ხშირად ეს ცნება განიხილება ზნეობასთან კავშირში; თუმცა თანამედროვე ავტორები სულ უფრო ხშირად მიუთითებენ, რომ აუცილებელია ამ ორი ცნების ერთმანეთისგან გამიჯვნა. ზნეობა უკავშირდება საზოგადოებაში, გარკვეული დროის მანძილზე დამკვიდრებულსა და ჩამოყალიბებულ მორალურ წარმოდგენებს, ხოლო საჯარო წესრიგი — სამართლებრივ ღირებულებათა სისტემას; შესაბამისად, ყველა უზნეო ქმედება არ წარმოადგენს საჯარო წესრიგის დარღვევას და, პირიქით, საჯარო წესრიგის დამრღვევი ქმედება არ არის აუცილებლად ზნეობრივად მიუღებელი.⁷

მართალია, ქართველმა კანონმდებელმა ფრანგული სამოქალაქო კოდექსიდან გადმოიტანა საჯარო წესრიგის ცნება, თუმცა ქართული სამართლის განვითარების გზები, სამოქალაქო

1 Code civil, art. 6 : « On ne peut déroger, par des conventions particulières, aux lois qui intéressent l'ordre public et les bonnes mœurs ».

2 რომაული მაქსიმა: „ius publicum privatorum pactis mutari non potest“.

3 Bürgerliches Gesetzbuch, §138 („gute Sitten“).

4 კერესელიძე დ., კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბილისი, 2009, გვ. 279.

5 Ferrand F., Droit privé allemand, Dalloz, 1997, pp. 174–181; Bürgerliches Gesetzbuch, §138.

6 კერესელიძე დ., კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბილისი, 2009, გვ. 279.

7 ჭანტურია ლ., შესავალი სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბილისი, 2000, გვ. 123–128.

კოდექსის კოდიფიკაციიდან დღემდე, მჭიდროდ არის დაკავშირებული არა ფრანგულ, არამედ გერმანულ სამართალთან, რაც გერმანიის ქვეყნისა და მეცნიერების დიდი დამსახურებაა. ამ კავშირს ისიც განაპირობებს, რომ თავის დროზე საქართველოს სამოქალაქო კოდექსი გერმანიის სამოქალაქო კოდექსისა და სამართლის სისტემის საფუძველზე შეიქმნა. სწორედ ეს ისტორიული პარადოქსი, როგორიც არის ფრანგული სამართლიდან შემოსული ცნების გერმანულსამართლებრივ იდეოლოგიაზე დაფუძნებულ ქართულ დოგმატიკურ ჩარჩოში მოქცევა, ქმნის იმ ბუნდოვანების ერთ-ერთ ფესვს, რომელსაც წინამდებარე ნაშრომი შეეხება.

საჯარო წესრიგის ცნების გარშემო არსებული ფრანგული დოქტრინის შეხედულებები და მოსაზრებები, ასევე საჯარო წესრიგის ცნების ინტერპრეტაციისა და მისი სახელშეკრულებო-სამართლებრივი მნიშვნელობის შესახებ, ნაკლებად ცნობილია ქართული დოქტრინისათვის. სწორედ ამიტომ აღნიშნული სტატია გარკვეული მნიშვნელობის მატარებელი იქნება საჯარო წესრიგის ცნების კვლევისა და სასამართლოსათვის მისი განმარტების გაადვილების ან ახალი შეხედულების ჩამოყალიბების ნაწილში.

სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის ინტერპრეტაციის შედეგად დგინდება, რომ გარიგება, ცალმხრივი იქნება ის თუ მრავალმხრივი, სამოქალაქოსამართლებრივ ძალას ინარჩუნებს მხოლოდ „სამი სახის ფასეულობის“⁸ დაკმაყოფილების შემთხვევაში. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის აღნიშნული მუხლი ძალიან ზოგადია; ასევე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსისაგან განსხვავებით,⁹ არ აკონკრეტებს, თუ რომელი მუხლი შეიძლება მიჩნეული იქნეს საჯარო წესრიგის ცნების შემადგენელ ნაწილად. უმეტეს შემთხვევებში სასამართლო გადაწყვეტილებებშიც სასამართლო საჯარო წესრიგსა და ზნეობის ნორმებს ერთ სიმრავლეში მოიხსენიებს.

2. საჯარო წესრიგის ცნების განმარტება ქართულ სამართლებრივ სისტემაში

ქართულ დოქტრინაში საჯარო წესრიგის ინსტიტუტი დაკავშირებულია კერძო სამართლის სისტემურ სტაბილურობასთან. შესაბამისად, სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეები შეზღუდულნი არიან შეცვალონ შეთანხმების ან გარიგების ის ძირითადი საფუძვლები, რომლებზეც მთლიანად არის აგებული სამართლებრივი წესრიგი. სწორედ ამიტომ, საჯარო წესრიგის საწინააღმდეგო გარიგება ვერ წარმოშობს იურიდიულ შედეგს, ვინაიდან ის იმთავითვე ბათილია, სხვა შემთხვევაში კერძო ნება სამართლებრივ სისტემაზე მაღლა დადგებოდა. საჯარო წესრიგის ფუნქციას საზოგადოებრივი ინტერესის დაცვასთან ერთად კერძო სამართლის სისტემის სტაბილურობის შენარჩუნებაც წარმოადგენს.¹⁰

საქართველოს კანონმდებლის მიერ სასამართლოსათვის არაპირდაპირად დაკისრებული ვალდებულება, რომ მოახდინოს საჯარო წესრიგის ცნების ინტერპრეტაცია და დაადგინოს, არის თუ არა გარიგება ან მისი ნაწილი საჯარო წესრიგის ცნებასთან წინააღმდეგობაში, საკმაოდ რთულად შესასრულებელია, რაც გამომდინარეობს როგორც თავად ცნების ზოგადი შინაარსიდან, ასევე უშუალოდ სამოქალაქო კოდექსიდან, რომელიც არ იძლევა საჯარო წესრიგის მიმართ დამატებით განმარტებებს ან მითითებებს. არც სასამართლოს გადაწყვეტილებები გვაძლევს არსებით განმარტებებს; თუმცა შესაძლებელია რამდენიმე მნიშვნელოვანი, პრინციპული მნიშვნელობის მქონე შინაარსის გამოყოფა.

საჯარო წესრიგის ცნების განმარტების კონტექსტში, ძალიან საინტერესოა თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე №2ბ/585-13, სადაც სასამართლო აღნიშნავს, რომ საჯარო წესრიგი წარმოადგენს არა კანონმდებლის ტექნიკურ-ნორმატიულ დანამატს, არამედ „მაღალი სამართლებრივი

8 სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, მუხლი 54, გვ. 312, თბილისი, 2017.

9 მაგალითად, საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 16-9 მუხლის მიხედვით, კოდექსის შესაბამისი თავით გათვალისწინებული ნორმები, რომლებიც ადამიანის სხეულის

ღირსებას შეეხება, დაცულია საჯარო წესრიგის ცნებით.

10 კერესელიძე დ., კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბილისი, 2009, გვ. 157–166.

ღირებულებების“ ერთობლიობას. სასამართლო აღნიშნავს, რომ საჯარო წესრიგთან წინააღმდეგობაში იგულისხმება მართლწესრიგის ფუნდამენტური საფუძვლების ხელყოფა და რომ სამართლებრივ სახელმწიფოში მართლწესრიგის სტაბილურობა დგას როგორც პოზიტიურ-სამართლებრივ ნორმებზე, ასევე საზოგადოებრივ მორალურ სტანდარტებზე.¹¹

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 18 ნოემბრის გადაწყვეტილებაში საქმეზე №ას-533-786-08 სასამართლომ დაადგინა, რომ საჯარო წესრიგი ემსახურება სახელმწიფოსა და საზოგადოების ფუნდამენტური ინტერესების დაცვას და მოიცავს სამართლებრივ პრინციპთა იმ ერთობლიობას, რომელთა დარღვევაც საფრთხეს უქმნის სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობას. სასამართლოს მოსაზრებით, საჯარო წესრიგის დარღვევაში იგულისხმება სამოქალაქო ბრუნვის ფუნდამენტური პრინციპების, ისეთი, როგორიცაა საკუთრების უფლება, ხელშეკრულებისა და მეწარმეობის თავისუფლება და სხვა, ხელყოფა. საჯარო წესრიგის დარღვევით ილახება არა მხოლოდ ურთიერთობის კონკრეტული მონაწილის უფლებები, არამედ იგი ვნებს, პირველ რიგში, სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესებს.¹² საკასაციო პალატა ადგენს, რომ საჯარო წესრიგის საწინააღმდეგო გარიგება ვერ ისარგებლებს სამართლებრივი დაცვით. სასამართლო ასევე მიუთითებს, რომ მართლწესრიგის ფუნქციონირება წარმოუდგენელია ისეთი შეთანხმებების ლეგიტიმაციით, რომლებიც არღვევს სამართლებრივი სისტემის არსებობის საფუძვლებს და მის სტაბილურობას. საკასაციო პრაქტიკა ადასტურებს, რომ კერძო შეთანხმება იურიდიულ ძალას იმ შემთხვევაში ინარჩუნებს, თუ იგი ერთდროულად აკმაყოფილებს პოზიტიური სამართლის, ზოგადსახელმწიფოებრივი ინტერესებისა და საზოგადოებრივი მორალის მოთხოვნებს. საკასაციო სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება წარმოადგენს სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის დოგმატური შინაარსის ფუნდამენტურ

რეინტერპრეტაციას და მის მიერ მოხდა იმ სამი სამართლებრივი ფასეულობის განცალკევება, რომელთა ხელყოფაც პირდაპირ იწვევს გარიგების ბათილობას და რომელიც დაკავშირებულია სამოქალაქო ბრუნვასა და მართლწესრიგთან. სასამართლოს განმარტებით, გარიგების ნამდვილობა არ შეიძლება შეფასდეს პოზიტიური სამართლის მყარი ნორმების ვიწრო ჩარჩოებში, რადგან ის ექვემდებარება უფრო ფართო, ღირებულებით და ეთიკურ შეზღუდვებს.

ქართული სასამართლო პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს ორ არსებით პრობლემას. პირველი, საჯარო წესრიგის ცნების განმარტების შესახებ არ მოიძებნება საკმარისი გადაწყვეტილებები ქართულ იურისპრუდენციაში, ხოლო არსებული გადაწყვეტილებები ძირითადად სრულად იმეორებს საჯარო წესრიგის შესახებ ზოგად ახსნა-განმარტებებს, კონკრეტული საქმის ფაქტობრივ გარემოებებზე მისადაგების გარეშე. მეორე, საჯარო წესრიგის საკითხის წამოჭრა სასამართლო სისტემაში იშვიათად ხდება, რაც განპირობებულია იმით, რომ საჯარო წესრიგი სცდება საკანონმდებლო ჩარჩოს და უფრო სახელმწიფოს ინტერესებთან არის დაკავშირებული; შესაბამისად, საჯარო წესრიგის საკითხი გარიგების მხარეთა მიერ ნაკლებად ხდება სადავო.

აღსანიშნავია, რომ ქართული სამართალი, ფრანგულისგან განსხვავებით, არ იცნობს საჯარო წესრიგის ფუნქციურ დიფერენციაციას. სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლი საჯარო წესრიგის ყოველგვარ დარღვევას ერთ, ერთგვაროვან სამართლებრივ შედეგს - ბათილობას უკავშირებს, იმის მიუხედავად, დარღვეული ნორმა ზოგადსახელმწიფოებრივ ინტერესს იცავს თუ კონკრეტული სუსტი მხარის ინდივიდუალურ ინტერესს. აღნიშნული რეგულაცია, ზღუდავს სასამართლოს შესაძლებლობას, დიფერენცირებულად მიუდგეს საჯარო წესრიგის სხვადასხვა ფუნქციას. ამიტომ განსაკუთრებით საინტერესოა, თუ როგორ ახდენს საფრანგეთის სამართალი საჯარო წესრიგის როგორც ინტერპრეტირებას, ისე მისი დაცვის უზრუნველყოფას და კერძო ინტერესებში ლეგიტიმურად ჩარევას.

11 თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე №2ბ/585-13.

12 საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე №ას-533-786-08.

3. ფრანგული დოქტრინის მიერ დიფერენციალი: *ordre public de direction* და *ordre public de protection*

საჯარო წესრიგის სამართლებრივი საფუძველი ფრანგულ სამართალში ნაპოლეონის კოდექსის მე-6 მუხლიდან მომდინარეობს. აღნიშნული დებულება ორ მნიშვნელოვან პრინციპს ეფუძნება: ერთი მხრივ, აღიარებულია ხელშეკრულების თავისუფლება, ხოლო მეორე მხრივ, დადგენილია, რომ გარკვეული ღირებულებები ინდივიდუალური ნების ფარგლებს სცდება და მათზე კერძო შეთანხმება გავლენას ვერ მოახდენს. სწორედ ამ მიდგომამ ჩამოაყალიბა ფრანგულ სამართალში საჯარო წესრიგი, როგორც კერძო ავტონომიის ბუნებრივი ზღვარი.¹³

ფრანგულ დოქტრინაში საჯარო წესრიგის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული განმარტების მიხედვით, იგი წარმოადგენს იმ სავალდებულო სამართლებრივი ნორმების, პრინციპებისა და ღირებულებების ერთობლიობას, რომელთა დაცვაც აუცილებელია სახელმწიფოს, საზოგადოებისა და ინდივიდის ფუნდამენტური ინტერესების უზრუნველსაყოფად.¹⁴ საჯარო წესრიგი ერთდროულად იცავს ადამიანის ღირსებას, თანასწორობას, თავისუფლებას, ჯანმრთელობას, სოციალურ სამართლიანობასა და სხვა ფუნდამენტურ ღირებულებებს.¹⁵

3.1. საჯარო წესრიგის კლასიფიკაცია ფრანგულ დოქტრინაში

ფრანგული დოქტრინის განსაკუთრებული თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ საჯარო წესრიგი არ განიხილება ერთიან და ერთგვაროვან კატეგორიად. მრავალწლიანი დოქტრინული და სასამართლო განვითარების შედეგად, ფრანგულ სამართალში ჩამოყალიბდა საჯარო წესრიგის რამდენიმე სახე, რომელთაგან თითოეული კონკრეტულ სამართლებრივ მიზანს ემსა-

ხურება. აღნიშნული კლასიფიკაცია დღეს ფართოდ გამოიყენება როგორც სამართლის თეორიაში, ისე სასამართლო პრაქტიკაში.¹⁶ მიზანშეწონილია ამ სახეობათა მოკლე მიმოხილვა, სანამ ნაშრომში გადავა ცენტრალურ, ფუნქციურ დიქტომიაზე.

პირველ რიგში, გამოიყოფა საკანონმდებლო საჯარო წესრიგი (*ordre public légal*), რომელიც მოიცავს კანონით დადგენილ იმპერატიულ ნორმებს. ამ კატეგორიის ფარგლებში მოქცეული ნესები სავალდებულოა ყველა პირისთვის და მათგან გადახვევა ხელშეკრულების საფუძველზეც კი დაუშვებელია. მაგალითად, მომხმარებელთა უფლებების დაცვა, შრომითი გარანტიები, საზოგადოებრივი უსაფრთხოების მოთხოვნები და სხვა მსგავსი სფეროები სწორედ საკანონმდებლო საჯარო წესრიგის ნაწილს წარმოადგენს.¹⁷

ფრანგული დოქტრინა ასევე გამოყოფს მორალურ საჯარო წესრიგს (*ordre public moral*), რომელიც ეფუძნება საზოგადოების ეთიკურ და მორალურ ღირებულებებს. ისტორიულად ეს კატეგორია განსაკუთრებით აქტიურად გამოიყენებოდა XIX და XX საუკუნეების განმავლობაში, როდესაც სასამართლოები ბათილად აცხადებდნენ იმ ხელშეკრულებებს, რომლებიც ეწინააღმდეგებოდა საზოგადოებაში დამკვიდრებულ მორალურ სტანდარტებს. მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე დემოკრატიულ საზოგადოებაში მორალური კატეგორიების გამოყენება შედარებით შეზღუდულია, მორალური საჯარო წესრიგი კვლავ ინარჩუნებს მნიშვნელობას ისეთ საკითხებში, რომლებიც ადამიანის ღირსებას, სხეულის კომერციალიზაციასა და ოჯახური ურთიერთობების საფუძვლებს უკავშირდება.

თანამედროვე ფრანგულ სამართალში განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა სოციალურმა საჯარო წესრიგმა (*ordre public social*). მისი ჩამოყალიბება დაკავშირებულია სოციალური სახელმწიფოს იდეის განვითარებასთან. სოცია-

13 Code civil, art. 6.

14 Lebreton A.-S., La distinction des nullités relative et absolue, Thèse de doctorat en droit privé, Université Panthéon-Assas, Paris, 2015.

15 Malaurie Ph., Aynès L., Stoffel-Munck Ph., Les obligations, LGDJ, 2015, pp. 401–408.

16 Chantepie G., Latina M., La réforme du droit des obligations, Dalloz, 2016, pp. 227–236.

17 Terré F., Simler Ph., Lequette Y., Droit civil. Les obligations, Dalloz, 2013, pp. 109–114.

ლური საჯარო წესრიგის მიზანია ეკონომიკურად ან სოციალური თვალსაზრისით სუსტი მხარეების დაცვა. სწორედ ამ კონცეფციის საფუძველზე განვითარდა შრომითი სამართალი, სოციალური დაცვის სისტემა და მომხმარებელთა უფლებების თანამედროვე სტანდარტები. სოციალური საჯარო წესრიგი ეწინააღმდეგება იმგვარ შეთანხმებებს, რომლებიც არსებითად არღვევს მხარეთა თანასწორობას ან ქმნის ექსპლუატაციის საფრთხეს.

XX საუკუნის მეორე ნახევრიდან განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა საერთაშორისო საჯარო წესრიგის (*ordre public international*) კონცეფციამ. აღნიშნული კატეგორია საერთაშორისო კერძო სამართლის სფეროში მოქმედებს და განსაზღვრავს იმ ფუნდამენტურ ღირებულებებს, რომელთა დარღვევის შემთხვევაში უცხოური სამართლის ნორმა ან უცხოური სასამართლოს გადაწყვეტილება საფრანგეთში არ იქნება აღიარებული. საერთაშორისო საჯარო წესრიგი ემსახურება ეროვნული სამართლებრივი იდენტობისა და ფუნდამენტური კონსტიტუციური პრინციპების დაცვას გლობალიზაციის პირობებში.¹⁸

3.2. საჯარო წესრიგი და ადამიანის ფუნდამენტური უფლებები

ფრანგული დოქტრინის თანამედროვე ეტაპზე საჯარო წესრიგის ცნება, სახელშეკრულებო სამართლის ნაწილში, სულ უფრო მეტად უკავშირდება ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებს. დღეს ფართოდ არის აღიარებული, რომ ადამიანის ღირსება წარმოადგენს საჯარო წესრიგის უმაღლეს გამოხატულებას.¹⁹ სწორედ ამ მიდგომამ განაპირობა ისეთი სამართლებრივი ინსტიტუტების ჩამოყალიბება, როგორიცაა ადამიანის სხეულის არაკომერციულობის პრინციპი, პირადი

დი სტატუსის ხელშეუხებლობა და ადამიანის გენეტიკური იდენტობის დაცვა. ადამიანის ღირსება აღიქმება იმ ღირებულებად, რომლის მიმართაც კერძო ავტონომია შეზღუდულია, მხარეთა თანხმობის არსებობის მიუხედავად.²⁰

საჯარო წესრიგისა და ადამიანის უფლებების კავშირი განსაკუთრებით თვალსაჩინოა ბიოეთიკის სფეროში. საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 16-1, 16-5, 16-7 და 16-9 მუხლები სწორედ ადამიანის ღირსების დაცვის იდეას ეფუძნება. ამ ნორმების მიხედვით, დაუშვებელია ადამიანის სხეულის ან მისი ელემენტების კომერციალიზაცია. ფრანგული სამართლისთვის აღნიშნული შეზღუდვები წარმოადგენს არა უბრალოდ მორალურ მოთხოვნას, არამედ საჯარო წესრიგის დაცვის აუცილებელ ინსტრუმენტს.²¹

თანამედროვე ფრანგი ავტორები ხაზს უსვამენ, რომ საჯარო წესრიგის ცნება მუდმივად ვითარდება და საზოგადოებრივ ღირებულებათა ცვლილებასთან ერთად ახალ შინაარსს იძენს.²² სწორედ ამიტომ იგი არ შეიძლება განიმარტოს მხოლოდ ისტორიული ან ფორმალური მიდგომით. საჯარო წესრიგი წარმოადგენს ცოცხალ სამართლებრივ ინსტიტუტს, რომელიც კონკრეტულ ეპოქაში საზოგადოებისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ღირებულებების დაცვას ემსახურება. ამ თვალსაზრისით იგი ერთდროულად არის როგორც სამართლებრივი სტაბილურობის, ისე სამართლის განვითარების ინსტრუმენტი.²³

ფრანგული დოქტრინის ანალიზი ცხადყოფს, რომ საჯარო წესრიგი არ წარმოადგენს მხოლოდ ხელშეკრულების თავისუფლების შეზღუდვის საფუძველს. იგი არის სამართლებრივი სისტემის ღირებულებითი ბირთვი, რომლის მეშვეობითაც ხდება საზოგადოებრივი ინტერესის, ადამიანის ფუნდამენტური უფლებებისა და სამართლებრივი წესრიგის ძირითადი პრინციპების დაცვა.²⁴

18 Boudot M., *Éléments pour une réflexion comparatiste sur la théorie des nullités contractuelles*, Poitiers, 2021, pp. 63–72.

19 Mekki M., *L'intérêt général et le contrat : contribution à une étude de la hiérarchie des intérêts en droit privé*, Thèse de doctorat en droit privé, LGDJ, Paris, 2004.

20 Cour de cassation, Assemblée plénière, 31 mai 1991, n° 90-20.105.

21 Code civil, arts. 16-1, 16-5, 16-7, 16-9.

22 Mekki M., *L'intérêt général et le contrat*, LGDJ, Paris, 2004.

23 Japiot R., *Des nullités en matière d'actes juridiques*, La Mémoire du droit, 1909, pp. 58–66.

24 Ripoché É., *La liberté et l'ordre public contractuels à l'épreuve des droits fondamentaux*, Thèse de doctorat en droit privé, LGDJ, Paris, 2020.

სწორედ ამ დოქტრინულმა განვითარებამ აქცია საფრანგეთი საჯარო წესრიგის თეორიის ჩამოყალიბებისა და განვითარების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ცენტრად ევროპულ კერძო სამართალში.²⁵

3.3. ფუნქციური დიქტომია: დირექციული და დამცავი საჯარო წესრიგი

დოქტრინალური და სასამართლო განვითარების შედეგად, ფრანგულ სახელშეკრულებო სამართალში საჯარო წესრიგის ცნება გაიმიჯნა ორი ძირითადი ფუნქციური მიმართულებით, რაც განსაზღვრავს მისი გამოყენების რეჟიმსა და სამართლებრივ შედეგებს: ესენია *ordre public de direction*-დირექციული საჯარო წესრიგი და *ordre public de protection*-დამცავი საჯარო წესრიგი.²⁶ მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ეს ფუნქციური დაყოფა არ ეწინააღმდეგება ზემოთ მოცემულ, ფართო კლასიფიკაციას, არამედ განსხვავებულ ქრილში წყვეტს ცენტრალურ პრაქტიკულ საკითხს — ვის ინტერესს იცავს კონკრეტული იმპერატიული ნორმა და, შესაბამისად, ვის შეუძლია მისი დარღვევის სამართლებრივ შედეგზე დაყრდნობა.

Ordre public de direction-ის მიზანია სახელმწიფოს ეკონომიკური, სოციალური თუ პოლიტიკური პოლიტიკის უზრუნველყოფა; იგი მიმართულია „საერთო ინტერესის“ (*intérêt général*) დაცვისკენ და ზღუდავს მხარეთა ნებას ისეთ სფეროებში, როგორიცაა კონკურენციის სამართალი, მონოპოლიების საწინააღმდეგო წესები ან საჯარო უსაფრთხოება. ამგვარად, აქ საჯარო წესრიგი მოქმედებს როგორც სახელმწიფოს სტრატეგიული ინსტრუმენტი.

საპირისპიროდ, *ordre public de protection*-ი ემსახურება სახელშეკრულებო ურთიერთობის „სუსტი“ მხარის (მაგ., მომხმარებელი, დასაქმებული) დაცვას „ძლიერი“ მხარის ექსპლუატაციისგან. მისი მიზანია არა სახელმწიფოს გლობალური პოლიტიკის რეალიზაცია, არამედ მხარეთა ფაქტობრივი უთანასწორობის

ბალანსირება.²⁷ ამდენად, თუ პირველი მათგანი სახელმწიფოს პოლიტიკურ-ეკონომიკურ მიზნებს ემსახურება, მეორე-კონკრეტული სუბიექტის სამართლებრივ უსაფრთხოებას.

ეს ფუნქციური დიფერენციაცია პირდაპირ აისახება ხელშეკრულების ბათილობის (*nullité*) პროცესუალურ რეჟიმზე, რაც განსაზღვრულია საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1178–1181-ე მუხლებით:

- *Ordre public de direction*-ის დარღვევა იწვევს აბსოლუტურ ბათილობას (*nullité absolue*). ვინაიდან საქმე ეხება საზოგადოებრივ ინტერესს, საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1180-ე მუხლის თანახმად, ბათილობის მოთხოვნის უფლება აქვს ნებისმიერ დაინტერესებულ პირს, ასევე პროკურორს. ამ შემთხვევაში დადასტურება (*confirmation*) დაუშვებელია, რადგან საზოგადოებრივი ინტერესი ვერ გახდება მხარეთა სუბიექტური ნების საგანი.

- *Ordre public de protection*-ი იწვევს რელატიურ ბათილობას (*nullité relative*). საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1181-ე მუხლის მიხედვით, საპროცესო ლეგიტიმაცია გააჩნია მხოლოდ იმ პირს, რომლის დასაცავადაც კანონმდებელმა ეს ნორმა დააწესა. ამ შემთხვევაში დაცულ მხარეს შეუძლია დაადასტუროს ხელშეკრულება და უარი თქვას ბათილობის მოთხოვნაზე, თუ ეს არღვევს მის პერსონალურ ინტერესს და არა საზოგადოებრივ წესრიგს.

4. პროკურორის როლი სახელშეკრულებო ბათილობის პროცესუალურ ნაწილში

კერძო სამართლის კლასიკური პარადიგმა ტრადიციულად ემყარება პრინციპს, რომლის მიხედვითაც ხელშეკრულება წარმოადგენს მხარეთა სუვერენულ, დახურულ სივრცეს, სადაც გარეშე პირების, მით უმეტეს სახელმწიფო ორგანოების ჩარევა, მაქსიმალურად შეზღუდულია. თუმცა ფრანგული სამოქალაქო სამართლის დოგმატური მოდელი ამ მკაცრ ბარიერს აუქმებს იმ შემთხვევაში, როდესაც კერძო ავტონომიის

25 Cumyn M., La validité du contrat suivant le droit strict ou l'équité : étude historique et comparée des nullités contractuelles, LGDJ, 2002, pp. 287–301.

26 Lebre A.-S., La distinction des nullités relative et absolue, Université Panthéon-Assas, Paris, 2015.

27 Lebre A.-S., La distinction des nullités relative et absolue, Université Panthéon-Assas, Paris, 2015, pp. 73–81.

ფარგლებში განხორციელებული ნების გამოვლენა სცილდება ინდივიდუალურ ინტერესებს და საფრთხეს უქმნის მთლიანად საზოგადოებრივ და სამართლებრივ წესრიგს.²⁸ სწორედ კერძო ავტონომიისა და საერთო კეთილდღეობის ამ გადაკვეთაზე იკვეთება საჯარო სამინისტროს (*ministère public*) და, კერძოდ, რესპუბლიკის პროკურორის (*Procureur de la République*) მნიშვნელოვანი როლი სამოქალაქო მართლმსაჯულების პროცესში.

ფრანგული დოქტრინის თანახმად, პროკურორის აქტიური საპროცესო ლეგიტიმაცია სახელმეკრულებო ბათილობის სფეროში პირდაპირ-პროპორციულ კავშირშია საჯარო წესრიგის ფუნქციურ დიფერენციაციასთან.²⁹ პროკურორი უფლებამოსილია აღძრას სარჩელი ხელშეკრულების ბათილად ცნობის მოთხოვნით მხოლოდ მაშინ, როდესაც დარღვეულია დირექციული საჯარო წესრიგი (*ordre public de direction*), რომელიც ემსახურება საერთო ინტერესების (*intérêt général*) დაცვას და იწვევს გარიგების აბსოლუტურ ბათილობას (*nullité absolue*). 2016 წლის ფუნდამენტური სახელმეკრულებო რეფორმის შედეგად, ეს მიდგომა იმპერატიულად იქნა კოდიფიცირებული საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1180-ე მუხლში, რომლის მიხედვითაც: „აბსოლუტური ბათილობის მოთხოვნა შეუძლია ნებისმიერ დაინტერესებულ პირს, ისევე როგორც საჯარო სამინისტროს“.³⁰

პროკურორის ეს როლი პროცესუალური თვალსაზრისით კიდევ უფრო მკაფიოდ არის განმტკიცებული საფრანგეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის³¹ 423-ე მუხლით,³² რომელიც საჯარო სამინისტროს ანიჭებს გენერალურ კომპეტენციას, იმოქმედოს საჯარო წესრიგის დასაცავად. ეს დებულება ცხადყოფს, რომ პროკურორის ჩარევა კერძოსამართლებრივ ურთიერთობაში არ წარმოადგენს სასამართლოს სუ-

ბიექტურ დისკრეციას, არამედ ეს არის სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება, განახორციელოს ღირებულებითი კონტროლი სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობაზე.

საინტერესო დოგმატური დაპირისპირება იკვეთება დამცავ საჯარო წესრიგთან (*ordre public de protection*). საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1181-ე მუხლის თანახმად, დამცავი საჯარო წესრიგის დარღვევა იწვევს რელატიურ ბათილობას (*nullité relative*),³³ ვინაიდან დარღვეული ნორმის ერთადერთ მიზანს კერძო პირის ინტერესის დაცვა წარმოადგენს. ამ სფეროში პროკურორს საერთოდ არ გააჩნია საპროცესო უფლებამოსილება (*défaut de qualité pour agir*), რადგან სახელმწიფო მიიჩნევს, რომ კერძო სუბიექტს (მაგალითად, ნების ნაკლის მქონე პირს ან მომხმარებელს) თავად შესწევს უნარი, გადან-ყვიტოს, სურს თუ არა ხელშეკრულების შენარჩუნება დადასტურების (*confirmation*) გზით.

პროკურორის დამოუკიდებელი საპროცესო ჩართულობის აუცილებლობა *ordre public de direction*-ის კონტექსტში ყველაზე ნათლად იკვეთება იმ შემთხვევებში, როდესაც ხელშეკრულების ორივე მხარე კმაყოფილია შეთანხმებით და არცერთ მათგანს არ გააჩნია სუბიექტური ინტერესი, მოითხოვოს ხელშეკრულების გაუქმება. მაგალითად, თუ სახეზეა ორგანოთა დონაციის კომერციალიზაცია ან ფასიანი სუროგაცია, მონაწილე მხარეები (დამკვეთი და შემსრულებელი) ნებაყოფლობით ასრულებენ პირობებს და არ აპროტესტებენ მათ. საჯარო სამინისტროს დამოუკიდებელი საპროცესო ლეგიტიმაციის გარეშე, სამართლებრივი სისტემა აღმოჩნდებოდა პარალიზებული და იძულებული გახდებოდა, ეცნო ისეთი გარიგების შედეგები, რომლებიც საფუძველს ურყევს საზოგადოებრივ მორალსა და ღირებულებებს.

28 Ripoché É., *La liberté et l'ordre public contractuels à l'épreuve des droits fondamentaux*, LGDJ, Paris, 2020.

29 Lebreton A.-S., *La distinction des nullités relative et absolue*, Université Panthéon-Assas, Paris, 2015.

30 Code civil, art. 1180 : la nullité absolue peut être demandée par toute personne justifiant d'un intérêt, ainsi que par le ministère public.

31 Code de procédure civile.

32 Code de procédure civile, art. 423 : « En dehors de ces cas, il peut agir pour la défense de l'ordre public à l'occasion des faits qui portent atteinte à celui-ci ».

33 Code civil, art. 1181, al. 1 : « La nullité relative ne peut être demandée que par la partie que la loi entend protéger ».

5. შედარებითი ანალიზი: ფრანგული ფუნქციური მოდელი და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლი

ფრანგული და ქართული მოდელების შეპირისპირება ცხადყოფს როგორც მათ საერთო წარმომავლობას, ისე მათ შორის არსებულ არსებით სტრუქტურულ განსხვავებას. ორივე სისტემა საჯარო წესრიგს კერძო ავტონომიის ზღვრად აღიარებს და მას გარიგების ბათილობის საფუძველად ასახელებს; ამ ნაწილში საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლი პირდაპირ ეხმიანება საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის მე-6 მუხლს. თუმცა ფრანგულმა სამოქალაქო კოდექსმა ამ ზოგადი დებულების საფუძველზე, სახელმშეკრულებო სამართალში, განავითარა ფუნქციური დიფერენციაცია, რომელიც ქართულ სამართალში არ არსებობს.

პირველი და ცენტრალური განსხვავება ბათილობის რეჟიმს შეეხება. საფრანგეთის სამართალი საჯარო წესრიგის დარღვევის სამართლებრივ შედეგს მისი ფუნქციის მიხედვით მიჯნავს: დირექციული საჯარო წესრიგის დარღვევა იწვევს აბსოლუტურ ბათილობას, ხოლო დამცავის - რელატიურს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლი კი ბათილობას უკავშირებს საჯარო წესრიგის ნებისმიერ დარღვევას, დაცული ინტერესის ბუნების მიუხედავად. შედეგად, ქართველი მოსამართლე მოკლებულია იმ დიფერენცირებულ ინსტრუმენტს, რომელიც ფრანგ მოსამართლეს საშუალებას აძლევს, ბათილობის რეჟიმი დაცული ინტერესის ბუნებას მიუსადაგოს.

ფრანგული მოდელი აჩვენებს, რომ საჯარო წესრიგი დამოუკიდებელი, სტრუქტურირებული სამართლებრივი კატეგორიაა და არა ზნეობის სინონიმი. მისი ფუნქციური დაშლა ქართველ მოსამართლეს დაეხმარებოდა, თავი დაეღწია იმ პრაქტიკისთვის, როდესაც „საჯარო წესრიგი და ზნეობა“ ერთ განუყოფელ ფორმულად მოიხსენიება და, სამაგიეროდ, დაესვა უფრო ზუსტი კითხვა: რომელ კონკრეტულ ღირებულებას ან ინტერესს იცავს ის ნორმა, რომლის დარღვევაც

განიხილება. სწორედ ეს გადააქცევდა საჯარო წესრიგის ცნებას პრაქტიკულად გამოსაყენებელ ინსტრუმენტად.

დასკვნა

წინამდებარე ნაშრომის ამოსავალი პრობლემა იყო საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლში მოცემული საჯარო წესრიგის ცნების ბუნდოვანება და მისი ხშირი გაიგივება ზნეობასთან. შედარებით-სამართლებრივმა ანალიზმა აჩვენა, რომ საჯარო წესრიგის შინაარსი და თავისებურებები თითოეული ქვეყნის კანონმდებლობისა და დოქტრინის მიხედვით ცვალებადია; შესაბამისად, საჯარო წესრიგის ცნება არ და ვერ იქნება უნივერსალური და ვერ მოხდება მისი შემადგენელი პრინციპების იმგვარად ჩამოყალიბება, რომ ყველა ქვეყნის სამართლებრივ არსს მიესადაგოს. საჯარო წესრიგი მოქმედებს როგორც „გენერალური კლაუზა“, რომლის მეშვეობითაც ხდება უმაღლესი კონსტიტუციური და საზოგადოებრივი ღირებულებების ინტეგრირება სამოქალაქო ბრუნვაში და კერძო ავტონომიის შეზღუდვა.

ანალიზმა ცხადყო, რომ საჯარო წესრიგი არ არის სტატიკური, აკრძალვითი ინსტრუმენტი, არამედ დინამიკური, ღირებულებითი ჩარჩო, რომელიც სოციალური და სამართლებრივი რეალობის კვალდაკვალ მუდმივად ვითარდება. ამასთან, საჯარო წესრიგის ცნების ფუნქციური დაყოფა დირექციულ (*ordre public de direction*) და დამცავ (*ordre public de protection*) წესრიგად არ არის მხოლოდ აკადემიური კლასიფიკაცია, არამედ პრაქტიკული გასაღებია იმისა, თუ როგორ უნდა დაბალანსდეს სახელმშეკრულებო ავტონომია და სახელმწიფოს ინტერესები. ეს დაყოფა პირდაპირ განსაზღვრავს ბათილობის რეჟიმსა (აბსოლუტური თუ რელატიური) და საპროცესო ლეგიტიმაციის ფარგლებს, მათ შორის სახელმწიფოს ჩართულობის საზღვრებს — რაც ქვეყანასა და კერძო პირს შორის ღირებულებითი კონტროლის განაწილების მკაფიო კრიტერიუმს ქმნის.

ფულის გათეთრების დანაშაულში განზრახვისა და გაუფრთხილებლობის დოგმატური ანალიზი ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით

ქრისტინე ცერცვაძე

I. შესავალი

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის (ფულის გათეთრების) დანაშაულში განზრახვისა და გაუფრთხილებლობის ფორმების შედარებით-სამართლებრივი ანალიზი, თავისებურებები და მათი საკანონმდებლო მოწესრიგება, დღემდე არ გამხდარა დამოუკიდებელი და კომპლექსური სამეცნიერო კვლევის საგანი.

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის (ფულის გათეთრების) დანაშაულებრივი ქმედება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის XXVI თვეშია სისტემატიზებული - „დანაშაული სამენარმეო ან სხვა ეკონომიკური საქმიანობის წინააღმდეგ“ მისი სამართლებრივი რეგულირება გათვალისწინებულია სსკ-ის 194-ე მუხლით. აღნიშნული ნორმა განსაზღვრავს უკანონო ან/და დაუსაბუთებელი ქონებისთვის კანონიერი სახის მიცემას.

სსკ-ის 194-ე მუხლი უკანონო ან/და დაუსაბუთებელი ქონებისთვის კანონიერი სახის მიცემისკენ მიმართულ ქმედებებს აერთიანებს, ქმედების შემადგენლობის ობიექტური მხარე ორი

ფორმით შეიძლება გამოიხატოს¹ - პირველი ჯგუფი მოიცავს სპეციალური მიზნით დაფუძნებულ რამდენიმე ალტერნატიულ ქმედებას კერძოდ, უკანონო შემოსავლის (ქონებით სარგებლობა, ქონების შეძენა, ფლობა, კონვერსია, გადაცემა ან სხვა მოქმედება) მისი უკანონო ან/და დაუსაბუთებელი წარმოშობის დაფარვის ან/და სხვა პირისთვის პასუხისმგებლობისათვის თავის არიდებაში დახმარების განცემის მიზნით, რა დროსაც მიზანი წარმოადგენს ქმედების და არა ბრალის ნიშანს.² არ აქვს მნიშვნელობა მოახერხა თუ არა პირმა ქონების ლეგალიზაცია, მისი მცდელობაც დამთავრებული დანაშაულია³ - თუ დადგენილია შესაბამისი მიზანი.⁴

მეორე ჯგუფი მოიცავს ქონების ნამდვილი ბუნების, წარმოშობის წყაროს, ადგილმდებარეობის, მოძრაობის, მასზე საკუთრების ან მასთან დაკავშირებული სხვა უფლებების დამალვას ან შენიღბვას, რომლისთვისაც კანონმდებელი სპეციალურ მიზანს აღარ ითვალისწინებს. ამ შემ-

1 მ. ლეკვეიშვილი, გ. მამულაშვილი, ნ. თოდუა, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, ნაწილი II, თბილისი, 2023, გვ. 141

2 იქვე, გვ. 141

3 მცდელობის საკითხზე იხ.: ზ. გოგშელიძე, სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისთვის, თბილისი, 2025, გვ. 238.

4 ფორმალურ დანაშაულში მცდელობის პრობლემაზე იხ.: იქვე, გვ. 274: „ფორმალურ შემადგენლობებში ქმე-

დების ჩადენისთანავე დანაშაული იურიდიულად დამთავრებულია, ხოლო სანამ ქმედება არ იქნება ჩადენილი, მანამდე მხოლოდ დანაშაულის მომზადებაზე შეიძლება საუბარი. მიუხედავად ამისა, დოქტრინაში აღიარებულია, რომ ზოგჯერ ფორმალური შემადგენლობის დანაშაულში შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს მცდელობას. ეს ეხება ისეთ ფორმალურ დანაშაულს, რომლის ობიექტური მხარე რამდენიმე აქტისგან შედგება”

თხვევაში დანაშაული დასრულებულია იმ მომენტიდან, როდესაც დამალვის ან შენიღბვის შედეგად რეალურად იქმნება ისეთი მდგომარეობა, რომელიც ართულებს ქონების იდენტიფიცირებას ან მისი უკანონო წარმომავლობის გამოვლენას.⁵

რაც შეეხება გერმანულ სისხლის სამართალს - ფულის გათეთრება სისტემატიზებულია გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის (StGB) XXI თავში - „დანაშაულის წინასწარ შეუპირებული დაფარვა და წინასწარი შეცნობით დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ნივთის შესყიდვა“⁶ და რეგულირდება §261-ით. აღნიშნული ნორმის პირველი აბზაცი (Abs. 1) მოიცავს დანაშაულიდან მომდინარე საგნის:

1) დამალვას

2) მისი აღმოჩენის, კონფისკაციის ან წარმომავლობის დადგენის თავიდან აცილების მიზნით გაცვლას, გადაცემას ან გადატანას

3) საკუთარი თავისთვის ან მესამე პირისთვის მოპოვებას

4) შენახვას ან საკუთარი თავისთვის ან მესამე პირისთვის გამოყენებას. მეორე აბზაცი (Abs. 2) კი ითვალისწინებს ისეთი ფაქტების დამალვას ან შენიღბვას, რომლებიც შესაძლოა მნიშვნელოვანი იყოს დანაშაულიდან მომდინარე საგნის აღმოჩენის, კონფისკაციის ან მისი წარმომავლობის დადგენისთვის.

მუხლის სხვა ნაწილები განხილული იქნება სტატიაში.

ფულის გათეთრება, როგორც მიუთუთებენ გერმანულ სამეცნიერო ლიტერატურაში, მართლმსაჯულების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულია, რაც ერთ-ერთი მიზეზია იმ თავისებურებებისა, რომლითაც § 261 ხასიათდება.

გარკვეული ალტერნატიული ქმედებების მიმართ გერმანელი კანონმდებელი ითვალისწინებს როგორც განზრახ, ისე გაუფრთხილებლობით პასუხისმგებლობას, რაც ქართული სისხლის სამართლისთვის უცხო სამართლებრივ

გადანწყვეტას წარმოადგენს. წინამდებარე სტატიაში სწორედ ამ განსხვავებაზე იქნება საუბარი.

II. §261 StGB-ის დოგმატური მოდელი: განზრახვა, უხეში გაუფრთხილებლობა და მისი განსხვავებული საკანონმდებლო ლოგიკა ქართულ სამართალთან მიმართებით

გერმანული საკანონმდებლო მოწესრიგების მიხედვით, ფულის გათეთრების დანაშაულის განზრახი ჩადენისთვის საკმარისია ევენტუალური განზრახვის (dolus eventualis) არსებობა. ამასთან, წინარე დანაშაულთან დაკავშირებული წარმოდგენების კონკრეტიზაციის ხარისხი არ მოითხოვს დეტალურ ცოდნას ან მისი ყველა გარემოების ზუსტ დადგენას. საკმარისია, რომ ამსრულებელი ზოგად დონეზე ითვალისწინებდეს ქონების შესაძლო დანაშაულებრივ წარმომავლობას და შეგნებულად ეგუებოდეს აღნიშნულ შესაძლებლობას.

აქცენტი ამ შემთხვევაში კეთდება ქონების შესაძლო დანაშაულებრივ წარმომავლობაზე, შესაბამისად, არაპირდაპირი განზრახვა ვრცელდება სწორედ საგნის წარმომავლობის ცოდნის ელემენტზე. აღნიშნული სპეციფიკა იმით აიხსნება, რომ პირი ქმედებას, როგორც წესი, განზრახ ახორციელებს, ხოლო ქონების დანაშაულებრივი წარმომავლობის შესახებ მისი ცოდნა შეიძლება მხოლოდ ვარაუდის ან შესაძლებლობის გაცნობიერების დონეზე არსებობდეს. ქმედება და მასთან დაკავშირებული ობიექტი ერთმანეთისგან განუყოფელია და ერთი მეორის გარეშე წარმოუდგენელია, ხოლო ვინაიდან §261 StGB-ით გათვალისწინებული ქმედებები თავისი ბუნებით მიზანმიმართულ მოქმედებებს წარმოადგენს, კანონმდებელმა არ დაუკავშირა მათი განხორციელების შესაძლებლობა ევენტუალურ განზრახვას, მან მიმართა სპეციფიკურ საკანონმდებლო ტექნიკას, შესაბამისად, ევენტუალური განზრახვა შემოიფარგლება არა უშუალოდ ქმედების განხორციელებით,

5 იქვე, გვ. 119.

6 გერმანულიდან თარგმნა: მამულაშვილი გ., წიგნში: ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფარდების

პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში, თბილისი, 2012, გვ.756.

არამედ დანაშაულებრივი წარმომავლობის ცოდნის ელემენტით.⁷

ამასთანავე, აღნიშნული მუხლის მეექვსე აბზაცი სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს იმ შემთხვევაშიც, როდესაც პირი უხეში გაუფრთხილებლობით ვერ აცნობიერებს, რომ საქმე დანაშაულიდან მომდინარე საგანს ეხება.⁸ შესაბამისად, უხეში გაუფრთხილებლობის დათქმა ვრცელდება მხოლოდ ინკრიმინირებული საგნის წარმომავლობაზე და არა უშუალოდ დანაშაულებრივ ქმედებაზე.⁹

261-ე პარაგრაფის სტრუქტურა ერთიანდება ქცევის ოთხ მოდელში - დამალვა, ხელშეშლა, იზოლირება და მოდიფიცირებული შენიღვა (ფაქტების შენიღვა).¹⁰

ფულის გათეთრებასთან მიმართებით, კანონმდებელმა დიფერენცირებული საკანონმდებლო მოდელი შეიმუშავა. კერძოდ, §261-ის პირველი და მეორე აბზაციებით გათვალისწინებული ყველა ალტერნატიული ქმედების განხორციელებისთვის აუცილებელია პირი განზრახ მოქმედებდეს. თუმცა, StGB-ის პირველი აბზაციის მეორე ნაწილი ანესრიგებს ისეთ ქმედებებს, როგორცაა დანაშაულებრივი გზით მოპოვებული საგნის გაცვლა, გადაცემა, გადატანა, პირდაპირი განზრახვით (შესაბამისად, მასზე არაპირდაპირი განზრახვა და უხეში გაუფრთხილებლობა არ ვრცელდება) საგნის აღმოჩენის, ჩამორთმევის ან მისი წარმოშობის

დადგენისთვის ხელის შეშლის მიზნით. ეს კომპონენტი წარმოადგენს ფულის გათეთრების ბირთვის და მისი მიზანია დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონებისთვის კანონიერი სახის მიცემა.

ასევე, პირდაპირ განზრახვას მოითხოვს 261-ე პარაგრაფის პირველი ნაწილი, რომელიც ფულისხმობს დანაშაულიდან მომდინარე საგნის დამალვას. დამალვა ეს არის ნებისმიერი მიზანმიმართული ქმედება, რომელიც ართულებს მასზე წვდომას, საგნის უჩვეულო ადგილას განთავსებით, ან მისი შემნილბავი მოქმედებით. ამასთან, სს-ივი დევნის პერსპექტივიდან, არ არის სავალდებულო, რომ აღნიშნულმა ქმედებამ შედეგი გამოიღოს. დამალვის ობიექტური მხარის ეს ალტერნატივა, მიზნად ისახავს დანაშაულის მანიპულაციური ტენდენციის წარმოჩენას (დამარხვა, ნივთის უჩვეულო ადგილას განთავსება, ფულის გადარიცხვა). ეს არის მოქმედებები, რომლებიც აძნელებენ დანაშაულის საგნის აღმოჩენას, კონფისკაციას, წარმომავლობის დადგენას, რითაც მათ უნარჩუნდებათ ეკონომიკური ღირებულება, ჯერ კიდევ ბრუნვაუნარიანები არიან.

და ბოლოს, პირდაპირ განზრახვას მოითხოვს 261-ე პარაგრაფის მეოთხე აბზაცი, რომელიც ანესრიგებს, ე.წ. მოდიფიცირებული შენიღვის შემთხვევას, მაგალითად, თუ პირი დანაშაულებრივი გზით მოპოვებულ თანხას ოფშორულ

7 Bedingter Vorsatz) (SK-StGB/Hoyer § 261 Rn. 40; TK-StGB/Hecker § 261, Rn. 31.

8 BGH, Urt. v. 13.11.2019 – 5 StR 409/19 (LG Berlin)., Heger, in: Lackner/Kühl/Heger, Strafgesetzbuch: StGB Kommentar, 31. Auflage 2025, § 261 Rn. 9.

9 BeckOK StGB/Ruhmannseder § 261 Rn. 54.

¹⁰ გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის პირველი აბზაციის პირველი და მეორე ნაწილი, (Strafgesetzbuch – StGB) § 261 არეგულირებს ფულის გათეთრების დანაშაულს (Money laundering). აღნიშნული ნორმის პირველი ნაწილი (§ 261 Abs. 1 StGB) განსაზღვრავს დანაშაულის ძირითად შემადგენლობას და მიუთითებს, რომ პასუხისმგებლობას იწვევს ისეთი ქმედებები, რომლებიც ხორციელდება უკანონო ქმედებიდან წარმოშობილი ობიექტის (Gegenstand aus einer rechtswidrigen Tat) მიმართ. კერძოდ, ნორმა ჩამოთვლის ალტერნატიულ ქმედებებს: 1) ობიექტის დამალვა (verbergen) და 2) მისი გაცვლა, გადაცემა ან მიღება იმ განზრახვით, რომ

თავიდან იქნას აცილებული მისი აღმოჩენა, კონფისკაცია ან მისი წარმოშობის გამოძიება აღნიშნული ქმედებები ქმნის ფულის გათეთრების ობიექტურ მხარეს, ხოლო მიზანმიმართული ხასიათი (Absicht) წარმოადგენს სუბიექტური მხარის აუცილებელ ელემენტს.,

იხ. ასევე Ellenberger, J./Bunte, H.-J. (რედ.), Bankrechts-Handbuch, 6. Auflage, München: C.H. Beck, 2022, Randnummern 57–58 (§ 261 StGB, „Geschütztes Rechtsgut“) Bankrechts-Handbuch (Ellenberger/Bunte), § 261 StGB-ის ფარგლებში დაცულ სამართლებრივ სიკეთედ მიიჩნევა როგორც მართლმსაჯულების ინტერესები - კერძოდ, სახელმწიფოს შესაძლებლობა გამოავლინოს, გამოიძიოს და კონფისკაციას დაუქვემდებაროს უკანონო ქმედებიდან მიღებული ქონება - ისე სამართლებრივი ბრუნვის სანდოობა და ეკონომიკური სისტემის სისუფთავე. ნორმის მიზანია აღკვეთოს უკანონო ქონების ინტეგრაცია ლეგალურ ეკონომიკურ ურთიერთობებში და უზრუნველყოს ფინანსური სისტემის გამჭვირვალობა.

იურისდიქციაში გადაიტანს და აღნიშნული მოქმედების შედეგად საგამოძიებო ორგანოებს რეალურად გაურთულდება თანხის წარმომავლობის დადგენა, სახეზეა ისეთი ქმედება, რომელიც კონკრეტულ საფრთხეს უქმნის სამართლებრივი სიკეთის დაცვას. ამისგან განსხვავებით, მოდიფიცირებული შენიღბვის შემადგენლობა (§261 Abs. 2 StGB) უკავშირდება უფრო ადრეულ საფრთხის ეტაპს და ატარებს აბსტრაქტული საფრთხის ხასიათს - იგი მიმართულია იმგვარი ინფორმაციული ბარიერის შექმნის წინააღმდეგ, რომელმაც შესაძლოა მომავალში ხელი შეუშალოს გამოძიებას.

ამგვარი ქმედებები მოიცავს, მაგალითად, მნიშვნელოვანი ფაქტების დამალვას ან შენიღბვას, მონაცემების გაყალბებას, ინფორმაციის დამახინჯებასა და ისეთი გარემოებების შექმნას, რომლებიც ართულებს დანაშაულებრივი წარმოშობის ქონების გამოვლენასა და მისი წარმომავლობის დადგენას. განსხვავებით ქართული მიდგომისგან, გერმანული სისხლის სამართალი ინფორმაციული შენიღბვის (*Verheimlichen oder Verschleiern*) ფარგლებში მოიაზრებს არა მხოლოდ ქონებრივი საგნის იურიდიული მდგომარეობის, არამედ მისი ფიზიკური მდგომარეობისა და მასთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებების შესახებ ინფორმაციის დამალვასაც. აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ გერმანული სამართლის მიხედვით ფულის გათეთრების ნორმით დაცულ სამართლებრივ სიკეთედ მნიშვნელოვანწილად განიხილება მართლმსაჯულების განხორციელების ინტერესი.

ამ კონტექსტში გერმანულ სისხლის სამართალში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ე.წ. „ქაღალდის კვალის“ (*paper trail*) კონცეფციას, რომლის მიხედვითაც დანაშაულის გამოვლენისა და გამოძიების პროცესში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს დანაშაულის საგნის მოძრაობასთან დაკავშირებული დოკუმენტური და ინფორმაციული კვალის შენარჩუნებას. სწორედ აღნიშნული კვალის გამოვლენასა და ანალიზს

ეფუძნება გერმანული სამართლის მიდგომა ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლაში.

ეს ხსნის იმ თავისებურებასაც, რომ გაუფრთხილებლობით დასჯადობას ჯერ კიდევ ითვალისწინებს 261-ე პარაგრაფი, ვინაიდან ნებისმიერი ობიექტი, რომელიც შემხებლობაშია დანაშაულთან, წარმოადგენს დანაშაულის საგანს, განსხვავებით საქართველოსგან, რომელიც დანაშაულის საგნად აღიარებს მხოლოდ უკანონო ან/და დაუსაბუთებელ ქონებას, ვინაიდან სწორედ ასეთი ქონების აღმოჩენაა მნიშვნელოვანი ქვეყნის ეკონომიკური და სამეწარმეო უსაფრთხოებისთვის.

გერმანული მონესრიგებით, ფულის გათეთრების საგანს წარმოადგენს სამოქალაქო ბრუნვიდან ამოღებული საგნებიც, მაგალითად ნარკოტიკი¹¹ სახელმწიფოსთვის მთავარი მიზანია - წინარე დანაშაულის შედეგის აღმოფხვრა, დანაშაულის მომგებიანობის აღკვეთა და დანაშაულებრივი ქონების სიცოცხლისუნარიანობის მოსპობა. სწორედ ამიტომ იწყება 261-ე პარაგრაფი სიტყვებით: „ვინც საგანს, რომელიც მომდინარეობს დანაშაულიდან“... აქ არაა ნახსენები ქონება, თუმცა მას აქვს ქონებრივი ღირებულება.

საგნის მოპოვებისა და შენახვა/გამოყენების შემადგენლობებთან მიმართებით (§261 (1-ელი აბზაცის მე-3 და მე-4 ნაწილები)¹² რაიმე სპეციალური მოთხოვნა განზრახვის ფორმასთან დაკავშირებით არ მოქმედებს. ეს ქმედებები არ არის მიზნით დეტერმინირებული. დანაშაულიდან მომდინარე საგნის მართლსაწინააღმდეგო წარმომავლობის შეცნობისთვის, როგორც წესი, საკმარისია ევენტუალური განზრახვა (*dolus eventualis*). შესაბამისად, პირს უნდა ჰქონდეს გაცნობიერებული იმის შესაძლებლობა, რომ მიღებული, შენახული ან გამოყენებული საგანი წინარე დანაშაულიდან მომდინარეობს და აღნიშნულ გარემოებას შეგნებულად უნდა შეეგუოს. ამ შემადგენლობას კანონმდებელი აღწერს, როგორც „იზოლირების“ შემადგენლობას.

11 Deutscher Bundestag, Drucksache 19/24180, Entwurf eines Gesetzes zur Verbesserung der strafrechtlichen Bekämpfung der Geldwäsche, Gesetzentwurf der

Bundesregierung, 19. Wahlperiode, 09. November 2020, Berlin.

12 Strafgesetzbuch (StGB), §261, Abs.1 (3) (4).

იზოლირების შემადგენლობა ეფუძნება იდეას, რომლის თანახმადაც ძირითადი დანაშაულის ჩამდენი პირი იზოლირებული უნდა იქნეს სოციალური გარემოსგან, ხოლო ინკრიმინირებული საგანი, პრაქტიკულად, სამოქალაქო ბრუნვის მიღმა უნდა დარჩეს. ეს მიიღწევა საამისოდ შემუშავებული სს-ივი შემადგენლობის მეშვეობით, რომელიც კრძალავს ინკრიმინირებული საგნების მოპოვებას, შენახვას ან გამოყენებას. როგორც ევენტუალური განზრახვით, ისე უხეში გაუფრთხილებლობით. აღნიშნული შემადგენლობა „ამომცხები შემადგენლობის“ ფუნქციას ასრულებს იმ შემთხვევაში თუ სახეზე არ არის დამალვა ან შენიღბვა ან ვერ დგინდება შესაბამისი სპეციალური მიზანი. აღნიშნული შემადგენლობის ამოცანაა სხვა დანარჩენი შემადგენლობის მიღმა, რომელიც ხასიათდება მიზნით ან თავად ქმედებაა მიზანმიმართული, მოიცვას არალეგალურ და რეგალურ ეკონომიკურ ბრუნვას შორის არსებული მიჯნა. ე.ი ატარებს პოლიტიკურ მიზანს.

ამოსავალი არის ის, რომ 261-ე პარაგრაფით დაცულ სამართლებრივ სიკეთეს წარმოადგენს, როგორც ძირითადი დანაშაულით ხელყოფილი ობიექტი, ისე მართლმსაჯულების ინტერესები.

III. ევენტუალური განზრახვის დოგმატური კონცეფცია გერმანულ სისხლის სამართალში და მისი მნიშვნელობა ფულის გათეთრების დანაშაულისთვის

ევენტუალური განზრახვის (*dolus eventualis*) ცალკე საკანონმდებლო დეფინიცია გერმანიის სისხლის სამართლის კანონმდებლობაში არ არის მოცემული. აღნიშნული ცნება გერმანულ

სისხლისსამართლებრივ დოქტრინაშია ჩამოყალიბებული და განიხილება როგორც განზრახვის ისეთი ფორმა, რომლის დროსაც პირი, ერთი მხრივ, ინტელექტუალური ელემენტის თვალსაზრისით ითვალისწინებს მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას, ხოლო, მეორე მხრივ, ნებელობითი ელემენტის მიხედვით, შეგნებულად ეგუება აღნიშნული შედეგის დადგომას.¹³

გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის (StGB) §15 აწესრიგებს განზრახი და გაუფრთხილებლობითი ქმედების დასჯადობის ზოგად წესს. აღნიშნული ნორმა წარმოადგენს გერმანული სისხლის სამართლის დოგმატიკის ერთ-ერთ ფუნდამენტურ დებულებას, რომლის თანახმადაც, თუ კანონი პირდაპირ არ ითვალისწინებს გაუფრთხილებლობით დასჯადობას, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს მხოლოდ განზრახ ჩადენილი ქმედებისთვის. ამასთან, §15 StGB არ შეიცავს არც პირდაპირი განზრახვის (*dolus directus*) და არც ევენტუალური განზრახვის (*dolus eventualis/bedingter Vorsatz*) საკანონმდებლო დეფინიციას.¹⁴

გერმანული სისხლისსამართლებრივი დოქტრინის მიხედვით, თუ ცოდნისა და ნებელობის ელემენტები არ არის გამოხატული მაღალი ინტენსივობით, თუმცა ამსრულებელი შესაძლებლად მიიჩნევა დანაშაულის შემადგენლობის განხორციელებას¹⁵ და შეგნებულად ეგუება მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომას, სახეზეა ევენტუალური განზრახვა (*dolus eventualis*). განზრახვის არსებობის დასადგე-

13 Eisele/Heinrich., *Strafrecht Allgemeiner Teil.*, Fur Studienanfänger., 2., Überarbeitete Auflage., Tubingen, den 1. Oktober 2020.

¹⁴გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსი (StGB), პარაგრაფი 15 (განზრახი და გაუფრთხილებლობითი ქმედება): „დასჯადია მხოლოდ განზრახი ქმედება, თუ კანონი გაუფრთხილებლობით ქმედებას პირდაპირ არ აცხადებს დასჯადად“.

15 BGH, Urteil vom 14.01.2016 - 4 StR 84/15, BeckRS 2016, 02169. აღნიშნულ გადაწყვეტილებაში ზუსტად წერია: **dass er sich wenigstens mit der Tatbestandsverwirklichung abfindet.** რაც გულისხმობს დანაშაულის შემადგენლობის განხორციელებას.

ევენტუალური განზრახვა (*bedingter Vorsatz*) და გაცნობიერებული გაუფრთხილებლობა (*bewusste Fahrlässigkeit*) ერთმანეთისგან იმით განსხვავდება, რომ გაცნობიერებული გაუფრთხილებლობით მოქმედი პირი შესაძლო შედეგს აცნობიერებს, მაგრამ ამ შედეგის დადგომას არ ეთანხმება და ამიტომ იმედოვნებს, რომ იგი არ განხორციელდება. ხოლო ევენტუალური განზრახვით მოქმედი პირი ზიანის მომტანი შედეგის დადგომას იმგვარად ეთანხმება, რომ მას შეგნებულად უშვებს, ითვალისწინებს და თავისთვის მისაღებად მიიჩნევს (*billigend in Kauf nimmt*) ან სულ მცირე, ეგუება დანაშაულებრივი შემადგენლობის განხორციელებას.

ნად, როგორც წესი, აღნიშნული ფორმაც საკმარისია, ვინაიდან, როდესაც მუხლი ქმედების განზრახ ჩადენას ითვალისწინებს, პრინციპულად შესაძლებელია მისი განხორციელება ევენტუალური განზრახვის ფორმითაც. გამონაკლისის წარმოადგენს მხოლოდ ის შემთხვევები, როდესაც შესაბამისი დანაშაულის შემადგენლობა განზრახვის უფრო მაღალი ხარისხის არსებობას მოითხოვს, კერძოდ, როდესაც კანონმდებელი სპეციალურ მიზანს (*Absicht*) ადგენს.¹⁶

გერმანულ სისხლის სამართლის კოდექსის, §15-ის მიხედვით, დასჯადია მხოლოდ განზრახი ქმედება, თუ კანონი პირდაპირ არ ითვალისწინებს სასჯელს გაუფრთხილებლობითი ქმედებისთვის. მუხლი არ შეიცავს განზრახვისა და გაუფრთხილებლობის განმარტებას.¹⁷ კანონმდებელმა მიიჩნია, რომ განმარტება ზედმეტად შეზღუდავდა მუხლის გამოყენებას. შესაბამისად ამგვარი მოწესრიგება საქართველოსთან შედარებით, უფრო ფართო შესაძლებლობას იძლევა.

არაპირდაპირი განზრახვა, როგორც წესი, გათანაბრებულია პირდაპირ განზრახვასთან,¹⁸ - აქ იგულისხმება ის, რომ ყველა განზრახი დანაშაულის ჩადენა შესაძლებელია როგორც პირდაპირ, ისე არაპირდაპირი განზრახვით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კანონი მოითხოვს „აშკარა ცოდნას“, სპეციალურ მიზანს ან პირდაპირ განზრახვას. ის ფაქტი, რომ შემადგენლობა არ მოითხოვს განზრახვის კვალიფიციურ ფორმას, არ აბრკოლებს სუბიექტური შემადგენლობის შეზღუდვას განმარტების გზით. ასე მაგალითად, §261-ის პირველი წინადადების პირველი ნაწილის მიხედვით, დამალვის შემადგენლობასთან არ გვხვდება მიზანი, თუმცა, ის წარმო-

ადგენს მიზანმიმართულ, მანიპულაციურ ქცევას, რომელიც მიემართება მართლმსაჯულების განხორციელებისთვის ხელის შეშლას.

ქართული სისხლის სამართალი, გერმანულისგან გასწვავებით, იცნობს პირდაპირი და არაპირდაპირი განზრახვის საკანონმდებლო მოწესრიგებას. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში პირდაპირი განზრახვის დეფინიცია ისევე როგორც არაპირდაპირი განზრახვისა ისეა ჩამოყალიბებული, რომ იგი შედეგიან ე.ი დასრულებულ შემადგენლობაზეა გათვლილი, თუმცა შეიძლება გავრცელდეს, რა თქმა უნდა, შედეგგარეშე ფორმალურ დანაშაულებზეც (როგორც არის სსკ-ის 194-ე მუხლი) - დანაშაულებრივი შედეგიც მხოლოდ ფორმალური გაგებით უნდა იქნეს გაგებული.¹⁹

გერმანულ დოქტრინაში არაპირდაპირი განზრახვის შინაარსობრივ განსაზღვრას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან დანაშაულებრივი შემადგენლობების უმეტესობის განხორციელება მხოლოდ განზრახვით არის შესაძლებელი, რისთვისაც არაპირდაპირი განზრახვა საკმარისია, ხოლო გაუფრთხილებლობა წარმოადგენს გამონაკლისს.²⁰

2021 წლის რეფორმით, გერმანიამ გააუქმა პრედიკატულ დანაშაულთა კატალოგი და გადავიდა ყველა დანაშაულის მიდგომაზე, რაც გულისხმობს იმას, რომ ფულის გათეთრებისთვის ვარგის პრედიკატულ დანაშაულს წარმოადგენს სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილით გათვალისწინებული ნებისმიერი, მათ შორის გაუფრთხილებელი დანაშაული, ამასთანავე, წინარე დანაშაულთან დაკავშირებით სავსებით საკმარისია მხოლოდ იმ ფაქტებთან შეგუება (დაშვება), რომ საგანი დანაშაულებრივი წყაროდან მომდინარეობს, თუნდაც თვითონ დანაშაული და შესაბამისი დელიქტი უშუალოდ ფულის

16 Eisele/Heinrich., *Strafrecht Allgemeiner Teil., Fur Studienanfänger., 2., Überarbeitete Auflage., 2020., გვ. 69-81.*

17 გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსი (StGB., პარაგრაფი 15).

18 Eisele/Heinrich., *Strafrecht Allgemeiner Teil., Fur Studienanfänger., 2., Überarbeitete Auflage., Tübingen, den 1. Oktober 2020.*

¹⁹ იხ. თ. ცქიტიშვილი, გ. ტყემელიაძე, ნიგნში, ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემქმნელი დელიქტები, გვ. 44 მიუთითებს, გ. ტყემელიაძე, რომ საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევას გულისხმობს დანაშაულებრივ შედეგს მხოლოდ ფორმალური (არამატერიალური) გაგებით.

20 *Tübinger Kommentar Strafgesetzbuch., 31. Auflage 2025 Rn. 72., StGB § 15 Vorsätzliches und fahrlässiges Handeln.*

გამთვრებლისთვის უცნობი/დაფარული დარჩეს. გერმანიის უზენაესი სასამართლოს პოზიციით, დამნაშავის სუბიექტური წარმოდგენა წინარე დანაშაულის კონკრეტულ გარემოებებზე არც ინტელექტუალური და არც ნებელობითი ელემენტისთვის არ არის სავალდებულო, შესაბამის პირს არ მოეთხოვება წინარე დანაშაულის ცოდნა, არც ჩადენის დროისა და ადგილის, არც დანაშაულის საერთო ფონისა და არც მასში მონაწილე პირების მიმართ - საკმარისია, თუ პირი სულ მცირე შესაძლებლად მიიჩნევს შესაბამისი საგნების უკანონო წარმომავლობას და ეთანხმება (ეგუება მას).²¹ ამ თვალსაზრისით, წინარე დანაშაულთან დაკავშირებული შეცდომები ხელშემშლელ გარემოებას არ წარმოადგენს, მათ შორის ისეთი შეცდომაც, თუ პირს ეგონა, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევიდან მომდინარე ქონებასთან ჰქონდა შეხება, სინამდვილეში კი, ის დანაშაულებრივი წარმომავლობის იყო.²²

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია ფორმალური, შედეგგარეშე დანაშაულია, სადაც მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომას არ აქვს მნიშვნელობა ქმედების კვალიფიკაციისთვის.

ქართული საკანონმდებლო მონესრიგებით შეუძლებელია არაპირდაპირი განზრახვით 194-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების განხორციელება. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში მოცემულია არაპირდაპირი განზრახვის საკანონმდებლო დეფინიცია კერძოდ, ქმედება არაპირდაპირი განზრახვითაა ჩადენილი თუ პირს ჰქონდა გაცნობიერებული თავისი ქმედების მართლსაწინააღმდეგობა, ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას, არ სურდა ეს შედეგი, თუმცა შეგნებულად უშვებდა ან გულგრილად ეკიდებოდა მის დადგომას.

ჯერ ერთი, კანონმდებელი არ გამოყოფს ქმედებისგან დამოუკიდებლად დანაშაულის საგნისადმი პირის დამოკიდებულებას, არამედ არაპირდაპირი განზრახვის შეფასებას ქმედება-

სა და მის შესაძლო მართლსაწინააღმდეგო შედეგს შორის არსებულ ფსიქიკურ დამოკიდებულებას უკავშირებს.

ისმის კითხვა: მაშინ, ქმედებათა იმ ჯგუფის მიმართ, რომელიც მოიაზრებს დამალვისა და შენიღბვის შემადგენლობებს და არ ხასიათდება სპეციალური მიზნით, შეიძლება თუ არა პირს გააჩნდეს არაპირდაპირი განზრახვა? რა თქმა უნდა, ამაზე უარყოფითი პასუხი უნდა გავცეთ, რადგან დამალვა და შენიღბვა პირველ რიგში ცოდნის ელემენტით ხასიათდება, რადგან მუხლში წერია - „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, ე.ი. უკანონო ან/და დაუსაბუთებელი ქონებისთვის კანონიერი სახის მიცემა“. ამასთანავე, არაპირდაპირი განზრახვა შედეგის მიმართ დამოკიდებულებას აღწერს, ხოლო მხოლოდ ქმედების მიმართ შეუძლებელია პირს გააჩნდეს არაპირდაპირი განზრახვა, (განსხვავებით პირდაპირი განზრახვისგან) რადგან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-9 მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, ქმედება მაშინაა არაპირდაპირი განზრახვით ჩადენილი, როცა პირს გაცნობიერებული აქვს მისი მართლსაწინააღმდეგო ხასიათი, მაგრამ შედეგის დადგომას ეკიდება გულგრილად. ამდენად, განსხვავებით გერმანიისგან, საქართველო საგნის მიმართ არაპირდაპირ განზრახვით დამოკიდებულებას ვერ მოაწესრიგებდა, რადგან კანონიერი სახის მიცემა, რომელიც მუხლშივეა ჩანერილი, შეუძლებელია ზუსტი ცოდნის გარეშე განხორციელდეს. ამის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ორსული ქალის მკვლელობა, როდესაც პირმა ზუსტად არ იცის, რომ ქალს, რომელსაც კლავს ორსულია, ორსულობა ამ შემთხვევაში წარმოადგენს ობიექტურ ნიშანს, მაშინ, როდესაც ობიექტური ნიშნების მიმართ კანონმდებელი აუცილებლად ითხოვს ცოდნის ელემენტს - ყველა ეჭვი ბრალდებულის სასარგებლოდ უნდა გადანდეს, ამიტომ, გაბატონებული მოსაზრებით, ამ შემთხვევაში პირს ეს დამამძიმებელი გარემოება არ შეერაცხება. ჩვენს განსახილველ

21 BGH NStZ-RR 2024, 378 (380); BGH NZWiSt 2021. BGH NZWiSt 2021.

22 Herzog/Barreto da Rosa/El-Ghazi, Geldwäscherecht, 6. Aufl., 2026, Rn. 162–163a.

შემთხვევაშიც, დამნაშავე ამ შემთხვევაში უშვებს ფაქტობრივ შეცდომას იმ გარემოებათა მიმართ, რაც ქმედებას აქცევს 194-ე მუხლად.

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის შემთხვევაში შეუძლებელია ვამტკიცოთ, რომ პირს გაცნობიერებული ჰქონდა ქმედების მართლწინააღმდეგობა, თუმცა არ სურდა თავად ქმედების განხორციელება და მხოლოდ შეგნებულად უშვებდა მის ჩადენას ან გულგრილად ეკიდებოდა მას. მაგალითად, პირს გაცნობიერებული ჰქონდა, რომ როცა ქონების წარმოშობის წყაროს მაღავედა ან მასზე საკუთრების უფლებას, სჩადიოდა მართლსაწინააღმდეგო ქმედებას, თუმცა არ სურდა ამ ქმედების ჩადენა, მაგრამ შეგნებულად უშვებდა, რომ შესაძლებელია ჩადენა ეს ქმედება, ან გულგრილი იყო ამ ქმედების ჩადენის მიმართ. ასეთი ინტერპრეტაცია დოგმატურად წინააღმდეგობრივ შედეგამდე მიგვიყვანს.²³ გამომდინარე იქედან, რომ სსკ-ის მე-9 მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, არაპირდაპირი განზრახვა შედეგზეა ორიენტირებული, შედეგის მიმართ დამოკიდებულების განხილვას პრიორიტეტი ფორმალურ დანაშაულებში ვერ მიენიჭება.

განსხვავებით გერმანული სისხლის სამართლისგან, რომელიც უშვებს არაპირდაპირი განზრახვის მხოლოდ საგნის წარმომავლობასთან დაკავშირებით გავრცელებას, ქართული საკანონმდებლო სივრცე არ იცნობს არაპირდაპირი განზრახვის ასეთი ფორმით გამოვლინებას.

IV. გაუფრთხილებლობის საკითხი ფულის გათეთრების დანაშაულში გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით

გერმანიის სსკ §261-ის მე-6 აბზაცის მიხედვით, ფულის გათეთრების სუბიექტური შემადგენლობა დაკმაყოფილებულად მიიჩნევა იმ შემთხვევაშიც, როდესაც პირმა უხეში გაუფრთხილებლობის გამო ვერ გააცნობიერა, რომ ქონება წინარე დანაშაულიდან მომდინარეობდა. აღნიშნული ნორმა დანაშაულის საგნის კრიმინალურ წარმომავლობასთან მიმართებით საკმარისად

მიიჩნევს უხეშ გაუფრთხილებლობას (დაუდევრობის მომეტებული ფორმა), მაშინ, როდესაც დანაშაულის სხვა ელემენტებთან მიმართებით განზრახვა კვლავ აუცილებელია, რადგან შეუძლებელია განახორციელო ტრანზაქცია, ზუსტად ის ანგარიში ჩაწერო, რომელიც გასურს, ზუსტად იქ გადარიცხო, სადაც გასურს, განკარგო ქონება სხვის სასარგებლოდ ან შეინახო შეგნებით და სურვილით და მოქმედებდე დაუდევრად.

StGB-ის მე-15 პარაგრაფის თანახმად, გაუფრთხილებლობით ჩადენილი ქმედება მხოლოდ მაშინ ჩაითვლება დანაშაულად, თუ ამის შესახებ მითითებულია კოდექსის შესაბამის მუხლში.

აღნიშნული რეგულაციის მიზანს წარმოადგენსა მტკიცების სირთულეების შემცირება და ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტურობის გაზრდა. ამასთან, ეკონომიკური ბრუნვის უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე, პასუხისმგებლობა არ გავრცელდა გაუფრთხილებლობის ნებისმიერ ფორმაზე და შემოიფარგლა მხოლოდ უხეში გაუფრთხილებლობით.²⁴

უხეში გაუფრთხილებლობის მტკიცება საჭიროებს იმგვარი ფაქტობრივი გარემოებების დადგენას, რომელთა საფუძველზეც დასტურდება, რომ საქმის კონკრეტული გარემოებებისა და დამნაშავეს ინდივიდუალური ცოდნისა და უნარ-ჩვევების გათვალისწინებით, პირისთვის აშკარა უნდა ყოფილიყო არა მხოლოდ საგნის ზოგადი დელიქტური (დანაშაულებრივი) წარმომავლობა, არამედ კონკრეტულად მისი კავშირი დანაშაულთან.²⁵

261-ე მუხლის მე-6 აბზაცის კონსტიტუციურ-სამართლებრივი მოთხოვნების შესაბამისი, განზრახვასთან მიახლოებული განმარტების თანახმად, პირი უხეში გაუფრთხილებლობით მოქმედებს მაშინ, როდესაც ის არ ითვალისწინებს საგნის მართლსაწინააღმდეგო წარმომავლობის შესაძლებლობას, მაგალითად არასწორად მსჯელობს საგნის წარმომავლობაზე, მიუხედავად იმისა, რომ არსებული საქმის

23 ზ. გოგშელიძე, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისთვის, თბილისი, 2025, გვ. 170.

24 Münchener Kommentar zum StGB., Rn. 162-168.

25 LG München I (12. Große Strafkammer), Urteil vom 27.06.2019 – 12 KLS 319 Js 227596/16.

გარემოებიდან გამომდინარე დანაშაულებრივი წარმომავლობა თვალსაჩინო იყო.²⁶

ჯერ გასარკვევია, რას გულისხმობს განზრახვასთან მიახლოებული განმარტება? ხომ არაა ეს უფრო სისხლის სამართლის პოლიტიკის ეფექტურობის მექანიზმი?

ევროკავშირის 2018/1673 დირექტივის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილი ამ საკითხს ნევრი სახელმწიფოების დისკრეციულ უფლებამოსილებად ტოვებს.²⁷ მიუხედავად იმისა, რომ საკანონმდებლო პროცესში არსებობდა წინადადება ამ ნორმის ამოღების შესახებ, ვინაიდან პრედიკატული დანაშაულების კატალოგის გაუქმებით 261-ე პარაგრაფის მოქმედების სფერო ისედაც მნიშვნელოვნად გაფართოვდა. გაუფრთხილებლობის დასჯადობით მან „თითქმის უსაზღვრო მასშტაბებს შეიძინა“, რაც ყოველდღიური ქცევის კრიმინალიზაციის საფრთხეს ქმნის.

კანონმდებელი უბრალოდ მიუთითებს ძველი რედაქციის დასაბუთებაზე, რომლის თანახმადაც, დაუდევრობის დასჯადობა გარდაუვალია „მტკიცების სირთულეების თავიდან ასაცილებლად და ფულის გამთეთრებელთა ეფექტური სს-ივი დევნის უზრუნველსაყოფად“.²⁸

261-ე პარაგრაფის მე-6 აბზაცი უარს ამბობს განზრახვაზე მხოლოდ პრედიკატულ დანაშაულთან და ქონების მისგან მომდინარეობასთან მიმართებით, შემადგენლობის დანარჩენი ელემენტების მიმართ კვლავაც აუცილებელია განზრახვის არსებობა. ეს არის გაუფრთხილებელი დანაშაული განზრახვის ელემენტებით და არა განზრახვა - გაუფრთხილებლობის კომბინაცია StGB §11 აბზ.2-ის გაგებით, ვინაიდან უხეში გაუფრთხილებლობა ეხება დანაშაულის საგნის

თვისებას და არა განზრახვი ქმედებით გამოწვეულ გაუფრთხილებელ შედეგს. შესაბამისად, მცდელობა და თანამონაწილეობა დასჯადი არ არის.

პრაქტიკაში ამ ნორმის გამოყენება შემოიფარგლება §261-ის პირველი ნაწილის მესამე და მეოთხე ნაწილით გათვალისწინებული ქმედებებით, რადგან რთული წარმოსადგენია, პირმა გაუფრთხილებლობით ვერ შეიცნოს საგნის დანაშაულებრივი წარმომავლობა და, ამასთანავე, ჰქონდეს მისი დამალვის ან გამოძიებისთვის ხელის შეშლის მიზანი.²⁹

უხეში გაუფრთხილებლობის ქვეშ მოიაზრება დაუდევრობის მომეტებული ხარისხი. ის არსებობს მაშინ, როდესაც პირი აშკარა რისკს სათანადოდ არ აფასებს ან შეგნებულად უგულვებელყოფს ისე, რომ არსებითად არღვევს მოცემულ ვითარებაში საჭირო სიფრთხილის სტანდარტს. მისი შეფასებისას მხედველობაში მიიღება პირის ინდივიდუალური ცოდნა, გამოცდილება და უნარები. მაშინ, როდესაც საფრთხე ობიექტურად აშკარა და ადვილად განჭვრეტადია.

გადამწყვეტია ის, რომ გაუფრთხილებლობა განზრახვასთან მიმართებით წარმოადგენს არა „ნაკლებს“, არამედ სხვა კატეგორიას. შესაბამისად, მნიშვნელობა აქვს მხოლოდ წინდახედულობის ნორმის დარღვევის ხარისხს და განჭვრეტადობას.³⁰

კრიტიკის სახით შეიძლება ითქვას, რომ შეუძლებელია პირი ათეთრებდეს ფულს ისე, რომ მან არ იცოდეს მისი დანაშაულებრივი წარმომავლობის შესახებ.³¹

26 Tübinger Kommentar Strafgesetzbuch., Rn.31. Auflage, 2025.

27 Directive (EU) 2018/1673 of the European Parliament and of the Council of 23 October 2018., ნევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ მიიღონ აუცილებელი ზომები იმის უზრუნველსაყოფად, რომ პირველი პარაგრაფით გათვალისწინებული ქმედება დასჯადი იყოს, როგორც სს-ივი დანაშაული, თუ დამნაშავე ვარაუდობდა ან ევალუბოდა სცოდნოდა, რომ ქონება მოპოვებული იყო დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგად..

28 ფედერალური სასამართლო (BGH) , 1997 წლის 17 ივლისის გადაწყვეტილება - 1 StrR 791/96 (მიუნხენის I საოლქო სასამართლო).

29 Kindhäuser/Neumann/Paeffgen/Saliger, Strafgesetzbuch., 6. Auflage 2023., Rn.91-94

30 Münchener Kommentar zum StGB. 5. Auflage 2025., Rn. 121-124.

31 ამ საკითხზე კანონმდებლის პოზიცია იხ. BT-Drs. 19/24180, Entwurf eines Gesetzes zur Verbesserung der strafrechtlichen Bekämpfung der Geldwäsche, S. 1 ff.; Gesetz vom 9. März 2021, BGBl. I 2021, S. 327 ff.

საგნის თვისება არსებობს ქმედების პარალელურად, ის არის თანამდევი გარემოება, რომელიც ფულს უკვე აქვს იმ მომენტში, როცა დამანაშავე მას ეხება. თავისთავად ქმედება, თანხის ანგარიშიდან მოხსნა, მისი გადარიცხვა ან სხვა მოქმედება, თუნდაც საგნის შენახვა მას მართლსაწინააღმდეგოდ არ აქცევს, ამისთვის საჭიროა მინიმუმ ცოდნა, რომ ნივთი დანაშაულიდან მომდინარეობს, სურვილი, რომ განკარგოს ის საკუთარი თავის ან სხვის სასარგებლოდ.

კანონმდებელმა ამ შემთხვევაში შემოიტანა გამონაკლისი §261 (6) ნაწილის სახით და შექმნა უხეში გაუფრთხილებლობის კონსტრუქცია, რომელზეც თქვა, რომ ეს არის განზრახვასთან მიახლოებული მდგომარეობა, ამიტომ არ ეწინააღმდეგება ბრალისა და განსაზღვრულობის პრინციპს და ამით არაკონსტიტუციურობას დააღწია თავი, თუმცა დღემდე დაუმუშავებელი და გაურკვეველია, რას ნიშნავს განზრახვასთან მიახლოებული გაუფრთხილებლობის სამართლებრივი მნიშვნელობა.

ამასთან, დაუდევრობა ნიშნავს წინდახედულობის ნორმით აკრძალული ქმედების გაუცნობიერებლობას. ამ შემთხვევაში ფულის გათეთრების ისეთი ქმედებები, როგორიცაა შენახვა, შეძენა და გამოყენება არ არის წინდახედულობის ნორმით აკრძალული, არამედ ის არის მართლსაწინააღმდეგო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას ახლავს ცოდნა საგნის დანაშაულებრივი წარმომავლობის შესახებ და გარკვეულ შემთხვევებში მიზანი. შესაბამისად, ქმედება, როგორც ასეთი, დაუდევრობით განხორციელებული ვერ იქნებოდა, სწორედ ამიტომ, კანონმდებელმა უხეში გაუფრთხილებლობა დაუკავშირა საგნის თვისებას და სწორედ ასე დააკონკრეტა ის მუხლში.

მოვიყვანოთ მაგალითი სასამართლო პრაქტიკიდან:

გერმანიის სამხარეო სასამართლოს 2023 წლის გადაწყვეტილებით³² ბრალდებული ცნობილ იქნა დამნაშავედ, მიესაჯა ფულადი ჯარიმა 55 დღიური განაკვეთის ოდენობით (თითო 30

ევრო) ასევე დანაშაულებრივი გზით მოპოვებული 15,184.25 ევროს კონფისკაცია.

ფაქტობრივი გარემოებები: 2022 წლის მარტში ბრალდებულმა კომპანია XX-ში დაიწყო მუშაობა ონლაინ გასაუბრების საფუძველზე, 20 საათიანი სამუშაო განაკვეთით კვირაში, საათში 18.75 ევრო. მისი მოვალეობა იყო „სატრასტო ანგარიშზე“ შემოსული თანხების კრიპტო - ვალუტაში გადაცვლა.

საეჭვო გარემოებები: სამუშაო ხელშეკრულება შეიცავდა ურთიერთგამომრიცხავ დებულებებს, ტრანზაქციები უნდა განხორციელებულიყო ბრალდებულის პირადი საბანკო ანგარიშების მეშვეობით. ბრალდებულს გაუგზავნეს ყალბი წერილი გერმანიის ფინანსური ზედამხედველობის სამსახურის სახელით, რომელიც თითქოს ადასტურებდა სატრასტო ანგარიშის გახსნას „სატრასტო კანონის (§ 23a TreuhG)-ის საფუძველზე, სინამდვილეში აღნიშნული კანონი ეხება გდრ-ის ქონების პრივატიზაციას 90-იან წლებში და არავითარი კავშირი მას საბანკო ანგარიშებთან არ ჰქონია.

სასამართლო არ დაეთანხმა ბრალდებულის პოზიციას, რომ იგი მხოლოდ „გულუბრყვილობის“ მსხვერპლი იყო, პალატა დარწმუნებულია, რომ ბრალდებულმა შეგნებულად „არ დაინახა“ მთელი რიგი შეუსაბამო მაღალი ანაზღაურების მოლოდინის გამო: 1. მექანიკური საქმიანობისთვის შეუსაბამოდ მაღალი ხელფასი 2. ფინანსური შუამავლის მოთხოვნა, რაც გულისხმობს თანამშრომლის პირადი ანგარიშის გამოყენებას 3. ბუნდოვანი და არალოგიკური საბანკო ამონაწერები.

სამართლებრივი კვალიფიკაცია: ბრალდებული ცნობილ იქნა დამნაშავედ უხეში გაუფრთხილებლობით ფულის გათეთრების ოთხ ფაქტში (§ 261 Abs. 6 StGB)

სასამართლომ განმარტა: უხეში გაუფრთხილებლობით მოქმედებს პირი, რომელიც უგულვებელყოფს დანაშაულებრივი წარმოშობის აშკარა და თვალსაჩინო ნიშნებს მომეტებული გულგრილობის ან უყურადღებობის გამო.

32 Landgericht Hildesheim – Az.: 25 NBs 5/23 – Urteil vom 12.10.2023.

უხეში გაუფრთხილებლობა შემონმების ტესტს ავტონომიურად არ გადის, არამედ ცალკეულ სს-ივ შემადგენლობასთან კავშირში. უხეში გაუფრთხილებლობა არ დგას დამოუკიდებლად განზრახვასა და გაუფრთხილებლობას შორის, ის უფრო მეტად გაუფრთხილებლობის სპეციფიკური გამოვლინებაა, რა დროსაც სს-ივად რელევანტურია დამნაშავეს ინდივიდუალური ცოდნა და შესაძლებლობები. უხეში გაუფრთხილებლობის არსებობა იწვევს სასჯელის ფარგლებში დიდ ნახტომს, მაგალითად თუ 251-ე პარაგრაფისთვის სასჯელი მინიმუმ 10 წელია და მაქსიმუმ უვადო მაშინ, როდესაც მარტივი განზრახვი მკვლელობისთვის (§212) სასჯელის მინიმალური ვადა 5 წელია. ისეთ დანაშაულებში კი, როგორიცაა ფულის გათეთრება (§261), თაღლითობა (§264V), უხეში გაუფრთხილებლობა იწვევს უფრო მსუბუქ სასჯელს.³³

გამიჯვნა არაპირდაპირი განზრახვისგან:

არაპირდაპირ განზრახვას პრაქტიკა განიხილავს „თანხმობის“ თეორიის კვალდაკვალ და რეგულარულად ეყრდნობა ფორმულას, რომლის მიხედვითაც, სახეზეა არაპირდაპირი განზრახვა და არა უხეში გაუფრთხილებლობა, თუ დამნაშავე შედეგს აღიქვამს, როგორც შესაძლებელს და შეგნებულად უშვებს, ეგუება მას. კოგნიტური ელემენტი - რაც უფრო მყარია ცოდნა საფრთხის შესახებ, მით უფრო ნათელია დასკვნა, რომ შედეგი შეგნებულად იქნა დაშვებული.³⁴

უხეში გაუფრთხილებლობისთვის მთავარი ელემენტებია: აშაკარა რისკის არსებობა - რისკის იგნორირება - მომეტებული ხარისხის გულგრილობა.

ეს გულისხმობს ისეთ კრიტერიუმს, როდესაც ქონების დანაშაულებრიობა პრაქტიკულად ამოცნობადი უნდა იყოს: არალოგიკური ფინანსური ოპერაციები, ნაღდი ფულის უჩვეულო მოცულობა, შუამავლების გაუმართლებელი ჩართვა, ასევე გასათვალისწინებელია პირის გამოცდილება და ცოდნა, მაგალითად, ბანკირის

მიმართ უფრო მაღალი სტანდარტი მოითხოვება, ეს შეიძლება შევადაროთ საქართველოს სსკ-ის 220¹ მუხლს - გულგრილობას.

რისთვის დასჭირდა კანონმდებელს გაუფრთხილებლობის შემადგენლობა 261-ე პარაგრაფისთვის? ამისთვის პასუხს თავდაპირველ მიზანში ვიპოვით: „მტკიცებასთან დაკავშირებული მოსალოდნელი სირთულეების თავიდან აცილებისა და ფულის გამთეთრებელთა მიმართ ეფექტური სს-ივი დევნის უზრუნველსაყოფად, სს-ივი შემადგენლობის გავრცელება უხეში გაუფრთხილებლობაზე წარმოადგენს გარდაუვალ აუცილებლობას.“

ბოლო რეფორმა, რომელიც ზემოთ ვახსენე, §261 StGB-ში უხეში გაუფრთხილებლობის საფუძველზე პასუხისმგებლობის შენარჩუნება ერთ-ერთ ყველაზე სადავო საკითხს წარმოადგენდა. კანონმდებელმა აღნიშნული რეგულირების აუცილებლობა რამდენიმე არგუმენტით დაასაბუთა.

ოფიციალური განმარტება ამ საკითხთან დაკავშირებით, სხვა უფრო სანდო დოკუმენტებში არ მოიძებნება, მხოლოდ კრიტიკა სამეცნიერო ლიტერატურაში. ვინაიდან StGB-ის 261-ე პარაგრაფის მე-6 აბზაციტ შესაძლებელია უხეში გაუფრთხილებლობით ჩადენა, აქცენტი სწორედ დაუდევრობაზე უნდა გაკეთდეს. დაუდევრობის დეფინიციას იძლევა ქართული სსკ - განსხვავებით StGB-სგან რომელიც გაუფრთხილებლობის დეფინიციას საერთოდ არ აყალიბებს.

სსკ-ის მე-10 მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, ქმედება დაუდევრობითაა ჩადენილი, თუ პირს გაცნობიერებული არ ჰქონდა წინდახედულობის ნორმით აკრძალული ქმედება, არ ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას, თუმცა ამის გათვალისწინება მას ევალებოდა და შეეძლო კიდევ.

სისხლის სამართლის ლიტერატურაში გაბატონებული მოსაზრების თანახმად, გაუფრთხილებლობისთვის სს-ივი პასუხისმგებლობა, როგორც წესი, ეფუძნება დამდგარ მართლსაწინააღმდეგო შედეგს. ამაზე მეტყველებს ისიც, რომ

33 Seel, Sebastian: Leichtfertigkeit im Strafrecht, in: JA 2025, S. 992 ff., abrufbar über Beck-Online.

34 BeckOK StGB, v. Heintschel-Heinegg/Kudlich. 68. Edition., Stand: 01.02.2026., Rn. 20-25.

გაუფრთხილებლობით დანაშაულს არ გააჩნია მომზადების და მცდელობის სტადია. გაბატონებული მოსაზრებით, აბსტრაქტული საფრთხის დელიქტი მხოლოდ განზრახ შეიძლება განხორციელდეს. ავტორთა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ გაუფრთხილებლობით აბსტრაქტული საფრთხის დელიქტი შეიძლება განხორციელდეს არა თვითიმედოვნებით, არამედ დაუდევრობით.³⁵

ქართული სსკ-სგან განსხვავებით გერმანული სისხლის სამართლის კოდექსი არ არის შედგენილი ორიენტირებული, რაც კანონმდებელს უფრო მეტ შესაძლებლობას აძლევს, ვიდრე ეს საქართველოშია. თუმცა, საქართველოში შეუძლებელია აღნიშნული დანაშაულის გაუფრთხილებლობით ჩადენა არა მხოლოდ იმიტომ, რომ ის ფორმალურ დანაშაულთა კატეგორია განეკუთვნება, არამედ იმიტომაც, რომ მიზნით დაფუძნებულია - მომეტებულია ნებელობა და საჭიროებს ცოდნას ქმედების შემადგენლობის განხორციელებისადმი, მას უნდა გააჩნდეს მართლწინააღმდეგობის შეგნება და მოითხოვს ფაქტების ცოდნას - როგორ შეიძლება გაუფრთხილებლობით ჩაიდინოს პირმა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, სხვა პირისთვის პასუხისმგებლობისგან თავიდან არიდებაში დახმარების მიზნით ან უკანონო წარმომადგენლობის დაფარვის მიზნით. მითუმეტეს როგორ შეიძლება პირმა დაუდევრობით დამალოს ან შენიღბოს უკანონო შემოსავალი. შესაბამისად, კატეგორიულად გამორიცხულია საქართველოში ამ დანაშაულის გაუფრთხილებლობით ჩადენა. ამასთანავე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, ე.ი უკანონო ან/და დაუსაბუთებელი ქონებისთვის კანონიერი სახის მიცემა წარმოადგენს ობიექტური შემადგენლობის ნაწილს, ხოლო ლეგალიზაცია გულისხმობს მანიპულაციურ ტენდენციას, ადამიანი იღწვის ლეგალიზაციისთვის.

რაც შეეხება გერმანიას, გერმანელმა კანონმდებელმა ნორმა იმგვარად ჩამოაყალიბა, რომ

თავად ნორმაში არ შეიტანა ფულის გათეთრება, როგორც ქმედების აღმწერი მოქმედება, ამასთანავე ნორმა მოათავსა მართლმსაჯულების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავში და გამოძიებისთვის ხელის შემშლელი ყველა შემთხვევა მოიცვა, მათ შორის ისეთი, რომელიც შეიძლება უხეში გაუფრთხილებლობით იქნეს ჩადენილი. ამით მან გზა გაუხსნა გამოძიებისა და დანაშაულის კვალზე გაყოლის ყველა შესაძლო ვარიანტს, თუმცა, გაუფრთხილებლობით ფულის გათეთრების დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობის შენარჩუნება 261-ე პარაგრაფში უსამართლოა, განსაკუთრებით 2021 წლის რეფორმის შემდეგ, როდესაც პრედიკატული დანაშაული შეიძლება იყოს ნებისმიერი სს-ივად დასჯადი ქმედება.

V. დასკვნა

უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია (ფულის გათეთრება), მიუხედავად სახელმწიფოთა მრავალწლიანი საკანონმდებლო, ინსტიტუციური და პრაქტიკული გამოცდილებისა, დღემდე რჩება თანამედროვე სისხლის სამართლის ერთ-ერთ ყველაზე რთულ და კომპლექსურ გამოწვევად. აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების ლეგალურ ეკონომიკურ ბრუნვაში ინტეგრაციის მეთოდები მუდმივად ვითარდება, რის გამოც სახელმწიფოს უწევს სამართლებრივი და ინსტიტუციური მექანიზმების უწყვეტი სრულყოფა, რათა უზრუნველყოფილი იყოს არალეგალურ და ლეგალურ ეკონომიკას შორის მკაფიო ზღვრის შენარჩუნება.

სტატიაში განხილულმა საკითხებმა წარმოაჩინა საქართველოსა და გერმანიის სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიდგომები უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის დანაშაულის რეგულირების მიმართ. მიუხედავად იმისა, რომ ორივე სახელმწიფო კონტინენტური

35 თ. ციტიშვილი, გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალი, თბილისი, 2022 აბსტრაქტული საფრთხის დელიქტების დასჯადობის ზოგიერთი საკითხი., გვ 1-9.

(გერმანული) სამართლის ოჯახის წარმომადგენელია და სამართლებრივი ინსტიტუტების მნიშვნელოვანი ნაწილი საერთო დოგმატიკურ საფუძვლებს ემყარება, შედარებით-სამართლებრივმა ანალიზმა ცხადყო, რომ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის დანაშაულის სისტემური ადგილი, შემადგენლობის კონსტრუქცია, ობიექტური და სუბიექტური ნიშნების განსაზღვრა, აგრეთვე სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის მიმართულებები, რიგ მნიშვნელოვან საკითხებში არსებით განსხვავებებს ავლენს.

ეს განსხვავება სტატიის ფარგლებში განსაკუთრებით შეეხო განზრახვისა და გაუფრთხილებლობის საკითხებს, განხილულ იქნა უხეში გაუფრთხილებლობის სამართლებრივი მნიშვნელობა მისი დამოკიდებულება სისხლის სამართლის პოლიტიკასთან უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ქრილში, ასევე სტატიაში წარმოჩენილია განზრახვის, განსაკუთრებით ევენტუალური განზრახვის საკანონმდებლო სპეციფიკა შედარებით-სამართლებრივ ქრილში.

პაციენტის ავტონომიასა და სიცოცხლის დაცვის ვალდებულებას შორის კონფლიქტი თვითმკვლელობის მცდელობის შემთხვევაში

მარიამ ბერიძე
ადვოკატი

შესავალი

თანამედროვე მედიცინისა და სამართლის მეცნიერებისთვის სიახლეს არ წარმოადგენს ის ფაქტი, რომ პაციენტის ინფორმირებული თანხმობა პირადი ავტონომიის და, მაშასადამე, ღირსების უფლების გააზრებული და სრულფასოვანი რეალიზაციის თანმდევი შედეგია. მაშინ, როცა პაციენტის ავტონომიის უფლება არ არის აბსოლუტური, მას ექიმის პროფესიული სტანდარტები უპირისპირდება, რაც კვლევის მიზნებისათვის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის მოვალეობად გვევლინება.

სამედიცინო მუშაკი ეთიკური და სამართლებრივი დილემის წინაშე სწორედ მაშინ დგება, როცა პაციენტი უარს ამბობს მკურნალობაზე და იგი მისი ფსიქოემოციური, სოციალური თუ სხვა გარემოების გათვალისწინებით, არ არის დარწმუნებული თავის გადაწყვეტილებაში ან ისეთ შემთხვევაში, როცა გადაუდებელი სამედიცინო შემთხვევაა და შესაძლოა პაციენტის ჯანმრთელობის მნიშვნელოვანი გაუარესება ან გარდაცვალება. გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში, სამედიცინო მუშაკი მოქმედებს იმ ვარაუდით, რომ პაციენტის ნებას მის ავტონომიაში მისივე სასიკეთოდ ჩარევა (სარგებლიანობა) წარმოადგენს. თუმცა ეს საკითხი შეიძლება სადავო გახდეს პაციენტის მიერ თვითმკვლელობის მცდელობის შემდეგ.

კერძოდ, როდესაც მან უკვე სცადა თვითმკვლელობა, ექიმის ასეთი ვარაუდი შეიძლება უსაფუძვლოც იყოს. ამიტომ საინტერესოა, რა შემთხვევაში უნდა განიხილოს ექიმმა პაციენტის პირად ავტონომიაში ჩარევა ეთიკურად და სამართლებრივად სწორად, თუ აშკარაა, რომ პაციენტმა საკუთარ თავს თვითონ ავნო? როგორ უნდა შეაფასოს ექიმმა პაციენტის მდგომარეობა და რა გარემოებები უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ მან მიიღოს ეთიკურად და სამართლებრივად სწორი გადაწყვეტილება, შემდგომში მისი პასუხისმგებლობის გამორიცხვის კუთხით?

საქართველოს კანონმდებლობით პირდაპირ არ არის მოწესრიგებული შემთხვევა, როდესაც პაციენტმა თვითმკვლელობის მცდელობა უკვე განახორციელა და გადარჩენის შემდეგ უარს აცხადებს მკურნალობაზე ან თვითმკვლელობის მცდელობამდე უარი განაცხადა სამედიცინო ჩარევაზე. მართალია, ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონის 38-ე მუხლის 1-ლი პუნქტის ბ ქვეპუნქტით, ექიმი ვალდებულია აღმოუჩინოს პაციენტს სამედიცინო დახმარება თუ გამოხატულია სიცოცხლისათვის საშიში, მათ შორის თვითმკვლელობის მცდელობით განპირობებული მდგომარეობა, თუმცა აღნიშნული დანაწესი არის ზოგადი ხასიათის და პირდაპირ არ არეგულირებს ისეთ შემთხვევებს, როდესაც თვითმკვლელობით გამოწვეული

მდგომარეობის პირობებში, არსებობს ეჭვი იმისა თუ რამდენად თავისუფალი და გაცნობიერებულია პაციენტის ნება, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში თუ პაციენტი უარს აცხადებს მკურნალობაზე თვითმკვლელობის მცდელობის შემდეგ. კერძოდ, ითვლება თუ არა პაციენტი ისეთ პირად, რომელსაც შეუძლია სრულად გაცნობიერებული გადაწყვეტილება მიიღოს ან შეუძლია თუ არა სამედიცინო პერსონალს უგულებელყოს პაციენტის უარი მკურნალობაზე, როდესაც არსებობს იმის ვარაუდი, რომ გადაწყვეტილება თვითმკვლელობის მცდელობის თანმდევი ფსიქომოციური მდგომარეობის შედეგია? არც ისეთ შემთხვევას არეგულირებს ზემოხსენებული დანაწესი, როცა პაციენტს თვითმკვლელობის მცდელობამდე წინასწარ აქვს გაცხადებული უარი თავის მოკვლის მცდელობის შემთხვევაში სამედიცინო ჩარევაზე. სწორედ ამიტომ ექიმს თვითონ მოუწევს ასეთ შემთხვევაში გადაწყვეტილების მიღება, რის გამოც საკითხი საჭიროებს სიღრმისეულ კვლევას.

წინამდებარე ნაშრომი ეხება პაციენტის ავტონომიასა და სიცოცხლის დაცვის ვალდებულებას შორის კონფლიქტს თვითმკვლელობით გამოწვეული მდგომარეობის დროს. ნაშრომში გამოყენებულია კვლევის ისეთი მეთოდები, როგორიცაა ნორმატიულ-დოგმატური, შედარებით-სამართლებრივი და დოქტრინალური ანალიზი. საკითხი გააზრებულია საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო გამოცდილების ფარგლებში, ევროპული და საერთო სამართლის ქვეყნების პრაქტიკის მიხედვით.

კვლევის მიზანია, დადგინდეს, რომელ პრინციპს უნდა მიენიჭოს უპირატესობა პაციენტის მიერ თვითმკვლელობის მცდელობის შემთხვევაში ერთი მხრივ მაშინ, როცა პაციენტს წინასწარ აქვს უარი ნათქვამი მკურნალობაზე და მეორე მხრივ, როცა პაციენტი უარს ამბობს სამედიცინო ჩარევაზე.

საკვანძო სიტყვები: პაციენტის პირადი ავტონომია, სიცოცხლის დაცვის ვალდებულება, თვითმკვლელობის მცდელობა, ინფორმირებული თანხმობა, მკურნალობაზე უარი, პატერნალიზმი.

პაციენტის ავტონომიის პრინციპი

ჯერ კიდევ მეთვრამეტე საუკუნეში, იმანუელ კანტმა ავტონომია განუყოფლად დაუკავშირა პიროვნების, როგორც რაციონალური არსების კონცეფციას. კანტისეული მორალური თეორია ადამიანებს შინაგან ღირებულებას ანიჭებს. ეს მორალური ღირებულება გამომდინარეობს ადამიანებისგან, რომლებიც მოქმედებენ როგორც რაციონალური აგენტები, რომლებსაც შეუძლიათ მორალური არჩევანის გაკეთება, რის გამოც ისინი იმსახურებენ უდიდეს პატივისცემას.¹

პაციენტის ავტონომიის პრინციპი არამხოლოდ სამართლებრივი, არამედ ეთიკური ღირებულებების მატარებელია. წარმოუდგენელია ადამიანის უფლებების განხილვა პაციენტის ღირსების, თვითგამორკვევისა² და პირადი ავტონომიურობის³ შეგრძნების გარეშე, რომელსაც ყოველი პაციენტი უნდა განიცდიდეს.

საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება საქართველოს კონსტიტუციის მე-12 მუხლით არის გარანტირებული, რომელიც ადამიანის, როგორც პაციენტის, ავტონომიურობას მოიაზრებს. ამ უფლების დაცვა კი პაციენტსა და ექიმს შორის წარმოშობილ ურთიერთობაში პაციენტის აზრისა და ნების პატივისცემის გარეშე წარმოუდგენელია. პაციენტის ავტონომიის პატივისცემა გულისხმობს მისი არჩევანის პატივისცემას, პაციენტის მხარდაჭერას გააზრებული, გაცნობიერებული და თავისუფალი გადაწყვეტილების მიღებაში.⁴ სწორედ ამიტომ წარმოუდგენელია ექიმის მხრიდან

1 P. Szawarski, Classic cases revisited: The suicide of Kerrie Woollorton, The Intensive Care Society, 2013 p. 2 <https://journals.sagepub.com/doi/pdf/10.1177/175114371301400307> [25/06/2026]

2 Right to self-determination

3 Patient autonomy

4 გ. ჯავახილი, გ. კიკნაძე და სხვ, სამედიცინო ეთიკა და კანონმდებლობა: ადამიანის უფლებები ჯანმრთელობის დაცვის სფეროში, საქართველოს ბიოეთიკის და ჯანმრთელობის დაცვის სამართლებრივი საკითხების შემსწავლელი საზოგადოება, 2022 წ., გვ. 3

კარგად ინფორმირებული პაციენტის ნების გამოხატვის გარეშე რაიმე სახის სამედიცინო ჩარევა, ისე რომ ეს არ განიხილებოდეს პაციენტის ავტონომიურობაში ჩარევად.

პაციენტის პირადი ავტონომიურობა დაცულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლითაც. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, „პირადი ცხოვრების“ ცნება ფართო ტერმინია, რომელიც ამომწურავ განმარტებას არ ექვემდებარება. ის მოიცავს პირის ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ მთლიანობას.⁵

საქართველოს კანონმდებლობა ექიმის მხრიდან პაციენტის ნების გაზიარებისთვის წინაპირობად მის გაცნობიერებული გადაწყვეტილების უნარს⁶ განიხილავს.⁷ მხოლოდ ასეთი პაციენტის გადაწყვეტილება უნდა მიიღოს ექიმმა მხედველობაში. თუმცა, თავის მხრივ, გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობის არ მქონე პაციენტში მხოლოდ უგონო მდგომარეობაში მყოფი პაციენტი არ განიხილება. ამ დანაწესში შეიძლება მოაზრებული იყოს ისეთი პაციენტი, რომელიც ფსიქოემოციური მდგომარეობის გათვალისწინებით, სტაბილურად არ განიხილება და მისი ნების თავისუფლებაზე რაიმე ზემოქმედების შესაძლებლობები არ არის გამორიცხული, რაც ექიმმა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ინდივიდუალური გარემოებების გათვალისწინებით და არა ზოგადი მიდგომით, უნდა შეამოწმოს. მხოლოდ გააზრებული გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობის მქონე პაციენტი უნდა განიხილებოდეს ავტონომიურად. თვითმკვლელობის მცდელო-

ბის შემდეგ პაციენტის უარი სამედიცინო ჩარევაზე ყოველთვის გააზრებული და თავისუფალი არ არის.

პაციენტის ინფორმირებული თანხმობა გულისხმობს პაციენტის უფლებას, მიიღოს გადაწყვეტილება, დათანხმდეს სამედიცინო მომსახურებას, უარი თქვას მასზე ან აირჩიოს არსებული ალტერნატივიდან ერთ-ერთი.⁸ ინფორმირებული თანხმობის მიღებისას აუცილებელია ის იყოს გააზრებული და თავისუფალი. დაუშვებელია ინფორმირებული თანხმობა სამედიცინო დაწესებულების მიერ მიღებულ იქნეს ოპერაციამდე ერთი საათით ადრე, კერძოდ, მაშინ, როცა პაციენტის ფსიქოემოციური ფაქტორების ზეგავლენამ შეიძლება გაართულოს გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღება, რაც დაარღვევს პაციენტის ინფორმირებული თანხმობის გაცემის წესს.⁹

ინფორმაციის მიღების უფლებაში იგულისხმება ორი სახის ინფორმაცია. პაციენტი სამედიცინო ჩარევამდე იღებს ინფორმაციას იმ ფაქტორების შესახებ, რომლებიც ხელს უწყობს მისი ჯანმრთელობის შენარჩუნებას ან უარყოფითად მოქმედებს მასზე და ინფორმაციას მისი ჯანმრთელობისა და სამედიცინო მომსახურების თაობაზე.¹⁰

პაციენტის ავტონომიურობის პრინციპი მკურნალობაზე უარის თქმის უფლებასაც მოიზარებს. პაციენტის უფლებების შესახებ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, ქმედუნარიან და გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უნარის მქონე პაციენტს უფლება აქვს მკურნალობის ნებისმიერ

<https://www.afdg.ge/PDFs/AFDG-mimoxilva.pdf>
[25/06/2026]

5 Case of Haas v Switzerland (application no. 31322/07) 20/06/2011, B50 <https://hudoc.echr.coe.int/fre#%20>
[25/06/2026]

6 Decision-making capacity

7 პაციენტის უფლებების შესახებ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის 1-ლი პუნქტი; ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მე-11 მუხლი.

8 გ. ჯავაშვილი, გ. კიკნაძე და სხვ, სამედიცინო ეთიკა და კანონმდებლობა: ადამიანის უფლებები ჯანმრთელობის დაცვის სფეროში, საქართველოს ბიოეთიკის და ჯანმრთელობის დაცვის სამართლებრივი საკითხების შემსწავლელი საზოგადოება, 2022 წ., გვ. 7

<https://www.afdg.ge/PDFs/AFDG-mimoxilva.pdf>
[25/06/2026]

9 მ. ბიჭია, პაციენტის პირადი ავტონომიის დაცვისა და ინფორმირებული თანხმობის გაცემის თავისებურებები, სამართალი და მსოფლიო, #12, 2012 წ. გვ. 5 <https://lawandworld.ge/index.php/law/article/download/172/152/333> [25/06/2026]

¹⁰გ. ჯავაშვილი, გ. კიკნაძე და სხვ, სამედიცინო ეთიკა და კანონმდებლობა: ადამიანის უფლებები ჯანმრთელობის დაცვის სფეროში, საქართველოს ბიოეთიკის და ჯანმრთელობის დაცვის სამართლებრივი საკითხების შემსწავლელი საზოგადოება, 2022 წ., გვ. 15 <https://www.afdg.ge/PDFs/AFDG-mimoxilva.pdf>
[25/06/2026]

ეტაპზე განაცხადოს უარი ჩარევაზე, ისევე, როგორც შეწყვიტოს უკვე დაწყებული სამედიცინო მომსახურება. ამავე მუხლის მე-2 ნაწილით, პაციენტის ნების საწინააღმდეგოდ სამედიცინო მომსახურების განხორციელება გარდა კანონით დადგენილი შემთხვევებისა, აკრძალულია.¹¹ პაციენტის მკურნალობაზე უარის თქმის უფლებას ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მე-9 მუხლიც ითვალისწინებს.¹²

აქედან გამომდინარე, მიუხედავად იმისა, თუ რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს პაციენტის უარს სამედიცინო ჩარევაზე, სამედიცინო მუშაკი ვალდებულია გაითვალისწინოს პაციენტის ნება და დაიცვას მისი ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლება, და ისიც მხოლოდ მაშინ, თუ მისი გადაწყვეტილება გაცნობიერებულია და სრულყოფილ, ობიექტურ, დროულ და გასაგები ენით მიწოდებულ ინფორმაციას ეფუძნება.¹³

პაციენტის გადაწყვეტილება ექიმისთვის ყოველგვარი ფსიქიკური თუ ფიზიკური მანიპულაციების განხორციელების გარეშე მისაღები უნდა იყოს. რა თქმა უნდა, ეს არ გულისხმობს იმას, რომ პაციენტის ავტონომიურობა აბსოლუტურია. პაციენტის პირადი ავტონომიისა და ღირსების რეალიზება არ უნდა მოხდეს ექიმის მხრიდან სამართლებრივი და ეთიკური რეგულაციების დარღვევის ხარჯზე.

მიუხედავად ამ პრინციპებისა, ყოველთვის მარტივი არ არის ბალანსის დაცვა პაციენტის ავტონომიასა და სიცოცხლის დაცვის მოვალეობას შორის, განსაკუთრებით მაშინ, როცა ექიმისთვის ცნობილია, რომ პაციენტი ამ სამედიცინო მომსახურების განევის საჭიროებამდე თვითმკვლელობის მცდელობის შედეგად მივიდა. კიდევ უფრო მეტ სამართლებრივ და ეთიკურ სირთულეებთან არის დაკავშირებული ისეთი შემთხვევების გადაწყვეტა, როცა პაციენტმა თვითმკვლელობის მცდელობამდე განაცხადა

უარი სამედიცინო ჩარევაზე ან ქმედების განხორციელების შემდეგ აცხადებს უარს. ექიმს უნევს შეაფასოს, მიუხედავად თვითმკვლელობის მცდელობისა, სამედიცინო ჩარევაზე უარი წარმოადგენს თუ არა პაციენტის თავისუფალი და გაცნობიერებული ნების გამოვლენას. მართალია, სამედიცინო პერსონალის მხრიდან პაციენტისთვის მკურნალობის გადაწყვეტილების მიღება მიზნად არ ისახავს პაციენტის ნების წინააღმდეგ მოქმედებას, თუმცა შედეგად შესაძლოა პაციენტის ავტონომიაში ჩარევად განიხილებოდეს, ამიტომ საჭიროა განსაკუთრებული სიფრთხილის გამოვლენა და სამართლებრივ სიკეთეთა კონფლიქტის საუკეთესო წესით გადანყვება. ექიმმა ყოველ კონკრეტულ მომენტში უნდა გასცეს პასუხი კითხვას, ითვლება თუ არა პაციენტი თვითმკვლელობის მცდელობის შემდეგ ისეთ პირად, რომელსაც შეუძლია თავისუფალი და რაციონალური გადაწყვეტილების მიღება, რისთვისაც უნდა გაითვალისწინოს გარკვეული ინდივიდუალური გარემოებები.

სიცოცხლის დაცვის ვალდებულება

ექიმის პროფესია ისტორიულად ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვასთან არის დაკავშირებული. საუკუნეების მანძილზე ექიმის მოვალეობა მედიცინის განვითარებისა და ადამიანის გადარჩენის უპირატეს ინტერესს ემსახურებოდა. ასეთი მიდგომა კი წლების განმავლობაში ადამიანის მიმართ მორალური, სამართლებრივი და ფილოსოფიური დამოკიდებულების შეცვლის კვალდაკვალ ყალიბდებოდა, რაც შემდგომში მედიცინის პროფესიული სტანდარტები საფუძველი გახდა. სწორედ ასეთმა მიდგომებმა შეცვალეს და თანამედროვე სახით ჩამოაყალიბეს სამედიცინო მომსახურების ხარისხი და სტანდარტები, რომელიც ადამიანის ღირსების პატივისცემას ემსახურება.

11 პაციენტის უფლებების შესახებ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტები.

12 ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მე-9 მუხლი.

13 თუ ექიმი იაზრებს, რომ პაციენტი არ არის ავტონომიური, დაუშვებელია მისი ნება სერიოზულად აღიქვას.

რა თქმა უნდა, ასეთ დროს არ არის მიზანშეწონილი ექიმმა გამოიყენოს პაციენტის ნებაზე გავლენის მომხდენი იძულებითი ან ნების საწინააღმდეგო მეთოდები, რაც არც პაციენტის ავტონომიურობას და არც თავისუფალი ნების გამოვლენას უზრუნველყოფს.

პაციენტის სამედიცინო მომსახურების ხარისხი და სტანდარტები შესაბამისი უნდა იყოს ადამიანის ცხოვრების ისეთ დონესთან, რომ შესაბამებოდეს მისი პიროვნებისა და ავტონომიურობის რეალიზებას. მაქსიმალურად უნდა იყოს მიახლოებული მის წარმოდგენებთან საკუთარი თავისა და მისივე მიღებული გადაწყვეტილებების შესრულებასთან, განსაკუთრებით მაშინ, როცა საკითხი მის ფიზიკურ თუ ფსიქიკურ ერთიანობას ეხება.

ადამიანის სიცოცხლისა და ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლება გარანტირებულია, როგორც საქართველოს კონსტიტუციის მე-10 მუხლით, ისე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლით. სახელმწიფოს მხრიდან პირის სიცოცხლის დაცვის უფლება განიხილება, როგორ პოზიტიური, ისე ნეგატიური ვალდებულებების ქრილში. სახელმწიფოს ვალდებულება დაიცვას პირის სიცოცხლისა და ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლებები შესაძლებლობის ფარგლებში, რომელიც უნდა გამოიხატოს სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის სტანდარტებისა და ხარისხის შექმნასა და შენარჩუნებაში, ისე მათი მესამე პირთა მხრიდან უკანონო ჩარევის აკრძალვაში, თავის მხრივ არ არის აბსოლუტური და მათი შეზღუდვა დასაშვებია ლეგიტიმური მიზნით, შეზღუდვის პროპორციული ზომების გამოყენებით.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე ფრითი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, დაადგინა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლით დაცულია პირის სიცოცხლის უფლება, იგი არ მოიცავს სიკვდილის უფლებასაც. ამის პარალელურად კი მე-8 მუხლით დაცული უფლება არ არის აბსოლუტური ხასიათის. კონვენციის ორივე მუხლთან მიმარ-

თებით, სახელმწიფო უფლებამოსილია დააწესოს კონვენციის შესაბამისი შეზღუდვები. ამ გადაწყვეტილებით ევროპულმა სასამართლომ დიდი მნიშვნელობა მიაანიჭა პირის ავტონომიურობას მე-8 მუხლთან დაკავშირებით, თუმცა არა სიცოცხლის უფლების დაცვის ფუნდამენტური ღირებულების უგულებელყოფით. შესაბამისად, სასამართლომ მომჩივანის მოთხოვნის მიუხედავად, არ დაუშვა სახელმწიფოსათვის ისეთი ვალდებულების დაკისრება, როგორიც პირის სურვილის შემთხვევაში მისი სიკვდილის დაშვებაა.¹⁴

საუკუნეების წინ პატერნალიზმი განიხილებოდა პაციენტისათვის სიკეთის მომტანად. სწორედ ამ მიზანს ემსახურება პაციენტის ავტონომიაც,¹⁵ თუმცა თუ ერთი მხრივ პაციენტს სამედიცინო ჩარევაზე უარი სწორად მიაჩნია, რის გამოც შეიძლება თვითკმაცოფილება-საც განიცდიდეს, მეორე მხრივ ექიმისთვის სწორედ ეს წარმოადგენს დილემას, რადგან მისთვის შეიძლება გაუგებარი და მიუღებელი იყოს პაციენტის ასეთი გადაწყვეტილება.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ზემოხსენებულ საქმეზე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლთან მიმართებით განმარტა, რომ სამედიცინო სფეროში კონკრეტული მკურნალობის მიღებაზე უარის თქმამ, შეიძლება გამოიწვიოს ფატალური შედეგი, თუმცა სამედიცინო მკურნალობის განხორციელება ფსიქიკურად ჯანმრთელი ზრდასრული პაციენტის თანხმობის გარეშე, დაარღვევს პირის ფიზიკურ მთლიანობას ისე, რომ კონვენციის მე-8 მუხლის 1-ლი პუნქტით დაცული უფლებების განხორციელება ვერ მოხდეს.¹⁶

ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვა ექიმის სამართლებრივი და ეთიკური მოვალეობაა. ექიმი ვალდებულია, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში იმოქმედოს პაციენტის საუკეთესო ინტერესების შესაბამისად. თუმცა ეს

14 PRETTY v. THE UNITED KINGDOM (Application no. 2346/02); 29 April 2002

<https://hudoc.echr.coe.int/fre?i=001-60448> [25/06/2026]

15 მ. ბიჭია, ი. გაგუა, პაციენტის ინფორმირებული თანხმობის გაცემის ისტორიული და თანამედროვე გამოწვევები პრაქტიკაში, სამართლის ჟურნალი, N1, 2024 წ., გვ. 4

<https://jlaw.tsu.ge/index.php/JLaw/article/download/7938/7951/13428> [25/06/2026]

16 PRETTY v. THE UNITED KINGDOM (Application no. 2346/02); 29 April 2002 B63
<https://hudoc.echr.coe.int/fre?i=001-60448> [25/06/2026]

ყოველთვის არ არის შესაძლებელი, განსაკუთრებით მაშინ, როცა მას პაციენტის ნება უპირისპირდება. თანამედროვე ეთიკური და სამართლებრივი გაგებით, მიუხედავად ექიმის პროფესიული აზრის, პროფესიული ინტერესისა და კეთილი განზრახვისა, იგი არ არის უფლებამოსილი იმოქმედოს გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების მქონე პაციენტის სურვილის სანინააღმდეგოდ, თუნდაც პატერნალისტური იდეებისა და განწყობების პარალელურად. ამავდროულად, ექიმის პოზიტიურ მოვალეობებს უპირისპირდება არ ავნოს ეთიკური მოვალეობა, რომელიც ექიმს პაციენტისათვის არასასურველი ჩარევისაგან თავშეკავებას მოუწოდებს. თუ პაციენტი საკუთარ გადაწყვეტილებას გააზრებულად და გაცნობიერებულად იღებს, ექიმის მოვალეობას, იმოქმედოს სარგებლიანად¹⁷, ანაცვლებს არ ავნოს¹⁸ ნეგატიური მოვალეობა, რადგან, მიუხედავად იმისა თუ რა სარგებელი შეიძლება მოუტანოს პაციენტის ავტონომიაში ჩარევამ ექიმის პოზიტიური მოვალეობების რეალიზაციის სახით, შესაძლოა პაციენტისათვის ზიანის წყარო ექიმის მხრიდან ნეგატიური მოვალეობის, არ ავნოს შეუსრულებლობა გახდეს.

კონფლიქტი თვითმკვლელობის მცდელობის შემთხვევაში (საერთაშორისო გამოცდილება და სასამართლო გადაწყვეტილებები)

იმის გათვალისწინებით, რომ პაციენტის თვითგამორკვევის უფლება პაციენტის ავტონომიას მოიაზრებს, მოითხოვს პირის ნების პატივისცემას. პაციენტის თვითმკვლელობის მცდელობის შემთხვევაში, ექიმს უწევს გადაწყვეტილების მიღება და არჩევანის გაკეთება პაციენტის ავტონომიასა და სიცოცხლის დაცვის

ვალდებულებას შორის. თუ პაციენტს არ შეუძლია გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღება და გადაუდებელი ჩარევის გარეშე მოსალოდნელია მისი გარდაცვალება ან ჯანმრთელობის მნიშვნელოვანი გაუარესება, ექიმს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება პაციენტის ჯანმრთელობის ინტერესებიდან გამომდინარე.¹⁹

ამ კუთხით საინტერესოა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება ბატონი ჰაასის საქმეზე, რომელიც შვეიცარიის წინააღმდეგ წარდგენილი საჩივრის ფარგლებში განიხილა.²⁰ მომჩივანი დაახლოებით 20 წლის განმავლობაში იტანჯებოდა სერიოზული ბიპოლარული აშლილობით. ამ პერიოდის განმავლობაში მან ორჯერ სცადა თვითმკვლელობა და რამდენჯერმე იმყოფებოდა ფსიქიატრიულ დაწესებულებაში. განმცხადებელი მიიჩნევდა, რომ მისი დაავადების მკურნალობა დაკავშირებული იყო სირთულეებთან, რის გამოც მისთვის შეუძლებელი იყო ღირსეული ცხოვრება. სიცოცხლის შეწყვეტის მიზნით მან რამდენიმე ფსიქიატრს მიმართა 15 გრამი ნატრიუმის პენტოთარბიტალის მისაღებად, რომლის შეძენასაც რეცეპტი სჭირდებოდა. მომჩივანმა პრეპარატის ურეცეპტოდ მიღებაზე უარი მიიღო, რის გამოც მიმართა ეროვნულ სასამართლოებს. ეროვნულმა სასამართლოებმა მომჩივანის მოთხოვნა არ დააკმაყოფილეს.²¹

განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველად ფედერალურმა სასამართლომ მიიჩნია, რომ მომჩივანის მოთხოვნის დაკმაყოფილებამდე უნდა შეფასებულიყო, თვითმკვლელობის მცდელობა იყო უბრალოდ სიკვდილის სურვილი თუ ფსიქოლოგიური აშლილობის გამოხატულება, რაც უნდა შეფასებულიყო ექიმის მიერ. მხოლოდ ამის შემდგომ შეიძლებოდა გამონაკლისის სახით მომჩივნის მოთხოვნის დაკმაყოფილება.²²

17 beneficence

18 Non-maleficence

19 ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონის 38-ე მუხლის 1-ლი პუნქტის ბ ქვეპუნქტი.

20 Case of Haas v Switzerland (application no. 31322/07) 20/06/2011 [https://hudoc.echr.coe.int/fre#%20\[25/06/2026\]](https://hudoc.echr.coe.int/fre#%20[25/06/2026])

21 Case of Haas v Switzerland (application no. 31322/07) 20/06/2011 [https://hudoc.echr.coe.int/fre#%20\[25/06/2026\]](https://hudoc.echr.coe.int/fre#%20[25/06/2026])

22 იქვე, A6.3.5.1

განმცხადებელი ჩიოდა, რომ პრეპარატის მისაღებად საფუძვლიანი ფსიქიატრიული შეფასების საფუძველზე რეცეპტის გაცემის წესი არღვევდა მის უფლებებს. იგი ამტკიცებდა, რომ მან ვერ შეძლო სიკვდილის დროისა და წესის არჩევის უფლების განხორციელება. ის აღნიშნავდა, რომ ისეთ გამონაკლის სიტუაციაში, როგორც მისი იყო, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს თვითმკვლელობისთვის საჭირო სამედიცინო პროდუქტებზე წვდომა კონვენციის მე-8 მუხლის მოქმედების ფარგლებში.²³

სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებლის არჩევანი - თავიდან აეცილებინა ის, რასაც სიცოცხლის უღირს და მტკივნეულ დასასრულად მიიჩნევდა, კონვენციის მე-8 მუხლის ფარგლებში ხვდებოდა.²⁴

პრეცედენტული სამართლის გათვალისწინებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ ინდივიდის უფლება, გადაწყვიტოს რა საშუალებებით და როდის დასრულდება მისი სიცოცხლე, იმ პირობით, რომ მას შეუძლია თავისუფლად მიიღოს გადაწყვეტილება ამ საკითხზე, წარმოადგენს პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლების ერთ-ერთ ასპექტს კონვენციის მე-8 მუხლის მნიშვნელობით.²⁵

თუმცა მიუხედავად სასამართლოს ამგვარი ზოგადი მიდგომისა, აღნიშნულ საქმეში დავის საგანი, ვალდებულია თუ არა სახელმწიფო კონვენციის მე-8 მუხლის თანახმად უზრუნველყოს განმცხადებლისათვის მომაკვდინებელი ნივთიერების მიღება ექიმის რეცეპტის გარეშე, არ

წარმოადგენდა ასეთი შეფასების საგანს.²⁶ სასამართლომ მოცემულ საქმეზე განმარტა, რომ კონვენცია უნდა იქნეს ნაკითხული მთლიანობაში. შესაბამისად, მე-8 მუხლის შესაძლო დარღვევის შესწავლის კონტექსტში მიზანშეწონილია მივმართოთ კონვენციის მე-2 მუხლს, რომელიც ხელისუფლებას აკისრებს დაუცველი პირების დაცვის ვალდებულებას, თუნდაც იმ ქმედებებისგან, რომლითაც ისინი საფრთხეს შექმნიან საკუთარ სიცოცხლეს.²⁷ ეს უკანასკნელი მუხლი ავალდებულებს ეროვნულ ხელისუფლებას, ხელი შეუშალოს პირს საკუთარი სიცოცხლის ხელყოფაში თუ გადანაცვეტილება არ არის მიღებული თავისუფალი ნებით და საქმის სრული გაგებით.²⁸ აქედან გამომდინარე, სასამართლომ გაიზიარა ფედერალური სასამართლოს მოსაზრება, რომ კონვენციის მე-2 მუხლით გაანტირებული სიცოცხლის უფლება ავალდებულებს სახელმწიფოებს, შექმნან პროცედურა, რომელიც უზრუნველყოფს შეფასებას, რომ სიცოცხლის დასრულების გადაწყვეტილება ნამდვილად შეესაბამებოდეს შესაბამისი პირის თავისუფალ ნებას. სასამართლომ მიიჩნია, რომ სრული ფსიქიატრიული შეფასების საფუძველზე გაცემული სამედიცინო რეცეპტის მოთხოვნა წარმოადგენს ამ ვალდებულების შესრულების საშუალებას.²⁹ სასამართლომ მომჩივანს უარი უთხრა საჩივრის დაკმაყოფილებაზე.³⁰

23 იქვე, I, 32

24 იქვე, B50

25 იქვე, B51

26 იქვე, B52

27 იქვე, B54

28 იქვე, B54

29 იქვე, B58

30 ფსიქიატრიული შეფასების მნიშვნელობაზე საინტერესოა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე რ.დ და ი.მ.დ რუმინეთის წინააღმდეგ. მოცემულ საქმეზე სასამართლოს კონვენციის მე-5 და მე-8 მუხლების ფარგლებში მოუწია მსჯელობა რამდენად შეესაბამებოდა პირის დაკავება იძულებითი ფსიქიატრიული მკურნალობის მიზნით კონვენციურ მოთხოვნებს. მომჩივნები წარმოადგენდნენ მეუღლეებს, რომლებსაც 2011 წლის სასამართლო სამედიცინო შეფასებით მუდმივი ბოღვითი აშლილობა

დაუდგინდათ. 2014 წელს განმცხადებლები დააკავეს მათი იძულებითი მკურნალობის მიზნით იმ საფუძვლით, რომ ისინი უარს აცხადებდნენ სავალდებულო სამედიცინო მკურნალობაზე. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მე-5 მუხლის მოქმედების ფარგლებში დაადგინა, რომ ბოლო სამედიცინო შეფასების არ არსებობა საკმარისი იყო განმცხადებლების დაკავების უკანონოდ მიჩნევისათვის. ამ გადაწყვეტილებით სასამართლომ ხაზი გაუსვა პირის იძულებითი მკურნალობის ზომების გამოყენებამდე ფსიქოლოგიური შეფასების მუდმივი გადასინჯვის მნიშვნელობას იძულებითი მკურნალობის ზომების გამოყენებამდე. R.D. and I.M.D. v. Romania (application no. 35402/14), 12 octomber, 2012 <https://hudoc.echr.coe.int/app/conversion/pdf/?library=ECHR&id=003-7149728-9693393&filename> [25/06/2026]

ფრითის საქმეში,³¹ მიუხედავად მომჩივნის ჯანმრთელობის მდგომარეობისა, მას შეეძლო გადაწყვეტილების დამოუკიდებლად და გააზრებულად მიღება, ამიტომ სასამართლოს ჰაასის საქმისგან განსხვავებით არ მოუწია პაციენტის მიერ სიცოცხლის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღებაზე ფსიქიკური მდგომარეობის გავლენის შეფასების მნიშვნელობაზე მსჯელობა.

მოცემულ საქმეზე მომჩივანი წარმოადგენდა 43 წლის ქალბატონს, რომელსაც ჰქონდა უკურნებელი და პროგრესირებადი ნივთიერების დეგენერაციული დაავადება. დაავადება პროგრესირების პარალელურად აზიანებდა კუნთებს, მათ შორის ინვევდა ხელების, ფეხების სასუნთქი კუნთების ძლიერ სისუსტეს და დროთა განმავლობაში ინვევდა სუნთქვის უკმარისობას, რასაც შეიძლებოდა გამოეწვია ტანჯვით სიკვდილი. მას შემდგომ, რაც პაციენტის მდგომარეობა გაუარესდა და ის პარალიზებული გახდა კისრის ქვედა სხეულში მთლიანად, ტანჯვით სიკვდილის თავიდან ასარიდებლად, მომჩივანს გადაწყვეტილი ჰქონდა ევთანაზია, რომელშიც მის მეუღლეს უნდა მიეღო მონაწილეობა, თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ ინგლისური კანონმდებლობით ასეთი ქმედება სისხლის სამართლებრივად დასჯადი იყო, შესაძლოა მისი მეუღლის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა გამოწვეულიყო. იმისათვის, რომ მომჩივანის მეუღლეს მომჩივნის თვითმკვლელობაში დახმარებისთვის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა არ დაკისრებოდა, მისმა ადვოკატმა საჯარო პროკურატურის დირექტორს მიმართა, რომელმაც უარი განაცხადა მომჩივნის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე. მომჩივანს ეროვნულმა სასამართლოებმაც უარი უთხრეს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, რის გამოც მან ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს მიმართა კონვენციის 2, 3, 8, 9 და 14 მუხლების დარღვევის საფუძვლით. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ სახელმწიფოს მხრი-

დან ვერც ერთი მუხლის დანაწესის ნაწილში დაადგინა დარღვევა და მომჩივანს უარი უთხრა საჩივრის დაკმაყოფილებაზე. მომჩივნის წარმომადგენლის არგუმენტი კონვენციის მე-2 მუხლით დაცულ სიცოცხლის უფლებასთან მიმართებით იყო ის, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლი იცავს არა სიცოცხლეს, არამედ სიცოცხლის უფლებას, რომლის მიზანიც ინდივიდების სახელმწიფოსაგან დაცვაა და ვინაიდან ინდივიდის თვითგამორკვევის უფლება, აირჩიოს სიცოცხლის თუ არა, ექცევა მე-2 მუხლის დაცვის სფეროში, ინდივიდს უნდა ჰქონდეს უფლება უარი თქვას სიცოცხლის გახანგრძლივების სამედიცინო მკურნალობაზე და შეწყვიტოს იგი თვითმკვლელობით. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანების უმეტესობას სურს სიცოცხლე, ზოგიერთს სურს სიკვდილი, ამიტომ მუხლი იცავს ორივე უფლებას. სიკვდილის უფლება არა სიცოცხლის უფლების ანტითეზისი, არამედ მისი შედეგია და სახელმწიფოს აქვს პოზიტიური ვალდებულება, დაიცვას ორივე უფლება. სასამართლოს მიერ აღნიშნული არგუმენტი უარყოფილი იქნა და სასამართლომ დაადგინა, რომ კონვენციის მე-2 მუხლი სიცოცხლის უფლების დაცვის პარალელურად არ იცავს სიკვდილის უფლებას.³²

ფსიქიკური პრობლემები ყოველთვის არ განაპირობებს პაციენტის მხრიდან გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების შეუძლებლობას.

ფრითის საქმისგან განსხვავებული შემთხვევა გვაქვს ქერი ვულტორტონის საქმეში, რომელსაც ჯანმრთელობის ფსიქიკური პრობლემები ჰქონდა. პაციენტმა თვითმკვლელობა რამდენჯერმე სცადა. მას არ სჭირდებოდა ვინმეს დახმარება თვითმკვლელობაში და იგი ყოველ ჯერზე დამოუკიდებლად ცდილობდა სიცოცხლის შეწყვეტას. ქერი ვულტორტონის საქმე არ განხილულა სასამართლოს მიერ, თუმცა ინგლი-

31 PRETTY v. THE UNITED KINGDOM (Application no. 2346/02); 29 April 2002 <https://hudoc.echr.coe.int/fre?i=001-60448> [25/06/2026]

32 PRETTY v. THE UNITED KINGDOM (Application no. 2346/02); 29 April 2002 <https://hudoc.echr.coe.int/fre?i=001-60448> [25/06/2026]

სის ეროვნული გამოძიების ფარგლებში, რომელსაც ახორციელებდა კორონერი,³³ ექიმის პასუხისმგებლობის საკითხი არ დადგინდა და მიჩნეულ იქნა, რომ ექიმი სწორად მოიქცა.

German law is not limited to the obligation to take into account any written expression of the patient's will in accordance with the above, but also imposes broader obligations on the doctor and the medical institution to determine and take into account the patient's will with regard to treatment. In particular, the second subsection of the above-mentioned article of the German Civil Code takes into account the following: “If there is no living will, or if the determinations of a living will do not correspond to the current life and treatment situation, the custodian is to determine the wishes with regard to treatment or the putative intent of the person under custodianship, and decide on this basis whether they consent to or prohibit a medical treatment pursuant to subsection (1). The putative intent is to be ascertained on the basis of concrete indications. Consideration is to be given, in particular, to previous oral or written statements, ethical or religious convictions and other personal values of the person under custodianship.”

German law gives similar rights to patient representatives. In particular, according to subsection 5 of the above-mentioned norm, “Subsections 1 to 3 apply to authorized representatives accordingly”. In German judicial practice, there are numerous decisions that support the patient's right to make their own decisions regarding the conduct of treatment and the methods used.

A similar approach exists in many countries outside of Europe as well. For example, in one of the decisions of the Supreme Court of Argentina, it was stated:

„14. The Basic Law grants individuals the freedom to make fundamental decisions about their own person without interference from the state or private individuals...”

„16. The ability to consent to or refuse specific treatment or to choose an alternative form of treatment represents personal autonomy and self-determination... Patients have the right to make choices according to their values or beliefs... This free choice must be respected.”¹⁷

In a decision made by the Supreme Court of Chile in 2019, it was stated:

“9. ... According to the case, the appellant refused a blood transfusion on the grounds of the fundamental right to freedom of conscience. It is important to note that in this case, such a decision is also based on their right to maintain bodily integrity, and therefore, within their right to self-determination, they refuse procedures that would violate their bodily integrity, which they are free to do as long as it does not break the law. In fact, Article 14 of Law 20584, which regulates the rights and duties of all persons regarding healthcare, recognizes in its first two paragraphs the right to refuse any kind of procedure or treatment (based on informed consent, which it establishes): „Every person has the right to consent to or refuse any procedure or treatment related to healthcare, within the limitations provided by Article 16 (critical condition of the patient). This right shall be exercised freely, voluntarily, clearly, and through informed means, for which the attending professional must provide appropriate, sufficient, and understandable information in accordance with Article 10. Refusal of treatment shall in no case be used to artificially hasten death, promote euthanasia, or assist in suicide.” As noted in the record, the complainant does not want medical professionals to perform euthanasia, assist in suicide, or participate in any process that would lead to death due to the refusal of a blood transfusion. On the contrary, he is a patient who wants to live and benefit from healthcare services through an operation he has been waiting for three years. However, he must refuse the blood transfusion. This refusal is not a whim and should not hinder the medical team from acting. It stems from his faith, which should be respected based on his right to freedom of conscience, and also due to his dignity, especially when there are reliable medical records regarding the possibility of performing such an operation without a blood transfusion.

10. On the other hand, it is undisputed that Ms. Polonia Rios is a competent adult who possesses both of the aforementioned fundamental rights and clearly understands the potential consequences of her decision. This, in turn, allows us to conclude that she has the full right to make the decision she has made, even if prioritizing the fundamental right to freedom

17 A.N.J.W., Supreme Court of Argentina, No. A. 523. XLVIII §§ 14 and 16, June 1, 2012.

of conscience may impact another right, because above all, it was her choice.”¹⁸

In the case of “*Iparraguirre Gonzalez v. Huan Ismael Komeka*” the Civil Court of Appeals of Uruguay stated: “[The medical center] provided the patient with all available medical assistance, respected the patients freely expressed will in the [medical directive], which has not been revoked in any way, and accordingly, the medical center respected the constitutional and legal provisions that protect the rights to life, liberty, self-determination, and the patient’s beliefs.”

“Due to the understandable feeling of helplessness of the family members in their attempt to save Adriana’s life, the claim of ignorance about the existence of such a directive, even against her deep beliefs, is an action against her constitutionally protected rights and means an infringement on her legitimate right to choose ‘how to live and how to die.’”

„In short, we can conclude that advance directives serve two purposes: on the one hand, they recognize individual freedom and autonomy, and on the other hand, they protect the right to private life and personal privacy.”

“The preparation of these documents implies the expansion of the boundaries of autonomy, even when the individual can no longer think clearly. On the other hand, it aims to prevent the infringement of the individual’s personal space by others through the introduction of behavioral guidelines that the individual does not share, or by acting on life values that do not correspond to their thinking. ‘An individual can legitimately demand respect for their beliefs and convictions.’”¹⁹

The right to personal autonomy of the patient is recognized and protected not only by countries in Europe and the Americas but also by many countries in Asia and Africa. Below are excerpts from the judicial practices of some of these countries.

In the decision of the Supreme Court of Japan in the case of “*A.T. v. State*”, it was stated: “In the case where a patient clearly expresses their intention to refuse medical procedures involving blood transfusion, on the grounds that such transfusion violates their religious beliefs, the right to make such a decision should be protected as a human right.”²⁰

In the decision of the Supreme Court of Namibia in the case of “*E.S. v. A.C.*”, it was stated:

“48. ...The principle of patient autonomy reflects that it is a basic human right for an individual to be able to assert control over his or her own body. Adhering to this principle requires that a patient must consent to medical procedures after having been properly advised of their risks and benefits, so that the consent is informed. Medical practitioners must inform their patients about the material risks and benefits of the recommended treatment but it is up to the patient to decide whether to proceed with a particular course of treatment. For this reason, it is the patient’s judgment of his or her own interests that is the most important factor.

49. The corollary of patient autonomy is that a patient may refuse to undergo specific medical procedures, and that refusal must ordinarily be respected so long as the patient is an adult of sound mind and the patient understands the implications of the refusal. It is important to note that the subject of children undergoing medical procedures raises different and difficult concerns that do not require consideration in the case presently before the court.

50. Pertinently, it is not for medical professionals or judicial officers to judge the basis upon which an adult of sound mind has taken a decision to accept or refuse a specific medical procedure (excepting certain exceptional circumstances such as duress: see, for instance, the English authority of *Re T (Adult)* [1992] EWCA Civ 18; [1992] 4 All ER 649). This means that in the present case, the court is not called upon to consider whether it agrees with the religious basis upon which Mrs ES elected to refuse treatment involving blood transfusions. Importantly, Art 10(1) of the Constitution states that all persons shall be equal before the law and that no person may be discriminated against on the grounds of sex, race, colour, ethnic origin, religion, creed or social or economic status (Art 10(2)).”²¹

In its decision in the case of “*Castell v. De Greef*”, the Supreme Court of South Africa stated: “It is clearly for the patient, in the exercise of his or her fundamental right to self-determination, to decide whether he or she wishes to undergo an operation,

18 “*Polonia Del Karmen Rios*”, Supreme court of Chile, Tillerias Book: Civil / 24199-2019, December 13, 2019, page 26

19 “*Iparraguirre Gonzalez v. Huan Ismael Komeka*”, Amparo Action IUE 459-320/2019, August 5, 2019.

20 No. 1998 (O) Nos. 1081, 1082, § 2, February 29, 2000.

21 “*E.S v. A.C* (SA 57/2012) [2015] NASC 11 (June 24, 2015). Par. 48-50, Supreme Court of Namibia.

and it is in principle wholly irrelevant that the patient's attitude is grossly unreasonable in the eyes of the medical profession: the patient's right to bodily integrity and autonomous moral agency entitles him or her to refuse medical treatment.”²²

The aforementioned decisions from various countries around the world demonstrate that today many countries firmly uphold the patient's right to decide whether to receive medical services and what kind of medical procedures to agree to. It is a fact that this right of the patient does not cease even when the patient is unconscious. Therefore, doctors do not have the right to act against the patient's will if this will is known to them, even if the patient is unconscious and unable to make decisions. In such cases, doctors should follow the decision that the patient made while conscious, if such a decision exists. Moreover, if the patient's refusal of a particular treatment method is

based on his/her religious beliefs, this is even more significant for doctors to consider, as it is unlikely to change. Such a decision is not dependent on circumstances, available medical treatment, or possible

out comes, but is based on the person's deep religious conviction, which makes such treatment completely unacceptable to the person regardless of the consequences and other conditions.

The recent decision of the Grand Chamber of the European Court of Human Rights in the case of *Pindo Mulla v. Spain* aligns with the judicial practices of many countries around the world, as briefly reviewed above. This decision, along with numerous other court rulings, upholds the rights of patient's to make decisions regarding their medical treatment--a right that must be respected by all, including medical professionals.

22 “Castell v. De Greef”, 1994 (4) SA 408, 409 (C), Supreme Court of South Africa.

► „სასამართლო იცის კანონი“ ?!

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2022 წლის 5 აპრილის განჩინება, საქმე N: ას-369-2021;

სამოქალაქო საქმეთა პალატის შემადგენლობა: მირანდა ერემაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი), ვლადიმერ კაკაბაძე და ლევან მიქაბერიძე

ფაქტობრივი გარემოებები: 1955 წელს მხრე „1“-მა (შემდგომში აგრეთვე: „მესაკუთრე“) და მხარე „2“-მა (შემდგომში, აგრეთვე: „მოსარგებლე“) სანოტარო წესის დაუცველად გააფორმეს ნასყიდობის ხელშეკრულება მხარე „1“-ის უძრავი ქონების ნაწილზე (შემდგომში, აგრეთვე: „სადავო საცხოვრებელი ფართი/სადგომი“). აღნიშნულ უძრავ ქონებაზე მხარე „2“-მა დროთა განმავლობაში განახორციელა განსაზღვრული ფართის მიშენება-დაშენება.

2012 წლის 17 იანვარს „მხარე 2“-მა პირველი ინსტანციის სასამართლოში შეიტანა სარჩელი და მოითხოვა ზემოაღნიშნული უძრავი ქონების - 1955 წელს შეძენილი საცხოვრებელი ფართისა და მასზე განხორციელებული მიშენება-დაშენების ფართზე (შემდგომში, აგრეთვე: „სადავო უძრავი ქონება“) მესაკუთრედ ცნობა. იმავე წლის მაისში მხარე „1“-მა სასამართლოს მიმართა შეგებებული სარჩელით და მოითხოვა მხარე „2“-ის, როგორც საცხოვრებელი ფართის მოსარგებლის მიერ მფლობელობის შეწყვეტა

სადავო უძრავ ქონებაზე, 1955 წელს გაფორმებული ფორმდაუცველი ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფართის საბაზრო ღირებულების 90%-ისა და მხარე „2“-ის მიერ მიშენება-დაშენებაზე განეული ხარჯის საბაზრო ღირებულების ანაზღაურების სანაცვლოდ.

იქიდან გამომდინარე, რომ 2012 წლის 13 ივლისის სასამართლო სხდომაზე „მხარე 2“-მა თავდაპირველი სარჩელი გამოიხმო, მისი სარჩელი სასამართლომ განუხილველად დატოვა. პირველი ინსტანციის სასამართლომ განიხილა მხარე „1“-ის შეგებებული სარჩელი და 2017 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილებით დააკმაყოფილა მისი სასარჩელო მოთხოვნა. აღსანიშნავია, რომ მხარე „2“ ეთანხმებოდა მხარე „1“-ის მიერ მისთვის საცხოვრებელი სადგომის 90%-ისა და მიშენება-დაშენების საბაზრო ღირებულების ანაზღაურებას, იგი მხოლოდ საბაზრო ღირებულების ოდენობას ხდიდა სადავოდ.

პირველი ინსტანციის სასამართლოს 2017 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილება მხარე „2“-მა გაასაჩივრა სააპელაციო და საკასაციო წესით. ორივე ინსტანციის ეტაპზე მხარე მიუთითებდა, რომ სასამართლომ წინამდებარე დავის გადასაწყვეტად გამოიყენა საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისა და წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ საქართველოს კანონის ძალადაკარგული რედაქცია. სასამართლო დავის მიმდინარეობის პერიოდში, 2016 წლის 24 ივნისს მიღებულ იქნა აღნიშნული კანონის ახალი

რედაქცია (რომელიც 2016 წლის 18 ივლისს შევიდა ძალაში), რომელმაც ამავე კანონის წინა - 1998 წლის 25 ივნისის რედაქცია ძალადაკარგულად გამოაცხადა. ზემოაღნიშნული კანონის ახალი რედაქციით ამავე კანონით განსაზღვრული სუბიექტების სამართლებრივი ურთიერთობა და უფლებათა ბალანსი რადიკალურად შეიცვალა. აღსანიშნავია, რომ მან პირველი ინსტანციის 2017 წლის 21 ნოემბრის მთავარ სხდომაზეც წარადგინა შუამდგომლობა, რომლის ფარგლებშიც მოითხოვდა დავის სპეციალური კანონის ახალი - 2016 წლის 24 ივნისის რედაქციის შესაბამისად განხილვას, რაც სასამართლომ არ დააკმაყოფილა. შესაბამისად, მხარის მოსაზრებით პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება მიღებული იყო კანონდარღვევით, რაც მისი გაუქმების აბსოლუტური საფუძველია.

სააპელაციო სასამართლოს 2021 წლის 27 იანვრის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე წარდგენილი საკასაციო საჩივარი უზენაესი სასამართლოს 2022 წლის 5 აპრილის განჩინებით განუხილველი დარჩა. უზენაესმა სასამართლომ აღნიშნული განჩინებით ძალაში დატოვა და სრულად გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში დაფიქსირებული მსჯელობა.

უზენაესი სასამართლოს მსჯელობა: სასამართლომ სადავო ურთიერთობის მარეგულირებელი ნორმების გამოყენებასთან დაკავშირებით, გაიზიარა გასაჩივრებული განჩინების დასკვნა და ყურადღება გაამახვილა სპეციალური კანონის (2016 წლის 24 ივნისის რედაქციის) მე-3 მუხლზე, რომლითაც აღიარებითი სარჩელის დამოუკიდებელი სახე ჩამოყალიბდა. კერძოდ, მოსარგებლე, რომელმაც მესაკუთრესთან საერთაშორისო წესის დაუცველად დადო წერილობითი ნასყიდობის ხელშეკრულება და რომელიც არანაკლებ 30 წლის განმავლობაში უწყვეტად ფლობს საცხოვრებელ სადგომს, უფლებამოსილია სასამართლოს მეშვეობით მოითხოვოს ნასყიდობის ხელშეკრულების დადებულად ცნობა (ნასყიდობის ხელშეკრულების დადებულად ცნობის შესახებ სარჩელი). ამავე ნორმის მე-2 პუნქტით კი, განსაზღვრულია, რომ ნასყიდობის

ხელშეკრულების დადებულად ცნობის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილება საჯარო რეესტრში შესაბამისი რეგისტრაციის განხორციელების საფუძველია.

მოცემულ შემთხვევაში, მხარე „2“-მა 2012 წლის 13 ივლისის სასამართლო სხდომაზე ისარგებლა სარჩელის გამოხმობის უფლებით და მისი თავდაპირველი სარჩელი მოპასუხის მიმართ, რომლითაც იგი ითხოვდა სადავო უძრავ ნივთზე მესაკუთრედ ცნობას ანაზღაურების გადახდის სანაცვლოდ, დარჩა განუხილველი, ხოლო შემდეგ კი მას სასამართლოსთვის მესაკუთრედ ცნობის მოთხოვნით არ მიუმართავს.

პირველი ინსტანციის სასამართლო სხდომაზე მხარე „2“-ს არ მოუთხოვია სარჩელის უარყოფა და ახალი საკანონმდებლო რეგულაციების გამოყენების უფლებით არ უსარგებლია, პირიქით მან 2016 წლამდე მოქმედი საკანონმდებლო მოწესრიგების ფარგლებში მოითხოვა, რომ მას მხარე „1“-სგან უნდა მიეღო, საცხოვრებელი ფართის ღირებულების 90%, ისევე - მიშენება-დაშენებისთვის განეული ხარჯი სრული ოდენობით, სადავო იყო მხოლოდ თანხის ოდენობა. აღსანიშნავია, რომ ძველი რედაქციის კანონისაგან განსხვავებით, ახლებურმა მოწესრიგებამ მფლობელისა და მესაკუთრის ინტერესების განსხვავებული ბალანსი დაადგინა, კერძოდ, ახლებური მოწესრიგების პირობებში მესაკუთრესთან შედარებით მოსარგებლეს მიენიჭა უპირატესობა ქონების საკუთრებაში დატოვების თვალსაზრისით, რაც მოცემულ შემთხვევაში, მფლობელმა სარჩელის აღძვრის გზით არ განახორციელა. შესაბამისად გაურკვეველია კასატორების პრეტენზია დავის სპეციალური კანონის ძველი რედაქციით მოწესრიგებასთან დაკავშირებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება კანონიერია, ხოლო საკასაციო საჩივარი - დაუსაბუთებელი, რაც გამორიცხავდა არსებითად განსახილველად დაშვების სამართლებრივ შესაძლებლობას.

კომენტარი: სამივე ინსტანციის ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებები მიღებულია კანონდარდვევით და ეწინააღმდეგება უზენაესი სასამართლოს დამკვიდრებულ პრაქტიკას. ამასთანავე მნიშვნელოვნად არღვევს საპროცესო სასამართლოს ფუნდამენტურ პრინციპებს, კერძოდ მე-3 და მე-4 მუხლებით გათვალისწინებულ შეჯიბრებითობისა და დისპოზიციურობის პრინციპებს.

როგორც უკვე აღინიშნა პირველი ინსტანციის სასამართლომ მხარეთა შორის სამართლებრივ ურთიერთობაზე 2017 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილების მიღებისას იხელმძღვანელა საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ საქართველოს კანონის ძალადაკარგული რედაქციით, რადგან 2016 წლის 24 ივნისის მიღებულ აღნიშნული კანონის ახალი რედაქცია, რომლის 11 I მუხლით განსაზღვრულია: „ამ კანონის ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს 1998 წლის 25 ივნისის კანონი (პარლამენტის უწყებანი, №25-26, 15.07.1998, გვ. 11)“.

იმ საკითხის თაობაზე, თუ რომელი კანონით უნდა ეხელმძღვანელა სასამართლოს არსებობს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვრცელი განმარტება და დამკვიდრებული პრაქტიკა. კერძოდ, უნდა აღინიშნოს საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 27 ნოემბრის გადაწყვეტილება, რომელიც სასამართლომ ანალოგიურ საქმეზე მიიღო: „საკასაციო პალატა იზიარებს კასატორის პრეტენზიას, რომ სააპელაციო სასამართლოს მხარეთა შორის არსებული დავა უნდა გადაეწყვიტა „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 24 ივნისის კანონის საფუძველზე და დავის მოსაწესრიგებლად არ უნდა გამოეყენებინა „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს 1998 წლის 25 ივნისის კანონი.

განსახილველ შემთხვევაში მესაკუთრის სარჩელი აღძრულია 2014 წლის 10 ოქტომბერს, რომლითაც იგი ითხოვდა მოსარჩელის საკუთრებაში არსებულ საცხოვრებელ სადგომზე მფლობელობის შეწყვეტას მოსარგებლისთვის სადგომის საბაზრო ღირებულების 75%-ის გადახდით და აღნიშნული სადგომის გამოთავისუფლებულ მდგომარეობაში გადაცემას სარჩელის შეტანის დროს მოქმედი „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს 1998 წლის 25 ივნისის კანონის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე.

თუმცა, აღნიშნული საქმის სააპელაციო ინსტანციაში განხილვის ეტაპზე შეიცვალა საკანონმდებლო აქტი და საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობები ახლებურად მოაწესრიგა 2016 წლის 24 ივნისის მიღებულმა ახალმა კანონმა, რომლითაც ძალადაკარგულად გამოცხადდა „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს 1998 წლის 25 ივნისის კანონი. ახალი კანონი ამოქმედდა 2016 წლის 18 ივლისს და სწორედ აღნიშნული დღიდან ძალადაკარგულია „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს 1998 წლის 25 ივნისის კანონი.

„საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ 2016 წლის 24 ივნისის საქართველოს კანონის მიღებისა და, შესაბამისად, ამავე კანონით 1998 წლის 25 ივნისის კანონის ძალადაკარგულად ცნობის მიზანს წარმოადგენდა ამ უკანასკნელის მოქმედებისას საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირების ხარვეზების აღმოფხვრა და საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობის მონაწილეთა შორის უფლებამოვალეობათა ახლებური, უფრო სამართლიანი გადანაწილება¹.

1 იხ. სუსგ №ას-137-2019, 6 მაისი, 2019 წელი.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ახალი კანონით არ არის განსაზღვრული, რომელი კანონი უნდა იქნას გამოყენებული საერთო სასამართლოების მიერ ძველი კანონის საფუძველზე შეტანილი სარჩელების განხილვისას ანუ ახალი კანონი არ შეიცავს გარდამავალ დებულებებს, რომლის საფუძველზეც სასამართლოს შეუძლია ახალი საკანონმდებლო აქტის ძალაში შესვლისას სასამართლოებში მიმდინარე დავების მოსაწესრიგებლად გამოიყენოს ძალადაკარგული კანონი.

მოცემულ საქმეზე სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილება მიიღო 2017 წლის 7 ნოემბერს, როდესაც უკვე ძალადაკარგული იყო ძველი კანონი და ამ დროს არც შესაბამისი სამართლებრივი ნორმა არსებობდა, რომელიც საშუალებას მისცემდა მას ეხელმძღვანელა ძალადაკარგული კანონით. თუმცა, სააპელაციო პალატამ მაინც ძალადაკარგული კანონის ნორმები გამოიყენა, რაც დაასაბუთა ორი საფუძველით: 1. ძველი კანონით დადგენილ რეგულაციებთან შედარებით ახალი რეგულაციებით გაუარესებული იყო მესაკუთრის მდგომარეობა და მიუთითა სსკ-ის მე-6 მუხლის მეორე წინადადებაზე, რომლის თანახმად, კანონს არ შეიძლება მიეცეს უკუქცევითი ძალა, თუ იგი ზიანის მომტანია ან აუარესებს პირის მდგომარეობას; 2. რამდენადაც მესაკუთრეს გამოყენებული ჰქონდა 1998 წლის 25 ივნისის კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი უფლება და სარჩელით მოთხოვნილი ჰქონდა კომპენსაციის გადახდის სანაცვლოდ დასახელებულ საცხოვრებელ სადგომზე მოსარგებლის მფლობელობის უფლების შეწყვეტა, მესაკუთრემ განახორციელა კანონით მისთვის მინიჭებული უფლების რეალიზება და მისი ეს უფლება არ შეიძლება შეზღუდულიყო ახალი კანონის მიღებით ამოქმედებული რეგულაციებით, რომლებიც აუარესებდა მესაკუთრის მდგომარეობას.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს ზემოთ მოყვანილი დასაბუთება არამართებულია, ვინაიდან განსახილველ შემთხვევაში ადგილი არ აქვს კანონის ნამდვილ უკუძალას.

... ვინაიდან განსახილველ შემთხვევაში მესაკუთრესა და მოსარგებლეს შორის არსებული ურთიერთობა, მართალია, წარმოიშვა წარსულში, ახალი კანონის ამოქმედებამდე, თუმცა, იგი ახალი კანონის ამოქმედების მომენტისთვის დასრულებული არ იყო და, შესაბამისად, ვინაიდან ახალი კანონი არ შეიცავს მისი ამოქმედების მომენტისთვის სასამართლოში მიმდინარე დავების მიმართ ძალადაკარგული კანონის გამოყენების თაობაზე გარდამავალ დებულებას, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მხარეთა შორის სააპელაციო სამართალწარმოების ეტაპზე არსებული დავა, რომელიც ჯერ არ იყო გადაწყვეტილი, ახალი კანონის საფუძველზე უნდა მოწესრიგებულიყო.

ამდენად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება დაუსაბუთებელია და, შესაბამისად, არსებობს მისი გაუქმების სსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძველი“.

ცალსახაა, რომ როგორც მოცემული დავაზე არსებული პირველი ინსტანციის 201 წლის 14 დეკემბრის, აგრეთვე სააპელაციო სასამართლოს 2021 წლის 27 იანვრის გადაწყვეტილება და უზენაესი სასამართლოს 2022 წლის 5 აპრილის განჩინებაში გაკეთებული განმარტება ძველი კანონის გამოყენების დასაბუთებასთან დაკავშირებით აშკარა წინააღმდეგობაშია ზემოაღნიშნულ განმარტებასთან. პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ ძალადაკარგული ნორმის გამოყენება სააპელაციო სასამართლომ გაამართლა იმგვარად, რომ მხარე „2“-მა ერთი მხრივ არ მოითხოვა სარჩელის უარყოფა და არ მიმართა სასამართლოს ახალი სარჩელით ახალი კანონის შესაბამისად თავისი, როგორც სადავო უძრავი ქონების მოსარგებლის უფლებების რეალიზებისთვის. შესაბამისად, მხოლოდ აღნიშნული გარემოება ზედა ინსტანციის ორივე სასამართლომ მიიჩნია საკმარის საფუძველად, რათა ძალადაკარგული ნორმის საფუძველზე მიღებული უკანონო გადაწყვეტილების კანონიერება დაესაბუთებინათ.

ერთი მხრივ, მართალია, რომ უზენაესი სასამართლოს ზემოაღნიშნული - 2019 წლის 27 ნოემბერს მიღებულ გადაწყვეტილება მიღებულია

მას შემდეგ, რაც პირველი ინსტანციის სასამართლომ გადაწყვეტილება მიიღო, მაგრამ სახეზეა უზენაესი სასამართლოს 2022 წლის 5 აპრილის განჩინება, რომელიც სააპელაციო სასამართლოს უსაფუძვლო განმარტებას, კანონის ძალადაკარგული რედაქციის გამოყენებაზე, რომლის უფლებაც არ ჰქონდა, სრულად იზიარებს. აღსანიშნავია, რომ არსებობს საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 9 ნოემბრის გადაწყვეტილება, რომელიც საქმეზე მსჯელობს სწორედ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ზემოაღნიშნული - 2019 წლის 27 ნოემბრის გადაწყვეტილებაში გაკეთებული განმარტების შესაბამისად: „საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ახალი კანონით არ არის განსაზღვრული, რომელი კანონი უნდა იქნას გამოყენებული საერთო სასამართლოების მიერ ძველი კანონის საფუძველზე შეტანილი სარჩელების განხილვისას, ანუ ახალი კანონი არ შეიცავს გარდამავალ დებულებებს, რომლის საფუძველზეც სასამართლოს შეუძლია ახალი საკანონმდებლო აქტის ძალაში შესვლისას სასამართლოებში მიმდინარე დავების მოსაწესრიგებლად გამოიყენოს ძალადაკარგული კანონი. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მხარეთა შორის არსებული დავის მიმართ, რომელიც ჯერ არ არის გადაწყვეტილი, ახალი კანონი უნდა იქნეს გამოყენებული“². მოცემული განმარტებების თანახმად, ცალსახაა, რომ მხარეთა შორის არსებული სპეციალური სამართლებრივი ურთიერთობის მოწესრიგებისას პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოს უნდა ეხელმძღვანელოს ახალი კანონის საფუძველზე, რადგან ის ძალში შევიდა ჯერ კიდევ 2016 წლის 18 ივლისს, პირველი ინსტანციის სასამართლომ კი გადაწყვეტილება მიიღო 2017 წლის 14 დეკემბერს. აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ განმარტებაში უზენაესი სასამართლო მსჯელობს სააპელაციო სასამართლოს მიერ გასაჩივრებული გადაწყვეტილებისას კანონის ახალი რედაქციის მიხედვით ხელმძღვანელობის ვალდებულებაზე. მაშასადამე, სასამართლოს ზემოაღნიშნული გან-

მარტების მიხედვით გამოდის, რომ დავა, რომელიც პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გადაწყვეტილია, კანონის ძველი (ახალი რედაქციის მიღებამდე) მოქმედი რედაქციის მიხედვით, სააპელაციო სასამართლომ ამ დავაზე მიღებული პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერების შეფასებისას მაინც კანონის ახალი რედაქციით უნდა იხელმძღვანელოს, რომელიც მის მიერ დავის განხილვის პერიოდში შევიდა ძალაში, იქიდან გამომდინარე, რომ მას ძალადაკარგული სამართლებრივი ნორმის გამოყენების უფლებამოსილება არ გააჩნია. სააპელაციო სასამართლოსთვის ამგვარი ვალდებულება, უპირობოდ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესზეც ვრცელდება. ამის მიუხედავად, მოცემულ დავაზე პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული 2017 წლის 14 დეკემბრის უკანონო გადაწყვეტილება, არამხოლოდ სააპელაციო სასამართლომ, უზენაესმა სასამართლომაც კი ძალაში დატოვა. საკითხავია, თუკი საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ 2019 წლის 27 ნოემბერს გაკეთებული განმარტების მიხედვით უზენაესი სასამართლო 2020 წლის 9 ნოემბრის გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობს, წინამდებარე დავის გადაწყვეტისას უზენაესი სასამართლოს განმხილველი მოსამართლეებისთვის სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნული განმარტების სრულად გაზიარებასა და უკანონო გადაწყვეტილების ძალაში დატოვებას რა სამართლებრივი საფუძველი ჰქონდა?! განხილულ გადაწყვეტილებაში უზენაესი სასამართლო პირდაპირ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს 2021 წლის 27 იანვრის უკანონო გადაწყვეტილებაში დაფიქსირებულ მსჯელობას. ამ შემთხვევაში სასამართლომ მხარე „2“-ის საქართველოს 31-ე მუხლის 1-ელი ნაწილით დაცული სამართლიანი სასამართლოს უფლება ორმაგად დაარღვია. ერთი მხრივ, სააპელაციო სასამართლოს 2021 წლის 27 იანვრის გადაწყვეტილებით, რომლის მიერ საქმის განხილვის დროსაც საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 27 ნოემბრის განმარტება

2 იხ. სუსგ - საქმე N: ას-430-430-2018.

უკვე არსებობდა, რაც მათ გაურკვეველი მიზეზით უგულებელჰყევს და ახალი პრაქტიკის დამკვიდრება მოისურვებს იმ ნორმების გამოყენებასთან დაკავშირებით, რომელთა გამოყენების უფლებაც არ აქვთ, რაც მნიშვნელოვნად უთხრის ძირს, როგორც სამართლებრივი სახელმწიფოს, აგრეთვე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ძირითად პრინციპებს (დეტ. იხ. ქვემოთ), ხოლო მეორე მხრივ თავად უზენაესი სასამართლოს 2022 წლის 5 აპრილის განჩინებით, რომელიც ყოველგვარი სამართლებრივი დასაბუთების გარეშე იზიარებს და ძალაში ტოვებს სააპელაციო სასამართლოს იმ გადაწყვეტილებას, რომელიც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394 „ე“ მუხლის მიხედვით გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველია, ანუ უზენაესმა სასამართლომ განხილული განჩინებით ძალაში დატოვა კანონის დარღვევით მიღებული სააპელაციო სასამართლოს 2021 წლის 27 იანვრის გადაწყვეტილება.

აგრეთვე აღსანიშნავია, რომ სააპელაციო და უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები განხილულ საქმესთან დაკავშირებით მნიშვნელოვნად არღვევს სამოქალაქო საპროცესო სამართლის მე-3 და მე-4 მუხლებით რეგულირებულ შეჯიბრებითობისა და დისპოზიციურობის პრინციპებს. კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება გაამართლა იმით, რომ მხარემ არ მოითხოვა სარჩელის უარყოფა, ამასთან, არ იმოქმედა და ახალი კანონის შესაბამისად თავისი უფლების რეალიზება არ მოუთხოვია. აღნიშნულთან დაკავშირებით მივუთითებთ სასამართლოების მყარად დადგენილ და მოქმედ პრაქტიკაზე: „როგორც საკასაციო სასამართლო არაერთ გადაწყვეტილებაში/განჩინებაში უთითებს, მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის განსაზღვრა სასამართლოს პრეროგატივაა და მხარის მიერ სარჩელის დამფუძნებელ ნორმად კანონის ამა თუ იმ დანაწესის მითითება არ არის გადაწყვეტილების მიღების პროცესში სასამართლოსათვის ხელის შემშლელი. სამართალში დამკვიდრებულია პრინციპი – „jura novit curia“

(სასამართლომ იცის კანონი). მოთხოვნის იურიდიული მართებულობის კვლევა მოიაზრებს სასამართლოს მხრიდან დამფუძნებელი ნორმების სწორად მოძიებას, რომელიც დავის გადაწყვეტის ფუნდამენტს წარმოადგენს“³. აღნიშნული განმარტების მიხედვით სამართლებრივ საფუძველს მოკლებულია სააპელაციო და უზენაესი სასამართლოების მსჯელობა, რადგან სასამართლოს მიერ დავის განხილვისას სწორი და რელევანტური კანონის გამოყენება არანაირად არ არის მხარის ამა თუ იმ მოქმედებაზე, მათ შორის სარჩელის შეტანასა თუ შეტანისგან თავის შეკავებაზე დამოკიდებული. მიუხედავად ამისა, მხარე „2“, როგორც პირველ ინსტანციაში დავის განხილვის ეტაპზე, ისე სააპელაციო და საკასაციო საჩივარში მიუთითებდა, რომ დავა ახალი კანონის - 2016 წლის 24 ივნისის რედაქციის შესაბამისად უნდა გადაწყვეტილიყო. სასამართლო ხელმძღვანელობს მხარის მიერ მიწოდებული ფაქტებით, ხოლო აღნიშნულ ფაქტებს თავად უსაბამებს შესაბამის სამართლებრივ ნორმას. ცალსახაა, რომ სააპელაციო და უზენაესი სასამართლოების მხრიდან ზემოაღნიშნული უსაფუძვლო მსჯელობა ძირს უთხრის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ფუნდამენტურ პრინციპებს. მოცემულ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილებები ცალსახა მაგალითია, არამხოლოდ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის რიგი ნორმების თვითნებური გამოყენებისა და უგულებელყოფის, აგრეთვე სამართლებრივი სახელმწიფოს, მართლმსაჯულების პრინციპისა და სახელმწიფოს მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებების მნიშვნელოვანი დარღვევისა.

სოფიკო ზარანდია

3 იხ. სუსგ-ები: N ას -559-2019; N: ას- 1426-2018; N: ას-1322-2018.

► შენიშვნა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2025 წლის 12 მარტის № 3/5255-24 გადაწყვეტილებაზე

ა. საპროცესო დავის საგანი

ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულმა პალატამ, ამჟამად მოქმედი პრეზიდენტის მიერ აღიარების საფუძველზე, გააუქმა ყოფილი პრეზიდენტის გადაწყვეტილება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრის თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ და დაადგინა, რომ თავდაპირველად განსაზღვრული კანდიდატის ნაცვლად არამოსამართლე წევრად უნდა დაინიშნოს მისი კონკურენტი.

ბ. ეს გადაწყვეტილება სამართლებრივად ხარვეზიანია:

აღნიშნული საქმის განხილვის კომპეტენცია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ პალატას არ ჰქონდა, რადგან საქმე ეხება საკონსტიტუციო დავას (და არა ადმინისტრაციულ დავას). ამიტომ, ამჟამად მოქმედი პრეზიდენტის მიერ გაკეთებული საპროცესო აღიარება არ ამართლებს აღიარების საფუძველზე გადაწყვეტილების გამოტანას. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ პალატას სარჩელი განუხილველად უნდა დაეტოვებინა, მისი არსებითი განხილვის გარეშე.

გ. დეტალურად:

1. ადმინისტრაციული და საკონსტიტუციო სამართალწარმოების ზოგადი გამიჯვნა

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული სასამართლო კომპეტენტურია ამავე მუხლში დეტალურად განსაზღვრული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი დავების განხილვის შემთხვევაში. ეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი დავები უნდა გაიმიჯნოს ე.წ. საკონსტიტუციო დავებისგან, რომელთა განხილვა ადმინისტრაციული სასამართლოების კომპეტენციას არ განეკუთვნება.

არც საქართველოს კონსტიტუციაში და არც ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსში პირდაპირ არ არის მითითებული ამ გამიჯვნის კრიტერიუმები. ისინი, შესაბამისად, ძირითადი საკონსტიტუციო პრინციპების საფუძველზე უნდა შემუშავდეს. მნიშვნელოვნად გამარტივებულად რომ ვთქვათ, საქმე ეხება იმას, მონაწილეობს თუ არა სასამართლო პროცესში საკონსტიტუციო ორგანო და საკონსტიტუციო ორგანოს გასაჩივრებული ქმედების საფუძველი კონსტიტუციური ხასიათისაა თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ხასიათის. ამისათვის გადამწყვეტია, სადავო სამართლებრივი ურთიერთობა (საკონსტიტუციო ორგანოს გადაწყვეტილების მიღების კომპეტენციის მიუხედავად) უპირატესად კონსტიტუციური სამართლით რეგულირდება თუ ჩვეულებრივი კანონებით (გერმანიის ფედერალური ადმინისტრაციული სასამართლო (BVerwG), 2022 წლის 9 დეკემბრის გადაწყვეტილება - 3 A 1/21 - BVerwGE 177, 237, პუნქტი 12; BVerwG, 2007 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილება - 3 A 2/05 - BVerwGE 128, 99, პუნქტი 15). ადმინისტრაციულ-სამართლებრივ და საკონსტიტუციო დავებს შორის ამგვარი დიფერენცირების საფუძველი მდგომარეობს იმაში, რომ კონსტიტუციური წესრიგის თანახმად, ადმინისტრაციული სასამართლოების ამოცანა არ შეიძლება იყოს საკონსტიტუციო ორგანოების უპირატესად საკონსტიტუციო საქმიანობის შემოწმება. ასეთი უფლებამოსილება მხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლოს გააჩნია; და მასაც მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-4 პუნქტით მისთვის პირდაპირ მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში.

აქედან გამომდინარეობს, რომ პრეზიდენტსაც შეუძლია გამოსცეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ხასიათის აქტები, რომლებიც შეიძლება გასაჩივრდეს ადმინისტრაციულ სასამართლოებში. ეს, მაგალითად, ეხება საქართველოს მოქალაქეობის მინიჭებას, რადგან ამის წინაპირობები დიდწილად განსაზღვრულია ჩვეულებრივი კანონმდებლობის ნორმებით (იხ. საქართველოს კონსტიტუციის 52-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი, 32-ე მუხლის მე-2

პუნქტი). თუმცა, პრეზიდენტისთვის მინიჭებული ამოცანების უმეტესობა კონსტიტუციური ხასიათისაა და, შესაბამისად, მხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლოში წარმოებული პროცესის ფარგლებში ექვემდებარება სასამართლო კონტროლს.

2. კონკრეტული საქმე:

საქალაქო სასამართლომ საქმე განუხილველად მიიჩნია ადმინისტრაციულ-სამართლებრივ დავად, სათანადო დასაბუთების გარეშე. თუმცა, ზემოთ მოყვანილი კრიტერიუმების გათვალისწინებით, ეს არასწორია.

ყოფილი პრეზიდენტი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის დანიშვნის საქმეში მოქმედებდა არა მხოლოდ როგორც უმაღლესი სახელმწიფო ორგანო (საკონსტიტუციო ორგანო), არამედ არსებითად, დიდწილად კონსტიტუციური სამართლის საფუძველზე. ამრიგად, სახეზე იყო საკონსტიტუციო დავა, რის გამოც დამარცხებული კანდიდატის მოთხოვნა საქალაქო სასამართლოს განუხილველად უნდა დაეტოვებინა. ეს ძირითადად შემდეგ გარემოებებზეა დაფუძნებული:

პრეზიდენტს, როგორც უმაღლეს სახელმწიფო ორგანოს, კონსტიტუციით პირდაპირ აქვს მინიჭებული იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის დანიშვნის უფლებამოსილება და ვალდებულება. მას ასევე გააჩნია ერთპიროვნული გადაწყვეტილების მიღების კომპეტენცია და შეუძლია, საკუთარი შეხედულებისამებრ განსაზღვროს როგორც პროცედურა, ისე არსებითი შერჩევის გადაწყვეტილება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის (შემდგომში: ორგანული კანონი) 47-ე მუხლის 11¹-ე პუნქტში, 47-ე მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტებთან ერთად მოცემული საკანონმდებლო მოთხოვნები პროცედურის თვალსაზრისით წმინდა ფორმალური ხასიათისაა (კონკურსის გამოცხადება; განაცხადის შეტანა). შერჩევის პროცედურის სხვა დეტალებთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას პრეზიდენტი დამოუკიდებლად იღებს (კანდიდატების მოსმენა, პროცედურის გამჭვირვალობა, საკონკურსო

კომისია და სხვ.). ორგანული კანონის 47-ე მუხლის 11¹-ე პუნქტისა და 47-ე მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების შესაბამისად, სხვა ორგანიზაციების მიერ წარდგენილი კანდიდატურები პრეზიდენტმა შერჩევისას სათანადოდ უნდა გაითვალისწინოს. თუმცა, არც კონსტიტუცია და არც (რაც კანონის დათქმის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა) ორგანული კანონი არ ითვალისწინებს, რომ პრეზიდენტი ამ კანდიდატურებით არის შეზღუდული.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ პრეზიდენტის გადაწყვეტილება არ უნდა ეფუძნებოდეს ე.წ. საუკეთესო კანდიდატის შერჩევის მკაცრ კრიტერიუმებს, რომლებიც განსაზღვრავს მოსამართლეებისა და საჯარო მოხელეების დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილებებს (იხ. საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლის პირველი პუნქტი საქართველოს „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 42-ე მუხლის პირველ პუნქტთან ერთად). ამ კონკურენტული სამართალწარმოების შემთხვევაში, სწორედ საუკეთესო კანდიდატის შერჩევის ეს მოთხოვნაა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი დავის არსებობის მნიშვნელოვანი ინდიკატორი. ეს საუკეთესო კანდიდატის შერჩევა ტიპურია ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულებებისთვის და წარმოადგენს შემდგომი ადმინისტრაციული სასამართლო კონტროლის საზომს.

თუმცა, პრეზიდენტის მიერ არამოსამართლე წევრის დანიშვნა კონსტიტუციური თვალსაზრისით (მსგავსად, მაგალითად, პრემიერ-მინისტრის მიერ მინისტრის დანიშვნისა) არ უნდა შეფასდეს საუკეთესო კანდიდატის შერჩევის კრიტერიუმით. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრის თანამდებობაზე განაცხადის შეტანისას კანდიდატები უნდა აკმაყოფილებდნენ ორგანული კანონის 47-ე მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტებში მოცემულ მინიმალურ მოთხოვნებს. ამ გარე ჩარჩოს ფარგლებში, შერჩევის გადაწყვეტილება წარმოადგენს კანონის შესაბამისად განსაზღვრულ (საბოლოოდ პოლიტიკურ) დისკრეციულ აქტს.

ამის ლეგიტიმაცია გამომდინარეობს პრეზიდენტის, როგორც უმაღლესი საკონსტიტუციო ორგანოს სპეციფიკური სტატუსიდან და დანიშვნის აქტის სპეციფიკური ხასიათიდან; კერძოდ,

სხვა საკონსტიტუციო ორგანოს წევრის დანიშნვიდან. საკადრო საკითხები, რომლებიც საკონსტიტუციო ორგანოების ფარგლებში ხორციელდება, არ უნდა შეფასდეს საქართველოს „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 42-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით. პრეზიდენტის მიერ განხორციელებულ დანიშვნას, ამ თვალსაზრისით, არაფერი განასხვავებს პარლამენტის მიერ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრის არჩევისგან.

გარდა ამისა, არამოსამართლე წევრის დანიშვნა მიზნად ისახავს უზრუნველყოფას, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დაკომპლექტებისას სახელმწიფო ხელისუფლების შტოები უფრო ფართოდ იყოს წარმოდგენილი (სასამართლო, პარლამენტი და უმაღლესი სახელმწიფო ორგანო) და რომ ამით იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობამ გარკვეული (ან საკმარისი; მაგრამ ეს აქ განხილვას არ ექვემდებარება) დემოკრატიული ლეგიტიმაცია მოიპოვოს. უპირველეს ყოვლისა, კონკურენტის მიერ გასაჩივრებული ქმედების საგანი წმინდა საკონსტიტუციო ხასიათისაა. იგი ეხება სხვა საკონსტიტუციო ორგანოს დაკომპლექტებას და უზრუნველყოფს, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭო დაკომპლექტებული იყოს საქართველოს კონსტიტუციის 64-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად.

ეს ფუნდამენტურად განასხვავებს საქართველოს კონსტიტუციის 64-ე მუხლის მე-2 პუნქტში პრეზიდენტის კომპეტენციას კონსტიტუციის 64-ე მუხლის მე-4 პუნქტში (საჭიროების შემთხვევაში 62-ე მუხლის მე-2 პუნქტთან ერთად) იუსტიციის უმაღლესი საბჭოსთვის მინიჭებული მოსამართლეთა დანიშვნის ან დანიშნულების კომპეტენციებისგან. იუსტიციის უმაღლესი საბჭო ასევე საკონსტიტუციო ორგანოა. თუმცა, მისი გადაწყვეტილებები დასაბუთებულია დასაბუთებელ მოსამართლეთა შერჩევის შესახებ ეფუძნება კრიტერიუმებს, რომლებიც მეტწილად ჩვეულებრივი სამართლის დონეზეა განსაზღვრული. კერძოდ, ე.წ. საუკეთესო კანდიდატის შერჩევა უნდა განხორციელდეს ამ კრიტერიუმებისა და ორგანული კანონის 34-ე და შემდგომ მუხლებში განსაზღვრული პროცე-

დურის შესაბამისად. ამას კონსტიტუციაც პირდაპირ ითვალისწინებს, 64-ე მუხლის მე-4 პუნქტში და აღნიშნავს, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილებები და საქმიანობა რეგულირდება ორგანული კანონით, ანუ ჩვეულებრივი სამართლით. უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა არჩევისას, საუკეთესო კანდიდატის შერჩევის ეს ვალდებულება გრძელდება იმით, რომ პარლამენტი შეზღუდულია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ წარდგენილი კანდიდატურებით და კონსტიტუციის თანახმად, ეს კანდიდატურები საუკეთესო კანდიდატის შერჩევის შედეგი უნდა იყოს.

გარდა ამისა, გადაცემული თანამდებობებით განხორციელებული ფუნქციები არსებითად განსხვავდება ერთმანეთისგან. როგორც უკვე აღინიშნა, არამოსამართლე წევრს ნიშნავს პრეზიდენტი, რათა მან, როგორც სხვა საკონსტიტუციო ორგანოს წევრმა, გააძლიეროს დემოკრატიული ელემენტი. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დანიშნული ან მისი წარდგინებით პარლამენტის მიერ არჩეული მოსამართლე, თავის მხრივ, არ ხდება სხვა საკონსტიტუციო ორგანოს წევრი, არამედ ხდება სასამართლო ხელისუფლების ნაწილი. საპროცესო კონკურენტის შემთხვევაში, დავის ხასიათთან დაკავშირებით მოსამართლეების მიმართ იგივე წესი მოქმედებს, რაც საჯარო მოხელეების მიმართ: ორივე შემთხვევაში საქმე გვაქვს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ პროცესთან.

ამის საპირისპიროდ, ზემოთ მოყვანილი მიზეზების გამო, ეჭვგარეშეა, რომ კახა წიკარიშვილის დანიშვნის წინააღმდეგ დამარცხებული კონკურენტის მიერ ინიცირებული სასამართლო პროცესი საკონსტიტუციო დავაა და, შესაბამისად, საქალაქო სასამართლოს მოთხოვნა განუხილველად უნდა დაეტოვებინა.

3. აღიარების საფუძველზე გამოტანილი გადაწყვეტილების დაუშვებლობა

ადმინისტრაციულ პალატას საქმის არსებითად გადაწყვეტის უფლება, აღიარების საფუძველზე გამოტანილი გადაწყვეტილების ფორმით, არც ამჟამად მოქმედი პრეზიდენტის საპროცესო აღიარების გამო ჰქონდა.

საწყის ეტაპზე საქალაქო სასამართლომ სწორად აღნიშნა, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი დამატებით მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსზე და ეს მითითება მოიცავს ალიარების საფუძველზე გადანაცვლების მიღების წესებს. თუმცა, ამით არ უნდა მოხდეს ფუნდამენტური სამართლებრივი პრინციპების შელახვა. მაგალითად, გერმანიის სასამართლო პრაქტიკაში აღიარებულია, რომ მიუხედავად იმისა, რომ ადმინისტრაციულ პროცესში მოქმედი ოფიციალური გამოძიების პრინციპი ხელს არ უშლის ალიარების საფუძველზე გადანაცვლების გამოტანას და ვალდებულების დაკისრების პროცესში ცნობა შეიძლება ნამდვილი იყოს (გერმანიის ფედერალური ადმინისტრაციული სასამართლო, 1997 წლის 7 იანვრის სასამართლო გადანაცვტილება - 4 A 20/95 - BVerwGE 104, 27, პუნქტი 5), ალიარების საფუძველზე გადანაცვტილება გამოირიცხება შეცდომების სარჩელის შემთხვევაში (გერმანიის ფედერალური ადმინისტრაციული სასამართლო, 1981 წლის 26 თებერვლის გადანაცვტილება - 3 C 6/80 - BVerwGE 62, 18, პუნქტი 30; საქსონიის უმაღლესი ადმინისტრაციული სასამართლო, 2015 წლის 6 მარტის განჩინება - 5 A 119/12 - juris Rn. 9), რადგან სამართლებრივი ურთიერთობის შეცვლისკენ მიმართული სახელმწიფოებრივი ზომები საპროცესო მხარეების დისპოზიციურ უფლებამოსილებას არ ექვემდებარება.

მით უმეტეს, ეს უნდა გავრცელდეს წინამდებარე საქმეზე, რადგან (როგორც ზემოთ აღინიშნა) ობიექტურად საქმე გვაქვს საკონსტიტუციო დავასთან. საკონსტიტუციო დავების ფუნქციის შესაბამისად, მასში საპროცესო ალიარე-

ბა თავიდანვე უცხოა. ამ პრინციპის გვერდის ავლით შეუძლებელია იმის დაშვება, რომ საპროცესო მხარეებმა აღძრან დაუშვებელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი დავა და შემდეგ ეს დავა საპროცესო ალიარებით ურთიერთშეთანხმებით დაასრულონ. ეს კარს გაუღებს ობიექტურად საკონსტიტუციო დავების მანიპულირებას და კონსტიტუციის მარეგულირებელ შინაარსს საპროცესო მხარეების განკარგვის საგნად აქცევს.

დ. დასკვნითი შენიშვნა

გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, სიფრთხილის მიზნით აღვნიშნავთ, რომ საკონსტიტუციო დავის არსებობა მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ადმინისტრაციულ სასამართლოებს გადანაცვტილების მიღების კომპეტენცია არ აქვთ. აქედან არ გამომდინარეობს ის, რომ დამარცხებულ კანდიდატს უფლება აქვს კანონიერად მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს. საკონსტიტუციო სასამართლოში მიმართვის უფლებამოსილება და დასაშვები საპროცესო სახეები საბოლოოდ რეგულირდება საქართველოს კონსტიტუციის 60-ე მუხლის მე-4 პუნქტით და საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ ორგანული კანონით. შესაბამისად, მიმართვის უფლებამოსილება ყველას არ აქვს. ჰქონდა თუ არა წინამდებარე საქმეში მიმართვის უფლებამოსილება საკონსტიტუციო სასამართლოში, ამას, საჭიროების შემთხვევაში, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო გადანაცვტს. გერმანიის სამართლებრივი მოწესრიგების მიხედვით, ასეთი მიმართვის უფლებამოსილება არ იარსებებდა.

სოფიკო ზარანდია